

მუქია აფრილონიძე

ახალი  
ბამონვა

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# ჩვენი უნა ქართული



შუქია აფრიღონიქე



# ჩვენი ენა ქართული



გაქორ სულაკაურის  
გამომცემლობა

811.353.1'35

ქართული ენის ისტორია



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

შუქია აფრიდონიძე  
ჩვენი ენა ქართული

© შ. აფრიდონიძე, 2002, 2007, 2009

რედაქტორები: ვიოლა კალანდაძე  
გუჩა კვარაცხელია  
რეცენზენტი: ელენე კოშორიძე

F 99.115

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

დავით აღმაშენებლის გამზირი, 150, თბილისი, 0112  
ტელ.: 91-11-65, 91-09-54  
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-15-099-9

**Shukia Apridonidze**  
GEORGIAN IN USE

© Shukia Apridonidze, 2002, 2007, 2009

Published by Bakur Sulakauri Publishing  
Tbilisi, Georgia

www.sulakauri.ge



საქართველოს აკადემიის  
ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული

ჩვენი სკოლის უოჯო-ბიჭებს  
ყველა ანოსა და ვანოს – დედაების  
მომავალ ქომაგებსა და გუშაგებს

## წინასიტყვაობა მესამე გამოცემისათვის

ამ წიგნის მესამე გამოცემაში რამდენიმე ცვლილებაა შეტანილი:

I. წიგნის თემატიკას დაემატა სამი პარაგრაფი (1. ღამე მშვიდობისა! 2. პაპა თუ ბაბუა – თუ ორივე? 3. პანაშვიდი და პარაკლისი).

II. რამდენიმე აქამდე აღუწერავი შეცდომის ნიმუში შეემატა ზოგიერთი საერთაშორისო სიტყვის ხმარებისას ზეპირი მეტყველებიდან წერით პრაქტიკაში გადასულ შეცდომებს. შესაბამისად, რამდენადმე შეივსო ზოგი სავარჯიშოც.

III. ორთოგრაფიული, გრამატიკული თუ სტილისტიკური ხასიათის თემატიკას დაემატა **პუნქტუაცია**: ცალ-ცალკეა განხილული ყველაზე ტიპობრივი შემთხვევები ყოველი სასვენი ნიშნის ხმარებისა სათანადო ილუსტრაციებითურთ.

ბოლოს ერთვის **აბრევიაციისა** (შემოკლების) და **სიტყვის დამარცვლა-გადატანის** წესები, სავარჯიშოების სწორი პასუხები, ძირითადი ლიტერატურა შემოკლებებითურთ და სიტყვაფორმების საძიებელი.

2009 წ.

## წინასიტყვაობა პირველი გამოცემისათვის

ამ წიგნს საფუძვლად დაედო ჩემი ხუთწუთიანი სატელევიზიო გადაცემები (გადაიცა 1998-99 წლებში საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით), რომელთაც სათაურად წარმოადგინა გიორგი ლეონიძის პოპულარული ლექსის სტრიქონი – „ჩვენი ენა ქართული“. სასიამოვნო მოგონებად დამრჩა გადაცემის თავდაპირველი დიზაინი: ქართული ასომთავრული და მისი სასიგნალო მუსიკალური ფონი – ფრაგმენტი თემო ნაცვლიშვილის გულში ჩამწვდომი მელიქოდიისა ანა კალანდაძის უკვდავი „საქართველოო, ლამაზო“-ს ტექსტზე, ყოველი საუბრის ბოლოს კი – გადაცემის უცვლელი და უჩინარი მონანილის, – გიორგი გეგეჭკორის დამახასიათებელი ინტონაციით წარმოთქმული:

შეცდომაა... – სწორია...

\* \* \*

მრავალი მსმენელის თხოვნა-სურვილის გათვალისწინებით, პრესაში გაფანტული მასალის თავმოყრისა და გარკვეულ სისტემაში მოყვანის მიზნით, გადაწყდა ტელესაუბრების ცალკე წიგნაკად გამოქვეყნება.

1998-99 წლებში ჩემ მიერ გადაცემულ 60-მდე ტექსტს დაემატა რამდენიმე საუბრის მასალა, რომელიც უკვე გადაცემული მქონდა რედაქციისათვის. მათი ნაწილი ან უკვე გამოქვეყნებული იყო, ან გადაცემათა პარალელურად იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში.

ამრიგად, წიგნაკი მოიცავს სულ 65-მდე თემას. აქედან დაახლოებით ნახევარი თვით ავტორის ნაკვლევია, ხოლო დანარჩენი წარმოადგენს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ I კრებულსა და ბიულეტენებში, აგრეთვე კრებულ „ქართული სიტყვის კულტურის საკითხებში“ ან ზოგიერთ სხვა ავტორიტეტულ გამოცემაში გამოქვეყნებული რამდენიმე წერილის გადამუშავებულ ვარიანტებს.

წიგნაკი შეიცავს ერთგვარ პრაქტიკულ სიახლესაც: გადაცემათა ტექსტებს ახლავს კომპლექსური (ორთოგრაფიული,

გრამატიკული და სტილისტიკური) სავარჯიშოები – ყოველ თემატურ ჯგუფს თითო, 10-20 წინადადების შემცველი ტესტი. ხაზგასმული სიტყვები და გამოთქმები ხან მართვებულ ფორმებს შეიცავს, ხანაც – უმართებულოს. მკითხველმა უნდა შეაფასოს ყოველი მათგანის აკარგიანობა და გაასწოროს შეცდომები. ნაშრომს ერთვის ტესტების „გასაღები“, ანუ სწორი პასუხები შესაბამისი ნუმერაციით და ძირითადი ლიტერატურის სია.

იმედი მაქვს, რომ ამ სახით ეს წიგნაკი რამდენადმე მაინც დაეხმარება მკითხველს ყველაზე გავრცელებული და ტიპობრივი შეცდომა-სირთულეების დაძლევაში, თუმცა ამ შეცდომებით, რა თქმა უნდა, არ ამოიწურება ქართული სალიტერატურო ენის სირთულეები.

\*\*\*

მადლობით მინდა მოვიხსენიო ყველა ის პირი, რომელთაც ამაგი დასდეს ჩემს საავტორო ტელეგადაცემას, ურომლისოდაც ეს წიგნი ალბათ არ შეიქმნებოდა. პირველ ყოვლისა, მადლობა ეკუთვნის შესანიშნავ მეცნიერსა და მთარგმნელს, ქ-ნ მანანა გიგინეიშვილს, რომელმაც ჩაიფიქრა ეს გადაცემა და, როგორც სახელმწიფო ენის საპარლამენტო ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ, სათანადო ნიადაგიც მოუმზადა მას. იდეას ხორცი შეესხა ტელევიზისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციის მაშინდელი თავმჯდომარის, ბ-ნი არჩილ გოგელიას განკარგულებით. პირველი გადაცემა ეთერში გავიდა, სიმბოლური დამთხვევით, 1998 წლის 26 მაისის წინა ღამით, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 80 წლისთავზე. გადაცემის ტელეპრეზენტაციაზე ამ წამოწყებას გზა დაულოცეს ქ-ნმა ანა კალანდაძემ, ბ-ნმა გიორგი გეგეჭკორმა და ქ-ნმა მანანა გიგინეიშვილმა.

განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის აწ განსვენებულ ბ-ნ გიორგი გეგეჭკორს, ქეშმარიტად სახალხო არტისტს, არა მარტო პროფესიონალიზმისა და იმ რენომესათვის, რომელიც მისმა მონანილეობამ მიანიჭა ამ გადაცემას, არამედ უანგარო თანამშრომლობისათვის (იმხანად გადაცემა წმინდა საქველმოქმედო ხასიათისა იყო) და იმისთვისაც, რომ დამთანხმდა,


გაეგრძელებინა მუშაობა ჩემს ახალგაზრდა კოლეგასთან **ნინო ჯორბენაძესთან**, რომელიც მოგვიანებით ჩაება ამ საქმიანობაში (საბედნიეროდ, ამ დროს ეს გადაცემა უკვე **თინათინის** დროს იყო).

ჩემს სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია, გულთბილი მადლობა გადავუხადო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას ტელესაუბრების რეგულარული ბეჭდვის ინიციატივისათვის, ხოლო ამავდროულად მასალის პერიოდული პუბლიკაციებისათვის – ზოგიერთი ჟურნალ-გაზეთის („ახალი ტალღა“, „ახალი განათლება“, „ავიამაცნე“...) რედაქციას, აგრეთვე ქალთა გაზეთის – „მშვიდობა ყოველთა“-ს რედაქციას, რომელმაც, გარდა იმისა, რომ არაერთი მასალა დაბეჭდა ენის სინწინდის შესახებ, წინ გაუსწრო მოვლენებს და პოპულარული ქართული იდიომების დამახინჯების თავიდან ასაცილებლად მათი სწორი ფორმების („მადლობის გადახდა“, „ბოდის მოხდა“) დანერგვის ორიგინალური ხერხი შესთავაზა მკითხველს. ეს საკითხი ჩვენი გადაცემის ერთ-ერთი პირველი თემა გახდა...

\* \* \*

დასასრულ, ჩემი მადლობა ეკუთვნის მრავალ კონკრეტულ გულშემატკივარს, რომელთა რეგულარული თუ პერიოდული, სატელეფონო თუ წერილობითი შეხმანება არაერთი სასარგებლო რჩევითა თუ შენიშვნით დიდად წაადგა გადაცემას; პირველ ყოვლისა, მადლიერებითა და გულისტკივილით უნდა მოვიგონო ჩვენი სახელოვანი მეცნიერი და მოქალაქე, აკადემიკოსი **ევგენი ხარაძე**, რომელმაც პირველმა მირჩია ამ ნიგნაკის მომზადება და რომლის რეგულარული სატელეფონო ზარიც მუდამ მაგონებდა ნაკისრ მოვალეობას.

საქმიანი წინადადებებისათვის მადლობით უნდა მოვიხსენიო: ცნობილი მეცნიერი-ლოგოპედი, ქ-ნი **თინა ფერაძე-აბაშიძისა**, ჩემი დიდი ხნის მეგობრები – საქართველოს ერთ-ერთი უშესანიშნავესი სტილისტი, ან განსვენებული ბ-ნი **ლევან თოლორდავა** და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ქ-ნი **თინა აგლაძე**, შედარებით გვიან შექმნილი გულშემატკივრები, მათ შორის – ჩინებული მოქართულე, ბ-ნი **ავთანდილ არაყიშ-**



ვილი, უნივერსიტეტის დამსახურებული ბიბლიოთეკარი, ან განსვენებული ქ-ნი ელენე რუხაძე.

საგანგებო მადლობას მოვახსენებ ჩემს ინსტიტუტულ კოლეგებს ბ-ნ ლევან ჩხაიძესა და ბ-ნ ლევან ვაშაკიძეს, რომლებიც გადაცემებისა თუ წიგნის მომზადების პერიოდში დამემარნენ მასალის კომპიუტერულ გაფორმებაში.

და კიდევ მრავალ, მრავალ დაუზარელ და კეთილგანწყობილ მაყურებელსა თუ მსმენელს, ნაცნობსა თუ უცნობს ეკუთვნის ჩემი გულითადი მადლობა – წერილები რომ მოუწერიათ, ტელეფონით რომ შემხმიანებთან, ქუჩაში რომ გავუჩერებივარ, ვისიმე მეშვეობით რომ შემოუთვლიათ სათქმელი...

გულითად მადლობას ვუძღვნი ჩვენი საშუალო სკოლის მთავარ პერსონაჟებს: მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მათს მშობლებს, განსაკუთრებით, ამ ტელეგადაცემის მთავარ ადრესატებს – ბავშვებს, რომელთაც მყისვე აუღეს ალლო გადაცემას და ახალი თამაშით გაიმდიდრეს რეპერტუარი...

და განა გაუგია ქვეყნად ვინმეს ცოდნის დაუფლების გრძელი და ძნელი გზის გასახალისებლად უკეთესი რამ, ვიდრე თამაშია?

შუქია აფრიდონიძე  
2002 წ.

**P. S.** ყველა საქმიანი შენიშვნა-წინადადება და სურვილი მადლობით იქნება მიღებული. მისამართი: არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება, ინგოროყვას ქ. 8, 0108 თბილისი (ტელ.: 93-29-21, ბინისა: 23-52-66), ან: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, დავით აღმაშენებლის გამზ., 150, 0112 თბილისი (ტელ.: 91-11-65).





სარჩევი

1. ბრძანდებით და გახლავართ .....	11
2. ღამე მშვიდობისა .....	15
3. მადლობა მოუხადა თუ მადლობა გადაუხადა? .....	17
4. მაგალითი (ციტატა, ციფრები...) მოაქვს თუ მოჰყავს? .....	19
5. ცნება და მცნება .....	22
6. აღქმა და აღთქმა .....	24
7. კომპანია და კომპანია .....	26
8. სწორად და სწორედ .....	29
9. პირი და პიროვნება .....	31
10. მოთხოვნა და მოთხოვნილება .....	34
11. პლაგიატი და პლაგიატორი .....	36
12. პარაკლისი და პანაშვიდი .....	38
13. პაპა თუ ბაბუა – თუ ორივე? .....	41
14. ორი წლის უკან თუ ორი წლის წინ / წინათ? .....	43
15. გაყიდვაშია, ხმარებაშია, შეხებაშია, შეტყევაშია? .....	46
16. 2000 წელში თუ 2000 წელს? .....	48
17. ახლახანს თუ ახლახან? .....	50
18. დასასრულს და დასასრულ; ბოლო-ბოლო თუ ბოლოს და ბოლოს? .....	52
19. ერთჯერ და ერთხელ; პირველჯერ თუ პირველად? .....	54
20. ოთარი! თუ ოთარ! თემური! თუ თემურ! .....	56
21. ვერდმა თუ ვერდიმ? გარიბალდს თუ გარიბალდის? .....	58
22. მამაო არჩილი თუ მამა არჩილი მოვიდა? მამაო ზურაბ! თუ მამა ზურაბ! .....	60
23. ბარათაშვილი დავითი და ბარათაშვილი დავით .....	63
24. დ. აღმაშენებელი და გ. ბრწყინვალე? .....	65
25. პროფესორი ბერიძის თუ პროფესორ ბერიძის ბინა? ბატონ ზურაბის თუ ბატონი ზურაბის წიგნი? .....	68

26. იგივე კაცმა თუ იმავე კაცმა? ერთი და იგივე კაცმა თუ ერთმა და იმავე კაცმა?.....	71
27. მათმა თქვეს (თქვან) თუ მათ თქვეს (თქვან)?.....	74
28. დასავლეთ ევროპა თუ დასავლეთი ევროპა?.....	76
29. ჯორჯიას შტატი თუ ჯორჯიის შტატი? სიდას, ხურჩას თუ სიდის, ხურჩის მოსახლეობა? .....	78
30. სასომხეთი თუ სომხეთი? მოლდოვა თუ მოლდავეთი? .....	80
31. ალექსანდრეს ბალი თუ ალექსანდროვის ბალი? მიხეილის თუ მიხაილოვის საავადმყოფო? .....	82
32. ბევრი წერილები თუ ბევრი წერილი? .....	84
33. ორივე იდგნენ თუ ორივე იდგა? .....	86
34. ისინი ზიან თუ სხედან? ბევრი აბია თუ ასხია? .....	87
35. შიშები, წნევები, შუქები, კენჭისყრები? .....	90
36. ბოდიშით თუ ბოდიში? კარგით თუ კარგი?.....	92
37. ყოველი ჩვენთაგანი (თქვენთაგანი) თუ ყოველი ჩვენგანი (თქვენგანი)? .....	95
38. დინამიური თუ დინამიკური? ლირიული თუ ლირიკული? .....	97
39. ეკონომიური და ეკონომიკური მასიური, მასობრივი და მასური.....	100
40. ელემენტალური თუ ელემენტარული? ორდინალური თუ ორდინარული?.....	104
41. ვდგევარ თუ ვდგავარ? ვგევარ თუ ვგავარ? ვყევარ თუ ვყავარ? .....	106
42. მღერიხარ თუ მღერი? ტყუიხარ თუ ტყუი? .....	108
43. გასჩენიყო თუ გასჩენოდა? დაჰკარგვიყო თუ დაჰკარგოდა? .....	109
44. კრება შესდგა თუ შედგა? ბალი ჰყვავის თუ ყვავის? .....	111
45. გავს, ყავს, თხოვს თუ ჰგავს, ჰყავს, სთხოვს? .....	114
46. ანვითარებს თუ ავითარებს? ანსხვავებს თუ ასხვავებს? .....	117
47. ავლნიშნავ თუ აღვნიშნავ? ავლწერ თუ აღვწერ?.....	119
48. ვშურაცხყოფ თუ შურაცხყოფ? ვუკუაგდებ თუ უკუაგდებ? .....	120
49. ავადვყოფობ თუ ვავადყოფობ? შუავმდგომლობ თუ ვშუავმდგომლობ? .....	123



50. ვაბავ თუ ვაბამ? ვარტყავ თუ ვარტყამ? .....	124
51. წყვიტავს თუ წყვეტს? დრიკავს თუ დრეკს? .....	126
52. უთქვია თუ უთქვამს? უნახია თუ უნახავს? .....	129
53. დავანყე თუ დავანყვე? შევიტყე თუ შევეტყვე? .....	131
54. აგებიებს თუ აგებინებს? აჭრევიებს, აჭრეინებს თუ აჭრევინებს? .....	133
55. აკერინებს თუ აკერვინებს? ანახებს თუ ანახვეებს? .....	135
56. ეხლა თუ ახლა? .....	137
57. ესე თუ ასე? ესეთი თუ ასეთი? .....	138
58. აქით თუ აქეთ? იქეთ თუ იქით? .....	139
59. რამოდენიმე თუ რამდენიმე? წარმოჩინდა თუ წარმოჩნდა? ..	141
60. მომსახურეობა თუ მომსახურება? სამსახურეობრივი თუ სამსახურებრივი? .....	143
61. მისსია თუ მისია? ანნა თუ ანა? .....	145
62. ქლინტონი, ქლინთონი თუ კლინტონი? სერთიფიკატი თუ სერტიფიკატი? .....	148
63. რელიქვია თუ რელიკვია? რექვიემი თუ რეკვიემი? .....	150
64. პლიაჟი თუ პლაჟი? პლიუსი თუ პლუსი? .....	152
65. მეტრა-ნახევარი, მეტრო-ნახევარი თუ მეტრ-ნახევარი? .....	154
66. ასო-ბგერათა უმარტებულო ხმარებისათვის საერთაშორისო სიტყვებში .....	156
67. სამედიცინო ტერმინთა მართლწერის საკითხები .....	165
68. პუნქტუაციის წესები .....	167
69. აბრევიაციის (შემოკლების) წესები .....	186
70. სიტყვის დამარცვლა-გადატანის წესები .....	191
სავარჯიშოების სწორი პასუხები .....	195
ძირითადი ლიტერატურა და შემოკლებანი .....	205
სიტყვაფორმების საძიებელი .....	207

## 1. ბრძანდებით და გახლავართ

(თავაზიანობის ფორმების სწორი ხმარებისათვის)

რას ნიშნავს თავაზიანი მიმართვა და, საერთოდ, თავაზიანი მეტყველება? უწინარეს ყოვლისა, აქ იგულისხმება პატივისცემა მეორე პირისადმი, როგორც მიმართვის ადრესატისადმი. საამისოდ გავიხსენოთ ე. წ. „თქვენობით“ მიმართვა, როგორც თავაზიანი მეტყველების ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულება.

მაგრამ „თქვენობით“ მიმართვასთან ერთად (რომლის დროსაც ზმნას -თ დაბოლოება ერთვის), გვაქვს მთელი სერია ფორმულებისა, რომლებშიც ერთი და იგივე ცნება სხვადასხვა სიტყვით გამოიხატება თანამოსაუბრეთა მეტყველებაში. მაგალითად, მასპინძელი რომ სტუმარს სასმელ-საჭმელს შესთავაზებს, ეტყვის: მიირთვი(თ)! თანხმობის შემთხვევაში პასუხად მიიღებს: გმადლობ(თ), დიდი სიამოვნებით გეახლები(თ), ხოლო უარის შემთხვევაში: გმადლობ(თ), უკვე გეახელი(თ), თუმცა ზოგჯერ არის ცდა, ე და ი ხმოვნებით გაიმიჯნოს ამ ზმნის ფორმები – შესაბამისად „მოსვლისა“ (გეახლებით, გეახელით) და „ჭამის“ მნიშვნელობით (გიახლებით, გიახელით). ცხადია, ყველა ამგვარ შემთხვევაში მოსაუბრეთა შორის ოფიციალური ურთიერთობა იგულისხმება.

თუ ერთი კაცი მეორეს წიგნის ან სხვა ნივთის მიცემას სთხოვს, დაახლოებით ასე მიმართავს: ეს წიგნი მიბოძეთ. მეორე კი წიგნს ამ სიტყვით სთავაზობს: ინებეთ. ასეთივე წყვილებია: ბრძანდები(თ) = „ხარ(თ)“ და გახლავართ(თ) = „ვარ(თ)“, ბრძანე(თ) = „თქვი(თ)“ და მოგახსენე(თ) = „გითხარი(თ)“, მობრძანდით =

„მოხვედი(თ)“ / „მოდი(თ)“ და გეახელი(თ) = „მოხვედი თქვენთან“.

ამიტომ, ვთქვათ, ინტერვიუში უურნალოდ სწორად ვთქვით, გაცანით მაყურებელს (ან მსმენელს), ვინ **ბრძანდებითო**, თავი ასე უნდა გავაცნოთ: მე **გახლავართ** ესა და ეს პირი (და არა როგორც არაერთხელ მოგვისმენია ტელევიზიით თუ რადიოთი – მე **ვბრძანდები** ესა და ეს პირი).

ასევე, სრულიად შეუფერებელია მასპინძლის შეთავაზებაზე – გთხოვთ, **მიირთვათ!** – მივუგოთ: – გმადლობთ, უკვე **მივირთვი**, ანდა კითხვაზე – რა **გნებავთ?** – ვუპასუხოთ: – ჩაი **მნებავს**. მსგავსადვე, სრულიად შეუფერებელია, საკუთარი შრომითი საქმიანობა, ნაცვლად სტილისტიკურად ნეიტრალური **მუშაობა** სიტყვისა, **მოღვაწეობით** დავახასიათოთ. ყველა ამ შემთხვევაში საკუთარი თავის ხაზგასმული პატივისცემა უფრო გამოგვივა, ვიდრე თანამოსაუბრისა.

არსებობს თავაზიანობის ფორმულა **ნება მიბოძეთ!** (=ნება მომეცით). მას ბრძანებითის ფორმა აქვს და იხმარება მხოლოდ | პირის მიმართ. მეორე მხრივ, გვაქვს ირონიული მიმართვის გამომხატველი რთული ზმნა, რომელიც ასევე ბრძანებითში იხმარება: **კეთილინებ(თ)!**

ზოგჯერ ერთმანეთში ირევა ამ ორი სხვადასხვა გამოთქმის მნიშვნელობა, როცა მათი შემადგენელი სიტყვები არასწორად შეეხამება ერთმანეთს. ამის ნიმუშია სიტყვათშეხამება **ნება იბოძეთ**, ვთქვათ, ამგვარ კონტექსტში: „**ნება იბოძეთ** და თქვენი გაფუჭებული საქმე თქვენვე გამოასწორეთ!“ ესაა შეუფერებელი ნაერთი ორი გამოთქმისა – **ნება მიბოძეთ** და **კეთილინებეთ**. აქ უნდა თქმულიყო: **კეთილინებეთ** და თქვენი წამხდარი საქმე თქვენვე გამოასწორეთ.

მაშასადამე, თავაზიანი მიმართვისას მუდამ ადრესატის პატივისცემის პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ და სათანადოდ შევარჩიოთ თავაზიანობის ფორმულები, სახელდობრ:

ყოფნა: (თქვენ) **ბრძანდებით** – (მე) **გახლავართ** (**გახლდით**)

მოსვლა: **მობრძანდით** – **გეახელით** (**გეახლებით**)

ქამა-სმა: **მიირთვით** – **გეახელით** (**გეახლებით**)

ალება-მიცემა: ინებეთ – მიბოძეთ  
თქმა: (მი)ბრძანეთ – მოგახსენებთ.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

**შენიშვნა:** აქვე უნდა ითქვას, რომ „თქმასთან“ დაკავშირებული ნიშნები – ბრძანება და მოხსენება – ძველ პირის მიმართ თავაზიანობის გამოსახატავად აღარ გამოდგება, როდესაც პირველ პირს სოციალურ იერარქიაში მაღალი თანამდებობრივი ადგილი უჭირავს. ამ შემთხვევაში ეს ზმნები პირველი პირის უპირატესობის აღსანიშნავად იხმარება. შდრ. ხელქვეითთა მიმართ მაღალი თანამდებობის პირის რეზოლუციის ტექსტი: „საკითხი შეისწავლეთ და მომახსენეთ“; ანდა, ვთქვათ, ქალაქის კომენდანტის ბრძანების ტექსტი: „...ქალაქში დაძაბული ვითარების შექმნასთან დაკავშირებით ვბრძანებ: გამოცხადდეს კომენდანტის საათი ქ. თბილისში საღამოს რვა საათიდან დილის 6 საათამდე“. ამ წინადადებებში სიტყვები – მომახსენეთ და ვბრძანებ – სავსებით სწორადაა ნახმარი, რამდენადაც ორსავე კონტექსტში მათ ტერმინოლოგიური მნიშვნელობა აქვთ შეძენილი.

განხილულ თავაზიანობის სიტყვებს შორის მენიშნულია გარეშე რჩება სურვილის აღმნიშვნელი ზმნური ფორმები II პირისა: გნებავს (გნებავთ), გენება(თ) და მისთ. მათი მნიშვნელობებია: გინდა(თ), გინდოდა(თ)...

სურვილის, უფრო ზუსტად, ვინმესთვის რისამე სურვების მნიშვნელობასთან დაკავშირებით აქვე ერთ შეცდომაზედაც უნდა მიეთითოს: თანამედროვე ქართულ ზეპირ მეტყველებაში (ჩვეულებრივ, დასავლურ კილოებში) შეინიშნება მო- ზმნისნი-ნიანი ფორმა – მოგისურვებ(თ), რომელიც, ერთი მხრივ, მოვისურვებ(ჩემთვის) და, მეორე მხრივ, გისურვებ(ს) (ე. ი. ისურვებს შენთვის) ფორმების მექანიკური შეერთების შედეგია. ვინაიდან ერთდროულად სხვადასხვა პირი არ შეიძლება იყოს სურვილ-

სურვების ადრესატი, სათანადო ზმნის ფორმებიც ენაშ იმთა-  
ვითვე გამიჯნა. გვაქვს, ერთი მხრივ, მონდომება-მონადინების  
აღმნიშვნელი ზმნური ფორმები:

- მოვისურვებ (მე მას – ჩემთვის)
- მოისურვებ (შენ მას – შენთვის)
- მოისურვებს (ის მას – თავისთვის);

ხოლო, მეორე მხრივ, ვინმესთვის რისამე სურვების გამო-  
ხატველი ფორმები:


- გისურვებ (მე შენ მას)
- მისურვებ (შენ მე მას)
- ვუსურვებ (მე მას მას) და ა. შ.

მაშასადამე, როდესაც კეთილ სურვილებს გამოთქვა-  
მენ ვინმეს მიმართ და ეს ვინმე მეორე პირია, სწორი ფორმა  
იქნება არა მოგისურვებ(თ), არამედ მხოლოდ და მხოლოდ:  
გისურვებ(თ).

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეც-  
დომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. – დილა მშვიდობისა, ქალბატონო რუსუდან! როგორ  
ბრძანდებით? – გმადლობთ, გვარიანად გახლავართ.
2. – ბატო-  
ნო ოთარ! თუ შეიძლება, წარმოუდგინეთ თავი ჩვენს მსმენე-  
ლებს: ვინ ბრძანდებით? – მე ვბრძანდები ოთარ სულაძე, რაიო-  
ნის კულტურის სახლის დირექტორი.
3. ქალბატონო ნინო, ყავას  
ხომ არ მიირთმევთ? – გმადლობთ, სიამოვნებით გეახლებით.
4.  
გთხოვთ მიირთვათ, რაც გენებოთ. ნუ მომერიდებით! – გმად-  
ლობთ, უკვე მივირთვი.
5. – ცოტა ხნით მაინც მოსვენებას  
ხომ არ ინებებთ? – არა, არ მნებავს, დიდი მადლობა.
6. – თუ  
შეიძლება, მიბოძეთ ეს წიგნი. – იბოძეთ, მე აღარ მჭირდება.
7.  
– კეთილინებეთ და თქვენ თვითონ მოაგვარეთ თქვენი ურთი-  
ერთობა. მე აღარ ჩავერევი.
8. – რადგან ასეა, ნება იბოძეთ და  
პასუხი აგეთ თქვენს ნამოქმედარზე.
9. – გუშინ თქვენ ხომ არ  
ბრძანდებოდით ჩემთან? სამწუხაროდ, ველარ მოგისწარით.  
– დიახ, მე გახლდით.
10. – მე უკვე მოგახსენეთ, რომ თქვენს  
საკითხს შემდეგ კვირას განვიხილავთ. – როდის მომახსენეთ? მე

არაფერი გამიგონია. 11. – თამრიკო, სად მუშაობამუამად? – ეს  
ორი წელია ბიბლიოთეკაში ვმოდვანეობ – დაკომპლექტების  
განყოფილებაში. 12. – გაგიმარჯოთ, მოვისურვებთ დიდხანს  
სიცოცხლესა და ჯანმრთელობას!



## 2. ღამე მშვიდობისა

საკითხი ეხება მისალმება-გამოთხოვების ჯგუფის ერთ-ერთ ფორმულას.

ქართული ენა ყოველდღიური ურთიერთობის სხვადასხვა შემთხვევაში ხმარებული ფორმულებიდან ყველაზე ხშირად სიტყვა მშვიდობას იყენებს:

**აქა მშვიდობა!** – ვინმესთან შინ სტუმრობისას (განსაკუთრებით, პირველად მისვლისას).

**დილა მშვიდობისა!** – დილით მისალმებისას.

**სალამო მშვიდობისა!** – სალამოს მისალმებისას.

**მშვიდობით!** – გამოთხოვებისას (მეტადრე – დიდი ხნით ან სამუდამოდ დაშორებისას).

**ღამე მშვიდობისა!** – ღამით გამოთხოვებისას.

**გზა მშვიდობისა!** – სამგზავროდ მიმავალთან გამოთხოვებისას.

**მშვიდობაში!** – ახალი შენაძენის, მათ შორის (და განსაკუთრებით) – ჩასაცემლის მილოცვისას.

როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილი ტრადიციული ფორმულებიდან ყოველ მათგანს თავ-თავისი ფუნქცია აქვს და ერთი მეორეს არ ჩაენაცვლება.

მაგრამ ამ ბოლო ხანებში ღამის რადიოგადაცემებში გაჩნდა ერთი, მეტი რომ არა ვთქვათ, უცნაური სიახლე: დიქტორი (ან გადაცემის წამყვანი) რადიომსმენელებს ღამის ეთერში მიესალმება... გამოთხოვების ფორმულით (!) – **ღამე მშვიდობისა!** ხოლო ერთი-ორჯერ ეს ფორმულა დროის დაზუსტების სურვილმა კიდევ უფრო გაამკვეთრა, რის შედეგადაც ახალმა „ფორმულამ“ ასეთი სახე მიიღო: **შუაღამე მშვიდობისა!**



ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა დავძინოთ, რომ ყველა სხვა ენაში, რომლებშიც ამ სახის ფორმულების მსაზღვრელი სიტყვები კარგი ან კეთილი ეხამება დროის კატეგორიის მონაკვეთის აღმნიშვნელ სიტყვებს, ეს უკანასკნელი ასეა განაწილებული: მისალმებისას იხმარება დღე, დღე ან საღამო. შდრ. ინგლისურში Good morning! Good day! Good evening! რუსულში: Доброе утро! Добрый день! Добрый вечер! ხოლო გამოთხოვებისას – მხოლოდ და მხოლოდ ღამე! გავრცელებული ენებიდან ამ წესს მისდევს ინგლ. Good night! გერმ. Gute nacht! რუს. Доброй ночи! და სხვა მრავალი.

მისალმება-გამოთხოვების ეს წესი ტრადიციულად დაკანონებულია ყველა ამ ენაში და მას თვითნებურად ვერ შევცვლით: ამის უფლება არა გვაქვს.

**საკვარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. თბილისის დროით 24 საათია. შუალამე მშვიდობისა! ვინცებთ ღამის გადაცემას. 2. ბავშვებო, ხომ მოგეწონათ დღევანდელი ზღაპარი? ახლა კი უკვე ძილის დრო დადგა. ღამე მშვიდობისა! ტკბილ ძილსა და კარგ სიზმრებს გისურვებთ, ჩემო პატარებო! 3. მოგესალმებით, ღამე მშვიდობისა, ძვირფასო სტუმრებო! ჩვენი ღამის კლუბი საინტერესო პროგრამას პპირდება უძინარ "ღამურებს". 4. – ალო! ეს ისევ თქვენა ხართ? რამდენჯერ გთხოვეთ, რომ შუალამისას არ დარეკოთ. იცოდეთ, დილაამდე მაინც არ დაგელაპარაკებით. ახლა კი ნახვამდის, ღამე მშვიდობისა! 5. – აბა, ბავშვებო! რომელი თქვენგანი მეტყვის, ღამით გამოთხოვებისას რა სიტყვები იხმარება "ძილი ნებისას" სინონიმად? – ღამე მშვიდობისა!

### 3. მადლობა მოუხადა თუ მადლობა გადაუხადა?

(ერთი მყარი გამოთქმის უმართებულო ხმარების შესახებ)

სულ რამდენიმე წელია, ქართულ ზეპირ მეტყველებას მოემატა ერთი უმართებულო გამოთქმა, რომელიც განსაკუთრებით ხშირად გვესმის ტელე- და რადიოგადაცემებში, მეტადრე – ინტერვიუებში, რაც ძალზე სამწუხარო ფაქტია (აკი კარგადაა ცნობილი, რომ დიქტორებისა და ჟურნალისტების მეტყველებას გადამდები ძალა აქვს და თუნდაც უნებლიე მიბაძვის საფრთხეს ქმნის).

საკითხი ეხება ჩვენი ყოფითი ეტიკეტის ამსახველ, ყველასათვის კარგად ცნობილ მთავარ გამოთქმას – მადლობის გადახდას, რომელიც ზოგჯერ მახინჯდება და ასეთ სახეს იღებს: მადლობას მოგიხდით, მადლობა მოუხადეს (უნდა მოგიხადოთ) და მისთ.

საერთოდ, ტრადიციული მყარი გამოთქმების დამახინჯების მიზეზი ხშირ შემთხვევაში მარტივია: მას შინაარსობრივად ან გარეგნულად, უღერადობით მსგავსი სიტყვა-თქმების არსებობა იწვევს. კერძოდ, ქართულში გვაქვს ეტიკეტის ამსახველი სხვა გამოთქმაც – ბოდიშის მოხდა (ბოდიში მოუხადა, ბოდიშს მოუხდის და სხვ.). ახლანდელ დროში ამ ორი სხვადასხვა გამოთქმის ზმნური ფორმები ერთმანეთს ემთხვევა: მადლობას გიხდით – ბოდიშს გიხდით. ორივე სავესებით სწორი ფორმაა, რადგანაც ამ შემთხვევაში ზმნებს არ ერთვის მნიშვნელობის განმასხვავებელი თავკიდური ელემენტები – ზმნისნიშები, რომელთაც თავის დროზე ქართულმა ენამ თავ-თავისი ადგილი მიუჩინა. ამის შედეგად მივიღეთ, ერთი მხრივ, ბოდიშის მოხდა, მეორე მხრივ კი – მადლობის გადახდა. ამ მხრივ ისტორიულად არავითარ აღრევასთან არა გვაქვს საქმე.

აი, სწორედ ამ ორი მართებული ტრადიციული გამოთქმის მექანიკური შეერთების გზით მივიღეთ უმართებულო სიტყვათშეხამება – მადლობის მოხდა (არ არის გამორიცხული, რომ მის შექმნას ერთგვარად შეუწყო ხელი გამოთქმამ მადლობის მოხ-



სენება (მაგ.: მადლობას მოგახსენებთ, მადლობა მომიხსენებია.  
მოვიგონოთ აგრეთვე ფინალური სიტყვები ოპერა „აბესალომ  
და ეთერიდან“, რომელშიც მადლობა რიტმის საჭიროებისაფვის  
მადლის სახითაა წარმოდგენილი:

„ეთერო, მობრძანებისთვის მადლი მომიხსენება“).

ამგვარი „ნაჯვარი“ დასანანი ნიმუშია მშობლიური ენობრივი  
ტრადიციების უცოდინარობისა თუ ელემენტარული დაუდევე-  
რობისა.

ენობრივ ტრადიციას ამ შემთხვევაშიც სათანადო ანგარიში  
უნდა გაეწიოს და ზემოხსენებული გამოთქმები ასე უნდა ვიხ-  
მართო:

**მადლობის გადახდა:**

მადლობა გადაუხადა, მადლობას გადაუხდის

მადლობა მინდა / უნდა გადაგიხადოთ

მადლობის გადასახდელად

მადლობის გადაუხდელად...

ამასთანავე, ცხადია, ძალაში რჩება სინონიმური გამო-  
თქმები:

**მადლობის თქმა:**

მადლობა უთხრა, მადლობას ეტყვის

მადლობა მინდა / უნდა გითხრათ

მადლობის სათქმელად, მადლობის უთქმელად...

**მადლობის მოხსენება:**

მადლობა მოახსენა

მადლობა მინდა / უნდა მოგახსენოთ

მადლობას მოგახსენებთ

მადლობა მომიხსენებია

მადლობის მოსახსენებლად...

**მადლობის / მადლის შეწირვა:**

(ღმერთს / უფალს) მადლობა / მადლი შესწირა

(ღმერთს...) მადლობა/მადლი (გვინდა/უნდა) შევწიროთ

(ღმერთს / უფალს) მადლობას / მადლს შესწირავს

(ღვთისათვის / უფლისათვის) მადლობა / მადლი შეუწი-  
რავს.

**საპარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. მადლობა მინდა მოგიხადოთ კონკურსში მონაწილეობისათვის.
2. სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს მასპინძელს.
3. მადლობა მოუხადე დეიდა ნატოს და ნავიდეო.
4. ბოდიშისა და მადლობის მოხდა კარგად აღზრდილი ადამიანის ჩვევაა.
5. სუფრიდან რომ ადგები, მადლობის თქმა არ დაგავინყდეს!
6. ბედნიერმა მამამ ღმერთს მადლობა შესწირა ვაჟის ჩუქებისათვის.
7. საზოგადოების სახელით მადლობას მოგახსენებთ ძვირფასი შემოწირულობისათვის.
8. მადლობა გვინდა გადავიხადოთ გულისხმიერებისათვის, თქვენ რომ გამოიჩინეთ ლტოლვილთა მიმართ.
9. ბოდიშის მოხდა არ შველის ვალის გადაუხდელობას.
10. ყველას, ვინც ამ საშვილიშვილო საქმეს დაეხმარა, მადლობა ეთქმის.
11. ჟურნალისტმა მადლობა მოუხადა მსახიობს საინტერესო ინტერვიუსათვის.
12. კონცერტის დასასრულს მისმა ორგანიზატორებმა მადლობა გადაუხადეს კონცერტის ყველა მონაწილეს.
13. ახლა კი მადლობა ვუთხრათ ჩვენს მასპინძლებს და გზას გაუდგეთ.

#### 4. მაგალითი (ციტატა, ციფრები...) მოაქვს თუ მოჰყავს?

(ერთი ფრაზეოლოგიური გამოთქმის შესახებ)

ზოგიერთი მყარი გამოთქმის ხმარებისას თანამედროვე ქართულში გარკვეული სიტყვლე შეინიშნება, თუმცა ისტორიულად ეს გამოთქმები ერთადერთი ფორმით გვხვდება. იგულისხმება მეცნიერებასა და ჟურნალისტიკაში გავრცელებული გამოთქმები: მაგალითი (ილუსტრაცია, აზრი, მასალა, ციტატა, ციფრები) მოჰყავს, მოყვანილი მაგალითი (ციტატა, ციფრები...), ზემოთ მოყვანილი სიტყვები და მისთ.

ბოლო ხანებში მოყვანა ზმნას ამგვარ გამოთქმებში „მეტოქე“

გამოუჩნდა მოტანა ზმნის სახით. რაც მთავარია, გაჩნდა ცდები ამგვარი შენაცვლების თეორიული დასაბუთებისა; ვინაიდან მოტანა ზმნა ობიექტად უსულო საგანს გულმგობს, ხოლო მაგალითი, აზრი, სიტყვა, ციფრი, ციტატა და მსგავსი სახელები უსულო საგანთა სახელებია, ზემოდასაწვლელულ გამოთქმებში ტრადიციული მოყვანის ნაცვლად მოტანა უნდა იხმარებოდესო: მაგალითი (ციტატა, ციფრები) მოაქვს; ზემომოტანილი მაგალითი (აზრი, სიტყვა, ციტატა...). რაც შეეხება გამოთქმებს – მაგალითი მოჰყავს, (ზემოთ) მოყვანილი სიტყვები და მისთ., ზოგიერთ ჩვენგანს ისინი სათანადო რუსული გამოთქმების სიტყვასიტყვით თარგმანებად, ანუ კალკებად მიაჩნია (შდრ.: привести пример/цитату...).

ერთი შეხედვით, მსჯელობა თითქოს თანამიმდევრული და ლოგიკური ჩანს, მაგრამ ფაქტობრივი ვითარება სხვაგვარია. საქმე ისაა, რომ სულიერთა და უსულოთა სახელებზე მსჯელობა მყარ გამოთქმებთან დაკავშირებით ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება, ვინაიდან მყარი გამოთქმები ჩვეულებრივი ლოგიკის წესებს არ ემორჩილება, კერძოდ:

ერთი მხრივ, გვხვდება: გვირაბი (სინათლე, არხი, წყალი...) გაიყვანა, ყველი ამოიყვანა, კაბა წელში გამოიყვანა, რიცხვი ხარისხში აიყვანა, ამოცანა (მაგალითი) გამოიყვანა, წილადები ათწილადებში გადაიყვანა და ა. შ.

ტრადიციით განმტკიცებული ეს გამოთქმები ყვანფუძესთან უსულო საგნის აღმნიშვნელი სახელის შეხამების გზითაა მიღებული.

მეორე მხრივ, გვაქვს: კაცი წერამ (ჯავრმა, კანკალმა...) აიტანა, გოგონა შიშმა აიტანა, მანქანამ კაცი (ძალლი, ქათამი...) გაიტანა და ა. შ.

მაშასადამე, ტან- ზმნურ ფუძესთან სულიერი საგნის აღმნიშვნელი სახელის შეხამება მყარ გამოთქმებში ტრადიციულად ასევე ბუნებრივია.

სწორედ ასეთ მყარ, ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს მიეკუთვნება მაგალითის მოყვანა და მსგავსი გამოთქმები. ამ ზმნასთან შეხამებული ყველა სახელი – აზრი, ციტატა, მასალა, ციფრი,

მაგალითი, ილუსტრაცია და მისთ. – ფიზიკურად მოტანილ ობიექტებს კი არ გულისხმობს, არამედ დასადასტურებლად და დასასაბუთებლად მოხმობილ, დამონმებულ ობიექტებს. დაემონმება ხომ თითქმის იგივეა, რაც მონმედ დაუდგება. ამიტომ ამ სახელებით აღნიშნული ობიექტები ცოცხალი მონმეების როლს ასრულებენ. გავიხსენოთ ქართული ანდაზა: „მელამ თავისი კუდი მონმედ მოიყვანაო“.

შორს რომ არ წავიდეთ, მოვიხმოთ სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები („სიბრძნე-სიცრუისა“), რომლებშიც ხშირად გვხვდება ამგვარი ფრაზები: „ეს არაკი მისთვის მოვიყვანე, რომ...“; ხოლო „ქილილა და დამანაში“ მოყვანა ზმნა არაკის გარეშეც იხმარება: „მოუყვანიათ (ანუ: უთქვამთ, მოუყოლიათ), რომ...“; აკი დღესაც იხმარება მოყოლა (იგივე ძველი მოყვანა) მეტყველების გაბმული პროცესის, გრძელი ამბის გადმოსაცემად, მოსათხრობად, ანუ მოსაყოლად. ასე რომ, მოყვანა-ს ამგვარ გამოთქმებში გაცილებით ხანგრძლივი ისტორია აქვს, ვიდრე ეს რუსულ ენასთან რეგულარული კონტაქტებით ივარაუდება.

საგულისხმოა, რომ, გარდა ჩვენი დიდი კლასიკოსებისა – ილიასი, ვაჟასი, გოგებაშვილისა და ა. შ., ჩვენი დიდი მეცნიერებიც – ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი, ენათმეცნიერები აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, გეოლოგი ალექსანდრე ჯანელიძე და სხვები, სწორედ საბასაგან ნაანდერძებ ფორმებს იყენებდნენ. ამასვე მიუთითებს ქართული ენის განმარტებითი და ორთოგრაფიული ლექსიკონების ჩვენებაც. ამდენად, მსგავსი გამოთქმების რუსულიდან კალკირებაზე აქ ვერ ვილაპარაკებთ.

მაშასადამე, სიტყვათა სწორი შეხამების ნიმუშებია:

მოჰყავს/მოჰყავდა მაგალითი (ილუსტრაცია, ციტატა, აზრები, ციფრები, მასალა...)

მოიყვანა/მოვიყვანოთ (მოუყვანია, მოეყვანა) მაგალითი (ილუსტრაცია, ციტატა, აზრები, ციფრები, მასალა...)

ზემომოყვანილი/ზემოთ მოყვანილი მაგალითი (ციტატა, ილუსტრაცია, აზრი, ციფრები...).

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. თავისი დებულებების დასასაბუთებლად მცნე *მოკვებს* დამაჯერებელი *არგუმენტები*. 2. რა *საბუთო მოგვაცვთ* თქვენი სიმართლის დასამტკიცებლად? 3. მომხსენებელმა თეორიული მსჯელობის საილუსტრაციოდ დიდძალი *მასალა მოიყვანა*. 4. ზემოთ *მოყვანილი ციფრები* გადასინჯვას მოითხოვს. 5. *ქვემოთ მოგვაცვს* რამდენიმე უცხოელი სპეციალისტის მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით. 6. პროფესორმა თავისი სიტყვების დასადასტურებლად რამდენიმე *მაგალითი მოიტანა*. 7. *ზემოთ მოტანილი ილუსტრაციები* მხარს უჭერს სწორედ ჩემს მოსაზრებას. 8. სანიმუშოდ გვინდა მოვიყვანოთ *რამდენიმე მონაცემი* ისტორიული წყაროებიდან.

## 5. ცნება და მცნება

(ერთი პარონიმული წყვილის შესახებ)

ყველა ენაში, მათ შორის ქართულშიც, არსებობს სიტყვათა ისეთი წყვილები, რომლებსაც მნიშვნელობით მსგავსი და ბგერობრივი შედგენილობით მეტად დაახლოებული სიტყვები ქმნიან. მათ მხოლოდ თითო ან ორი ბგერა განასხვავებს და არცთუ იშვიათად მათი მნიშვნელობები ირევა. ასეთ წყვილებს **პ ა რ ო ნ ი მ ე ბ ს** უწოდებენ. პარონიმებია ქართულში: **ცნება და მცნება, აღქმა და აღთქმა** და მისთ.

განვიხილოთ ერთ-ერთი ასეთი წყვილი – **ცნება და მცნება**. ამ სიტყვებს ხშირად ურევენ ხოლმე ერთმანეთში, მაგრამ უფრო მეტად **მცნება** იხმარება **ცნების** ნაცვლად, ვიდრე პირუკუ (მაგალითად: **ინტელიგენტის მცნება** მხოლოდ განათლებულ ადამიანს როდი გულისხმობს; **სამშობლოს მცნება** თანაბრად ძვირფასია ყველა ჩვენგანისათვის...). ორსავე მაგალითში საქმე ეხება მხოლოდ ერთ სიტყვას, მის მნიშვნელობას (აქ: ინტელიგენტს, სამშობლოს)...

ხშირად ვამბობთ ხოლმე: ესა თუ ის სიტყვა (ტერმინი) ამა და ამ ცნებას გამოხატავსო, ე. ი. სიტყვა ან ტერმინი გარეგანი მხარეა, „სამოსელია“, ხოლო შინაგან მხარეს გამოხატავს შინაარსს ცნება წარმოადგენს. სხვაგვარად: სიტყვა აღნიშნავს (იგი აღმნიშვნელია), ხოლო ის, რაც სიტყვით აღნიშნულია (ანუ აღსანიშნი), – ცნებაა. ვაჟას ეკუთვნის ცნობილი გამონათქვამი: „ენა მდიდრდება ახალი სიტყვებით, რომლებიც საჭიროა ახალ ცნებათა გამოსახატავად“.

რაც შეეხება მცნებას, მისი შინაარსი არ იფარგლება ერთი სიტყვის მნიშვნელობით. ეს ტერმინი გულისხმობს არა ერთი სიტყვის, არამედ მთელი წინადადების შინაარსს. მაშასადამე, საქმე გვაქვს აზრთან, რომელსაც წინადადება გამოხატავს. ასეთი წინადადებებით ხშირად გამოიხატება შეგონებები, ზნეობრივი ხასიათის გამონათქვამები. გავიხსენოთ ტრადიციული რელიგიური გამოთქმა „ათი მცნება“, რომელიც წარმოადგენს შეგონებათა ნაკრებს („არა კაც კლა“, „არა იმრუშო“ და ა. შ.). გავიხსენოთ დავით გურამიშვილის სიტყვები:

„ისმინე, სწავლის მძებნელო, მოჰყევ დავითის მცნებასა“.

სტრიქონის დამამთავრებელ მცნება სიტყვას კი მოსდევს თვით მცნება, ანუ შეგონება:

„ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა“.

როგორც ვხედავთ, არსებითი განსხვავება გარეგნულად მსგავს ამ ორ სიტყვას (ცნებასა და მცნებას) შორის ის არის, რომ ცნება ერთი სიტყვის მნიშვნელობას გულისხმობს, მცნება კი – მთელი წინადადებისას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მორალური ხასიათის გამონათქვამთან – შეგონებასთან, აზრის გამოხატველ წინადადებასთან გვაქვს საქმე, რაც პრინციპულად ასხვავებს მას ცნების გამოხატველი სიტყვისაგან.

ამრიგად, „ადამიანი“, „თავისუფლება“, „სიყვარული“ ცნებებია, ხოლო „ადამიანს თავისუფლება უნდა უყვარდეს“, – მცნება.

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. „ისმინე, სწავლის მძებნელო, მოჰყევ დავითის ცნებასა:



ჯერ მწარე სჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა“. 2. უნდა გაიმიჯნოს *ორი მცნება – ნაციონალიზმი და პატრიოტიზმი*. 3. პატარა ლაშამ უკვე ზეპირად იცის ლოცვა „მამაო ჩვენო“ და „ათი მცნება“. 4. დედ-მამა, და-ძმა, ცოლ-ყმონი *ორცნებიანი რთული სიტყვებია*. 5. შეცნინებდა მცნებებით აზროვნებას გულისხმობს, მხატვრული ლიტერატურა კი – სახეებით აზროვნებას. 6. *რამდენცნებიანი რთული სიტყვებია*: ქინძისთავი, თავისუფლება? 7. ყველა ქართველისათვის ძვირფასია „დედაენისა“ და „სამშობლოს“ მცნებები. 8. რომელი მცნებებია: „არა კაც კლა“ და „არა იმრუშო“? 9. დრო და სივრცე ფილოსოფიური ცნებებია. 10. მცნება გამოხატავს სწავლა-დარიგების ან მორალური შეგონების შემცველ აზრს.

## 6. ალქმა და ალთქმა

(საწყისური წარმოშობის  
ერთი პარონიმული წყვილის შესახებ)

ბგერობრივად მსგავს და შინაარსობრივად განსხვავებულ სიტყვათა წყვილებს (პარონიმებს) შორის, რომლებიც ხშირად ერთვით ერთმანეთში, უნდა აღინიშნოს ორი ქართული სიტყვა: **ალქმა** და **ალთქმა**.

**ალქმა** ფსიქოლოგიაში ხმარებული ტერმინია, რომელიც აღნიშნავს გარკვეული ფაქტისა თუ მოვლენის გაცნობიერებას, გაგება-გააზრებას, ინტერპრეტაციას; განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით – ცნობიერებაში ობიექტური სინამდვილის ფაქტების ასახვის პროცესს. მაგ.: „დაღლილ კაცს უჭირს რისამე ნორმალურად **ალქმა**“; ანდა: „გოგონამ პოეტურად **ალიქვა** ნაწარმოები“ და მისთ.

რაც შეეხება სიტყვა **ალთქმას**, რომელიც ნიშნავს „დაპირებას, დანაპირებს“, იგი იხმარება რელიგიური მნიშვნელობით და აღნიშნავს „ღვთის სიტყვას“ ადამიანებისადმი, აქედან:

საღვთო წერილის ნაწილებსაც, წმინდა წიგნებს: ძველსა და ახალ აღთქმას. სიტყვათშეხამება აღთქმის დადება იგივეა, რაც ფიცის, სიტყვის, პირობის მიცემა. ამ აზრითაც აღთქმის გამოთქმა ისევ რელიგიური მნიშვნელობის იხმარება (მაგალითად: ხატის წინაშე დადო აღთქმა), შემდეგ კი თანდათან გადატანითი, ხატოვანი მნიშვნელობა შეიძინა (მაგ.: ნიკოს მეგობრების წინაშე დადებული აღთქმა არ გაუტეხია), ოღონდ ამ შემთხვევაში მსგავსი გამოთქმები მაღალი სტილის ნიშნებად ჩაითვლება.

**აღთქმა** სიტყვისაგან ნაწარმოებია აღთქმული, რომელიც გარკვეულ სახელებთან (**მინა, ქვეყანა**) შეხამებაში „ისრაელს“ აღნიშნავს. კერძოდ, ცნობილი გამოთქმები – **აღთქმული მინა, აღთქმული ქვეყანა** (სანეტარო, საოცნებო მინა, ქვეყანა) – ისრაელის სინონიმებად იხმარება.

სიტყვები **აღქმა** და **აღთქმა** სხვა ფორმებითაც შეიძლება ირეოდეს ერთმანეთში: **აღიქვა** და **აღითქვა**, **აღქმული** და **აღთქმული**... ამის ნიშნებს იძლევა არა მარტო ზეპირი მეტყველება, არამედ, რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ჩვენი თანამედროვე პრესაც (იხმარება, მაგალითად: დადო აღქმა, პოეტური აღთქმა და მისთ.). შეცდომები, ცხადია, ყველა შემთხვევაში უნდა დაიდლოს.

მაშასადამე, აღნიშნული სიტყვების სწორი ხმარების ნიშნულებია, ერთი მხრივ:

დაუნანვერებელი მეტყველება **აღქმას** აძნელებს.

მარტივად ნათქვამი უკეთ **აღიქმება**.

მეორე მხრივ:

დავდოთ **აღთქმა**, რომ საქვეყნო საქმეს არ ვუღალატებთ.

ბევრი ებრაელი დაუბრუნდა თავის ისტორიულ სამშობლოს – **აღთქმულ ქვეყანას**.

**საკვარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. ცალკეულ მოვლენას თითოეული ინდივიდი თავისებურად **აღიქვამს**. 2. მეომრებმა დაიჩოქეს და უფლის წინაშე **აღთქმა**

დადეს, რომ თავს განირავდნენ და სამშობლოს ერთიანობას დაიცავდნენ. 3. ეს ნიგნი შეიცავს ძველ აღთქმასა და ახალ აღთქმას. 4. მეოცნებე გოგონამ რომანტიკულად აღიქვა მთავრობის სანინაალმდეგო გამოსვლები და სხვა ყველბფერი დაოვიზა. 5. 1970-იან წლებში დიდძალი ებრაელობა დაბრუნდა ისტორიულ სამშობლოში – ისრაელში, რომელსაც აღქმულ ქვეყანას უწოდებენ. 6. ნიჭიერმა სტუდენტმა ადვილად აღიქვა რთული ფილოსოფიური აზრები. 7. ბატონმა თავის ერთგულ მსახურს ავადმყოფი ცოლის მკურნალობაში დახმარება აღუთქვა. 8. ტექსტი აღსათქმელად ადვილია, მუსიკას კი ჩემი ყური ჯერ კიდევ ვერ შესჩვევია. 9. ზოგი ჟურნალისტი ისე ცუდად მეტყველებს, რომ მის მიერ გადმოცემული ინფორმაცია ძნელი აღსაქმელია. 10. ძმებო! ღვთის წინაშე დავდოთ აღქმა, რომ სამშობლოს არასდროს ვუღალატებთ.

## 7. კამპანია და კომპანია

(ერთი პარონიმული წყვილის შესახებ)

უცხოური წარმოშობის ეს ორი სიტყვა ხშირად ერევათ ერთმანეთში. ორივე ნასესხებია ფრანგულიდან და ქართულში შემოსულია რუსულის გზით. ამ სიტყვების აღრევის მაგალითები ხშირად გვესმის ზეპირ, სასაუბრო მეტყველებაში, რადიოთი და ტელევიზიით, გვხვდება წერით მეტყველებაშიც, კერძოდ – პრესაში.

კიდევ ერთხელ გავიაზროთ ამ სიტყვების მნიშვნელობა. სიტყვა კომპანია (ფრანგ. compagnie) არის სავაჭრო, სამრეწველო, სატრანსპორტო ან სხვა სახის გაერთიანება, ამხანაგობა (მაგ., ავიაკომპანია). მსგავსი სხვადასხვა სახის გაერთიანებებია: ფირმა, კარტელი, სინდიკატი, ტრესტი... (მაგ.: ამ ბოლო დროს საქართველოში მრავალი ფირმა და კომპანია გაიხსნა).



ფირმასა თუ კომპანიაში შეამხანაგებულ პირებს კი კომპანიონები ეწოდება.

ეგვე სიტყვა აღნიშნავს აგრეთვე მეგობარ-მხანაგებსაც. ჯგუფს, საზოგადოებას და ერთად დროს ტარებას (მაგალითად: მხიარული კომპანია მხოლოდ გვიან ღამით დაიშალა; თქვენს კომპანიაში / საზოგადოებაში თავს კარგად ვგრძნობ).

ვინაიდან სიტყვა კომპანიის ამოსავალი მნიშვნელობა მუდამ გულისხმობს ერთად, ერთობლივად ყოფნა-მუშაობას, იგი დაედო საფუძვლად ზოგ სხვა ტერმინსაც. მათ შორისაა მუსიკალური ტერმინი აკომპანემენტი, რაც ნიშნავს მუსიკალურ თანხლებას. აქედანაა აკომპანიატორიც (ჩვეულებრივ – ფორტეპიანოზე დამკვრელი მუსიკალურ ანსამბლებში).

რაც შეეხება სიტყვა კამპანიას (ფრანგ. campagne), იგი მასშტაბური საზოგადოებრივი ან სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის მიზანდასახულ კოლექტიურ და ორგანიზებულ ძალისხმევას გულისხმობს. ჩვენს სინამდვილეში ამ სიტყვას ყველაზე ხშირად იყენებენ არჩევნების ჩასატარებელ და, განსაკუთრებით, ამა თუ იმ პარტიის ან ჯგუფის მიერ ასარჩევი პირის სასარგებლოდ წარმართულ აუცილებელ ღონისძიებათა აღსანიშნავად, საერთოდ, საარჩევნო მზადების აღსანიშნავად (მაგალითად: საარჩევნო კამპანია დროულად უნდა დაიწყოს).

უკანასკნელ ორ-სამ ათწლეულში ჩვენში ფართოდ გავრცელდა სხვა სიტყვათშეხამებებიც: ხვან-თესვის კამპანია (ალბათ, ალოობის საბჭოურ ეკვივალენტად) და საგამოცდო კამპანია (საქართველოში ამ მოვლენისათვის უპირატესი მნიშვნელობის მინიჭების კვალობაზე).

თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როცა არცთუ იშვიათია პიროვნების შეურაცხყოფისა და საზოგადოებაში მისი დისკრედიტაციის მიზნით მედიის (მეტადრე ე. წ. „ყვითელი პრესის“) ორგანიზებული გამოყენება, ამ ქმედებას ასევე „კამპანია“ ეწოდება (სხვადასხვა მსაზღვრელით – უზნეო, ამორალური, აღვირახსნილი და მისთ.), ხოლო მოქმედების ამგვარ წესს – „კამპანიური“; აქედანვეა ნანარმოები განყენებული სახელი „კამპანიურობა“.

დღეს უკვე მოძველებულად ითვლება სიტყვა **კამპანია** სხვა მნიშვნელობით – ერთ საბრძოლო ასპარეზზე (როგორც არენაზე, სცენაზე) გაშლილ სამხედრო მოქმედებათა, შეტევით, „ომის წარმოების“ მნიშვნელობით. ტრადიციულად ეს სიტყვა დასავლეთის ქვეყნებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, დიდი ლაშქრობების აღსანიშნავად იხმარებოდა და, ჩვეულებრივ, იმ გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდებას ერწყმოდა, რომელშიც ან რომელთანაც ეს ბრძოლა უნდა გამართულიყო (მაგ., **ყირიმის კამპანია, ვატერლოოს კამპანია**).

რატომ ირევა, ან რა უწყობს ხელს სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ამ სიტყვების აღრევას?

შეცდომის ძირითადი წყარო ჩანს ამ სიტყვების (**კამპანია, კომპანია**) ფრანგულიდან სესხებისას შუამავალი რუსული ენის წარმოთქმის თავისებურება. რუსული, მრავალი ენის მსგავსად, მახვილიანი ენაა და, მასში მოქმედი წესის მიხედვით, უმახვილო **o** ზეპირ მეტყველებაში **a**-დ წარმოითქმის. იმის გამო, რომ **კომპანიასაც** და **კამპანიასაც** რუსულში მახვილი შუა **a**-ზე მოუდის, **კომპანიის** უმახვილო **o** ხმოვანი **a**-დ ისმის, რის გამოც ორივე სიტყვის წარმოთქმა ერთმანეთს ემთხვევა. ამ თანხვედრამ რუსულთან ისტორიულად მჭიდროდ დაკავშირებულ ქართულ ენაზედაც მოახდინა გავლენა.

თანამედროვე ქართულში სიტყვა **კომპანია**, ერთი მხრივ, ადამიანთა საქმიან (სავაჭრო, საწარმოო, სატრანსპორტო...) გაერთიანებას აღნიშნავს, მეორე მხრივ კი – თავშეყრილ მეგობარ-ამხანაგთა საზოგადოებას. ამდენად, ეს სიტყვა წმინდა *სახელური ფორმისა და მნიშვნელობის* მქონეა.

რაც შეეხება **კამპანიას**, იგი მიზანდასახულ ღონისძიებათა კოლექტიურად გატარებას, ადამიანთა დიდი თუ მცირე ჯგუფის ერთობლივ და ორგანიზებულ მოქმედებას აღნიშნავს. ამდენად, ეს სიტყვა თუმცა *ფორმით სახელია* (რადგან იბრუნება), მაგრამ *მნიშვნელობა* მას *ზმნისა* აქვს. განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვები უნდა განვასხვაოთ, მით უფრო, რომ ქართულში წერისა და წარმოთქმის თითქმის იდეალური შესაბამისობა გვაქვს: როგორც წარმოთქვამთ, ისევე ვწერთ, და პირუკუ:

ნაწერი ადეკვატურად იკითხება.

მაშასადამე, ამ პარონიმების სწორი ხმარების ნიმუშებია:

**კომპანია:** საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას ბევრი ფორმისა და კომპანიის შექმნა მოჰყვა ჩვენს ქვეყანაში. თქვენს მხიარულ კომპანიაში ძნელია კაცმა მოიწყინოს.

**კამპანია:** საარჩევნო კამპანია გადამწყვეტ ფაზაში შედის. ყირიმის კამპანიას დიდძალი ხალხი ემსხვერპლა.

**საპარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. ვატერლოოს კომპანია ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო ლაშქრობა იყო ევროპაში. 2. დიდძალი ხალხი დაიხოცა რუსეთ-თურქეთის ომში ე. წ. ყირიმის კამპანიის დროს. 3. მუდამ უხერხულობას ვგრძნობ უტიფარი ადამიანების კამპანიაში. 4. დიდწვეულებას, ქორწილს და მისთ. ჩვენში ხშირად კამპანიას უწოდებენ. 5. ამჟამად ჩვენს დიდ ქალაქებში ბევრი უცხოური თუ ადგილობრივი ფორმა და კამპანიაა შექმნილი. 6. ასეთ კომპანიაში არც მუშაობა უნდა გინდოდეს და არც დროს ტარება. 7. ვინ არის, რა კაცია შენი კომპანიონი ოფისში? 8. გაიცანით, ეს ჩემი ყოფილი კლასელია, ეს კი – ახლანდელი კამპანიონი. 9. საარჩევნო კომპანია გადამწყვეტ ფაზაში შედის. 10. საარჩევნო კამპანიის წარმატებას მთლიანად ძლიერი დაფინანსება განსაზღვრავს.

## 8. სწორად და სწორედ

(ზმნისართული წარმოშობის პარონიმთა შესახებ)

მნიშვნელობით მსგავს სიტყვათა წყვილებს შორის, რომლებიც თითო ასო-ბგერითაა განსხვავებული, ერთ-ერთია: **სწორად** და **სწორედ**.

ორივე ეს ფორმა, რომლებიც ერთი და იმავე ფუძისაგან არის წარმოშობი, მართებულია და მათი ხმარებაც – კანონიერი,

მაგრამ თავ-თავის ადგილას: ერთის ნაცვლად მეორეს ვერ ვიხმართ.

ჯერ განვიხილოთ სიტყვა **სწორად**. მისი ამოსავალია ზედსართავი **სწორი**, რომელსაც დაესმის კითხვა: როგორი? თუკი დავესვამთ კითხვას: როგორ? – პასუხი იქნება **სწორად** (ზუსტად ისევე, როგორც შეეფარდებიან ერთმანეთს: კარგი და კარგად, ცუდი და ცუდად...).

**სწორად** სიტყვას შეიძლება სამი მნიშვნელობა ჰქონდეს: 1. პირდაპირ (მაგ.: **სწორად** იარე, არ გადაუხვიო!); 2. მართებულად, უშეცდომოდ (მაგ.: მონაფემ მასწავლებლის დასმულ კითხვას **სწორად** უპასუხა) და 3. ტოლად, თანაბრად (ამ მნიშვნელობისათვის მოვიგონოთ რუსთაველი: „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე **სწორად** მოეფინების...“, ანდა ვაჟასეული: „ჩიჩქიც არ მინდა მე მეტი, გავინანილოთ **სწორადა**“).

ყველა შემთხვევაში უნდა ვიხმართ **სწორად** (და არა **სწორედ**). მაგრამ, თუკი გვინდა ამა თუ იმ სიტყვის გამოყოფა, ხაზგასმა – აი, ეს (ასეთი), და არა ის (ისეთი), – გამაძლიერებელი ნაწილაკის ფუნქციით უნდა ვიხმართ ფორმა **სწორედ**, რომლის მნიშვნელობაა: ზუსტად, სახელდობრ, ნამდვილად, მართლა(ც). გავიხსენოთ ილიას „გლახის ნაამბობის“ ცნობილი დასაწყისი: „მე **სწორედ** ნადირობის ტრფიალს რომ იტყვიან, ისა ვარ“. ნიმუშები სასაუბრო მეტყველებიდან: **სწორედ** ამ ადგილას შევხვდი პირველად; **სწორედ** ახლა გახსენეთ და მისთ.

**სწორედ** სიტყვის ამოსავალია დღეს კუთხურ, დიალექტურ ფორმად მიჩნეული **სწორე**, რომელიც უფრო ადრე იხმარებოდა ზედსართავი სახელის – **სწორის** ფუნქციითაც („**სწორე** და გრძელი ქუჩები“, – ა. ცაგარელი) და ზმნისართის, ანუ ზმნიზედის ფუნქციითაც („სწორის“, „მართლის“ მნიშვნელობით). განსაკუთრებით ხშირად გვხვდება იგი „თქმის“ აღმნიშვნელ მყარ გამოთქმებში: **სწორე** გითხრა, **სწორე** მოგახსენო(თ). მაგ.: „**სწორე** მოგახსენოთ, მეც მისი დიდი იმედი მქონდა“ (აკაკი); ილიას „გლახის ნაამბობის“ ერთ-ერთი თავი **სწორედ** ასე იწყება: „მე, **სწორე** მოგახსენოთ...“ (=მართალი რომ გითხრათ). დიალექტური შეფერილობის მქონე ფორმა **სწორე** დღეს მოძველებულია.

მაშასადამე, ერთი შეხედვით მოცილე ფორმები სწორად და სწორედ მოცილე კი არა, განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვებია და თითოეული მათგანი დანიშნულებისამებრ უნდა ვიხმაროთ:

**სწორად** = ტოლად, თანაბრად; პირდაპირ, მართებულად, უშეცდომოდ.

**სწორედ** = ზუსტად, სახელდობრ; ნამდვილად, მართლა(ც).

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. მე თუ სწორედ გავიგე, თქვენ ამ საქმეში მონაწილეობას არ მიიღებთ. ხომ ასეა? 2. გთხოვთ სწორად გამიგოთ: მე პირადად თქვენი სანინააღმდეგო არაფერი მაქვს. 3. ძლივს არ ვიპოვე სწორედ ისეთი ზომისა და ფერის ქოლგა, ამდენ ხანს რომ ვეძებდი! 4. შოთა, რა კარგია, რომ მოხვედი! ახლა სწორედ შენზე ვლაპარაკობდი. 5. ვინც ამ კითხვას სწორად უპასუხებს, საბოლოო გამარჯვებულიც ის იქნება. 6. თქვენ მე სწორედ ვერ გამიგეთ: მე მხოლოდ გამოცდის ნიშნებს კი არ ვგულისხმობდი, არამედ ზოგადი განათლება მაინტერესებდა. 7. არასწორედ დასმულ კითხვაზე ძნელია სწორად უპასუხო. 8. სწორედ ამ ამბის შესატყობინებლად გირეკავდი გუშინ. 9. ყასბის ნაცადმა ხელმა ხორცის ნაჭერი სწორად და თანაბრად გაჭრა.

## 9. პირი და პიროვნება

(მარტივ და ნაწარმოებ პარონიმულ სახელთა შესახებ)

ქართულში გვაქვს სიტყვათა ისეთი წყვილები, რომელთა შემადგენელ ცალებს საერთო ფუძე აქვთ, ოღონდ ერთი მათგანი მარტივია, მეორე კი მისგან იწარმოება გარკვეული ბოლოსართით. ასეთი წყვილია პირი და პიროვნება. მათი მნიშვნელობები უახლოვდება, თუმც არ ემთხვევა ერთმანეთს. პირი, ქართული



ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, არის: „ცალკე ადამიანი, – პიროვნება, ინდივიდი“, ხოლო პიროვნება – „გარკვეულ თვისებათა მქონე ცალკეული ადამიანი, ადამიანის „მე“ ინდივიდი“ (რუსულში მათი შესატყვისებია: პირი – ЛИЦО, პიროვნება კი – ЛИЧНОСТЬ. მაშასადამე, რუსულშიც კი არი სიტყვის ძირი ერთი და იგივეა).

მიუხედავად ამ სიტყვების დაახლოებული განმარტებისა, ისინი სხვაობენ სემანტიკური ნიუანსით და, აქედან გამომდინარე, სიტყვათხმარებითაც. პირი უფრო ფართო, ზოგადი მნიშვნელობის მქონე სიტყვაა და ამიტომ – უფრო განუსაზღვრელიც. მისი სინონიმებია: ვინმე, მავანი, აგრეთვე, ზოგიერთ შემთხვევაში – კაცი, სული. როგორც ნესი, იგი მსაზღვრელის გარეშე არ იხმარება და ეს მსაზღვრელი ახასიათებს ამა თუ იმ ინდივიდს მისი სოციალური მდგომარეობისა თუ ოფიციალური სტატუსის მიხედვით. მაგალითად: სამოქალაქო პირი, სამხედრო პირი, სასულიერო პირი, ისტორიული პირი, თანამდებობის პირი, ოფიციალური პირი, პასუხისმგებელი პირი, მოქმედი პირი (= პერსონაჟი), უცხო პირი, გარეშე პირი, ნდობით აღჭურვილი პირი და მისთ.

რაც შეეხება პიროვნებას, მისი მნიშვნელობა უფრო ვიწროა და განსაზღვრული. თუ პირი შეიძლება გულისხმობდეს უცნობ, შემთხვევით, ნებისმიერ ვინმეს, პიროვნება არსებითად გულისხმობს ნაცნობ, უფრო ზუსტად, ცნობილ, გარკვეული ინდივიდუალობის მქონე ადამიანს გამორჩეული მორალური თუ ინტელექტუალური თვისებებით, მის „მე“-ს. ადამიანის ინდივიდუალობის სხვადასხვა მხარის გამოსავლენად სიტყვა პიროვნებას სხვადასხვა (ჩვეულებრივ, დადებითი შინაარსის ეპითეტი განსაზღვრავს. მაგალითად: მთლიანი პიროვნება, საინტერესო პიროვნება, კარგი პიროვნება, იშვიათი პიროვნება, დიდებული პიროვნება, ძლიერი პიროვნება, შესანიშნავი პიროვნება, გამორჩეული პიროვნება, არაჩვეულებრივი პიროვნება...

ყველა ამ შემთხვევაში შეფასება ექსპრესიულია და არა ნეიტრალური. საინტერესოა, რომ მსაზღვრელის გარეშე სიტყვა პიროვნება ფაქტობრივად მხოლოდ დადებით შეფასე-

ბას შეიცავს. მაგალითად: ყველა თანამდებობის პირი როდის პიროვნება.

პირსა და პიროვნებას შორის ამგვარი განსხვავების გამოა, რომ ნეიტრალური ინფორმაციის შემცველი სიტყვები — რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები და მისი — სიტყვათმეცნიერებებს ქმნიან სწორედ სიტყვა პირთან და არა პიროვნებასთან. ამ უკანასკნელს, თავისი განსაზღვრულობის გამო, ამ სახის მსაზღვრელი არ სჭირდება. ამიტომ მისი ხმარება პირის ნაცვლად მაღალფარდოვნად თქმის სურვილით ჩანს შეპირობებული და აშკარად ორნამენტულია. აქედან გამომდინარე, მართებული სიტყვათმეცნიერებებია:

რამდენიმე პირი, ათი (ორი, ხუთი) პირი...

თითოეული პირი, ზოგიერთი პირი...

ესა თუ ის პირი, გარკვეული პირები და მისთ.

როგორც ჩანს, მნიშვნელობით მონათესავე, ახლომდგომ ამ სიტყვებს მოხმარების თავ-თავიანთი სფერო აქვთ და ამიტომ არ შეიძლება ერთი მეორეს ჩაენაცვლოს. შეინიშნება, რომ უფრო ხშირად პიროვნება იხმარება პირის ნაცვლად და არა პირუკუ (მაგ.: „სასამართლომ განიხილა სულ რვა პიროვნების საქმე“; „დანესებულების მანქანას უნდა იყენებდეს მხოლოდ ის პიროვნება, ვისზეც ტრანსპორტია მიმაგრებული“). ორივეგან სიტყვა პიროვნების ადგილას უნდა ყოფილიყო პირი.

მაშასადამე, აღნიშნული სიტყვების სწორი ხმარების მაგალითებია, ერთი მხრივ:

უცხო პირი, გარეშე პირი, მოქმედი პირი, სასულიერო პირი, სამოქალაქო პირი, სამხედრო პირი, ისტორიული პირი, ოფიციალური პირი... ესა თუ ის პირი, თითოეული პირი, ზოგიერთი პირი, არასასურველი პირი, ნდობით აღჭურვილი პირი...

მეორე მხრივ:

კარგი პიროვნება, ცუდი პიროვნება, ძლიერი პიროვნება, მთლიანი პიროვნება, შესანიშნავი პიროვნება, გამორჩეული პიროვნება, საინტერესო პიროვნება, არაჩვეულებრივი პიროვნება...

**საპარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადახერეთ:

1. ლაბორატორიაში უცხო პირთა შესვლა სასტიკად აკრძალულია. 2. ხალხს რამდენიმე პირი გამოეყო და ხცენიზუ ავიდა. 3. იოანე ბოლნელი X საუკუნის ცნობილი სასულიერო პიროვნება იყო. 4. ამ მისიის შესასრულებლად გაიგზავნა შესანიშნავი, ყველასაგან გამორჩეული პირი. 5. ხუთი პიროვნება გავიდეს ოთახიდან, ოთხი კი დარჩეს. 6. ქუჩებს უნდა დაერქვას იმ პიროვნებათა სახელები, რომლებიც რითიმე დაკავშირებულნი არიან ამ ქუჩებთან. 7. ეს შესანიშნავი ფეხბურთელი ცხოვრებაში ძალზე ცუდი პიროვნება აღმოჩნდა. 8. სამოქალაქო და სამხედრო პირები ხშირად ებრძვიან ერთმანეთს. 9. სერვანტესის „დონ კიხოტის“ მთავარი პერსონაჟი ისტორიული პირი არ არის. 10. დანაშაულის ჩადენისათვის პასუხს აგებს თითოეული პიროვნება.

## 10. მოთხოვნა და მოთხოვნილება

(წარმოშობით და მნიშვნელობით მსგავსი პარონიმული სიტყვები)

სიტყვები **მოთხოვნა** და **მოთხოვნილება** ნაწარმოებია ერთი და იმავე ზმნური ფუძისაგან (**თხოვ-**), რომელსაც დაერთვის ერთი და იგივე ზმნისწინი (**მო-**) და ამ ფორმით ორივე მათგანი სახელის ფუნქციას ასრულებს წინადადებაში. აგებულებითა და მნიშვნელობით მსგავსების გამო ზოგჯერ მათ ერთმანეთის მაგივრად ხმარობენ. მაგალითად:

1. **მოთხოვნილება** ნაცვლად **მოთხოვნისა**: „[მუშათა] მოთხოვნილება უნდა წარედგინოს ქარხნის ადმინისტრაციას“;

2. **მოთხოვნა** ნაცვლად **მოთხოვნილებისა**: „მრავალი სახეობის ნაწარმზე მოსახლეობის მოთხოვნა ვერ კმაყოფილდება“.

რატომ არ შეიძლება ამ წინადადებებში ერთი სიტყვის მაგივრად მეორე ვთქვათ და პირუკუ? რა განსხვავებაა ამ სიტყვათა მნიშვნელობებს შორის?

მოთხოვნების ძირითადი მნიშვნელობაა „საჭიროება“ და, მაშასადამე, იგი ცოცხალი არსების (ან მათი ჯგუფის) შინაგან, მისივე ორგანიზმის მიერ „ნაკარნახებ“ მდგომარეობას გამოხატავს. ამიტომ ეს სიტყვა შესაბამის სიტყვებთან შეხამებას უკმნის არაერთ ბუნებრივ გამოთქმას: ადამიანური მოთხოვნობა, სულიერი მოთხოვნობა, ფიზიოლოგიური მოთხოვნობა, შინაგანი მოთხოვნობა, მოსახლეობის მოთხოვნობა, სასიცოცხლო მოთხოვნობა, საქმლის (წყლის) მოთხოვნობა...

მოთხოვნა ნიშნავს გარედან, სხვა პირისაგან (ან პირთაგან) მომდინარე ან თავსმოხვეული (სამართლიანი თუ უსამართლო) პრეტენზიის წაყენებას მეორე პირისათვის. ბუნებრივია ამ სიტყვის მონაწილეობით შედგენილი გამოთქმები: კონსტიტუციის მოთხოვნა, კანონების მოთხოვნა, მოთხოვნა წაუყენეს, მუშების მოთხოვნა (ადმინისტრაციის მიმართ) და ა. შ.

როგორც ვხედავთ, მოთხოვნისა და მოთხოვნობების მნიშვნელობები განსხვავებულია ერთმანეთისაგან იმის მიხედვით, ერთი და იმავე პირისაგან მომდინარე სურვილსა და მისწრაფებას გულისხმობენ ისინი, თუ – სხვადასხვა პირისაგან მომდინარეს, შინაგან მდგომარეობას გამოხატავენ, თუ – გარეგანს.

მაშასადამე, სწორი სიტყვათხმარების ნიმუშებია, ერთი მხრივ:

ადამიანი და ყველა სხვა ცოცხალი არსება ცდილობს დაიკმაყოფილოს თავისი სასიცოცხლო (შინაგანი) მოთხოვნობები. ექსპედიციაში წავილეთ პირველი მოთხოვნობების საგნები...

მეორე მხრივ:

დისერტაცია აკმაყოფილებს ასეთი ნაშრომებისათვის წაყენებულ მოთხოვნებს. დირექტორმა და მუშებმა ერთმანეთს სხვადასხვაგვარი მოთხოვნები წაუყენეს...

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. ხელისუფლება უნდა ეცადოს, დააკმაყოფილოს მოსახლეობის სასიცოცხლო მოთხოვნობები. 2. წიგნი აკმაყოფილებს ამ ხასიათის ნაშრომებისათვის წაყენებულ მოთხოვნობებს.

3. გაფიცულთა ძირითადი მოთხოვნა ადმინისტრაციის მიმართ იყო ხელფასის მომატება. 4. ავადმყოფი ვეღარ ახერხებდა, დამოუკიდებლად დაეკმაყოფილებინა *ფიზიოლოგიური მოთხოვნები*. 5. კონკურსის მოთხოვნები ზოგი მონაწილისათვის ძალზე ძნელი შესასრულებელი აღმოჩნდა. 6. ~~ნიგნიძე მუსაყად~~ თეატრი სავსებით საკმარისია ჩემი *სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად*. 7. *ჯერ ხელმძღვანელობამ ნაუყენა მოთხოვნები მუშებს*, შემდეგ კი მუშებმა მოსთხოვეს ხელმძღვანელობას *საარსებო მოთხოვნათა დაკმაყოფილება*. 8. ჩვენი მოთხოვნილება თქვენ მიმართ ასეთია: ან დაიცავით კანონი და ჩვენი უფლებები, ანდა გადადექით! 9. პროფესიული კავშირები მოწოდებულნი არიან, გაითვალისწინონ თავიანთი წევრების უკლებლივ ყველა *სასიცოცხლო მოთხოვნა*. 10. – გაფრთხილებთ, – მიმართა დირექტორმა თანამშრომლებს, – თუ ჩემს მოთხოვნას შეასრულებთ, ხომ კარგი, თუ არა და, – დაგიტხოვთ.

## 11. პლაგიატი და პლაგიატორი

(ერთი წარმოშობის სიტყვების სინონიმებად ხმარების შესახებ)

ლიტერატურული შემოქმედების პრაქტიკაში, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათია სპეციფიკური დანაშაული, რომელსაც **პლაგიატი** ეწოდება. ეს ლათინური წარმოშობის სიტყვაა (plagio – „ვიტაცებ“). ქართულში იგი რუსულის გზით არის შემოსული და ნიშნავს სხვისი ნაწარმოების მითვისებას, თავისად გასაღებას. სხვაგვარად, ეს არის ლიტერატურული, უფრო ზოგადად კი – გონებრივ-შემოქმედებითი ნამოღვანარის ქურდობა. როგორც ვხედავთ, ეს სიტყვა განყენებულ, აბსტრაქტულ ცნებას შეიცავს და აღნიშნავს დანაშაულს, კრიმინალს. თვით პლაგიატის ჩამდენს კი, ანუ სხვისი ნაწარმოების მიმთვისებელს **პლაგიატორი** ეწოდება. გავიხსენოთ მუხრან მაჭავარიანის სტრიქონი:

„ქართველი კაცი ბუნებით არაა პლაგიატორი“.

მაშასადამე, სიტყვები **პლაგიატი** და **პლაგიატორი** ისე მიემართებიან ერთმანეთს, როგორც **დანაშაული** და **დამნაშავე**, **ქურდობა** და **ქურდი**. ამ წყვილებში პირველი ნივთი მოქმედებას გამოხატავს, მეორე კი – ამ მოქმედების ჩამდენს, და ქართველს ეს სიტყვები ერთმანეთში არ ერევა. მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით შედარებით გვიან (არა უადრეს მე-19 საუკუნისა) ქართულში შემოსული უცხოური, კერძოდ, საერთაშორისო სიტყვის – **პლაგიატის** შესახებ. ამ სიტყვას საზოგადოების ერთი ნაწილი სწორად ხმარობს – ლიტერატურული ქურდობის, სხვისი ნაშრომის მითვისების მნიშვნელობით, მეორე ნაწილი კი მასში თვით პლაგიატის ჩამდენს, სხვისი ნაწარმოების მიმთვისებელს, თავისად გამსაღებელს გულისხმობს – შეცდომით, რა თქმა უნდა.

ამგვარი შეცდომები მხოლოდ ზეპირ მეტყველებას რომ ეხებოდეს, ეს კიდევ არაფერი. უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ზეპირი მეტყველებიდან ამ შეცდომამ მწერლობაშიც შეაღწია. განსაკუთრებით ამ მხრივ სცოდავს პრესა. „მაგ.: «ირონიითა და დაცინვით ლაპარაკობენ **პლაგიატზე**, კარიერისტსა და ყალბისმქნელზე“.

ამკარაა, რომ აქ ლაპარაკია ადამიანზე და არა მის საქციელზე. ამიტომ ამ კონტექსტში სიტყვა **პლაგიატი** სრულიად უადგილოა. შეცდომის წყარო, ჩანს, ამ სიტყვის დაბოლოებაა, ვინაიდან **-ეატი/-იატი** დაბოლოებაზე თავდება ადამიანთა აღმნიშვნელი სიტყვები: **ლაურეატი, სტიპენდიატი...**

ერთმა შეცდომამ სხვა შეცდომაც მოიყოლა: ის, ვინც **პლაგიატს** ამ დანაშაულის ჩამდენი ადამიანის მნიშვნელობით ხმარობს, თვით ამგვარ მოქმედებას **პლაგიატობას** უწოდებს. ორიოდ ნიმუში პრესიდან: „ზოგჯერ ავტორს **პლაგიატობასაც** ვერ დაუმტკიცებთ“; „თანამშრომლებმა ერთმანეთს **პლაგიატობა** დასწამეს“.

აქ **პლაგიატორისათვის** დამახასიათებელ მოქმედებაზეა ლაპარაკი, რის გამოც უნდა გვეხმარა ტერმინი **პლაგიატორობა**.

მაშასადამე, ამ ტერმინთა მნიშვნელობები ასე განანილდება:

**პლაგიატი** – სხვისი ნაწარმოების მითვისება, თავისად გასაღება;

**პლაგიატორი** – პლაგიატის ჩამდენი, სხვისი ნაწარმოების მითვისებელი;

**პლაგიატორობა** – პლაგიატორისათვის დაშინებისათვის თვისება ან მოქმედება.

**სასარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. **პლაგიატს** ბოლომდე არ შერჩება ეს *მდაბალი საქციელი*: ბოლოს და ბოლოს ყველა გაიგებს მის სიგლახეს.
2. წესიერ საზოგადოებაში *ყალბისმქნელ პლაგიატორს* გასაქანი არ უნდა ჰქონდეს.
3. **პლაგიატობა** მალე *მავნე ჩვევად* გადაექცა ჩვენს დიტოს.
4. გოგის გიგომ **პლაგიატორობა** დასწამა, მოგვიანებით კი ცილისმწამებელი თავად აღმოჩნდა **პლაგიატი**.
5. ეს ვითომ შენი მეგობრის ორიგინალური ნაწარმოებია? ჩემი აზრით კი – **პლაგიატია**.
6. **პლაგიატორობას** თავიდან არ უნდა მიეჩვიოს კაცი, თორემ, ერთხელ თუ შეეჩვევი, ვეღარ გადაეჩვევი.
7. **პლაგიატი** ამა თუ იმ ნაშრომის *ქურდობაა*, **პლაგიატორი** კი – *ქურდი*.
8. ლიტერატურული და მუსიკალური *ქურდობა* – ორივე **პლაგიატია**.
9. რა ეწოდება სხვისი *ნაწარმოების მოპარვას* და თავისად გასაღებას? – **პლაგიატორობა**.
10. რა ჰქვია სხვისი ნაწარმოების მითვისების ჩვევას? – **პლაგიატობა**.

## 12. პარაკლისი და პანაშვიდი

ათეისტური საბჭოთა ეპოქიდან ეკლესიის წიაღში დაბრუნებულ დღევანდელ მრევლს, გარდა უშუალოდ ღვთისმსახურების პროცესში ჩართვისა, ყოველდღიურად უხდება საეკლესიო ტერმინოლოგიისა და ფრაზეოლოგიის დაუფლებაც. ეს ბუნებრივიცაა: ეკლესია ჩვენში, სკოლასთან ერთად (და, მით უმეტეს – მანამდე), ტრადიციულად მუდამ იყო კულტურისა და განათლების კერა.

ცხადია, საეკლესიო ტერმინთა ათვისების პროცესში არ გამოირიცხება მრევლის მხრივ უნებლიე ტერმინოლოგიური შეცდომებიც, რომელთა წყაროა როგორც საეკლესიო ტერმინთა მსგავსი უღერადობა, ისე ასოციაციური კავშირი.

მიმსგავსებულ სიტყვათა ერთ-ერთი ასეთი წყაროა **პანაშვიდი** და **პარაკლისი**. სხვადასხვა ლექსიკონის (განმარტებითი, უცხო სიტყვათა) მიხედვით, **პანაშვიდი** [ბერძ. παννυχιδ მწუხრის ლოცვა] არის ლოცვა მიცვალებულისათვის, ხოლო **პარაკლისი** [ბერძ. παρακλησις თხოვნა, ვედრება] არის საეკლესიო მღვდელმსახურება – სავედრებელი ან სამადლობელი ლოცვა. ქართული ენციკლოპედია ამ ცნობებს სხვა დეტალებსაც დასძენს: „არსებობს სხვადასხვა პარაკლისი: ახალი წლის, მოგზაურთათვის, სწავლის წინ, გვალვის დროს, ავადმყოფობისათვის. შეიძლება შესრულდეს დაუჯდომელთან და მცირე აიაზმასთან (წყალკურთხევასთან) ერთად“ (ტ. 8).

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი (თბ., 2007) ჩვენთვის საინტერესო სიტყვებს ასე განმარტავს: **პანაშვიდი** – „საეკლესიო მღვდელმსახურების, ლოცვა მიცვალებულთათვის, სრულდება მიცვალებულის დაკრძალვამდე (მე-3 დღეს) და დაკრძალვის შემდეგ (გარდაცვალებიდან მე-9, მე-20, მე-40 დღეს), აგრეთვე დაბადების ან გარდაცვალების წლისთავზე, ანგელოზის დღეს“; **პარაკლისი** – „თხოვნა, ვედრება და საეკლესიო მღვდელმსახურების ერთ-ერთი სახე, სავედრებელი ან სამადლობელი ლოცვა, სრულდება მრევლისათვის“.

მაშასადამე, ორივე პროცესი გულისხმობს მღვდელმსახურების სხვადასხვა სახეს, რომლის დროსაც აღევლინება ლოცვა, და ამ პროცესს წარმართავს სასულიერო პირი, ჩვეულებრივ, მღვდელი. **პარაკლისი** პრაქტიკულად მხოლოდ ეკლესიაში აღევლინება, **პანაშვიდი** – ეკლესიაშიც და მის გარეთაც.

მაგრამ, მიუხედავად ამ ორი ტერმინის განსხვავებული მნიშვნელობისა, ხალხის ფართო მასებს მაინც არა აქვთ კარგად გაცნობიერებული მათ შორის არსებული ფუნქციური სხვაობა,



– კერძოდ, ის სხვაობა, რომ **პარაკლისი ცოცხალთა ჯანმრთელობა-დღეგრძელობისა და კეთილდღეობის**, ამა თუ იმ დანესებულება-ორგანიზაციის დაარსების ან **ნარმატივის და მისი** სავედრებელი თუ სამადლობელი ლოცვის **ბეჭდვით, გარდაცვლილთა** სულის მოსახსენებლად კი **პანაშვიდს** იხდინან. **განმარტებითი** ლექსიკონი ამის თვალსაჩინო ილუსტრაციებს იძლევა ქართული კლასიკური მწერლობიდან:

**პარაკლისი:** „მღვდელმთავარმა გამოიყვანა წირვა, პარაკლისი გადაიხადა და აიაზმა ასხურა ჯარს“ (აკაკი); „ – მამაო! – მიუბრუნდა მოძღვარს [არჩილი], – გთხოვთ პარაკლისი გადაგვიხადოთ, სკოლა დაგვილოცოთ!“ (ვ. ბარნოვი).

**პანაშვიდი:** „11 იანვარს წირვა და პანაშვიდი იქმნა გადახდილი საქართველოს მეფის ერეკლეს მოსახსენებლად ლოცვითა და კურთხევითა“ (ილია).

მეორე მხრივ, თანამედროვე ჟურნალისტურ პრაქტიკაში (პრესაშიც, რადიო- და ტელემაუწყებლობაშიც) არცთუ იშვიათად გვხვდება ამ ორი ტერმინის აღრევის მაგალითები. სანიშნოდ დავასახელებთ შემდეგ ცნობას:

*მოძღვარმა აფხა ზეთსა და სამაჩაბლოში დაღუპული ბიჭების სულის სახსენებლად ეკლესიაში პარაკლისი გადაიხადა.*

ცხადია, რომ ამ შემთხვევაში აღნიშნული სიტყვების დამწერ ან ნარმომთქმელ ჟურნალისტს მხოლოდ და მხოლოდ **პანაშვიდი** უნდა ეხმარა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა **პანაშვიდი** ზოგს მხოლოდ ის პროცესი ჰგონია, რომელიც მიცვალებულის დაკრძალვის წინა დღეებში ან უშუალოდ დაკრძალვის წინ ამა თუ იმ საათზე მიმდინარეობს განსვენებულის ბინაში ან, თუ გარდაცვლილი ცნობილი მეცნიერი ან ხელოვანია, – უნივერსიტეტსა თუ ინსტიტუტებში, თეატრში, ანდა უშუალოდ სასაფლაოზე, სადაც იმართება სამგლოვიარო მიტინგი.

სწორედ ამგვარი პანაშვიდის აღსანიშნავად – ეკლესიური წესით გადახდილი პანაშვიდისაგან გამოსარჩევად – იხმარება ტერმინი **სამოქალაქო პანაშვიდი**. ასეთი პანაშვიდი გულისხმობს



ეროვნული  
საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს

ხალხის თავმოყრას მიცვალებულთან გამოსათხოვებლად ან, ზოგადად, მისი ხსოვნის აღსანიშნავად.

**საკვარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადასწორეთ, შრავალწერტილით აღნიშნული გამოტოვებული სიტყვები თავ-თავის ადგილას ჩასვით:

1. - დღეს რა ხდება ეკლესიაში, რომ ამდენმა ხალხმა მოიყარა თავი? - უგზო-უკვლოდ დაკარგულები იპოვეს და ამის აღსანიშნავად ჩვენი ეკლესიის მოძღვარმა *პარაკლისი* გადაიხადა.
2. უბედურმა შემთხვევამ შეინირა ორი ალპინისტის სიცოცხლე და, როცა ჩამოასვენებენ, *სამოქალაქო პანაშვიდი* ალპინისტთა კლუბში შედგება.
3. დღეს ბიძაჩემის გარდაცვალების მეცხრე დღეა და ოჯახის წევრები, სხვა ახლობლები ორ საათზე ეკლესიაში იკრიბებიან: მღვდელმა *პარაკლისი* უნდა გადაუხადოს.
4. - ამას წინათ ჩვენი ორი მეგობარი ავარიში მოხვდა. სამწუხაროდ, ერთი დაიღუპა, მეორე კი - ღვთისა და ექიმების წყალობით - გადარჩა. ახლა მეგობრებს გვინდა, ერთის გარდაცვალებაც და მეორის გადარჩენაც ეკლესიაში სათანადოდ აღვნიშნოთ, გვირჩიეთ, როგორ მოვიქცეთ? - მოძღვარს გააცანით თქვენი სურვილი და სთხოვეთ, რომ *დალუპულს...* გადაუხადოს, ხოლო *გადარჩენილს* - ...
5. ქართული ჯარის შინ მშვიდობით დაბრუნების აღსანიშნავად ეპისკოპოსმა *პარაკლისი* გადაიხადა.

### 13. პაპა თუ ბაბუა - თუ ორივე?

ცნობილია, რომ პაპა და ბაბუა - ისევე როგორც დიდედა და ბებია - სინონიმური წყვილია და ისტორიულად ასეა განაწილებული: დიდედას და პაპას აღმოსავლეთ საქართველოში ხმარობენ, ბებიას და ბაბუას კი - დასავლეთში. დღეს ორივე ეს სახელი თანაბრად განეკუთვნება სალიტერატურო ენას.

მაგრამ იმის გამო, რომ სალიტერატურო ქართული ძირითა-

დად აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებს დაეფუძნა, საქართველოს ორივე დედაქალაქი კი აღმოსავლეთ საქართველოში იყო (მცხეთა) და არის (თბილისი), სალიტერატურო ენაში ტრადიციულად გავრცელებული იყო პაპა (ბაბუას უფრო პერიფერიული ელფერი დაპკრავდა). შემთხვევითი არ არის, რომ წინაპრების აღსანიშნავად სწორედ მამა-პაპა იხმარება (და არა მამა-ბაბუა). აქედანვეა მიღებული ზედსართავი მამა-პაპური. არც არსებით სახელში და არც მისგან ნაწარმოებ ზედსართავში ბაბუა არ მონაწილეობს. იგი მხოლოდ ერთ-ერთი მცენარის ადგილობრივი სახელწოდების – ბაბუანვერას კომპონენტია. პაპას შედარებით სიხშირეს ადასტურებს მრავალი ანთროპონიმი (ანუ ადამიანის საკუთარი სახელი), რომლებიც იწარმოება პაპა ძირისაგან სხვადასხვა სიტყვიანარმოებითი სუფიქსით (მაგ., პაპუნა), ხოლო ამ სახელთაგან იწარმოება მრავალი გვარი (პაპიტაშვილი, პაპუნაშვილი, პაპუაშვილი, პაპინაშვილი...).

დღეს თბილისში დასავლეთ საქართველოდან ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილია დასახლებული. ამიტომ დედაქალაქურ მეტყველებაში მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი დასავლურმა ფორმებმა – ჯერ ბებამ, ხოლო შემდეგ – ბაბუამ. მეტიც, ამ უკანასკნელმა ბოლო ხანებში თითქმის განდევნა პაპა. დღეს იშვიათად გაიგონებთ ქართულ კლასიკურ მწერლობაში გავრცელებულ გამოთქმას – თოვლის პაპას, რომელსაც თანამედროვე აფიშებსა თუ რეკლამებში თოვლის ბაბუა ჩაენაცვლა (ხოლო მისი ანალოგიით გაჩნდა თოვლის ბებოც!).

მაშასადამე, დღეს პაპაც და ბაბუაც – ორივე სალიტერატურო ენის კუთვნილებაა, თუმცა მათგან პაპა გაცილებით ასაკოვანია როგორც კლასიკურ მწერლობაში, ისე საერთო-სახალხო ხმარებაში (იგივე ტრადიციული მამა-პაპა და მისგან ნაწარმოები მამაპაპური რომ გავიხსენოთ). თანაბარი „სტატუსის“ პირობებში სრულიად შეუწყნარებელია ვებრძოლოთ რომელიმე მათგანს, რათა მხოლოდ ერთ-ერთი დარჩეს სალიტერატურო ენაში. უფრო მნიშვნელოვანია, წინ აღვუდგეთ ენის

გალარიბებასა და ერთფეროვნებას. ჩვენს შემთხვევაში ორივე სინონიმი უნდა ვიხმაროთ, ოღონდ თითოეული მათგანი – თავ- თავის ადგილას საოჯახო ტრადიციის მიხედვით.

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეც- დომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. ჩემი დიდედა და ბაბუა, რომლებიც კახეთში ცხოვრობენ, ყოველ წელს საფერავის ღვინოს, კაკალს, ჩირსა და ჩურჩხე- ლებს მიგზავნიან. 2. მისი დიდი ბაბუა სამეგრელოს მკვიდრი, მეხუთე თაობის მღვდელი იყო გურია-სამეგრელოს ეპარქი- აში. 3. ქართლიდან გამოსული ხალხოსნები ხშირად წერდნენ შობასა და თოვლის ბაბუაზე. 4. ჩვენი პაპა და ბებია ზემოიმერ- ლები არიან, აკაკის სოფლიდან. 5. „გენაცვალოს პაპა“ იროდიონ ევდოშვილის (ხოსიტაშვილის) მოთხრობაა.

## 14. ორი წლის უკან თუ ორი წლის წინ / წინათ?

(თანდებულად გამოყენებული წინ და უკან სიტყვებისათვის)

უკანასკნელ ხანებში ქართულ ზეპირ მეტყველებაში (და აქედან – წერიტშიც) თავი იჩინა და საკმაოდაც მოიკიდა ფეხი ერთი სახის უმართებულო გამოთქმამ, რომელმაც ლამის არის განდევნოს ტრადიციული სწორი გამოთქმა.

საქმე ეხება ადრინდელი, წინა ვითარების აღსანიშნავად ისე- თი გამოთქმების ხმარებას, როგორებიცაა: სამი წლის უკან, ხუთი დღის უკან და მისთ. ფრიად საჩოთირო ვითარება შეიქმნა: ერთი და იმავე შინაარსის გამოსახატავად ჩვენი მოსახლეო- ბის მეტყველებაში გვერდიგვერდ გამოიყენება სრულიად საპი- რისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვები წინ და უკან. ერთნი ტრადიციისამებრ ამბობენ: ეს ამბავი ამ რამდენიმე დღის წინ (ან წინათ) მოხდაო, ხოლო მეორენი (რაოდენ უცნაურადაც უნდა

მოგვეჩვენოს) იმავე აზრს ასე გადმოგვცემენ: ეს ამბავი ამ რამდენიმე დღის უკან მოხდაო.

მაშასადამე, საქმე გვაქვს არა უბრალოდ სიტყვულსთან, არამედ ულოგიკო და დამაბნეველ სიტყვულსთან: ასეთ დროს ყველაზე საიმედო საყრდენს – ენობრივ ტრადიციას მივმართავთ ხოლმე. ქართული ენობრივი ტრადიცია კი ასეთია: მთელი ქართული მწერლობა, ძველიდან მოკიდებული დღევანდლამდე, და ქართული ენის კილოებიც იმას მონიშნობს, რომ ადრინდელი, წინა ვითარების აღსანიშნავად მუდამ იხმარებოდა და ამჟამადაც იხმარება სიტყვა წინ. აკი ამ სიტყვისაგან მივიღეთ მსგავსივე დანიშნულების მქონე სხვა სიტყვებიც: წინათ, უწინ, წინანდელი, უწინდელი, წინასწარ, გუშინწინ, შარშანწინ, წინარე (წინარეენა, წინარეისტორიული, წინარექრისტიანული), წინასაახალწლო, წინასაარჩევნო და სხვ.

რაც შეეხება სიტყვას უკან, ტრადიციულად იგი შემდეგომი, მომდევნო, გვიანდელი ვითარების აღსანიშნავად გამოიყენებოდა. ამაზე მეტყველებს მისგანვე მიღებული სიტყვა უკანასკნელიც (ე. ი. ყველაზე ბოლო). თვალსაჩინოებისათვის შევუდართო ერთმანეთს მყარი გამოთქმები – ამას წინათ და მას უკან. ყოველი ჩვენგანისათვის აშკარაა, რომ პირველი გამოთქმა (ამას წინათ) ადრინდელ ვითარებას მიუთითებს, ხოლო მეორე (მას უკან) იგივეა, რაც: მას შემდეგ.

ორიოდე მაგალითი მოვიხმოთ მხატვრული ლიტერატურრიდანაც: „ლუარსაბი გადაბრუნდა და პატარა ხანს უკან (ე. ი. ცოტა ხნის შემდეგ) ერთი მაღლიანი თავისებური ხვრინვა ამოუშვა“; „სადილს უკან (=სადილის შემდეგ) ლაზათიანად გამოიძინებდნენ ცოლ-ქმარნი“ (ილია); „ბავშვს რამდენსამე თვეს უკან (=რამდენიმე თვის შემდეგ) კბილები ამოსდის“ (ი. გოგებაშვილი); „შუადღის უკან (=შუადღის შემდეგ) უფრო ცხელა“ (თ. რაზიკაშვილი).

ასეა მთელ ქართულ ლიტერატურაში და, როგორც აღინიშნა, კილოებშიც. უკან დროის აღმნიშვნელ სახელებთან იგივეა, რაც: შემდეგ, მერ(მ)ე.

მაშ, როგორღა გახდა შესაძლებელი საპირისპირო მნიშვნე-

ლობის მქონე წინ და უკან სიტყვების ერთ სამსახურში ჩაყვანება, მათთვის ერთი და იმავე ფუნქციის დაკისრება? რას უნდა შეეწყოს ხელი ამ უცნაური და ყოვლად ულოგიკო სიტყვების შექმნისათვის?

მიზეზი და შესაბამისი პასუხი ერთადერთი შეცდომის წყაროა სათანადო რუსული გამოთქმები: **два часа (тому) назад, три года (тому) назад** და სხვ. მართალია, ცალკე აღებული **назад** ქართულად ითარგმნება, როგორც **უკან**, მაგრამ ეს – მხოლოდ ადგილის მნიშვნელობით! დროის გაგებით კი ამგვარი გამოთქმები პირდაპირ, სიტყვასიტყვით არ ითარგმნება. რუსულს ერთი ტრადიცია აქვს, ქართულს კი – სხვა, და ყოველ მათგანს თავ-თავისი ადგილი უნდა მიეჩინოს სათანადო ენაში.

ერთმა შეცდომამ სხვაც მოიყოლა: არსებობს გამოთქმა – ძირითადად კანცელარიულ მეტყველებაში – ამა თუ იმ დოკუმენტის „**უკანა რიცხვით გაფორმება**“. ამ გამოთქმის წყაროც ისევ და ისევ სათანადო რუსული გამოთქმაა: **задним числом**. ვინაიდან აქაც ძველი, ადრინდელი თარიღი იგულისხმება, ეს აზრი სათანადოდ უნდა გამოიხატოს ქართულშიც: **წინა** (გასული, ადრინდელი) **რიცხვით** (თარიღით).

როგორც ვნახეთ, მსგავსი შეცდომები მოგვდის ახლო წარსულში რუსულ ენასთან უმჭიდროესი კონტაქტების დროს სიტყვასიტყვით თარგმნის შედეგად. ფხიზლად უნდა ვიყოთ, რომ ანალოგიური შეცდომები არ მოგვიმრავლდეს ახალი ენობრივი რეალობის კვალობაზე – ამჯერად სხვა უცხო ენებთან ურთიერთობისას.

მაშასადამე, სწორი გამოთქმებია:

მრავალი საუკუნის წინ // წინათ

ოთხი წლის წინ // წინათ

ერთი თვის წინ // წინათ

რამდენიმე დღის წინ(ათ)

ნახევარი საათის წინ

ხუთი წუთის წინ...

**შენიშვნა:** რაც უფრო მცირეა დროის მონაკვეთი (საათი, წუთი, წამი), პარალელურ წინ და წინათ ფორმათაგან ჭარბობს წინ ვარიანტი. წინათ უფრო ნაწვრილი პერიოდს (საუკუნე, წელი...) შეეფერება; საუკუნა-ნი ქალაქების ენაში რეკონსტრუქციის შემდეგი ფორმები:

**წინა** (ან: **გასული, ადრინდელი**) რიცხვით // თარიღით.

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. „ვეფხისტყაოსანი“ ცხრა საუკუნის უკან დაიწერა. 2. სად გაქრა ნიკო? ხუთი წუთის წინ აქ იყო. 3. ორი საათის უკან ამხანაგმა დაგირეკა, მაგრამ გეძინა და აღარ გაგაღვიძე. 4. მას უკან მრავალმა წყალმა ჩაიარა. 5. დღეს ვილას ახსოვს დიდი ხნის წინათ მომხდარი ამბავი! 6. პატარა ხანს უკან ლუარსაბმა გულიანი ხვრინვა ამოუშვა. 7. ამას წინათ გაზეთში საინტერესო ცნობა ამოვიკითხე. 8. გამოთქმა „მას უკან“ იგივეა, რაც „მას შემდეგ“. 9. სამი წლის უკან რომ წიგნი გათხოვე, რატომ აღარ დამიბრუნე? 10. „ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ“.

## 15. გაყიდვაშია, ხმარებაშია, შეხებაშია, შეტევაშია?

(-ში თანდებულიანი საწყისების შესახებ)

აღბათ ყოველ ჩვენგანს უნახავს (და საკმაოდ ხშირადაც) მაღაზიებში, აფთიაქებში და სხვ. წარწერა, რომელიც გვაუწყებს, რომ „გაყიდვაშია“ ესა თუ ის ნივთი, ნამალი და მისთ. დიახ, ყველას გვინახავს, ე. ი. წაგვიკითხავს ეს წარწერა, თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ მოსმენით ნაკლებად მოგვისმენია, ყოველდღიურ ზეპირ მეტყველებაშიც ნაკლებ ვხმარობთ ამ ფორმას. მის ნაცვლად ვიტყვით ბუნებრივად: **იყიდება ან ყიდიან**. ამის ცოცხალი მაგალითია უახლოესი წარსულის ერთი რეკლამა, რომელშიც წარწერას „გაყიდვაშია“ დიქტორი სწორად კითხუ-

ლობდა: იყიდება.

ფორმა **გაყიდვაშია** არის რუსული გამოთქმის **в продаже** სიტყვასიტყვით გადმოღებული, ანუ კალკირებული თარგმანი. რუსულ ენაში ეს გამოთქმა სავსებით ბუნებრივად უღებო, რადგანაც სიტყვა **продажа** არსებით სახელადაა ქცეული, მსგავსად ანალოგიური გამოთქმების შემქმნელი სხვა სიტყვებისა: **употребление, атака, соприкосновение...** წინდებულ-თანდებული კი სწორედ სახელს ერთვის.

რაც შეეხება ქართულს, -**ში** ელემენტიანი ფორმები ყურს იმიტომ გვჭრის, რომ მათი ქართული შესატყვისები ნამდვილი სახელები კი არა, მოქმედების სახელებია. ისინი ზოგი ფორმალური თვისებითაც და მნიშვნელობითაც უფრო ახლოს დგანან ზმნებთან. ამდენად, ნაკლებ ჰგუობენ თანდებულებს; ამიტომაც გვეხამუშება ქართულისათვის არაბუნებრივი ფორმები: **გაყიდვაშია, ხმარებაშია, შეხებაშია...**

უკანასკნელ ხანებში საფეხბურთო მატჩების რეპორტაჟის გადმოცემისას ჩვენი კომენტატორები დაუბრკოლებლად ხმარობენ -**ში** ელემენტიან კონსტრუქციას - **შეტევაშია**, რომელიც კალკია რუსული ფორმისა **в атаке**. ამ მნიშვნელობის გადმოსაცემად ჩვენი დაუვიწყარი ეროსი მანჯგალაძე - არა მარტო შესანიშნავი მსახიობი და კომენტატორი, არამედ ბრწყინვალე მოქართულეც - ამბობდა: **უტევს** (მაგალითად: ახლა **უტევვენ** თბილისის „დინამოელები“, ანდა: **შეტევაზე გადავიდნენ** ქართველი ფეხბურთელები). ასევე იქცეოდა კოტე მახარაძეც, სალიტერატურო ქართული ენის დაულალავი პროპაგანდისტი. და ვერც ერთი ჩვენი გულშემატკივარი ვერ გაიხსენებს, რომ ამ შესანიშნავ მსახიობებსა და კომენტატორებს თუნდაც ერთხელ მაინც ეთქვათ ფორმა „შეტევაშია“.

მაშ, ჩვენც მივდიოთ მათს კვალს და ნულარ ვიხმართ ზოგ ძველ თუ სულ ახლახან გაჩენილ მცდარ ფორმებს: **გაყიდვაშია, ხმარებაშია, შეხებაშია, შეტევაშია** და მისთ. მათ ნაცვლად უნდა ვთქვათ და ვწეროთ ბუნებრივი ქართულით:

**იყიდება, იხმარება, (შე)ეხება, უტევს** (ან: **შეტევაზე გადავიდა / გადადის**)...



**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. კიდევ კარგი, რომ მთელი სათხილამურო აღჭურვილობა დროზე ვიყიდე. დღეს იგი უკვე აღზრდა გაყიდვაში! 2. ყურადღება! შეტევაშია თბილისის „დინამო“! 3. უკაცრავად, ხევსურული ქუდები ხომ არა გაქვთ გაყიდვაში? 4. დიდი ხნის, რაც აფთიაქებში სათბური არ გაყიდულა, ბაზრობაზე კი სულ იყიდება. 5. ეს საკითხი თქვენთვის საინტერესო თემასთან უშუალო შეხებაშია. 6. საქმე შეეხება ერთი შეხედვით მარტივ, სინამდვილეში კი ძალზე რთულ საკითხს. 7. ეს არანაირ შეხებაში არ არის ჩვენს მთავარ სათქმელთან. 8. ახლა შეტევაშია შოთა არველაძე. იგი დაჟინებით მიიწევს მეტოქის კარისაკენ.

## 16. 2000 წელში თუ 2000 წელს?

(წელ- სიტყვის თანდებულებიანი და უთანდებულო ფორმები)

როცა მომხდარ ამბავსა თუ მოვლენას ვათარილებთ, ვამბობთ: ეს ამბავი ამა და ამ დროს – კერძოდ, ამა და ამ წელს, თვესა და რიცხვში, ამა და ამ დღეს მოხდაო (ვთქვათ, 1998 წელს, 2 დეკემბერს, პარასკევს). დროის აღმნიშვნელი სახელები მუდამ ერთი და იმავე ფორმით გვხვდება – მიცემითის -ს დაბოლოებით. საერთოდ, ამგვარ სიტყვებთან -ს ნიშანმა დროის ზმნიზედები აწარმოვა. მაგ.: წელს (შდრ. შარშან და გაისად), დღეს (შდრ. გუშინ და ხვალ) და მისთ.

მაგრამ ზოგჯერ სიმოკლისათვის ზეპირ მეტყველებაში თვით დროის მონაკვეთის აღმნიშვნელი სიტყვები გამოტოვებულია. რჩება მხოლოდ რიცხვის აღმნიშვნელი სიტყვა და ამ შემთხვევაში მას -ში თანდებულს ვურთავთ. მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ ვთქვათ: 1905 წელს, ვამბობთ და ვწერთ მოკლედ: 1905-ში (ან: 905-ში); ანდა, როცა ავადასახსენებელ 1937 წელს ვიგონებთ, მას კიდევ უფრო ვამოკლებთ – ორნიშნა რიცხვით ვიხსენიებთ: 37-ში.

ასევე, იმისათვის, რომ მომხდარი ამბავი მეტი სიზუსტით – თვითა და რიცხვით დავათარილოთ, ვამბობთ, მაგალითად: **3 მაისს**, უფრო მოკლედ კი – **3-ში**. იგულისხმება, რომ დიალოგის მონაწილეთათვის ნათელია, რომელ თვეზეა საუბარი. თუკი რიცხვი არ გვაინტერესებს და თვის აღნიშვნა ვსაკმარისი ცხადია, მხოლოდ თვის აღმნიშვნელი სიტყვა რჩება და მას -**ში** თანდებული დაემატება: **აპრილში, ივნისში** და სხვ. ზოგჯერ თვის სახელწოდებას ნათესაობით ბრუნვაში სვამენ, -**ში** ელემენტს კი ურთავენ თვის აღმნიშვნელ საზოგადო სახელს, ასე: **აპრილის თვეში, ივნისის თვეში** და მისთ. **თვეში** სიტყვის თქმის საჭიროება ხშირად არ არის, მაგრამ მის ხმარებას ამჯობინებენ უფრო ოფიციალურ მეტყველებაში – სამეურნეო ხასიათის მოხსენებებში, ანგარიშებში და ა. შ. (ასეთ მასალაში, რასაკვირველია, არ ვგულისხმობთ პოეტიკის, კერძოდ, რიტმის ან რითმის საჭიროებით გამოწვეულ გამონაკლისებს, როგორებიცაა, მაგალითად, ტიციან ტაბიძის ცნობილი სტრიქონი: „მე დავიბადე აპრილის თვეში“).

აქ ყველაფერი ნათელია და სადავოც არაფერია. მაგრამ შეცდომები მაინც გვხვდება და ისინი დაკავშირებულია სწორედ ზემოხსენებულ შემოკლებულ ხმარებასთან: იმის გამო, რომ მხოლოდ რიცხვის ან თვის ხსენებისას -**ში** თანდებულს ვხმარობთ, იგი შეცდომით გადაგვაქვს იქაც, სადაც მხოლოდ უთანდებულო ფორმები უნდა ვიხმაროთ. ასე მივიღეთ უმართებულო გამოთქმები: **1998 წელში, ამ (იმ) წელში** – უთუოდ რუსულის გავლენით (შდრ. в 1998 году, в этом году). საერთოდაც, ფორმა **წელში** მიუღებელია სალიტერატურო ქართულისათვის: -**ში** თანდებული ერთვის მხოლოდ ამ სიტყვის სრულ სახეობას – **წელიწადს**. მაგალითად: **წელიწადში** 12 თვეა. ეგევე სრული ფორმა გამოიყენება მოქმედების გზისობის (ჯერადობის) აღნიშვნისას. მაგალითად: **წელიწადში** (და არა **წელში**) ერთხელ, ორჯერ და ა. შ.

მაშასადამე, სწორი ფორმებია: **2000 წელს; ამ (იმ) წელს, გასულ (მომავალ) წელს** (და არა: **2000 წელში, ამ (იმ) წელში, გასულ (მომავალ) წელში**).

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. პირველი რევოლუცია რუსეთში მოხდა 1905 წელში. 2. 2000 წელს, 31 დეკემბერს, დამთავრდა XX საუკუნე. 3. ამ წელიწადში მოსავალს კარგი პირი უჩანს. 4. ვასილ ნელში არაფერი საინტერესო არ მომხდარა ჩემს ცხოვრებაში. 5. შეავსეთ ანკეტა, სად და რომელ წელში დაიბადეთ. 6. მომავალ წელს ნინო მუსიკალურ სკოლას დაამთავრებს. 7. სიტყვა „შარშან“ იგივეა, რაც „გასულ წელში“. 8. რომელ წელს აშენდა ჩვენი სკოლა? 9. გამოთქმა „მომავალ წელს“ იგივეა, რაც „გაისად“. 10. მალე ჩვენ, მეოთხეკურსელები, მე-20 წელში გადავდგებით. 11. (ამ) წელს როგორმე იოლად გავიდეთ, გაისად კი ვნახოთ.

## 17. ახლახანს თუ ახლახან?

(ზოგიერთი ზმნიზედის მართებული ხმარებისათვის)

როცა ვსჯელობთ სულ ცოტა ხნის წინ, ამასწინანდელ, უკანასკნელ ხანებში მომხდარ ამბებზე, ვამბობთ ხოლმე – ეს ამბავი **ახლახან** ან **სულ ახლახან** მოხდაო. დროის აღმნიშვნელი სიტყვა (**ახლახან**) ან მთელი გამოთქმა (**სულ ახლახან**) ტრადიციულად მუდამ აღნიშნული ფორმით იხმარებოდა და ამჟამადაც იხმარება. მაგრამ ბოლო ხანებში თავი იჩინა ამ სიტყვის მცდარმა – **ახლახანს** ფორმამ.

ამასთან დაკავშირებით მკითხველის ყურადღება ერთ საგულისხმო ფაქტს უნდა მივაპყროთ: როგორც ცნობილია, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული ასახავს არა მხოლოდ სწორ, ლიტერატურულ ფორმებს (რაც ძირითადად ორთოგრაფიული ლექსიკონის საქმეა), არამედ უმართებულო ფორმებსაც, თუკი ისინი უხმარიათ ჩვენს მწერლებს – უნებლიეთ თუ შეგნებულად, თუმცა იქვე მითითებულია სწორი ფორმებიც (საგანგებო მითითებათა სისტემის გამოყენებით).

არამცთუ 1950 წელს, როცა გამოიცა განმარტებითი

ლექსიკონის I ტომი, არამედ 1986 წელსაც, როცა ამ ლექსიკონის ერთტომეული გამოვიდა, ფორმა **ახლახანს** არ არსებობდა: ჩანს, მანამდე იგი არც მხატვრულ, არც სამეცნიერო-ლიტერატურაში და არც პრესაში არ დადასტურებულა. მაშასადამე, ეს უმართებულო სანიანი ფორმა გვიანდელი შემოქმედია. უნაში უკვე არსებული **დიდხანს**, **ერთხანს** სიტყვების ანალოგიით. მაგრამ მიცემითის ს-დართული ფორმები გამართლებულია, როგორც გრამატიკული ცვალების შედეგად მიღებული გაქვავებული ფორმები. აკი გვაქვს: **დიდი ხანი** (გავიდა), **დიდმა ხანმა** (განვლო), **დიდ ხანს** (გაუვლია)... სწორედ ამ უკანასკნელ ფორმაშია გაქვავებული რთული შედგენილობის **დიდხანს**, რომელიც ამის გამო უკვე ერთ სიტყვად იწერება. მაგრამ ჯერ არ გაქვავებულა **კარგა** სიტყვასთან შეხამებული საზღვრული სახელი **ხანი**, რომელიც იბრუნვის: **კარგა ხანი** (გავიდა), **კარგა ხანმა** (განვლო), **კარგა ხანს** (იჯდა)...

იმავეს ვერ ვიტყვით **ახლახან** სიტყვაზე, ვინაიდან მისი პირველი შემადგენელი სიტყვა **ახლა**, განსხვავებით **დიდი**, **მეტი**, **ერთი** სახელური მსაზღვრელებისაგან, არ იცვლება, ვინაიდან იგი ზმნიზედაა. შესაბამისად უცვლელი რჩება – ყოველგვარი დამატებითი ნიშნის გარეშე – მეორე შემადგენელი სიტყვა **ხანიც**. შდრ. **ზოგჯერ** სიტყვის სინონიმი **ხანდახან**, რომელიც გაორკეცების შედეგადაა მიღებული.

**ახლახან** სიტყვის ხმარებისას სხვა დარღვევაც შეინიშნება: თავკიდური **ა** ხმოვნის ნაცვლად **ე** იხმარება ხოლმე, რაც შეცდომათა რაოდენობას კიდევ უფრო ზრდის: გვხვდება როგორც **ეხლახან**, ისე **ეხლახანს** (ამოსავალ სიტყვებში **ა** და **ე** ხმოვნების ურთიერთობის შესახებ დაწვრილებით იხ. **ეხლა თუ ახლა?**).

მაშასადამე, სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით სწორი ფორმებია მხოლოდ და მხოლოდ: **ახლახან**, **სულ ახლახან**.

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. **სულ ახლახანს** საგასტროლოდ გაემგზავრა ქართული

ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი. 2. ეხლახან არ გითხარი? რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილო?! 3. სულ ახლახან დისპერტერის დაუდევრობით ვერტმფრენი ჩამოვარდა. 4. ეს ამბავი ეხლახანს მოხდა, ამ ორი დღის წინათ. 5. ყველა ახლახან მომხდარი ამბის შესახებ ლაპარაკობდა. 6. მთელი საზოგადოება შეძრა, სულ ახლახან ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტის დაღუპვამ. 7. სპორტულმა კომენტატორმა სულ ეხლახან სასიხარული ამბავი გვაუწყა ქართველ მოჭადრაკე ქალთა წარმატების შესახებ. 8. ახლახან არ იყო, რომ ვილაპარაკეთ ამის თაობაზე? 9. ჩემი კალამი რა იქნა? ეხლახან აქ მედო. 10. ახლახან მომხდარი ეს პიკანტური ამბავი კიდევ დიდხანს იქნება ქორაობის საგანი.

## 18. დასასრულს და დასასრულ; ბოლო-ბოლო თუ ბოლოს და ბოლოს?

(ზოგი სინონიმური მარტივი ფორმისა და გამოთქმისათვის)

უკანასკნელი ხანების ზეპირ მეტყველებაში თავი იჩინა მსჯელობის ან საუბრის დამამთავრებელი ბოლო და დასასრულ ფუძეების შემცველი ორი უმართებულო სიტყვა-თქმის ხმარებამ.

ა) დავინწყოთ უფრო უხეში დარღვევის განხილვით. ეს არის ბოლო ფუძის უშუალო გაორმაგებით მიღებული რთული სიტყვა ბოლო-ბოლო. აშკარაა, რომ იგი სალიტერატურო ბოლოს და ბოლოს გამოთქმის დამახინჯებული სახეა. საინტერესოა, რომ ახალშექმნილი კომპოზიტი არ შესულა არამცთუ განმარტებითი ლექსიკონის რედაქციულში, რომლის პირველი ტომიც 1950 წელს გამოვიდა, არამედ თვით 1986 წელს გამოცემულ ერთტომეულშიც, რაც ადასტურებს ამ ფორმის გვიანდებლობას.

ასევე, ორთოგრაფიული ლექსიკონის 1968 წლის გამოცემა ამ უმართებულო ვარიანტს ჯერ კიდევ არ იცნობს, თორემ იგი ლექსიკონში შევიდოდა თუნდაც აკრძალვის – [და არა] და [კი არა] სახით, რაც განხორციელდა კიდევ ამ ლექსიკონის ახალ,

1998 წლის გამოცემაში. აქ ვკითხულობთ: [ბოლობოლო კი არა] ბოლოს და ბოლოს (ცალ-ცალკე!). სხვათა შორის, გვაქვს და კავშირით შეერთებული სხვა სიტყვებიცა და გამოთქმებიც, მათ შორის – მაინცდამაინც, მხოლოდ და მხოლოდ, არამც და არამც, თანდათან, ხანდახან, სხვადასხვა, ვინდავან... ამათგან ზოგი ცალ-ცალკე იწერება, ზოგიც – ერთად, მაგრამ არსად მათი გამარტივება არ ხდება და კავშირის ამოღების ხარჯზე. არ ითქმის: მაინც(-)მაინც, მხოლოდ(-)მხოლოდ, თან(-)თან, სხვა(-)სხვა... მაშასადამე, არავითარი გამართლება არა აქვს არც ბოლო-ბოლო ფორმას. იგი ეკონომიის მიზნით შემოკლებული ჟარგონიზმია. სალიტერატურო ფორმა კი ერთადერთია: ბოლოს და ბოლოს, რაც ნიშნავს: „სულ ბოლოს, საბოლოოდ“. მსგავსი გამოთქმები (სამ სიტყვად) სხვაც არაერთია: ისევ და ისევ, კვლავ და კვლავ, კიდევ და კიდევ და ა.შ.

ბ) ახლა შევეხოთ დასასრულ და მის მოცილე დასასრულს ფორმებს. ორივე ვარიანტი კანონზომიერია, ოღონდ სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა მნიშვნელობით: თუ ეს სიტყვა ცალკე გვინდა ვიხმართ ზოგადად მოქმედების დამთავრების მნიშვნელობით, მაშინ იგი „შიშველი“ ფორმით უნდა ვიხმართ და მძიმითაც გამოვყოთ, მაგალითად, ასე: დასასრულ, უნდა შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს...

მაგრამ, თუკი სიტყვა დასასრული ნახმარია საზღვრულად – ამა თუ იმ ღონისძიების ბოლო ნაწილის მნიშვნელობით, მაშინ მას მიცემითის -ს ნიშანი მიემატება. მაგალითად: სხდომის დასასრულს (= სხდომის ბოლოს) გაიმართა კონცერტი. აქ მძიმის დართვა აღარ არის საჭირო. მაშასადამე, მართებულად გაფორმებული გამოთქმების ნიმუშებია, ერთი მხრივ:

ა) ბოლოს და ბოლოს, მხარეები მორიგდნენ;

ხოლო, მეორე მხრივ:

ბ) დასასრულ, გაიმართა კონცერტი,

მაგრამ: სხდომის დასასრულს გაიმართა კონცერტი.

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. ბოლოს და ბოლოს რით გათავდა ეს ამბავი? 2. დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ, ბოლოსდაბოლოს, დაჭრილმა ფოროთხვით მიაღწია სოფლამდე. 3. ფილმის დასასრულს რეჟისორი წარდგა მაყურებლის წინაშე. 4. დასასრულს, მოკლედ შევაჯამოთ ზემოთქმული. 5. ქალბატონო! ბოლო-ბოლო მაინც ჯერ გახეხე, ვის შემდეგ დგახართ?! 6. ბოლოს და ბოლოს, გეყოფათ ერთმანეთის ლანძღვა-გინება და საქმეს მიხედეთ! 7. კონცერტის დასასრულს ღვანლმოსილი დირიჟორი გამოემშვიდობა ყველა ორკესტრანტს და სცენიდან ჩამოვიდა. 8. დასასრულს, კიდევ ერთ საკითხზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. 9. აღარ დამანებებთავს ბოლოს და ბოლოს? 10. ვისაც მტკიცე ნებისყოფა აქვს, ბოლო-ბოლო მაინც მიაღწევს მიზანს.

## 19. ერთჯერ და ერთხელ; პირველჯერ თუ პირველად?

(გზისობა-ჯერობის მაჩვენებელი -ჯერ და -ხელ ნაწილაკები)

მოქმედება შეიძლება დავახასიათოთ როგორც დროის, ადგილის, ვითარებისა და სხვა ნიშნების მიხედვით, აგრეთვე იმის მიხედვითაც, თუ რამდენჯერ ან მერამდენედ ხდება იგი (ამ მნიშვნელობას გრამატიკაში გზისობა-ჯერობას უწოდებენ). საამისოდ ვიყენებთ რიცხვით სახელებს ან ზოგადი სიმრავლის აღმნიშვნელ სხვადასხვა სახელს -ჯერ ელემენტის დართვით: **ორჯერ, ათჯერ, ასჯერ... ბევრჯერ, ზოგჯერ, რამდენჯერ...** ეს ნაწილაკი შეიძლება დაერთოს რიგითობის აღმნიშვნელ სიტყვებსაც: **მეორეჯერ, მეთექვრთხედ, მეთექვრთხედ...**

გამონაკლისს ქმნის ერთი, რომელიც ირთავს -ხელ ელემენტს - **ერთხელ**. მისი მნიშვნელობაა აგრეთვე: „ოდესღაც“, „ერთ დღეს“ (მოვიგონოთ ზღაპარი: „ერთხელ მეფემ დაიბარა შვილები“). -ჯერ / -ხელ ელემენტების განაწილება კარგად ჩანს ქართულ ანდაზაში: „ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი“.

(რუსულში კი ამგვარი განაწილება არა გვაქვს – გამოიყენება მხოლოდ раз: один раз, два раза, пять (сто) раз... გავისხენოთ ბოშური სიმღერის რუსული ტექსტი: „Эх, раз, ещё раз, ещё много, много раз“). ერთადერთი შემთხვევა, როცა ერთჯერ სწორი ფორმაა, გვხვდება მათემატიკურ სიტყვათხმარებაში, კერძოდ, გამრავლებისას: ერთჯერ ერთი.

გარდა ერთისა, ქართულში გამონაკლისს ქმნის სათანადო რიგობითი სახელიც – პირველი. იგი ერთადერთი ფორმით წარმოდგება – პირველად, მაშინ როცა რიგითობის აღმნიშვნელი სხვა სიტყვები პარალელურ წარმოებას გვიჩვენებს. შდრ.: მეორეჯერ და მეორედ, მეთექვსმეტე და მეთექვსმეტედ... ხოლო ახალ ზედსართავთა მისაღებად ყველა რიცხვითი სახელი ერთნაირ სურათს წარმოგვიდგენს: ერთჯერადი (ჩაი, შპრიცი), სამჯერადი (კვება), მრავალჯერადი (გამოყენება)...

მაგრამ -ჯერ და -ხელ ელემენტები მეტყველებაში ყოველთვის სწორად როდი იხმარება. ზოგჯერ ერთის ნაცვლად მეორეს ხმარობენ, ან – პირუკუ (ასე: ერთჯერ, ორხელ), ანდა ამახინჯებენ თვით -ჯერ ელემენტს (ორჯელ, სამჯელ). სალიტერატურო ენაში ფორმათა ამგვარი სიჭრელე და აღრევა შეუწყნარებელია.

გზისობა-ჯერობის შინაარსის გამოსახატავად გამოყენებული მართებული ფორმებია:

ა) რაოდენობით რიცხვით სახელებსა და განუსაზღვრელი სიმრავლის აღმნიშვნელ სახელებთან:

ორჯერ, ოცჯერ, ასჯერ, ათასჯერ... ბევრჯერ, მრავალჯერ, ზოგჯერ, რამდენჯერ...

მაგრამ: ერთხელ (გამონაკლისია: ერთჯერ ერთი).

ბ) რიგობით რიცხვით სახელებთან:

მეორედ და მეორეჯერ, მეთექვსმეტედ და მეთექვსმეტეჯერ...

მაგრამ: პირველად.

**საკვარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. ეს წამალი დღეში მხოლოდ ერთხელ უნდა მიიღო ჭამის წინ.



2. აბა, ბავშვებო, ვინ მიპასუხებს, რამდენია ერთჯერ ერთი? 3. ეს კაცი დღეს უკვე მეორეხელ მოვიდა, შენ კი კვლავ არ დაბვედრიხარ. 4. იცოდე, მესამედ ველარ მთმატყუებ! 5. ნიკოს სავარჯიშოში სამი შეცდომა მოუვიდა და მეორეჯერ მოუხდა გადანერა. 6. პატარა ია ოპერის თეატრში პირველჯერ იყო და ყველაფერს ინტერესით ათვალიერებდა. 7. იბსენის ეს პიესა პირველად 1900-იან წლებში დაიდგა თბილისში. 8. დღეს უკვე ორჯელ გაგაფრთხილე და მესამეჯერ აღარ გამამეორებინო. 9. რამდენჯერ გითხარი, კაცო: რომ დარეკავს, ჩემზე ჰკითხემეთქი. 10. მერამდენედ უყურებ ამ ფილმს? – მერამდენედ და მებუთედ//მებუთეჯერ.

## 20. ოთარი! თუ ოთარ! თემური! თუ თემურ!

(საკუთარ სახელთა მიმართვის ფორმები)

დღე ისე არ გაივლის, ერთმანეთს არ მივმართოთ საკუთარი სახელებით. მაგრამ არცთუ იშვიათად შეცდომები მოგვდის მათი ხმარებისას სწორედ მიმართვის ფორმებში. მაგალითად, ზოგიერთი ჩვენგანი ალბათ თავის ნათესავსა თუ ამხანაგს ამ ფორმებით მიმართავს: **ოთარი! თამაზი! ნოდარი! ჯემალი! ვახტანგი! თემური! ეთერი!** და ა. შ. ესენი უმართებულო ფორმებია, მაგრამ მოსახლეობის ერთ ნაწილს ეს სათანადოდ გაცნობიერებული არა აქვს და კვლავ და კვლავ იყენებს მათ. რა ქმნის სიძნელეს?

ჯერ გავიხსენოთ, რა ვიციტ პირთა სახელების შესახებ. ისინი იყოფა ორ დიდ ჯგუფად: ერთ ჯგუფს ფუძე ხმოვანზე უთავდება (ნანა, ზაზა; ელენე, პეტრე; ნინო, სოსო; ნუნუ, ძუკუ...), მეორეს კი – თანხმოვანზე (თენგიზ, ლევან, ასმათ, რუსუდან...).

ამ ორ ჯგუფს ის აერთიანებს, რომ მიმართვის ფორმებში „შიშველი“ ფუძეები გვაქვს (შდრ.: ნინო! – თამარ! ლაშა – დავით!). მაგრამ მათ შორის განსხვავებაცაა: ხმოვანზე ფუძე-

გათავებულ სახელთა მიმართვის ფორმები ემთხვევა სახელობითს (შდრ.: ნინო მოდის და: ნინო, აქ მოდი!). თანხმობაზე ფუძეგათავებულ სახელებში კი მიმართვის ფორმებს სახელობითისაგან განასხვავებს მისი ი ნიშანი (შდრ.: დავით-ი ხატავს და: დავით, დახატე!).

ხმოვანზე ფუძეგათავებულ სახელთა შორის გვაქვს აგრეთვე ი-ზე დაბოლოებული სახელები: დალი, ლალი, ნანული, მერი, ფატი...; გიორგი, გივი, ირაკლი, აკაკი, ალექსი, ვეგენი, იური...

ვინაიდან მათი ბოლოკიდური ი ხმოვანი ფუძეს არის შეზღუდული, სახელობითში ეს სახელები გარეგნულად ემთხვევა თანხმობაზე ფუძეგათავებულ სახელებს, რომელთაც სახელობითში ერთვის -ი ნიშანი შდრ.: გიორგი და ვახტანგ-ი, რატი და ბაგრატი-ი, გიზი და თენგიზ-ი, ნაზი და გულნაზ-ი, მარი და თამარ-ი და მისთ. სხვაობა მაშინვე ნათელი გახდება, როგორც კი ამ სახელებს მიმართვის ფორმაში ჩავსვამთ. შდრ.: გიორგი! – ვახტანგ! რატი! – ბაგრატი! გიზი! – თენგიზ! ნაზი! – გულნაზ! მარი! – თამარ!..

ზოგჯერ ი-ზე ფუძეგათავებული სახელები რამდენიმე ბრუნვაში (სახ., ნათ., მოქმ., წოდ.) ემთხვევა საზოგადო სახელებს. ამ შემთხვევაში დანარჩენი ბრუნვები ასე გაიმიჯნება:

მერი – მერი-მ, მერი-ს (შდრ. ქალაქისთავი: მერ-მა, მერ-ს...)

ლალი – ლალი-მ, ლალი-ს (შდრ. თვალი: ლალ-მა, ლალ-ს...)

აკაკი – აკაკი-მ, აკაკი-ს (შდრ. ხე: აკაკ-მა, აკაკ-ს...)

ნუკრი – ნუკრი-მ, ნუკრი-ს (შდრ. შელის ნუკრ-მა, ნუკრ-ს...).

რაკი ი ხმოვანზე ფუძეგათავებულ სახელთა მიმართვისა და სახელობითის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა, ამ წესს ზოგიერთი ჩვენგანი თანხმობაზე ფუძეგათავებულ სახელებზედაც ავრცელებს, რაც შეცდომაა: თანხმობაზე ფუძეგათავებულ სახელთა მიმართვის ფორმებში ფუძეს სახელობითის -ი ნიშანი უნდა მოვაცილოთ. მაშასადამე, გვექნება: ოთარ! თემურ! არჩილ! თამაზ! აპოლონ! ნესტან! რუსუდანი!..

მიმართვის ფორმების სწორად ხმარება ხელს უწყობს სხვა ფორმების სწორად წარმოებას. ვინც მიმართვის ფორმად მხოლოდ ფუძეს იყენებს, ის სხვა ფორმებსაც სწორად იხმარს, ასე:

ეთერ! – ეთერ-მა, ეთერ-ს; ოთარ! – ოთარ-მა, ოთარ-ს;  
როდამ! – როდამ-მა, როდამ-ს; ადამ! – ადამ-მა, ადამ-ს;  
უშანგ! – უშანგ-მა, უშანგ-ს და ა. შ.

**საპარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სატყევეთა და სხვა დომიანი წინადადებები სწორად გადანერეთ:

1. *ოთარი!* ჩაქუჩი მომანოდე, შენს გაზრდას! 2. გუშინ *თამა-ზიმ* სატელევიზიო კინოვიქტორინის ყველა კითხვას უპასუხა და გაიმარჯვა. 3. *ჯემალის* უთხარი, კვირას აუცილებლად მოდი, გელოდები-თქო! 4. *ნოდარი!* სადა ხარ, კაცო? არ გესმის, ხმა გამეცი! 5. *ბატონმა დიმიტრიმ* რომ გკითხათ, იმის შესახებ რას იტყვით? 6. *თამაზმა* მეტოქესთან ვერაფერი გაანყო და დანებდა. 7. თუ შეიძლება, *უშანგის* გადაეცით, რომ უსათუოდ დამირეკოს. 8. ეს ამბავი *ვახტანგმა* და *თემურიმ* გვიამბეს. 9. *გურამის* რომ ჰკითხო, მასზე ჭკვიანი სხვა არ დადის ამ ქვეყანაზე. 10. კარგი, *თემურ*, თანახმა ვარ, ოღონდ ერთი პირობით. 11. ყველას სცოდნია მეგობრის ავადმყოფობის ამბავი: *ზურაბსაც, მერაბსაც, ირაკლისაც და გენადისაც*. 12. გადაეცით ბატონ *ევგენს*, რომ პრეზიდენტის სხდომა შედგება 11 საათზე.

## 21. ვერდმა თუ ვერდომ? გარიბალდს თუ გარიბალდის?

(ი-ზე ფუძეგათავებული უცხოური გვარების ბრუნებისათვის)

ქართულ ენციკლოპედიურ, დარგობრივ-ტერმინოლოგიურ თუ სხვა სახის ლექსიკონებში, მათ შორის – საკუთარ სახელთა ორთოგრაფიულ ლექსიკონში აღნუსხულია მრავალი ქართველი თუ უცხოელი საზოგადო მოღვაწის, მეცნიერის, მწერლის, მხატვრის, კომპოზიტორისა თუ სხვა გამოჩენილი პირის გვარები. მათგან თანხმოდანზე ფუძეგათავებულ გვარებს სახელობითში დაერთვის ბრუნვის ნიშანი -ი. ამის მიხედვით გვაქვს: აინშტაინი, ბაირონი, გოგოლი, დიკენსი, ედისონი, ვიიონი, მანი, პრუსტი,

პუშკინი, სერვანტესი, ფლობერი, შექსპირი, ჩეხოვი, ჰომერო-  
სი...

მაგრამ, ამასთანავე, გვაქვს ისეთი გვარებებიც რომელთა  
ბოლოკიდური - ი ფუძისეულია, და არა სახელობითი ბრუნ-  
ვის ნიშანი. ესენია უმეტესად იტალიური და, ნაშრობრივ,  
ბერძნული, აგრეთვე სლავური წარმოშობის გვარები: ვერდი,  
ბელინი, ვივალდი, ჩელინი, პუჩინი, როსინი, დონიცეტი, გარი-  
ბალდი, მაძინი, ფელინი, ანტონიონი, მასტროიანი, ვიტი, მანი-  
ანი, როსი...; დიმიტრიადი, ჩაკალიდი, ასლანიდი; დოსტოვესკი,  
ბროდსკი და სხვ.

როგორც ვხედავთ, სახელობითში ერთმანეთს ემთხვევა  
თანხმოვანსა და ი ხმოვანზე ფუძეგათავებული გვარები. გან-  
სხვავებას ქმნის ამ ორი სახის გვარების სხვა ბრუნვათა ფორმე-  
ბი (გარდა ნათესაობითისა და მოქმედებითისა). შევადართ, მაგალითად, მოთხრობითისა და მიცემითის ფორმები:

პუშკინმა და პუჩინიმ (პუშკინს და პუჩინის), რასინმა და როსი-  
ნიმ (რასინს და როსინის), მიტჩელმა და ბოტიჩელიმ (მიტჩელს  
და ბოტიჩელის), ბუნინმა და ბელინიმ (ბუნინს და ბელინის),  
რიდმა და დიმიტრიადიმ (რიდს და დიმიტრიადის), დარტანიანმა  
და მასტროიანიმ (დარტანიანს და მასტროიანის)...

მაშასადამე, ი-ზე ფუძეგათავებული იტალიური, ბერძნული,  
სლავური (რუსული, პოლონური...) და სხვ. გვარები ზოგ ბრუნ-  
ვაში (მოთხრობითი, მიცემითი) გვიჩვენებს ასეთ ფორმებს:

ვერდიმ, ვერდის (მიც.); ვივალდიმ, ვივალდის (მიც.)

გარიბალდიმ, გარიბალდის (მიც.)

დიმიტრიადიმ, დიმიტრიადის (მიც.)

ბელინიმ, ბელინის (მიც.); როსინიმ, როსინის (მიც.)

მასტროიანიმ, მასტროიანის (მიც.)

ჟოლიო-კიურიმ, ჟოლიო-კიურის (მიც.)

დოსტოვესკიმ, დოსტოვესკის (მიც.)

ჩაიკოვსკიმ, ჩაიკოვსკის (მიც.)

ვისოცკიმ, ვისოცკის (მიც.) და სხვ.

ამავე წესის მიხედვით იბრუნვის ი-ზე ფუძეგათავებული  
პირთა საკუთარი სახელებიც (მერი, ლილი, ფატი, გივი, გიორგი,

აკაკი...), საზოგადო სახელებიც (ლობი, ჟოური, ტაქსი, ჰობი, ჟოკეი, ჰარაკირი...) და გეოგრაფიული სახელებიც (დედი, ესენტუკი, იასი, ჰაიტი, ჰელსინკი...).

**შენიშვნა:** ი-ზე ფუძეგათავებულ გვარებს ფუძინეული ჩამოეკვეცებათ მხოლოდ მრავლობითში: გარიბალდები, მასტროიანები, ჩაიკოვსკები...

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. ილია ჭავჭავაძემ თავისი ლექსი „მესმის, მესმის“ იტალიელთა ეროვნულ გმირს – *ჯუზეპე გარიბალდის* მიუძღვნა. 2. თავის დროზე ფლობერს „*მადამ ბოვარმა*“ დიდი პოპულარობა მოუპოვა მკითხველთა შორის. 3. *ვერდიმ, დონიცეტმა, როსინიმ, ბელინიმ, პუჩინიმ, ვივალდმა* კლასიკურ მუსიკას ნამდვილი შედევრები შესძინეს. 4. როგორც გადმოცემით ვიცით, თურმანიძეების წინაპარმა თავისი მალამოთი უმკურნალა გარიბალდს. 5. ტაქსს მგზავრი მიჰყავს გმირთა მოედნიდან რკინიგზის სადგურზე. 6. რომელი ოპერები დაწერა რუსმა კომპოზიტორმა ჩაიკოვსკმა? 7. გამოსათხოვარ კონცერტზე *ოდისეი დიმიტრიადმა* და მისმა ორკესტრმა უდიდესი სიამოვნება მოჰგვარეს მსმენელს. 8. – *ტაქსი! ტაქსი!* – დაუძახეს ტაქსისტს რესტორანში მიმავალმა ბიჭებმა. 9. ცნობილი ნახატი „ვენერას დაბადება“ ეკუთვნის *ბოტიჩელს*. 10. *დოსტოევსკიმ* დაწერა რომანი „დანაშაული და სასჯელი“.

## 22. მამაო არჩილი თუ მამა არჩილი მოვიდა? მამაო ზურაბ! თუ მამა ზურაბ!

(სულიერ მამათა მოხსენიებისა და მიმართვის ფორმები)

დღეს, როცა რელიგია ჩვენში აღარ იკრძალება, ეკლესიაც აღორძინების გზაზეა და საზოგადოებაც ხელახლა ეჩვევა

დავინყებულ საეკლესიო ტერმინოლოგია-ფრაზეოლოგიას, ყურადღებას იქცევს სულიერ მამათა მოხსენიებისა თუ მიმართვის ფორმების უმართებულოდ ხმარების ფართოდ გავრცელებული შემთხვევები.

ცნობილია, რომ ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი სიტყვა **მამა** რელიგიური მნიშვნელობით ხმარებისას აღნიშნავს როგორც ღმერთს (**მამა ღმერთი**, **მამაზეციერი**), ისე მის ამქვეყნიურ განმასახიერებელს – სასულიერო პირს. მიმართვისას ეს სიტყვა, ჩვეულებრივი მშობლის აღმნიშვნელი სახელისაგან განსასხვავებლად, დამკვიდრებულია სპეციფიკური **მამაო** ფორმით, რომელიც განმარტებით ლექსიკონში განისაზღვრება, როგორც: „სასულიერო პირისადმი მიმართვის ფორმა“. ამავე ლექსიკონის მიხედვით, ცნობილი გამოთქმა **„მამაო ჩვენო“** არის ლოცვისას ღმერთისადმი მიმართვის ფორმა (რომელიც შემდგომ იქცა თვით იმ ლოცვის სახელწოდებად, ამ სიტყვებით რომ იწყება).

ზემოხსენებულ გამოთქმებში **მამა** წინამავალი სიტყვაა. იგი, როგორც ხმოვანზე დამთავრებული მსაზღვრელი, საკუთარ სახელთან შეხამებისას უცვლელია; იცვლება მხოლოდ მომდევნო საკუთარი სახელი. შდრ.: **წმიდა გიორგი – მამა გიორგი, წმიდა გიორგიმ – მამა გიორგი-მ, წმიდა გიორგი-ს – მამა გიორგი-ს** და ასე ბოლომდე. მიმართვისას: **წმიდა გიორგი! – მამა გიორგი!** ამ უკანასკნელ შემთხვევაში გვაქვს გარკვეული ტრადიცია **მამაო** ფორმის ხმარებისა: **მამაო გიორგი! მამაო ალექსი!** (მიმართვის ასეთი ფორმები გვხვდება ეპისტოლარულ ლიტერატურაში) და ისინი დასაშვებ ფორმებადაა მიჩნეული.

მაგრამ სრულიად შეუწყნარებელია **მამაო** ფორმის გამოყენება იქ, სადაც მიმართვის კონტექსტი არა გვაქვს. დღეს კი საკმაოდ ხშირად გვეხმის და ვკითხულობთ: „**მამაო ამბობს**“, „**მამაომ თქვა**“, „**მამაოს უთქვამს**“... ასევე, საკუთარ სახელთან ერთად: „**მამაო არჩილი მოვიდა**“, „**მამაო არჩილმა ბრძანა**“, „**მამაო არჩილს მოვახსენე**“... ეს იგივეა, რომ გვეთქვა: ბატონო არჩილი მოვიდა, ბატონო არჩილმა ბრძანა და ა. შ.

მაშასადამე, სასულიერო პირის მიმართ **მამაო** ფორმის ხმა-

რება გამართლებულია მხოლოდ მიმართვის ფორმებში – ისიც, მაშინ, როცა ეს საზოგადო სახელი დამოუკიდებლად გამოიყენება; გამონაკლისის სახით დასაშვებია აგრეთვე ამ ფორმის ხმარება საკუთარ სახელთან ერთად მხოლოდ მიმართვისას, ვინაიდან ამის კულტურული ტრადიცია არსებობს (მაგ., ილიას წერილში: **მამაო ალექსი!**). ყველა სხვა ფორმაში სიტყვა **მამა** უცვლელი დარჩება; შეიცვლება მხოლოდ საკუთარი სახელი:

**მამა შიო, მამა შიომ, მამა შიოს... მამა(ო) შიო!**

იგივე წესი გვექნება, თუ **მამას** შეენაცვლება **მეუფე**:

**მეუფე დავით-ი, მეუფე დავით-მა, მეუფე დავით-ს... მიმართვის ფორმა იქნება: მეუფე დავით!**

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. **მამაო გიორგიმ** თქვა, რომ აღსარების სათქმელად და ზიარების მისაღებად საგანგებო ღოცვები უნდა წავიკითხოთ.
2. **მამა ზურაბი** რომ მოვა, ის უკეთ აგვიხსნის ყველაფერს მარხვის საჭიროების შესახებ.
3. **მამა არჩილმა** მოსკოვში დაამთავრა სასულიერო აკადემია.
4. ამ რამდენიმე დღის წინათ **მამაო დავითი** სატელევიზიო გამოსვლაში წმინდა გიორგის შესახებ ლაპარაკობდა.
5. მომიტევე და შემინდე ცოდვები, **წმინდა მამაო!**
6. **მამა მირიანმა** იმ დღეს შესანიშნავი ქადაგება წაიკითხა.
7. **მამაო ზოსიმეს** ყოველ სიტყვას მრევლი სულგანაბული უსმენდა.
8. „**მამაო ჩვენო**“-ს სიტყვები ყოველმა ჭეშმარიტმა ქრისტიანმა ზეპირად უნდა იცოდეს.
9. **მამა შიო** ერთ-ერთი საუკეთესო ახალგაზრდა მღვდელია, ცნობილი თავისი განათლებითა და ზნეობით.
10. მხოლოდ **მამაო ანტონთან** აღსარების თქმა არ არის საკმარისი: კაცი უნდა ეცადოს, ყოველდღიურად კეთილი საქმე აკეთოს.

## 23. ბარათაშვილი დავითი და ბარათაშვილი დავით

(სახელ-გვარის შებრუნებული წყობით ხმარების შესახებ)

ქართულში სახელი და გვარი ორი წყობით გვხვდება: გაბმულ მეტყველებაში ბუნებრივია პირდაპირი წყობა: ჯერ სახელი და შემდეგ – გვარი: გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე... სახელი აქ ფუძის სახითაა წარმოდგენილი, იბრუნვის მხოლოდ გვარი: დავით გურამიშვილი, დავით გურამიშვილმა, დავით გურამიშვილს, დავით გურამიშვილის და ა. შ.

გაბმულ მეტყველებაში შებრუნებული წყობა, როგორც წესი, მოსალოდნელი არ არის და იგი მხოლოდ სპეციფიკურ კონტექსტებში გვხვდება. მაგ., სკოლის მასწავლებელმა შეიძლება ასე გამოიძახოს მოსწავლე: იაშვილი რუსუდანი გამოვიდეს დაფასთან! (თუმცა ასეთი ხელოვნური შეხამებები სინამდვილეში შედარებით იშვიათია).

ჩვეულებრივ, გვარ-სახელებს შებრუნებული წყობით ვწერთ ანბანურ სიებში, რეესტრებში, დავთრებში, ენციკლოპედიურ ან საკუთარ სახელთა ლექსიკონებში, რადგანაც ადამიანის სახელ-გვარისაგან შედგენილ საკუთარ სახელთა დალაგება ამგვარ სიებში მოძებნის გასაადვილებლად მოსახერხებელია სწორედ გვარების მიხედვით.

მაგრამ, ვინაიდან უკუნეობისას მომდევნო სახელი ბრუნებადი ხდება, ხოლო თანხმოვანფუძიან სახელთა შემთხვევაში იქმნება საფრთხე სახელობითის ნიშნის -ი ხმოვნის ფუძესთან შეხორცებისა, ქართული სალიტერატურო ენის ნორმების სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილებით, პირთა ანბანურ სიებში გვარის მომდევნოდ სახელები ისევ ფუძის სახით იწერება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს მხოლოდ პროფილაქტიკური საშუალებაა და მისი მიზანია, დააბრკოლის სახელობითი ბრუნვის -ი ნიშნის შეზრდა ფუძესთან სახელისა და გვარის ბუნებრივი, პირდაპირი წყობით ხმარებისას.

მაშასადამე, ანბანურ სიებში გვარის მომდევნო სახელი ისევ ფუძის სახით გვექნება:



აბაშიძე გურამ  
ბერიძე ნოდარ  
გაბაშვილი რუსუდან  
დოლიძე ჯემალ  
ელიავა ზურაბ  
ვაჩნაძე მარიამ...



მაგრამ წინადადებაში იგივე სახელი იბრუნვის, მაგალითად:  
განთავისუფლდეს თანამდებობიდან აბაშიძე გურამი პირადი  
განცხადების საფუძველზე.

**შენიშვნა:** თუკი სახელს მამის სახელიც ახლავს, იგი მუდამ  
მომდევნო იქნება – იმის მიუხედავად, სახელი წინ  
უძღვის გვარს, თუ მოსდევს. ორსავე შემთხვევა-  
ში სახელი ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი,  
ხოლო მამის სახელი და მისი მომდევნო ძე ან ასული  
დეფისის გარეშე, ცალკე სიტყვებად დაინერება.  
შევადართ:

თამაზ სიმონის ძე მესხი და: მესხი თამაზ სიმონის ძე;  
ასმათ შიოს ასული კიკნაძე და: კიკნაძე ასმათ შიოს ასული.

**საპარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეც-  
დომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. გთხოვთ სიჩუმეს! დღეს ხელს აწერენ ხელაძე ჯიმშერ და  
იაშვილი ფატმან. 2. შვილები გულქანი, ელი ზბარ დოლიძეები  
იუნყებიან მამის – ალექსი დოლიძის გარდაცვალებას. 3. რამინ  
და ვისი „ვისრამიანის“ მთავარი პერსონაჟები არიან. 4. ძმები  
არველაძეებიდან რომელია უკეთესი ფეხბურელი – არჩილ,  
რევაზ თუ შოთა? 5. დღეს მაყურებლის წინაშე პირველად  
წარდგებიან ახალგაზრდა მსახიობები – კასრაძე ქეთევან და  
გადილია მერაბი. 6. მეუღლე დავით მალრაძე, ძმები ლევან და  
გიორგი რუხაძეები იუნყებიან მეუღლისა და დის – ასმათი რუხა-  
ძის გარდაცვალებას. 7. ახლა კი გთხოვთ, სცენაზე გამოვიდეს  
მექორნილეთა ახალი წყვილი – გაგნიძე ჯემალ და მესხი თამარ.  
8. ქართული მწერლობის ცნობარში ქართველ მწერალთა გვარ-

სახელები დალაგებულია გვარების ანბანური რიგის მიხედვით: აბაშიძე გრიგოლი, ბარათაშვილი ნიკოლოზ, გოგებაშვილი იაკობი, დუმბაძე ნოდარი, ერისთავი რაფიელ და ა. შ. 9. მიკროფონთან ვინვევთ მამა-შვილს – მურმანი და უშხვაძე სადრატეხს. 10. მთავრობის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ რეჟისორები სტურუა რობერტი, ჩხეიძე თემურ, მსახიობები კობერიძე ოთარ, ეგუტია მარლენი, თავაძე მერაბ.


## 24. დ. აღმაშენებელი და გ. ბრწყინვალე?

(სახელისა და ზედწოდების წერილობითი გაფორმება)

საბჭოეთის დაშლა და მასთან კანონზომიერად გადაჯაჭვული მრავალსახოვანი ეროვნული მოძრაობა თავისებურად აისახა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების გეოგრაფიულ სახელებში. ერთბაშად შეიცვალა ისეთი „იდეოლოგიური“ სტერეოტიპული სახელწოდებები, როგორცია: გამარჯვება, განათლება, განახლება, შრომა, სინათლე, წითელწყარო და მისთ. ქართველ, რუს და ზოგი სხვა ეროვნების რევოლუციონერთა გვარების მიხედვით შერქმულმა სახელებმა გზა დაუთმო ძველ, ისტორიულ სახელებს. დასახლებული პუნქტების ადრინდელ სახელთა აღდგენის პროცესს მოჰყვა ქალაქის ქუჩებისა და მოედნების, სხვადასხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების სახელების გადარქმევის პროცესი.

ამავე დროს მსგავსი ობიექტების სახელწოდებებში ბუნებრივად მომრავლდა ქართველ მეფეთა, ისტორიულ პირთა, ცნობილ მოღვაწეთა სახელები: დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე, თამარ მეფე, დიმიტრი თავდადებული, ზაზა ფანასკერტელი, ქეთევან წამებული, თევდორე მღვდელი და სხვ.

ბუნებრივია, ეს სახელები გაჩნდა ამ პირთა სახელობის ქუჩების ტრაფარეტებზედაც – სამისამართო ფირფიტებზე, მაგრამ ეს საკუთარი სახელები ხშირად ვერ არის სასურველ დონეზე გაფორმებული.



რა გვაქვს მხედველობაში? საქმე ეხება ინიციალების საკითხს.

ცნობილია, რომ ამა თუ იმ პირის სახელ-გვარის ხმარებისას ქუჩის სამისამართო ტრაფარეტებზე სახელობის მხარე ინიციალით ფორმდება და ეს ბუნებრივიცაა. ამა თუ იმ მოღვაწის გვარი სახელის სრულად გაფორმების გარეშეც ასრულებს თავის პირდაპირ, უშუალო დანიშნულებას, ანუ სამისამართო ფუნქციას. მაგრამ, როცა საკითხი ეხება მეფეთა და სხვა ისტორიულ პირთა სახელებს, მათ გვარის ნაცვლად, ჩვეულებრივ, ზედწოდება მოსდევს, რომელიც ამა თუ იმ პირის წოდებას, ხელობას, წარმომავლობას ან სხვა ნიშან-თვისებას აღნიშნავს. მაგ.: ვახტანგ გორგასალი (= „მგლის თავი“), იაკობ ცურტაველი (იაკობ ხუცესი), აბო თბილელი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, შოთა რუსთაველი, დიმიტრი თავდადებული, ქეთევან წამებული, გიორგი ბრწყინვალე, ზაზა ფანასკერტელი (ციციშვილი), თევდორე მღვდელი და სხვ. ამასთან, სახელი და ზედწოდება, როგორც საკუთარი სახელები, შეიძლება ითქვას, თითქმის თანაბარი ღირებულებისაა (ზედწოდება გვარის ფუნქციას არ ასრულებს). ამიტომ გაუმართლებელია ამ შემთხვევაში სახელის ინიციალით გაფორმება, ვთქვათ, ასე: **დ. აღმაშენებლის გამზირი, გ. ბრწყინვალის ქუჩა, ზ. ფანასკერტელის ქუჩა, ქ. წამებულის ქუჩა, დ. თავდადებულის ქუჩა...**

კიდევ უფრო დიდი გაუგებრობაა ამა თუ იმ პირის ინიციალისა და ზედწოდების ჩართვა აბრევიატურაში. ასეთია, მაგალითად, შემოკლება **სდასუ**, რომელიც ასე იშიფრება: „**საქართველოს დ. (ასეა!) აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი**“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ადრე სტალინის სახელობისა იყო, ახლა კი – ივანე ჯავახიშვილის სახელობისაა, მაგრამ ამ პირთა არც სახელი, არც გვარი (და არც ფსევდონიმი!) არასდროს შესულა ამ უნივერსიტეტის სახელწოდების ქართულ ან რუსულ შემოკლებაში (**თსუ, ТГУ**), ისევე როგორც ადრე ვ. ლენინისა მისი სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, შემდგომ – ტექნიკური უნივერსიტეტის სათანადო აბრევიატურებში (**სპი, ГПИ; სტუ, ГТУ**).

ზოგ შემთხვევაში უხერხულობას ზრდის სახელთა ინიცი-  
ალების დამთხვევა. ამის გამო ერთდროულად **თამარ მეფისა** და  
**თეიმურაზ მეფის** სახელობის ქუჩების სახელწოდებათა გაფორ-  
მება ინიციალური წესით (თ. მეფის ქუჩა) აზრს უარგავს. ერთი  
ნუთით წარმოვიდგინოთ, რომ რუსეთში გვექონოდა ანტიკონად  
გაფორმებული მეფეთა სახელები: ул. П. (=Петра) Великого, И.  
(=Ивана) Грозного, ანდა ევროპულ ენებზე ასეთი შემოკლებები  
გვექონოდა: რ. (=რიჩარდ) ლომგული, პ. (=პიპინ) მოკლე და მისთ.  
აქ ნამდვილი სახელი ფაქტობრივ დაგვეკარგებოდა და ხელთ  
შეგვრჩებოდა მხოლოდ ზედწოდება.

როგორც ვხედავთ, ზედწოდება გვარი არ არის. ამიტომ  
ზედწოდების წინამავალი სახელი სრული სახით უნდა ვიხმა-  
როთ. ინიციალით მისი გაფორმების პრაქტიკა უნდა აღიკვეთოს  
ნებისმიერ საინფორმაციო წყაროში: ცნობარებში, სახელმძღ-  
ვანელოებში, რუკებზე, ტრაფარეტებზე და სხვ.

მაშასადამე, სახელი და ზედწოდება ასე უნდა გაფორმდეს:  
**თამარ მეფე, ქეთევან დედოფალი / ქეთევან წამებული,**  
**ანტონ კათალიკოსი, გაბრიელ ეპისკოპოსი, იაკობ ხუცესი...**

დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე, ეფრემ მცირე,  
ივანე მრისხანე, პეტრე დიდი, რიჩარდ ლომგული, კარლოს  
დიდი...

მოსე ხონელი, შოთა რუსთაველი, ლეონტი მროველი, ვაჟა-  
ფშაველა, ბექა ოპიზარი, ერაზმ როტერდამელი...

პეტრე პირველი, ერეკლე მეორე, ვახტანგ მეექვსე, ლუი  
მეთოთხმეტე...

ერთადერთი შემთხვევა, როცა რთული შედგენილობის საკუ-  
თარი სახელი შეიძლება შემოკლდეს, ითვალისწინებს რიცხვითი  
სახელის რომაული რიცხვით გამოხატვას, ასე: **პეტრე I, თეიმუ-  
რაზ II, ვახტანგ VI, ლუი XIV...** ამ შემთხვევაში, თუ რიგობით  
სახელს რომაული რიცხვით გამოვხატავთ, ბრუნვის ნიშანი  
(გარდა სახელობითისა) ან თანდებული დეფისით გაფორმდება,  
ასე:

**მეფე ერეკლე II-ის, მეფე სოლომონ I-თან და ა. შ.**

თუკი საკუთარ სახელს ახლავს ერთდროულად ხელობის,

წოდების ან თანამდებობის აღმნიშვნელი საზოგადო სახელიცა და ზედწოდებაც, მაშინ თანამიმდევრობა ასეთი იქნება: საზოგადო სახელი + საკუთარი სახელი + ზედწოდება (იქნება ოსკუიფუტის გამომხატველი ზედსართავი, წარმომავლობის სახელი თუ დინასტიის მაჩვენებელი რიცხვითი სახელი) მზავალითა და

მეფე ივანე მრისხანე, მეფე დიმიტრი თავდადებული, მეფე პეტრე პირველი, იმპერატორი ეკატერინე მეორე, დედოფალი ანა ავსტრიელი...

**საპარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. დ. აღმაშენებელს ეკუთვნის შესანიშნავი ლიტერატურული ნაწარმოები „გალობანი სინანულისანი“. 2. პუშკინის თქმით, პეტრე პირველმა რუსეთს ევროპისაკენ სარკმელი გაუჭრა. 3. ქ. ნამებულის ქუჩა თბილისის აეროპორტისაკენ მიმავალ გზაზეა. 4. შოთა რუსთაველი მსოფლიოს გენიალურ პოეტთა რიცხვს ეკუთვნის. 5. მეფე დ. თავდადებული მონღოლთა ბატონობის დროს მართავდა ქვეყანას. 6. თევდორე მღვდელს თავისი გმირობა სიცოცხლის ფასად დაუჯდა. 7. ალ. ნეველი და დიმიტრი დონელი მეფის რუსეთის დიდი მხედართმთავრები იყვნენ. 8. ი. ხუცესი იაკობ ცურტაველის სინონიმად იხმარება. 9. ვიორჯი მერჩულემ გრ. ხანძთელის ცხოვრება აღწერა. 10. ლ. მროველი XI საუკუნის ქართველი მემკვიდრეა.

**25. პროფესორი ბერიძის თუ პროფესორ ბერიძის ბინა? ბატონ ზურაბის თუ ბატონი ზურაბის წიგნი?**

(წოდება-თანამდებობისა და ხელობა-პროფესიის სახელთა ბრუნება საკუთარ სახელებთან ერთად)

ადამიანის გვარს შეიძლება მსაზღვრელად ახლდეს წოდების, თანამდებობის ან ხელობისა თუ პროფესიის აღმნიშვნელი საზოგადო სახელები: ექიმი, ადვოკატი, პოეტი, მწერალი, პროფესორი

რი, დოცენტი, თავადი, აზნაური, ... ლორდი, გრაფი, გენერალი, ოფიცერი, კაპიტანი, ... მოქალაქე, ამხანაგი, ბატონი, ქალბატონი... უკანასკნელ სამს შეიძლება ახლდეს როგორც გვარის სახელიც: ამხანაგი სტალინი, ამხანაგი სერგო; ბატონობაში, ქალბატონი კენედი, ბატონი გიორგი, ქალბატონი მერი.

ეს საზოგადო სახელები ამჟამად, როგორც წესი, წინ უძღვის საკუთარს: ექიმი გამრეკელი, პროფესორი ბერიძე, გენერალი ლესელიძე. ძველ ქართულში ამ სახის მსაზღვრელი სახელები მოსდევდა საკუთარს, ე. ი. დღევანდელის შებრუნებული წყობა გვქონდა და ბრუნებაც ძალზე მარტივი იყო: იბრუნებოდა მხოლოდ მომდევნო საზოგადო სახელი, წინამავალი საკუთარი სახელი კი ფუძის სახით იყო წარმოდგენილი და არ იბრუნებოდა. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია გავიხსენოთ ისეთი სიტყვათშეხამებები, როგორიცაა: იაკობ ხუცესი, აბო თბილელი, თამარ მეფე, თევდორე მღვდელი, ანტონ კათალიკოსი და მისთ., რომლებშიც პირველი წევრი უცვლელია, მეორე კი - ცვალებადი.

ზოგჯერ, მეტადრე სოფლად, დღესაც ამავე წყობით ხმარობენ საკუთარ სახელებს ისეთ საზოგადო სახელებთან, როგორიცაა ექიმი და მასწავლებელი: თინა ექიმი, ნინო მასწავლებელი. ასეთი შეხამებები სასაუბრო მეტყველებაში მიმართვის საჭიროებას უნდა წარმოეშვა (თინა ექიმო! ნინო მასწავლებლო!).

მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ენაში ამგვარმა სახელებმა კარგა ხანია საკუთარი სახელის წინ გადმოინაცვლა და ამის კვალობაზე შეიცვალა ბრუნების წესიც: მომდევნო საკუთარი სახელი ცვალებადი გახდა, - იგი იბრუნვის, საზოგადო სახელს კი მისთვის უჩვეულო ადგილას რამდენადმე შეეზღუდა ბრუნების უნარი. გარკვეულმა ლიტერატურულმა გამოცდილებამ თანდათანობით ჩამოაყალიბა ნორმა. კერძოდ, ყველა ამგვარი საზოგადო სახელი უცვლელია, თუ მას ფუძე ხმოვანზე უთავდება. მაგალითად: მოქალაქე ჯაფარიძე, მოქალაქე ჯაფარიძემ, მოქალაქე ჯაფარიძეს და ა. შ.

თუკი ამ სახელთა ფუძე თანხმოვანზე თავდება, ეს სახელები ეთანხმება საზღვრულ საკუთარ სახელს ან გვარს სამ ბრუნ-

ვაში: სახელობითში, მოთხრობითსა და მიმართვის ფორმაში, ანუ წოდებითში: **ექიმი გამრეკელი, ექიმმა გამრეკელმა, ექიმო გამრეკელო!** ყველა სხვა ბრუნვაში, მათ შორის, ნათესაობითსა და მოქმედებითში ეს საზოგადო სახელები შიშველი ფუძის სახითაა წარმოდგენილი: **ექიმ გამრეკელს, ექიმ გამრეკელის, ექიმ გამრეკელით, ექიმ გამრეკელად...**

მსგავსსავე სურათს გვიჩვენებს ანალოგიური დანიშნულების სხვა საზოგადო სახელებიც.

რამდენადმე განსხვავებული ვითარება გვაქვს **ბატონ-** და **ქალბატონ-** სიტყვებთან, რომლებიც დღეს წინ უძღვის გვარს, უპირატესად კი – სახელს. ეს ორი სიტყვა ისევე იბრუნვის, როგორც ნებისმიერი თანხმოვანზე ფუძეგათავებული მსაზღვრელი, ე. ი. ნათესაობითსა და მოქმედებითში ისინი ი დაბოლოებას დაირთავენ, ასე:

**ბატონი ინაურის, ბატონი ინაურით;**

**ქალბატონი რუსუდანის, ქალბატონი რუსუდანით.**

რაც შეეხება **ბატონისა** და **ქალბატონის** ევროპულ შესატყვისებს (სერ, მისტერ, მისის, სინიორ, სინიორა, მადამ, მესიე, დონ, დონა, ჰერ, ფრაუ, ჰან, პანი და მისთ.), იბრუნვის მხოლოდ მომდევნო საკუთარი სახელი – პირის სახელი ან გვარი, ასე:

**ჰან ტადეუში, ჰან ტადეუშმა, ... ჰან ტადეუშ!**

**სერ ჯეფრი, სერ ჯეფრიმ, ... სერ ჯეფრი!**

**ლედი ჯეინი, ლედი ჯეინმა, ... ლედი ჯეინ!**

**მისტერ ჰიგინსი, მისტერ ჰიგინსმა, ... მისტერ ჰიგინს!**

მაშასადამე, საზოგადო სახელები **ბატონი** და **ქალბატონი** საკუთარ სახელებთან ერთად ბრუნებისას, ხელობა-წოდებისა და თანამდებობის სხვა სახელებისაგან განსხვავებით, ინარჩუნებენ -ი ნიშანს ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში. შდრ.::

**ბატონი ივანე, ბატონმა ივანემ, ბატონ ივანეს, ბატონ ივანედ, ბატონო ივანე!**

და:

**ბატონი სიმონის / ქალბატონი ქეთევანის (ლექცია);**

**ბატონი სიმონით / ქალბატონი ქეთევანი (ვამაყობთ).**

ანალოგიური წარმოებისათვის შევუდაროთ:

პროფესორ შანიძის/ახვლედიანის (ლექცია);  
პროფესორ შანიძით/ახვლედიანით (ვადაყობთ).

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეც-  
დომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. პროფესორ შანიძის გრამატიკა ყველა ქართულ სკოლა-  
ში ისწავლება. 2. პრეზიდენტი სააკაშვილის ეს სიტყვა საქარ-  
თველოს ტელევიზიის ყველა არხით გადაიცა. 3. გუშინ ბატონ  
გიორგიმ დამირეკა და თავისი შვილის გამოფენის გახსნაზე  
მიმინვია. 4. კონკურსის უიურის მუშაობაში ბატონი ელდარ  
შენგელაიაც მონაწილეობს. 5. ექიმმა ჩარკვიანმა პაციენტს  
დიაგნოზიც სწორი დაუსვა და სწორადაც უმკურნალა. 6. ქალ-  
ბატონ რუსუდანიტ მთელი ფაკულტეტი ამაყოფს. 7. კომპო-  
ზიტორი ზაქარია ფალიაშვილის ოპერებიდან „აბესალომ და  
ეთერი“ ყველას მიჩვენია. 8. ჟურნალისტ სანაიაშვილიმ ორი  
პარლამენტარი მიიწვია რეფორმაზე სასაუბროდ. 9. ქალბატონ  
დარეჯან! გთხოვთ სასწრაფოდ მაცნობოთ თქვენი ბინის მისა-  
მართი. 10. დირიჟორ დიმიტრიადის ინიციატივით მოწყობილმა  
კონცერტმა ტრიუმფით ჩაიარა.

## 26. იგივე კაცმა თუ იმავე კაცმა?

ერთი და იგივე კაცმა თუ ერთმა და იმავე კაცმა?

(ნაცვალსახელი იგივე და მისი შემცველი გამოთქმა  
ერთი და იგივე მსაზღვრელად ხმარებისას)

ერთ-ერთი ყველაზე ხშირი და ტიპობრივი დარღვევის მაგა-  
ლითია ნაცვალსახელ იგივე-ს ხმარება მსაზღვრელად, როცა  
საზღვრულ სახელს ვცვლით ბრუნვების მიხედვით.

რისგან შედგება სიტყვა იგივე? ეს არის პირის ნაცვალსახე-  
ლი იგი, რომელსაც დაერთვის -ვე ნაწილაკი. თანამედროვე ქარ-  
თულში მხოლოდ ამ ნაწილაკის დართვით ვიღებთ იგი ნაცვალ-  
სახელისაგან მსაზღვრელს. მაგრამ სირთულეებიც სწორედ



აქედან იწყება. იგივე ფორმის შეთანხმება სახელთან ხშირი მეც-  
დომის წყაროა სახელობითისაგან განსხვავებულ ბრუნვებში.

რა ქმნის სიძნელეს? როგორც ცნობილია, ერთდერითი სიტყ-  
ვა, რომელიც სხვადასხვა ფუძეს იყენებს სახელობითსა და ყვე-  
ლა სხვა ბრუნვაში, მესამე პირის ნაცვალსაზღვრია: **ჩგი – მან, მას,  
მის, მით...; ის – იმან, იმას...; ეს – ამან, ამას...; ეგ – მაგან, მაგას...**  
ყველა ამ ნაცვალსახელს, გარდა სახელობითისა, სხვა დანარჩენ  
ფორმებში ფუძედ **მა-** აქვს. წოდებითის ფორმა მათ აკლიათ.

ეს ვითარება უცვლელი რჩება იგი სიტყვაზე -ვე ნაწილაკის  
დართვის დროსაც: მოთხრობითიდან მოყოლებული, მომდევნო  
ბრუნვებში ყველგან **მა-** ფუძე გვექნება: **იმავემ, იმავეს // იმასვე**  
და ა. შ. მას ჩვეულებისამებრ ეცვლება ფუძე და, ამრიგად, **იმავე**  
გვექნება ყველა ბრუნვაში, გარდა სახელობითისა:

სახ. **იგივე საკითხი**

მოთხრ. **იმავე საკითხმა**

მიც. **იმავე საკითხს**

ნათ. **იმავე საკითხის**

მოქმ. **იმავე საკითხით**

ვით. **იმავე საკითხად.**

როგორც ვხედავთ, III პირის ნაცვალსახელს სულ ორი ფორმა  
სჭირდება: ერთი – სახელობითში, მეორე კი – ყველა დანარჩენ  
ბრუნვაში.

ამას გარდა, სიტყვა **იგივე** შედის გამოთქმაში **ერთი და იგივე**,  
რომელიც სამ სიტყვად იწერება. მსაზღვრელად ხმარებისას  
იცვლება მისი ორივე ბრუნებადი ნაწილი – **ერთიც და იგივეც**,  
ოღონდ **ერთი**, როგორც თავისი განსასაზღვრი სიტყვისა-  
გან უფრო დაშორებული სიტყვა, ყველა ბრუნვაში სრულად  
შეეთანხმება საზღვრულს, ფორმა **იმავე** კი სახელობითის შემ-  
დგომი ყველა ბრუნვის გამაერთიანებელია.

თვალსაჩინოებისათვის ვაბრუნოთ მსაზღვრელ-საზღვრუ-  
ლი:

სახ. **ერთი და იგივე საკითხი**

მოთხრ. **ერთმა და იმავე საკითხმა**

მიც. **ერთ(სა) და იმავე საკითხს**

ვით. ერთ(სა) და იმავე საკითხად  
ნათ. ერთი(სა) და იმავე საკითხის  
მოქმ. ერთი(სა) და იმავე საკითხით.



ამასთან, ორ-ორ ბრუნვაში საერთო ფორმები გვაქვს (ერთსა და მოკლე); მიცემითსა და ვითარებითში: ერთსა და იმავე // ერთ და იმავე საკითხს; ერთსა და იმავე // ერთ და იმავე საკითხად, ნათესაობითსა და მოქმედებითში: ერთისა და იმავე // ერთი და იმავე საკითხის; ერთისა და იმავე // ერთი და იმავე საკითხით.

წოდებითი, ანუ მიმართვის ფორმა მსაზღვრელად გამოყენებული იგივე ნაცვალსახელის შემცველ მთელ გამოთქმას არ გააჩნია.

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. დავდე თუ არა ყურმილი, იგივე ნუთს ტელეფონმა ისევ დარეკა.
2. ეგევე საკითხზე სხვა აზრიც არსებობს.
3. ილია და აკაკი ერთი და იგივე დროს მოღვაწეობდნენ.
4. საკამათო არაფერი გვაქვს: სინამდვილეში ერთსა და იმავეს ვამტკიცებთ.
5. ყოველდღე ერთი და იმავე კაცს ვხვდები ერთი და იმავე ადგილზე.
6. ვინც ეს შემატყობინა, იგივე კაცმა მიაბო ერთი საინტერესო ამბავიც.
7. ორივე ძალიან გაგვიტაცა ერთი და იმავე ქალიშვილმა.
8. რამდენჯერ ვიმეორებ ხოლმე ერთსა და იგივეს. აღარ უნდა შეისმინო?
9. ბატონს ჯერ სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ მსახური იმავე ნუთში დატრიალდა მისი სურვილის შესასრულებლად.
10. უკაცრავად, მაგრამ მე კვლავ იმავე საკითხზე უნდა შეგანუხოთ.

## 27. მათმა თქვეს (თქვან) თუ მათ თქვეს (თქვან)?

(მეორე სერიის გარდამავალ ზმნასთან მესამე პირის  
ნაცვალსახელთა სწორად შეწყობისთვის)

ზეპირი მეტყველება, როგორც გაუკონტროლებელი მეტყველება, დროდადრო ახალ-ახალ სიურპრიზებს გვთავაზობს. ალბათ, ბევრ ჩვენგანს გაუგონია ასეთი შესიტყვებები: **მათმა** (ან **იმათმა**) **მითხრეს**, **ამათმა იფიქრეს**, **მაგათმა გადაწყვიტეს** და მისთ.

მართალია, ამგვარი სიტყვათშეხამებები ჯერჯერობით მხოლოდ ზეპირ მეტყველებაში გვხვდება, წერის დროს კი, როგორც წესი, სწორი ფორმები იხმარება: **მათ / იმათ თქვეს**, **ამათ / მაგათ იფიქრეს...**, მაგრამ ზეპირი მეტყველების გავლენით შეცდომები წერაშიც ვრცელდება. ამიტომ ისინი დროზევე უნდა აღმოიფხვრას.

მაინც რატომ არის ეს შესიტყვებები მართებული, ხოლო მანამდე ჩამოთვლილი კი – უმართებულო, ანდა როგორ უნდა გავმიჯნოთ სწორი შესიტყვებები მცდარისაგან? უწინარეს ყოვლისა, კითხვის დასმით:

სიტყვათშეხამებებში – **მათ (მაგათ) თქვეს**, ანდა **ამათ (იმათ) გადაწყვიტეს** და ა. შ., – ნაცვალსახელები **მათ**, **იმათ**, **ამათ**, **მაგათ მოქმედ პირს** აღნიშნავს, მთლიანად ამ შესიტყვებებს კი დაესმის კითხვა: **ვინ თქვა? ვინ გადაწყვიტა?** და ა. შ., ხოლო ფორმები **მათმა**, **იმათმა**, **ამათმა**, **მაგათმა** კუთვნილებას გამოხატავს და დაესმის კითხვა: **ვისმა?** ამ კითხვას კი ჩამოთვლილ ზმნებს ვერაფრით ვერ მივუსადაგებთ, კერძოდ, ვერ ვიტყვით: **ვისმა თქვა? ვისმა გადაწყვიტა?**

მსგავსადვე, მესამე პირი I და II პირით რომ შეგვეცვალა, ვერ ვიტყოდით: **ჩვენმა თქვა**, **თქვენმა გადაწყვიტა** და მისთ. კუთვნილებითი ნაცვალსახელები – **მათმა**, **თქვენმა**, **ჩვენმა...** – შეეხამება მხოლოდ **სახელებს**, რომელთაც ისინი განსაზღვრავენ და არა ზმნებს, ასე: **ჩვენმა მეგობარმა თქვა**, **თქვენმა ნაცნობმა გადაწყვიტა** და ა. შ. ასევე იქნება მესამე პირშიც: ეს

მათმა შვილმა ჩაიდინა.

ესენი სწორად აგებული სიტყვათშეხამებებია. მაშ, რა დროს მოგვდის შეცდომა, ან რა მიზეზით? თავიდაც ავიწყრის, რატომ ყველა დასახელებული ზმნა ნამყო სრულშია, ე.ი. ისტორიაში დგას და სახელისაგან მოთხრობითი ბრუნვის ფორმას მოითხოვს. მრავლობითში დასმულ მესამე პირის ნაცვალსახელებს კი მოთხრობითსა და მიცემითში საზიარო ფორმები აქვთ: ვინ თქვა – მათ (კაცებმა) თქვეს; ვის უთხრეს? მათ (კაცებს) უთხრეს. როგორც ჩანს, ამ დამთხვევის თავიდან ასაცილებლად მავანთ გაუჩნდათ მოთხოვნილება, დამატებით აღენიშნათ მოთხრობითი ბრუნვა. ამიტომ საზიარო ფორმებს დაურთეს სათანადო - მანიშანი, – შეცდომით, რა თქმა უნდა.

მოქმედების აღმნიშვნელ სიტყვებთან – ზმნებთან მხოლოდ პირის ნაცვალსახელები – მათ, ამათ, იმათ, მაგათ – უნდა ვიხმაროთ, ასე:

მათ თქვეს; ამათ გადანყვიტეს; იმათ იფიქრეს;  
მაგათ ჩაიდინეს...

ამავე ფორმებში უნდა ვიხმაროთ ეს ნაცვალსახელები ე. წ. მეორე კავშირებითში: მათ თქვან, ამათ გადანყვიტონ და ა. შ.

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადანერეთ:

1. მათმა პროექტმა ამ კონკურსში ვერ გაიმარჯვა. 2. რაც იმ დღეს მათმა თქვეს, ყველაფერი გამართლდა. 3. ბოლოს და ბოლოს მათ გადანყვიტეს, ქაშვეთში დაენერათ ჯვარი. 4. მათმა მშობლებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ შესაფერისი განათლება მიეცათ შვილებისათვის. 5. მათ ისე შეადგინეს დოკუმენტი, რომ დამატებითი შემონიშნება აღარ დასჭირვებია. 6. ჩვენმა მოჭადრაკეებმა და მათმა მწვრთნელებმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს. 7. ამათმა მხოლოდ ის გაიმეორეს, რასაც მთელი ქალაქი ამბობს. 8. იმათ იფიქრეს, მაინც ვერ დაგვინახავენო, და სიფხიზლე მოადუნეს. 9. მაგათმა მზემ! თორემ რითიმე გჯობიან შენ და შენს ამხანაგებს! 10. ამათ უკვე იციან, რომ ყველა საბუთი მზადაა გასაგზავნად. 11. ეს

ჭორი იმათმა გვითხრეს, ჩვენ არაფერი მოგვგონია. 12. ბმათმა გაუთავებელმა თავის ქებამ და სხვისმა ლანძღვამ ყველას გული შეგვიღონა.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## 28. დასავლეთ ევროპა თუ დასავლეთი ევროპა?

(მხარეთა, ქვეყნის ნაწილთა აღმნიშვნელი სახელები გეოგრაფიულ სახელთა მსაზღვრელებად)

მრავალი სხვა ენისაგან განსხვავებით, თანამედროვე ქართულში მხარეთა აღმნიშვნელი სახელები ერთი და იმავე - ეთელემენტით იწარმოება: **აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი, სამხრეთი**. ეს სიტყვები შეიძლება გამოიყენებოდეს დამოუკიდებელ სახელებად, მაგალითად: **სამხრეთში ცხელა; არქტიკა ჩრდილოეთშია; ევროპისა და ამერიკის ქვეყნებს ერთობლივად დასავლეთს უწოდებენ; აღმოსავლეთმცოდნეობა ეწოდება აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის, ენებისა და კულტურის შემსწავლელ მეცნიერებას. გავიხსენოთ ასევე დიდ რეგიონთა სახელები: ახლო აღმოსავლეთი, შორეული აღმოსავლეთი, რომლებიც ითარგმნება სხვა ენებზე.**

მაგრამ ეს სიტყვები შეიძლება მსაზღვრელებადაც ახლდეს გეოგრაფიულ სახელებს. მაგ.: **დასავლეთი ციმბირი, სამხრეთი კორეა, ჩრდილოეთი ირლანდია**. სწორედ ამ ფუნქციით ხმარებისას იჩენს თავს სიტყვულ მხარეთა აღმნიშვნელი სახელების ფორმებში. უმეტესად გვხვდება **დასავლეთი/აღმოსავლეთი საქართველო, სამხრეთი კორეა, ზოგჯერ კი - დასავლეთ/აღმოსავლეთ საქართველო, სამხრეთ კორეა და სხვ.**

რომელი ფორმებია სწორი?

ამ მსაზღვრელ სიტყვებს ფუძე თანხმოვანზე უთავდებათ და ეს სიტყვები ისეთივე ატრიბუტული, ანუ შეთანხმებული მსაზღვრელებია, როგორიც საკუთარ სახელთა განმსაზღვრელი, ხელობა-თანამდებობის აღმნიშვნელი არსებითი სახელები. მაგალითად: **ექიმი თურმანიძე, პროფესორი მელიქიშვილი...**

ამიტომ მხარეთა აღმნიშვნელი სახელებიც ისევე იცვლება ტოპონიმებთან ერთად ბრუნებისას, როგორც ხელობა-თანამდებობის აღმნიშვნელი სახელები მომდევნო ვერ-სახელთა განსაზღვრისას. კერძოდ, ისინი ეთანხმებიან სახელ-გვარებს მხოლოდ პირველ ორ ბრუნვაში (სახელობითა და მითითებითში): **დასავლეთი ევროპა, დასავლეთმა ევროპამ**. მომდევნო ბრუნვებში კი მსაზღვრელი სიტყვა ფუძის სახით წარმოდგება: **დასავლეთ ევროპას, დასავლეთ ევროპის, დასავლეთ ევროპით, დასავლეთ ევროპად**. ნოდებითის, ანუ მიმართვის ფორმაში შეთანხმება ფორმალურად კი გვექნება (დასავლეთო ევროპა!), მაგრამ ამ კონტექსტში მიმართვა არარეალურია, პრაქტიკულად ძნელი წარმოსადგენია.

თუკი საკითხი ეხება წყლებს, კერძოდ, მდინარეებს, რომელთა მსაზღვრელიც ამა თუ იმ მხარის აღმნიშვნელი სახელია, იგი ნათესაობითში დადგება. შევადაროთ: **Западняя Сибирь** – დასავლეთი ციმბირი, მაგრამ მდინარე **Западняя Двина** გადმოიცემა, როგორც დასავლეთის დვინა, ხოლო **Северная Двина** – როგორც ჩრდილოეთის დვინა, ვინაიდან ხაზი ესმება მდინარის მომდინარეობას ამა თუ იმ მხარიდან. მაშასადამე, სწორი, საცნობარო წყაროებში გავრცელებული ფორმებია:

**სამხრეთი საქართველო, ჩრდილო(ეთი) კავკასია, აღმოსავლეთი / დასავლეთი საქართველო / ევროპა, მაგრამ: დასავლეთის დვინა, ჩრდილოეთის დვინა.**

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო იმიჯნება ლიხის, ანუ სურამის ქედით. 2. ჩრდილოეთი ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქია ვლადიკავკაზი. 3. დასავლეთ ციმბირის უდიდესი მდინარეებია ობი, ლენა და ენისეი. 4. ინდონეზია და კორეა სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებია. 5. სამხრეთ აფრიკის კავშირი რამდენიმე ქვეყნისაგან შედგება. 6. ჩრდილოეთი დვინა და დასავლეთი დვინა ამ მდინარეებს ეწოდება მათი ამა თუ იმ მხარიდან მომდინარეობის მიხედვით. 7. დასავლეთი

ევროპის ქვეყნების უმრავლესობა რომელ ენას იყენებს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურული შეხვედრების ენად? 8. ალასკა ჩრდილო-დასავლეთი ამერიკის ნახევარკუნძულია. ამომსავლეთი ევროპის ქვეყნებს შორის უზგრეტს ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე აქვს. 10. ჩრდილო-აღმოსავლეთი ამერიკის რთველოს მხარეებია: თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, ხევი და მთიულეთ-გუდამაყარი.

## 29. ჯორჯიას შტატი თუ ჯორჯიის შტატი? სიდას, ხურჩას თუ სიდის, ხურჩის მოსახლეობა?

(ა-დაბოლოებიანი გეოგრაფიული სახელების შესახებ)

ქართულში გვაქვს საზოგადო სახელთა ბრუნების ასეთი წესი: თუ სახელი თავდება ა ხმოვანზე, მაშინ ორ ბრუნვაში (ნათესაობითსა და მოქმედებითში), რომელთა ნიშნებიც ხმოვნით იწყება, ეს ა დაბოლოება იკარგება. მაგ.: ცა – ცის, ცით; მინა – მინის, მინით და მისთ. ამავე წესს ემორჩილება უკლებლივ ყველა – დიდი თუ პატარა გეოგრაფიული ობიექტის სახელი, დაწყებული კონტინენტებით და დამთავრებული პატარა სოფლებისა თუ მათი უბნების სახელებით: ევროპა – ევროპის, ევროპით; იბერია – იბერიის, იბერიით; რაჭა – რაჭის, რაჭით; მცხეთა – მცხეთის, მცხეთით; ორთაჭალა – ორთაჭალის, ორთაჭალით... ცხადია, ასევე იქნება სათანადო თანდებულების დართვის დროსაც: ევროპისკენ, ევროპიდან; კუბისკენ, კუბიდან; იბერიისკენ, იბერიიდან; რაჭისკენ, რაჭიდან; მცხეთისკენ, მცხეთიდან; ორთაჭალისკენ, ორთაჭალიდან... გავიხსენოთ გალაკტიონის „ნამყე ბეთანიისაკენ“, ანდა ტიცციან ტაბიძის ერთი ლექსის ალიტერაციული სტრიქონი: „ამ დროს ბრუნდებოდა გრიგოლ ორბელიანი ორთაჭალიდან“.

ბოლო ხანებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში – პრესაში, რადიო- და ტელეგადაცემებში – ეს საყოველთაო

ტრადიციული წესი ირღვევა ხოლმე და სათანადო ფორმები დამახინჯებული სახით გვხვდება. განსაკუთრებით ხშირია ამგვარი დარღვევები ჟურნალისტებისათვის უცნობი ან ნაკლებად ცნობილი სახელების ხმარებისას. ეს გეოგრაფიული სახელებია, ერთი მხრივ, დასავლეთ საქართველოს, კერძოდ – აფხაზეთისა და სამეგრელოს ზოგიერთი სოფლისა თუ ხეობის სახელები (ორსანტია, სიდა, ხურჩა, გაგიდა, ოტობაია, კოხორა, ლათა...), ხოლო მეორე მხრივ – ამერიკის რამდენიმე შტატის სახელები (ალაბამა, არიზონა, ინდიანა, მინესოტა, იუტა, ჯორჯია), ასევე უცხოეთის ზოგი ქვეყნის ან ქალაქის სახელები (განა, ჰავანა, ბარსელონა, სევილია...).

გვესმის და ვკითხულობთ: ალაბამას, არიზონას, ინდიანას (მინესოტას, იუტას, ჯორჯიას...) შტატები; ორსანტიას, ოტობაიას, სიდას (კოხორას, ხურჩას, გაგიდას...) მოსახლეობა; ლათას ხეობა; ჰავანადან, ბარსელონადან; „სარეისო ავტობუსი სოფ. ბანძიდან გადის 8 საათზე“ (მორბენალი სტრიქონიდან)...

ასეთი ფორმები ქართულში მიუღებელია. უნდა დავიცვათ ტრადიციული წესი: ა-ზე დაბოლოებულ გეოგრაფიულ სახელთა ბრუნებისას მხოლოდ ა-მოკვეცილი ფორმები უნდა ვიხმაროთ:

ორსანტიის (ოტობაიის, სიდის, კოხორის, ხურჩის, გაგიდის, ფიჩორის...) მოსახლეობა, ლათის ხეობა...; განის დედაქალაქი, ჯორჯიის (ალაბამის, ინდიანის, არიზონის, მინესოტის, იუტის) შტატი; ბარსელონის ფესტივალი და მისთ. ასევე, შესაბამისად: ბანძიდან, ორსანტიიდან... ბარსელონიდან, ჯორჯიიდან და ა.შ.

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. ამას წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ამერიკაში იყვნენ საქართველოს რესპუბლიკასა და ჯორჯიას შტატს შორის სტუდენტთა გაცვლის ხაზით. 2. ბარსელონას ფესტივალზე ორი ქართველი ვოკალისტი დაჯილდოვდა მეორე და მესამე პრემიებით. 3. პრეზიდენტობის ერთ



კანდიდატს მეტი ხმა მისცეს არიზონას და ალაბამის ამომრჩეველებმა, მეორეს კი – კოლუმბიის, ოკლაჰომასა და იუტას ამომრჩეველებმა. 4. როგორც გადამთიელთა, ისე ადგილობრივმა ბანდებმა გაძარცვეს და დაარბიეს სოფლების სურსის, ოკოპას, სიდას და ვაგიდას მოსახლეობა. 5. დღეს მეცნიერებათა აკადემიაში ლექციას კითხულობს ინდიანას უნივერსიტეტის ზორფესორი ეთნოგრაფიის დარგში. 6. სამურზაყანოს მოსახლეობის ნაწილს შეადგენს ოტობაიის, კობორას, გუდავას, აჩიგვარისა და ზოგი სხვა სოფლის მოსახლეობა. 7. სამურზაყანო მდინარე ლალიძგას მარცხენა და ენგურის მარჯვენა ნაპირებს შორის მდებარეობს. 8. ეს უბედური შემთხვევა მოხდა ლათას ხეობაში. 9. – რა ეწოდება ნიკარაგუას დედაქალაქს? – ნიკარაგუის დედაქალაქია მანაგუა.

### 30. სასომხეთი თუ სომხეთი? მოლდოვა თუ მოლდავეთი?

(ზოგიერთი ქვეყნის ქართული სახელწოდებებისათვის)

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოიქმნა არაერთი სუვერენული რესპუბლიკა და მათთან ერთად შეიცვალა ზოგი საკუთარი სახელიც. კერძოდ, მათ ჩამოშორდათ ტრადიციული მსაზღვრელები „საბჭოთა სოციალისტური“ და დარჩა მხოლოდ წმინდად გეოგრაფიული სახელები.

მოხდა ისე, რომ რუსულ საინფორმაციო წყაროებში და აქედან ჩვენშიც ზოგი ეს სახელი გავრცელდა დედნის ენაზე მათი წარმოთქმის მიბაძვით. ასე მივიღეთ: მოლდოვა, ბელარუსი (ეს უკანასკნელი ამის გამო თითქმის დაემთხვა ხალხის აღმნიშვნელ სახელს – ბელორუსს), თათარსტანი, ყაზახსტანი, ყირგიზსტანი..., თუმცა ასეთი ენობრივი „რეფორმა“ ბოლომდე თანამიმდევრულად არ გატარებულა. მაგ., ქართულში რუსეთი არ შეუცვლია „როსიას“, ისევე როგორც რუსულში Грузия – Сакартველო-ს ან სომხეთი – სომხურსავე თვითწოდებას

– „ჰაიასტანს“, და სავსებით სამართლიანადაც, თუმცაღა სა-  
ყოველთაოდ მიღებული და მართებული სომხეთის ნაცვლად  
ახალი თაობის წარმომადგენელ დიქტორთაგან (და არა მარტო  
მათგან) არცთუ იშვიათად გაიგონებთ უმართლესო ფორმას  
– „სასომხეთს“.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ყოველ ხალხს (და  
აქედან – სათანადო ქვეყანასაც) აქვს თვითნოდებაც, ე. ი. სახე-  
ლი, რომელსაც ესა თუ ის ხალხი ირქმევს, და გარეწოდებაც, ე. ი.  
სახელი (ან სახელები), რომელსაც მას სხვა ხალხი არქმევს. მაგა-  
ლითად, საქართველო თვითნოდებაა, სხვა ხალხების ენებზე კი  
ეს გეოგრაფიული სახელი წარმოითქმება (და სათანადო ენათა  
ასოებით იწერება), როგორც: გრუზია, ჯორჯია, გურჯისტან,  
ვრასტან და მისთ. საქართველო კი მხოლოდ ქართულ სიტყ-  
ვათხმარებაში გვაქვს და ასევე უნდა დარჩეს. ტრადიციულ  
ფორმებადვე დარჩება - ეთ ბოლოსართით ნაწარმოები სხვა  
ქვეყნების ქართული სახელწოდებებიც: მოლდავეთი, ყაზახეთი,  
ყირგიზეთი და სხვ., ავტონომიური რესპუბლიკების სახელები:  
თათრეთი, მორდვეთი, ჩუვაშეთი და მისთ., ჩრდილოეთ კავკა-  
სიისა და სამხრეთ ვოლგისპირეთის ავტონომიური რესპუბ-  
ლიკების სახელწოდებები – ყარაჩაეთ-ჩერქეზეთი (და არა ყარა-  
ჩაი-ჩერქეზეთი), ყაბარდო-ბალყარეთი (და არა კაბარდინო-  
ბალყარეთი) და ყალმუხეთი (და არა კალმიკია). სწორედ ამ  
ფორმებითაა ეს სახელები შესული ქართულ ენციკლოპედიაში  
და ამის საფუძველზე – საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული სა-  
ხელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში (თბ., 1987).

მაშასადამე, ნაცვლად უკვე აღნიშნული და ბოლო ხანებში  
მეტ-ნაკლებად გავრცელებული გეოგრაფიული სახელების  
მცდარი ფორმებისა (სასომხეთი, მოლდოვა, ბელარუსია,  
თათარსტანი, ყაზახსტანი, ყირგიზსტანი, კალმიკია და მისთ.),  
უნდა ვიხმაროთ ლიტერატურული ტრადიციით განმტკიცებული  
ქართული ფორმები:

სომხეთი, მოლდავეთი, ბელორუსია, ყირგიზეთი, თათრე-  
თი, ყაზახეთი, ყალმუხეთი, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთი, ყაბარდო-  
ბალყარეთი...

**საპარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. საქართველოსა და სომხეთს ქრისტიანობა მიღებული აქვთ მეოთხე საუკუნეში. 2. რუმინეთისა და მოლდოვის რესპუბლიკების ხალხებს, როგორც ახლო მონათესაე ხალხებს, უმთხრეთმანეთის ლაპარაკი. 3. რუსეთში, უკრაინასა და ბელარუსში სლავური მოდგმის ხალხები ცხოვრობენ – რუსები, უკრაინელები და ბელორუსები. 4. თათარსტანი რუსეთის ფედერაციაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკაა. 5. ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოებია: საქართველო, აზერბაიჯანი და სასომხეთი. 6. ბელორუსიის დედაქალაქია მინსკი. 7. შუა აზიის რესპუბლიკებია: ყაზახსტანი, ყირგიზსტანი, უზბეკეთი და ტაჯიკეთი. 8. ყაბარდინო-ბალყარეთის დედაქალაქია ნალჩიკი. 9. კავკასიის ერთ-ერთი უშესანიშნავესი კურორტი თებერდა ყარაჩაევო-ჩერქეზეთშია. 10. კალმიკიის ავტონომიური რესპუბლიკა კავკასიის ჩრდილოეთითაა. 11. ყაბარდო-ბალყარეთი რუსეთის ერთ-ერთი ავტონომიური რესპუბლიკაა ჩრდილოეთ კავკასიაში. 12. ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის დედაქალაქია ჩერკესკი, და არა თებერდა. 13. ყალმუხეთის ავტონომიური რესპუბლიკა სტავროპოლის მხარეშია, სამხრეთ ვოლგისპირეთში.

### 31. ალექსანდრეს ბალი თუ ალექსანდროვის ბალი? მიხეილის თუ მიხაილოვის საავადმყოფო?

ქუჩებს, შესახვევებს, მოედნებსა და მსგავს ობიექტებს, ხატოვანი გამოთქმა რომ ვიხმართ, ქალაქის „სასიცოცხლო ნერვებს“ უწოდებენ. მათი სახელდება სხვადასხვა ნიშნით ხდება. მაგალითად, ახლო წარსულში თბილისის ქუჩებს ერქვა: სადგურის ქუჩა, ვერცხლის ქუჩა, ღვინის აღმართი, ბამბის რიგი, პურის მოედანი, ფეიქართა ქუჩა და მისთ.

მაგრამ ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში, თუნდაც ჩვე-

ნი ქვეყნის დედაქალაქი რომ ავიღოთ, ქუჩები უმეტესწილად სახელწოდებას იღებს ამა თუ იმ ცნობილ პირთა სახელების მიხედვით.

საბჭოურ პერიოდში მთელს საბჭოთა კავშირში ქალაქების ცენტრალურ ქუჩებსა და მოედნებს პრეტულიტარიატის ბელადების (მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის), ანდა ცნობილი კომუნისტებისა თუ ბოლშევიკ-რევოლუციონერების (კამოს, მახარაძის, წულუკიძისა და სხვ.) სახელებს არქმევდნენ. რევოლუციამდელ ეპოქაში კი, როცა საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, დიდი ქალაქების ქუჩები იმპერატორების, მათი ოჯახის წევრების, აგრეთვე იმპერიის მხედართმთავართა სახელებს ატარებდა. კერძოდ, თბილისში იყო პეტრე პირველის, ელისაბედის, ალექსანდრეს, ოლგას, სოფიოს, ქსენიას, გოლოვინის (ახლანდელი რუსთაველის), ყორღანოვისა და სხვათა სახელობის ქუჩები. მაგ., დღევანდელი კოსტავას ქუჩა (ყოფილი ლენინის ქუჩა) იმავე ეპოქაში ოლგას ქუჩად იწოდებოდა, მარქსის მოედანს წინ უსწრებდა მეფისნაცვლის – ვორონცოვის მოედანი...

ამ სახელწოდებათა რუსულმა წარმოებამ მოგვცა ასეთი ფორმები: ოლგინსკაია, სოფინსკაია, ქსენიევსკაია და მისთ. სწორედ ამ წარმოების გამოა, რომ დღესაც ბევრი თბილისელი (და არა მარტო ისინი) ახლანდელ დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე საავადმყოფოს მიხაილოვის ან მიხაილოვსკის საავადმყოფოს უწოდებს – ნაცვლად მიხეილის საავადმყოფოსი, ხოლო რუსთაველის გამზირსა და გიორგი ათონელის ქუჩებს შორის მდებარე ბაღს – ალექსანდროვის ბაღს – ნაცვლად ალექსანდრეს ბაღისა.

ამავე ეპოქის სახელწოდებებს მიეკუთვნება დღევანდელი თავისუფლების მოედნის ადრინდელი სახელწოდება – პასკევიჩ-ერევნელის მოედანი (მისსავე სახელს ატარებდა ერთ-ერთი ძირითადი ქუჩა სოლოლაკის უბანში). რუსულად ეს სახელწოდება გადმოიცემოდა როგორც: **Площадь Паскевича-Эриванского**. დროთა განმავლობაში რუსული სახელწოდება გაცვდა, მას მოაკლდა თვით გვარი გენერლისა, დანარჩენმა

ნაწილებმა კი ერთმანეთს გაუცვალეს ადგილები და მცირე გრამატიკული სახეცვალეებით მივიღეთ *Ереванская площадь*, რომელიც ქართულად „გადმოითარგმნა“ არა ერევნელის, არამედ ერევნის მოედნად. ამ სახელწოდების წარმოქმნას ზელო შეუწყო კავკასიის სხვა დიდი ქალაქის – ბაქოს ქუჩის არსებობამ თბილისში.

მაშასადამე, თბილისის ხსენებული ბალისა და საავადმყოფოს თავდაპირველი სწორი ფორმებია:

**ალექსანდრეს ბაღი; მიხეილის საავადმყოფო.**


**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. ჩემი მეგობარი თინა მიხაილოვის საავადმყოფოში წავიდა მამიდის მოსანახულებლად. 2. მიხეილის საავადმყოფო დავით აღმაშენებლის გამზირზეა. 3. ვისაც სახლის ან ბინის შოვნა უნდა, მაკლერებს მიაკითხოს ალექსანდროვის ბაღში. 4. 1989 წლიდან ყოველ 9 აპრილს გოლოვინის პროსპექტი ხალხითაა გაჭედილი. 5. ახლანდელ თავისუფლების მოედანს ადრე ერევნის მოედანი ერქვა. 6. ერევნელის მოედანი დღევანდელ თავისუფლების მოედანს ეწოდა რუსეთ-თურქეთის ომში ქ. ერევნის ალების გამო გენერალ პასკევიჩისათვის შერქმეული ზედწოდების მიხედვით. 7. თბილისში დღევანდელ რუსთაველის გამზირს რევოლუციამდე გოლოვინსკის პროსპექტი ერქვა.

## 32. ბევრი წერილები თუ ბევრი წერილი?

(სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელებთან საზღვრული სახელის რიცხვის შესახებ)

ალბათ ბევრ ჩვენგანს უსიამოვნოდ ახსოვს ბოლო წლების ერთი ტელერეკლამა შაქარლამა „რაფაელოს“ შესახებ, როცა ბალერინის გრიმიორი წამოიძახებდა: „ოჰ, ამდენი ყვავილები!“



რატომ გვჭრის ყურს და გვეხამუშება ამგვარი ფრაზები? იმიტომ, რომ ქართველები მიჩვეულნი ვართ სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელებთან სახელების მხოლოობითში ხმარებას. რუსულში, ინგლისურსა და სხვა ევროპულ ენებში მსგავს შემთხვევებში მრავლობითი რიცხვის ფორმებითი ხმარება შეუძლებელია, მაგ.: ბევრი წერილი – много писем, many letters; რამდენიმე წიგნი – несколько книг, several books და სხვ.

ასე იმიტომ ხდება, რომ ქართული, შეიძლება ითქვას, მხოლოობითი რიცხვის ენაა. ცხადია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ქართულს უჭირს მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოება. სრულიადაც არა. მაგრამ აქ იგულისხმება ქართული ენის ზოგი თავისებურება ევროპულ ენებთან შედარებით მრავლობითის გამოხატვის თვალსაზრისით. გავიხსენოთ, რომ ევროპულ ენებში (და მათ შორის რუსულშიც) შეწყვილებული ფორმის მქონე საგანთა სახელებს მრავლობითში ვსვამთ, ქართულში კი მათ მხოლოობითში ვხმარობთ. შევადაროთ: НОЖНИЦЫ – მაკრატელი, БРЮКИ – შარვალი, ОЧКИ – სათვალე, ЧАСЫ – საათი... ანდა დავუკვირდეთ ჩვენს ტრადიციულ გამოთქმებს: ცხრა მთას იქით, ცხრა მთა გადაიარა, ათი მცნება, ბევრი საქმე, ათასი წვრილმანი... ანდა ზები: „ას ძმას ასი ცხვარი ბევრი ეგონაო“, „ბევრი ხელის ქირიმე და ცოტა პირისაო“ და სხვ.

პოეტურ მეტყველებაში ხმარებული მრავლობითის ძველი ფორმები, რომლებშიც რიცხვის ნიშნები მეორდება (მაგ., „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“), იშვიათი გამონაკლისებია და საერთო წესს ისინი არ არღვევენ.

მაშასადამე, სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელებთან სახელები მხოლოობით რიცხვში უნდა ვიხმაროთ, ასე:

ბევრი წერილი, მრავალი მნახველი, ზოგი ექიმი, რამდენიმე ბავშვი, სხვადასხვა ქალაქი, უამრავი სტუმარი, რამდენი კიბე, ამდენი ყვავილი... ცხრა მთა, ათი მცნება, ათას ერთი ლამე...

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. ამოცანა გვეკითხება: რამდენი აგური აზიდა მუშამ

ერთი დღის განმავლობაში? 2. ამდენი ყვავილები ერთად ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. 3. მრავალი ჟურნალისტი მხოლოდ სენსაციური და სკანდალური ცნობების მოპოვებას ცდილობს. 4. რედაქციაში უამრავი წერილები მოდის გვგვკითხებიან, რა ბედი ეწიათ მოტაცებულ პატარებს. 5. ბევრმა მოქალაქეებმა არც კი იციან თავიანთი უფლებები. 6. რამდენიმე საკითხი ისეთი მნიშვნელოვანია, რომ სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვს. 7. ზოგიერთი სტუდენტები თვითონაც არ სწავლობენ და სხვა-სადაც ხელს უშლიან სწავლაში. 8. ქალაქში გრიპი მძვინვარებდა და სკოლაში იმ დღეს ძალიან ცოტა ბავშვები მივიდნენ. 9. ზოგ სოფელში სხვადასხვა გვარების მქონე მოსახლეობა ცხოვრობს, ზოგში კი – მხოლოდ ერთი გვარისა. 10. კრების დაწყებამდე ხალხი სხვადასხვა თემაზე საუბრობდა.

### 33. ორივე იდგნენ თუ ორივე იდგა?

(-ვე ნაწილაკიანი რიცხვითი სახელებისა და ზმნების რიცხვში შეთანხმებისათვის)

ცნობილია, რომ რიცხვით სახელს ბოლოში შეიძლება დაერთოს -ვე ნაწილაკი და მთელი ეს სიტყვა ან მომდევნო სახელს განსაზღვრავს (ორივე / სამივე / ათივე კაცი), ან დამოუკიდებლად გამოიყენება. თუ ასეთი სახელი სუბიექტს, მოქმედს აღნიშნავს, მაშინ მას ზმნა მხოლოდობითში შეეწყობა. შევადაროთ:

**ორივე კაცი იდგა და: ორივე იდგა;**

**ათივე მოსწავლე დარჩა და: ათივე დარჩა.**

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი ჩვენგანი ამგვარ რიცხვით სახელებთან ზმნას შეცდომით მრავლობითში ხმარობს, კერძოდ: **ორივე იდგნენ, ათივე დარჩნენ** და სხვ.

ქართულ ენაში მოქმედი წესის მიხედვით, ასეთ შემთხვევებში ზმნა მრავლობითში მხოლოდ მაშინ დადგება, თუ -ვე ნაწილაკიანი რიცხვითა სახელს -ნარიან მრავლობითში ვიხმართ, ასე:

**ორივენი იდგნენ, ათივენი დარჩნენ** და სხვ.

აქაც ზუსტად ისეთივე სურათი გვაქვს, როგორც ნაცვალ-სახელ ყველა-ს შემთხვევაში. შევადაროთ:

**ყველა მოვიდა და: ყველანი მოვიდნენ.**

რიცხვში შეთანხმება გვაქვს თითოეული სიტყვათშეხამების შიგნით: ნაცვალსახელი ყველა ითანხმებს ზმნას მხოლოდობითში, ნარიან მრავლობითში დასმული ყველანი კი ზმნისგანაც მრავლობითის ფორმას მოითხოვს.

მაშასადამე, ზემოაღნიშნული სახის რიცხვითსახელებიანი მართებული შეხამებები იქნება:

**ორივე იდგა (იყო), ათივე დარჩა (წავიდა).**

მაგრამ:

**ორივენი იდგნენ (იყვნენ), ათივენი დარჩნენ (წავიდნენ).**

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. *ორივენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ.*
2. *დაძახებისთანავე ხუთივე იქ გაჩნდა.*
3. *ორივე სტუდენტი კარგად სწავლობდნენ.*
4. *სამივე ერთსა და იმავე სოფელში გადასახლებულა.*
5. *არ შეიძლება ოცივე მონაფე ერთნაირად აზროვნებდეს.*
6. *ორივეს გულიანად ეცინებოდათ ამ ანექ-დოტების მოსმენისას.*
7. *ნინოს და გიორგის ოთხი შვილი ჰყავდათ, ოთხივე მშობლებთან ცხოვრობდნენ.*
8. *კრუხს თორმეტი წინილა ჰყავდა საბუდარში და თორმეტივე სხვადასხვა ხმაზე წიოდა.*
9. *გიას სამი და ჰყავდა, სამივე – გაუთხოვრები.*
10. *ორივე იქ იდგა, სადაც დავტოვე.*

### 34. ისინი ზიან თუ სხედან? ბევრი აბია თუ ასხია?

(რიცხვმონაცვლე ზმნების შესახებ)

ერთ-ერთი პირველი ლექსი, ქართველი ბავშვი რომ სწავლობს, არის ილიას „გაზაფხული“. იგი ასე იწყება: „ტყემ მოისხა ფოთოლი...“



ფორმა ფოთოლი აქ მრავლის გაგებითაა ნახმარი (ისევე როგორც წინადადებაში – „ზამთრობით ცხვარი მთიდან ბარად ჩამოდის“ – ბევრ ცხვარზე, მთელს ფარაზეა დაკარგული) სულ სტრიქონში კი სწორედ იმიტომ, რომ ფოთოლი აქ მრავალს გულისხმობს, პოეტმა სათანადო მოისხა ხმის იხმარა, ხოლო ერთი რომ ეგულისხმა, მაშინ (გა)მოიბა ფორმას იხმარდა. შევადაროთ: ამ ხეს კარგად (ე. ი. ბევრი) ასხია და: ამ ხეს ერთი ვაშლი აბია.

გავიხსენოთ აგრეთვე ბიბლიური (სახარებისეული) ფორმულაც: „რომელს ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ“.

უკვე ამ შედარებიდანაც ვხედავთ, რომ ქართული, გარდა იმისა, რომ ერთზე მეტის მოქმედებას გარკვეული ბოლოსართით ასხვავებს (ვნერ – ვნერთ, წერს – წერენ), სუბიექტის ან ობიექტის მრავლობითობას ზოგჯერ ფუძით გამოხატავს. სწორედ ასეთი შეფარდებაა აბია და ასხია ზმნებს შორის: აბია ერთს გულისხმობს, ასხია კი – მრავალს; გამოიბა ერთზე ითქმის, ხოლო გამოისხა – მრავალზე.

ასეთივე წყვილებია: დევს და აწყვია (დებს და აწყობს), გდია და ყრია (აგდებს და ყრის), ტყდება და იმტვრევა (ტეხს და ამტვრევს), ვარდება და ცვივა, კვდება (კაცვი) და იხოცება (ხალხი), კლავს და ხოცავს. ხოცვა უფრო მასობრივ სიკვდილს (ომი, ეპიდემია...) გულისხმობს.

ზოგჯერ მრავლობითობა ორმაგად გამოიხატება – ფუძითაც და დაბოლოებითაც. შევადაროთ: ზის და სხედ-ან, ჯდება (და-ჯდა) და სხდები-ან (დასხდ-ნენ), კვდება (მოკვდა) და იხოცები-ან (დაიხოც-ნენ), გამოვარდა (ბიჭი) და გამოცვივდ-ნენ (ბიჭები). არცთუ იშვიათად კი ამ შეფარდებას არღვევენ და შეცდომით ამბობენ: ზიან ან ჯდებაინ. გავიხსენოთ, რომ სიტყვა სხდომაც რამდენიმე კაცის მოსათათბირებელ ჯდომას, შეკრებას აღნიშნავს და დღეს მას უკვე ტერმინის მნიშვნელობაც აქვს შექნილი.

მაგრამ „თქვენობით“ (თავაზიანი) მიმართვისას ზიხართ ფორმის ხმარება მხოლოობითის გაგებითაც შეიძლება (მაგ.: ქალბატონო, თქვენ ახლად შელებილ სკამზე ზიხართ!). თუ ამავე

მნიშვნელობის ზმნას ობიექტური პირიც შეენყოფა, ზის, ჯდება ზმნებს ფუძემონაცვლე (და)სვამს ზმნა დაუპირისპირდება, რომელიც ობიექტის მრავლობითობას (და)სხამს ზმნიდ გამოხატავს (მდრ.: მან კრუხი კვერცხებზე დასვა, ბოლო ვრუხები დასხა).

ასევეა ზოგ სხვა ზმნასთანაც: კაცი მოკვდა, კაცები დაიხოცნენ; ან: კაცი მოკლა, კაცები დახოცეს; ქვა გდია (დააგდეს), ქვები ყრია (დაყარეს); ჭიქა გატყდა (გატყხა), ჭიქები დაიმტვრა (დაამტვრია); ყაჩალი შევარდა, ყაჩაღები შეცვივდნენ; წიგნი დადო, წიგნები დააწყო...

ამგვარი (ფუძემონაცვლე) მრავლობითის ფორმები იხმარება მაშინაც, როცა სახელი ნივთიერებას აღნიშნავს ან მას კრებითი შინაარსი აქვს. მაგ.: გზაზე ხრეში ყრია (მხ. კენჭი გდია); ჭურჭელი დამემტვრა (მხ. ჭიქა გამიტყდა); ნაგავი გადავყარე (მხ. ჯოხი გადავაგდე); ხალხი დაიხოცა (მხ. კაცი მოკვდა) და სხვ.

მაშასადამე: თუ სახელი – სუბიექტი ან ობიექტი – ფორმით ან მნიშვნელობით მრავალს გულისხმობს, ზემოთ ჩამოთვლილ ზმნებთან შეხამებისას უნდა ვიხმაროთ მრავლობითის ფუძის მქონე ფორმები. იგივე ითქმის მასდარებზე:

(და)სხდომა, (და)ხოცვა, (და)ცვენა, (შე)ცვივნა, (და)ყრა, (და)სხმა, (და)მტვრევა, (და)წყობა...

**საპარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. გუშინ მე და გოგი დიდხანს ვიჯექით კაფეში, ღვინოს ვწრუპავდით და მშვიდად ვსაუბრობდით. 2. ბავშვებო, რატომ ზიხართ ამ სიტყვეში? აქ მოდით, ბუხარს შემოუსხედით და გათბით. 3. საავტომობილო გზაზე მკვდარი ან დასახიჩრებული ცხოველები ეგდო. 4. ყაჩაღები შინ მიუცვივდნენ მოსამართლის ოჯახს და დაარბიეს იგი. 5. ხმაურის გაგონებაზე მოსწავლეები ქუჩაში გამოვარდნენ. 6. რად გინდა ეს კენჭები, რატომ ინახავ? აიღე, ჯერ კალათში ჩააგდე და მერე – ბუნკერში. 7. პაპამ გვერდით დაისვა შვილიშვილები და ზღაპრის მოყოლა დაიწყო. 8. გუშინ რუსთაველის თეატრში ცაგარლის კომედია „ხანუმაზე“

მაყურებლები სიცილით მოკვდნენ. 9. მონადირემ ბუდიდან ბრტყეები ამოსხა. 10. ეს წიგნები სანერ მაგიდაზე დადე(ვი) და მოდი სუფრასთან. 11. საკლასო ოთახის მერხებზე მჯდომ მოსწავლეს ნინ წიგნები და რვეულები ეწყობ.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

### 35. შიშები, წნევები, შუქები, კენჭისყრები?

(აბსტრაქტული სახელებისა და საწყისების მრავლობითის ფორმათა ხმარების შესახებ)

გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში საომარი მოქმედებითა და მასთან დაკავშირებული დესტაბილიზაციით გამოწვეულმა შიშმა და პანიკამ მოიცვა მთელი მოსახლეობა, რაც ენაშიც აისახა – არაუშუალოდ, ირიბად, მაგრამ სპეციფიკურად. ეს სპეციფიკა გამოვლინდა ზემოაღნიშნულ მოვლენათა გამომხატველი სიტყვების – აბსტრაქტული სახელებისა და მოქმედების სახელების, ანუ საწყისების (მასდარების) მრავლობით რიცხვში დასმით, რაც ამგვარ სიტყვებს საერთოდ ძალიან უჭირთ. ძნელი წარმოსადგენია ვინმემ იხმაროს: სიყვარულები, სიხარულები, სიცილები, ძილები, კეთებები, ხატვები და სხვ. ამიტომაა, რომ ენობრივ დარღვევებად უნდა მივიჩნიოთ ამ ბოლო წლებში გავრცელებული მრავლობითის ფორმები: შიშები, წნევები, შუქები, სროლები, გამორთვები ან გამოთიშვები (სინათლისა, ტელეფონისა და მისთ.).

მრავლობითის ფორმების ამგვარი ხმარების ფსიქოლოგიური მოტივაცია გასაგებია – მას მრავალგზისობის, მოქმედების მრავალჯერადი განმეორების, სიხშირე-რეგულარობის გამოხატვის სურვილი განაპირობებს. მაგრამ ეკონომიური მეტყველება ყოველთვის ვერ იძლევა სასურველ ეფექტს, მეტადრე მაშინ, როცა იგი მწირი და მდარე მეტყველების ნიმუშებს გვთავაზობს. განა გამოთქმა – „ამ ბოლო დროს შიშები (წნევები) მაქვს“ – უკეთესად გამოხატავს სათქმელს, ვიდრე, მაგ.: „ამ ბოლო დროს შიში მიპყრობს (ან დამჩემდა)“, ანდა „წნევა მანუხებს“?

ზემოაღნიშნულმა მავნე პრაქტიკამ გზა გაუწოდა ანალოგიური ნარმოების ზოგ სხვა სიტყვასაც, რომლებიც მუდამ ზემოხსენებულ ქაოსურ სიტუაციას არ უკავშირდება. უკანასკნელ ხანებში ფეხმოკიდებულ მუსიკებს, პრაქტიკებს მოჰყვა სულ ახლახან გაჩენილი კენჭისყრები, რაც ზოგჯერ პაროლაზმენტარის მეტყველების დასანან ფაქტად უნდა დავადასტუროთ.

ყოველივე ის, რაც აქ ითქვა, ეხება ძირითადად ყოველდღიურ, ყოფით მეტყველებაში გავრცელებულ უმართებულო ფორმებს. ცხადია, მათგან გაიმიჯნება სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინოლოგიური ფუნქციით გამოყენებული მრავლობითის ფორმები (თუმცა იქაც – გარკვეული შეზღუდვით. მაგ.: დაავადებანი, ჩივილები და მისთ. მედიცინაში მიღებული ფორმებია).

მაშასადამე, აღნიშნული აბსტრაქტული სახელები და მოქმედების სახელები, ანუ სანყისები – შიში, წნევა, შუქი, მუსიკა, პრაქტიკა, კენჭისყრა, გამორთვა, გამოთიშვა და მისთ. – მხოლოდ მხოლოდობით რიცხვში უნდა ვიხმაროთ.

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. ძველად ზამთრის დადგომისას ინყებოდა შუქის ხშირი გამორთვები.
2. ექიმმა ყურადღებით მოისმინა პაციენტის ჩივილები და ყველა მონაცემი ანკეტაში ჩაწერა.
3. სამედიცინო ინსტიტუტის მესამეკურსელებს პრაქტიკები აქვთ კლინიკებში.
4. კაცი 60 წელს რომ გადააბიჯებს, წნევები დასჩემდება და ეს აღარ უნდა გაუკვირდეს.
5. შიშები ისევ გიპყრობს თუ გაგიარა?
6. ისეთი სანერვიულო სამსახური მაქვს, რომ გულის შეტევები ხშირად მომდის.
7. თიკომ და ანამ თამუნასთან თანამედროვე საესტრადო მუსიკები მოისმინეს.
8. ექიმო, არ ვიცი, რისი ბრალია, მაგრამ ამ ბოლო დროს რაღაც გაურკვეველი შიშები არ მაძინებს.
9. ჩემს ამბავს თუ იკითხავ, წნევებს თუ არ ჩავთვლით, არა მიშავს.
10. გუშინ ისეთი მუსიკები მოვისმინე, რომ ვერ ავინერ.
11. აუტანელმა კბილის ტკივილებმა რომ შემანუხა, ექიმთან წავედი.

### 36. ბოდიშით თუ ბოდიში? კარგით თუ კარგი?

(მრავლობითის ნიშნის შეუფერებელი ხმარებისათვის)

ცნობილია, რომ ზმნებს პირველი და მეორე პირის მრავლობითში ან „თქვენობით“ მიმართვისას ერთვის -თ დაბოლოება: **ვნერ, ნერ – ვნერთ, ნერთ**. იგივე დაბოლოება, უპირატესად -თა სახით, ზოგჯერ სახელებსაც დაერთვის **ნართანიაანი მრავლობითის სამ ბრუნვაში** (მოთხრობითში, მიცემითსა და ნათესაობითში), მაგრამ სახელობითსა და ნოდებითში – არასოდეს (შევადართო: **მთანი მალაღნი, მთანო მალაღნო, მაგრამ: მათათა მალაღთა**). სხვაგან -თ ნიშანი სახელებში არ იხმარება.

ისიც კარგად ვიცით, რომ მისალმების ან ეტიკეტით ნაგულისხმები სხვა ფორმულები, როგორიცაა: **გამარჯობა, სალამი, ბოდიში, კარგი, კეთილი** და სხვ., დიალოგში ფართოდ იხმარება მეორე პირისადმი მიმართვისას. მაგრამ, ვინაიდან არც ერთი მათგანი ზმნა არ არის, -თ ნიშანი მათ არ სჭირდებათ არც რეალურ მრავლობითში და არც თქვენობით, პატივისცემით მიმართვისას.

ამიტომ შეცდომაა, როცა მავანი იტყვის **ბოდიშით** და ჰგონია, რომ ამით პატივსა სცემს მეორე პირს. უნებლიე შეცდომაა, მაგრამ უსიამოვნოც, ვინაიდან მდაბიური მეტყველება არსად ისე თვალნათლივ არ იჩენს თავს, როგორც ეტიკეტის ფორმულებში. ალბათ ბევრს ახსოვს XIX საუკუნის რუსული ლიტერატურიდან, რომ მსახურთა მეტყველებაში ფრაზა -**с** ნაწილაკით თავდება (**да-с, нет-с**), რომელიც მომდევნო **сударь** (= **ბატონო**) სიტყვის ნაშთია, ქართულში კი -თ ნიშანს არავითარი გამართლება არა აქვს სახელებში. ეს შეცდომები ფსიქოლოგიურად გასაგებია: **ბოდიშით** ნაწარმოებია **მაპატიეთ** ან **მომიტივეთ** ზმნების ანალოგიით, ანდა გამოთქმის – **ბოდიშს გიხდით** – თავისებური შემჭიდროებით. მაგრამ წიგნის გზით შეძენილი ენის ცოდნა, წიგნიერებას რომ ვუნოდებთ, იმისთვისაცაა საჭირო, რომ შეცდომებს, თუნდაც ფსიქოლოგიურად გასაგებს, გზა გადაუღობოს.

იგივე ითქმის კარგით ფორმის შესახებაც. მასაც შეცდომით ხმარობენ ვითომდა პატივსაცემ პირთან შეთანხმება-დთანხმებისას. მაგრამ კარგი ხომ ამ მნიშვნელობით იგივეა, რაც კეთილი?! წარმოუდგენელია, ვინმემ თქვას: კეთილით! ამავე წესით უნდა ვიხმაროთ კარგი – თ ნიშნის გარეშე.

მსგავსივე შეუსაბამობაა გამოთქმა თქვენი ჭირიმეთ. ცნობილია, რომ სწორი ფორმებია შენი ჭირიმე და თქვენი ჭირიმე. ეს გამოთქმები წარმოშობით სამსიტყვიანია: შენი / თქვენი ჭირი მე (მქონდეს). ბოლო წევრი ამ გამოთქმისა პირველი პირის ნაცვალსახელის მხოლოდობითი რიცხვის ფორმაა (მე), რომელსაც მრავლობითი რიცხვის არანაირი ნიშანი არ დაერთვის და არც შეიძლება დაერთოს. საფიქრებელია, რომ ამ გამოთქმის მრავლობითის ფორმა ნაწარმოებია მსგავსი ზმნური წარმოშობის სააღერსო ფორმულის – გენაცვალე-ს (აგრეთვე დაგენაცვლე-ს) კანონიერად ნაწარმოები მრავლობითის ფორმის ანალოგიით (გენაცვალეთ).

აქვე უნდა შევხვდეთ ერთ-ერთი მისასაღმებელი სიტყვის მრავლობითის ფორმას – გამარჯობათ. როგორც ცნობილია, გამარჯობა მომდინარეობს გამარჯვება სიტყვისაგან. წესისამებრ, ეს სიტყვაც, როგორც სახელი, -თ ნიშანს სახელობითში არ საჭიროებს და პრაქტიკულადაც თანიანი ფორმები ადრინდელ ქართულ ლიტერატურაში არც გვხვდება (ისინი ახალი შენაძენია ჩვენს მეტყველებაში): გამარჯობა უნივერსალური მისაღმებაა ნებისმიერი პირისადმი ორსავე რიცხვში.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია ორი გარემოება:

1. გამარჯობის პასუხად ჩვენ ამავე სიტყვას ვიმეორებთ ან ვუნაცვლებთ გაგიმარჯოს / გაგიმარჯოთ ზმნას; 2. როცა გამარჯობით მიმართავდნენ ერთზე მეტს, უმატებდნენ სიტყვას თქვენი, ასე: გამარჯობა თქვენი. II პირის კუთვნილებით ნაცვალსახელს მხოლოდობითშიც ურთავდნენ და ახლაც ურთავენ ხოლმე საუბარში: გამარჯობა შენი (გავიხსენოთ დალოცვის ფორმულა: შენი / თქვენი გამარჯვებისა იყოს!). ქართულში გვაქვს წინამავალ სიტყვასთან მომდევნო სიტყვის პირველი ასოს შერწყმის ნიმუშები. მაგ., სიტყვა ღმერთმანი მიღებულია

გამოთქმისაგან **ღმერთმან იცის**; ასევე, ა. შანიძის აზრით, დიას მიღებულია **დია ღმერთო-საგან: დიალ >** (დაყრუებით) **დიახ**, - ისევე როგორც **კარგია < კარგი არის**. (შდრ. რუს. **спасибо** რომლის ამოსავალია **спаси боже**). მხოლოდ ამის გარდა თუ შეიძლება გამონაკლისის სახით დასაშვებად **ქენს მიწვეული გამარჯობათ**, მით უფრო, რომ ამჟამად ერთზე მეტ მოსაუბრეს ან პატივსაცემ პირს ფაქტობრივ თითქმის აღარავინ მიმართავს ამ სიტყვის -**თ** ელემენტის გარეშე (მართალია, თანიანი ფორმა განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულშიც დასტურდება, მაგრამ ილუსტრაცია არ ახლავს).

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ზმნური წარმოშობის **მოდ** სიტყვაზე, რომელსაც ხშირად მრავლობითის ფორმითაც იყენებენ ხოლმე ამა თუ იმ მოქმედებისკენ მოწოდებისას ისე, რომ ივარაუდება ამ მოქმედებაში პირველი პირის მონაწილეობაც. მაგ.: „**მოდით დავუკვირდეთ ამ მაგალითებს**“. შევადართო ხალხური: „**მოდ** ვნახოთ ვენახი“. აქ ზმნის ბრძანებითის ფორმა **მოდ** ფაქტობრივ გაქვავებულია და ნაწილაკადაა ქცეული, ნაწილაკი კი უცვლელი სიტყვაა და რიცხვის ნიშანს არ დაირთავს.

ცნობილია ზმნათაგან მიღებული სხვა ასეთი ნაწილაკიც (**ლამის, ვინძლო, იქნებ, თუნდა, დაე...**). არც ერთი მრავლობითს არ აწარმოებს. მაშ, გამონაკლისი არც **მოდ** უნდა იყოს.

დასასრულ, მრავლობითის -**თ** ნიშნის კიდევ ერთი გაუმართლებელი ხმარების ფაქტსაც უნდა შევეხოთ. საკითხი ეხება **ხალხო** მიმართვის ფორმაზე -**თ** ნიშნის გაუმართლებელ დართვას (**ხალხოთ**), რაც დიალექტიზმად ფასდება. უკვე აღინიშნა, რომ სახელებში -**თ** სულ სამ ბრუნვაში გვხვდება, მაგრამ არა სახელობითსა და ნოდებითში, რომლებიც მრავლობითში -**ნ**-ს დაირთავს ეს ზოგადი და უგამონაკლისო წესია და ჩვენც ეს მყარი წესი ზედმინეწით უნდა დავიცვათ. მაშასადამე, სწორი ენობრივი ფორმულებია:

**გამარჯობა** (ორსავე რიცხვში); **გაგიმარჯოს, გაგიმარჯოთ; ბოდიში; კარგი; შენი ჭირიმე, თქვენი ჭირიმე.**

**მოდ** ნაწილაკიანი კონსტრუქციები: **მოდ** ვისწავლოთ (ვითამაშოთ...).

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. – თუ უკვე მზადა ხართ, დაეინყოთ, კარგით? – კარგი, დაეინყოთ. 2. – ბოდიშით, შეიძლება შემოვიდე? – შემობრძანდით, ბატონო. 3. – დიდი ბოდიში, ხომ ვერ მეტყვიტ, გივი იმნამე რომელ ოთახში მუშაობს? 4. – გუშინაც გახლდით, გუშინიც თქვენ არც ერთხელ არ დამხვედრიხართ. – ბოდიშით, ბატონო, ხან მთავრობაში ვიყავი გამოძახებული, ხანაც ავადმყოფი მყავდა ოჯახში. მომიტევეთ! 5. – ბიჭებო, მოდით მამუკასთან ნაეიდეთ, დიდი ხანია გვეპატიჟება. 6. – აბა, ბავშვებო, მოდი ერთად ვთქვათ „თხა და ვენახი“! 7. – თქვენი ჭირიმეთ, გაგიგიათ ჩვენში ამისთანა ამბის ატეხა სამასი გრამის გულისთვის?! 8. – ყოჩაღ, ბიჭებო, თქვენი ჭირიმე, თქვენი! 9. ხალხოთ, ადამიანები არა ხართ? მომამორეთ ეს აშარი დედაკაცი! 10. – დღეს ნანასთან ერთად ნაეიდეთ, კარგით? – კეთილი, დიდი სიამოვნებით.

### 37. ყოველი ჩვენთაგანი (თქვენთაგანი) თუ ყოველი ჩვენგანი (თქვენგანი)?

(ნაცვალსახელთა მრავლობითის ფორმების შემცველი -გან თანდებულიანი მსაზღვრელები)

ხალხური მედიცინის მოყვარულნი უთუოდ მიაქცევდნენ ყურადღებას ბოლო წლების ერთ ტელერეკლამას, რომელშიც რომელიღაც ფირმა მომხმარებელს – „ყოველ თქვენთაგანს“ – სთავაზობს კოლხურ მალამოს...

და არა მარტო რეკლამებში, არამედ ყოველ ფეხის ნაბიჯზე – კერძო საუბარში, ქუჩაში, პრესაში, რადიო-ტელევიზიით, ოფიციალურ გამოსვლებში – არცთუ იშვიათად გვხვდება გამოთქმები: თითოეული ჩვენთაგანი / თქვენთაგანი, ყოველი ჩვენთაგანი / თქვენთაგანი, არც ერთი ჩვენთაგანი / თქვენთაგანი... თვალი და ყური უკვე ისე შევაჩვიეთ მათ, რომ თითქოს



აღარც კი გვეხამუშება: სწორი ფორმები გვეგონია... დიან, გვეგონია, მაგრამ ვცდებით.

კარგად დაუფუკვირდეთ ამ გამოთქმებს. მათში ლაპარაკია ბევრისგან, მრავლისაგან ერთის გამოყოფის ნიშნების გამოთქმები სხვანაირადაც შეიძლება ავაგოთ. ვთქვათ, გვეკითხებიან: **თქვენგან რომელმა** იცის ნინოს მისამართი? სრული (უარყოფითი) პასუხი იქნებოდა: **ჩვენგან არც ერთმა** არ იცის მისი მისამართი. სიტყვების გადასმით და თანდებულის ფუძეზე ბრუნვის ნიშნის დართვით მივიღებთ: **რომელმა თქვენგანმა** იცის ნინოს მისამართი? ერთ-ერთი სავარაუდო პასუხი იქნებოდა: **არც ერთმა ჩვენგანმა** არ იცის მისი მისამართი.

მაშ, საიდანღა მივიღეთ ფორმები **ჩვენთაგანი** და **თქვენთაგანი** და, მათი ანალოგიით, აგრეთვე **მათთაგანი**? რა დანიშნულებისაა -თა ელემენტი?

საქმე ის არის, რომ ქართულში გვაქვს მსგავსი გამოთქმები მესამე პირთან დაკავშირებით: **მათგან ერთი**, ანუ **ერთი მათგანი**, ასევე: **ყოველი მათგანი**, **თითოეული მათგანი** და ა.შ. ფორმა **მათგან** მრავლობითია, მხოლოლობითი იქნება **მისგან**. -თ აქ მრავლობითის ნიშანია და ამიტომ აუცილებელია. მაგრამ პირველი და მეორე პირის აღმნიშვნელი სიტყვები (ნაცვალსახელები) - **ჩვენ** და **თქვენ** - თავად გამოხატავენ სიმრავლეს საგანგებო ნიშნის გარეშე. ამიტომ ამ სიტყვებზე -**გან** თანდებულთან ერთად მრავლობითის -თა ნიშნის დართვა სრულიად ზედმეტია. მას მხოლოდ სიტყვა **მათგანის** მიბაძვით, მისი ანალოგიით, გაუაზრებლად ურთავენ ხოლმე **ჩვენ** და **თქვენ** სიტყვებს (ჩვენთაგან, თქვენთაგან) - ყოველგვარი საჭიროების გარეშე!

მაშასადამე, სწორი გამოთქმები იქნება:

**ყოველი ჩვენგანი, თითოეული ჩვენგანი**

**ყოველი თქვენგანი, თითოეული თქვენგანი**

**ზოგიერთი ჩვენგანი, ზოგიერთი თქვენგანი...**

**საკვარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. **თითოეულმა თქვენთაგანმა** თითო მაგალითი დაასახელოს.

2. მასწავლებელმა ყოველ ჩვენთაგანს პირობა ჩამოართვა, რომ ხშირად ვინახულებდით. 3. ვერც ერთი თქვენგანი ფებს ვერ გაადგამს სახლიდან! 4. ამ სიტყვების გაგონებაზე არც ერთ ჩვენგანს ხმა არ ამოუღია. 5. შეკრებილ სტუდენტებს ხუთი მათაგანი გამოეყო მიმართვის ტექსტის შესადგენად: ნა საქმე თუ გაფუჭდა, ეს ყოველი ჩვენგანის ბრალი იქნება. 7. ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ დაიკვებინს, რომ ყველაფერი იცის. 8. მერხზე რომ ორი რვეულია, ერთი მათგანი შენია, მეორე – ჩემი. 9. ნურც ერთი თქვენთაგანი ნუ იფიქრებს, რომ უცოდინარობით ფონს გავა. 10. ყოველი თქვენგანი რომ იმას აკეთებდეს, რაც შეუძლია, თქვენი საქმე წინ წავიდოდა.

### 38. დინამიური თუ დინამიკური? ლირიული თუ ლირიკული?

(ნასესხები სახელებისაგან -ურ/-ულ ბოლოსართით  
ზედსართავ სახელთა წარმოებისათვის)

საკითხი ეხება ა ხმოვანზე ფუძეგათავებული უცხოური წარმოშობის სახელებისაგან ზედსართავ სახელთა წარმოებას -ურ/-ულ ბოლოსართით.

საგნის თვისების ან წარმომავლობის სახელთა საწარმოებლად ქართულში რამდენიმე ბოლოსართი იხმარება, რომელთა შორის ყველაზე ხშირია -ურ. მაგ.: კაც-ი – კაც-ურ-ი, ქალ-ი – ქალ-ურ-ი... სვან-ი – სვან-ურ-ი, თუშ-ი – თუშ-ურ-ი...

თუ სიტყვის ფუძეში რ თანხმოვანი ურევია, მაშინ -ურ ბოლოსართის ნაცვლად გვექნება -ულ: ქურდ-ი – ქურდ-ულ-ი, ვერაგ-ი – ვერაგ-ულ-ი... ხევსურ-ი – ხევსურ-ულ-ი, რაჭა – რაჭ-ულ-ი...

მსგავსადვე იწარმოება უცხოური (ნასესხები) სახელები: სტუდენტ-ი – სტუდენტ-ურ-ი, არტისტი – არტისტი-ულ-ი... მონღოლ-ი – მონღოლ-ურ-ი, არაბ-ი – არაბ-ულ-ი...

როგორც ვხედავთ, -ურ/-ულ ბოლოსართი, ჩვეულებისამებრ,

არსებითი სახელის ფუძეს დაერთვის.

რაც შეეხება ხმოვანზე, კერძოდ, ა ხმოვანზე ფუძეგათავებულ უცხოურ სახელებს, ისინი მეტწილად -ია და -იკა კომპლექსებზე დაბოლოებული აბსტრაქტული სახელებია, მათ შორის - ცოდნის ამა თუ იმ დარგის აღმნიშვნელი სახელები. ზედსართავ სახელთა სანარმოებლად -ურ/-ულ ბოლოსართის დართვისას მათ ბოლოკიდური ა ეკვეციებათ - ისევე, როგორც იკვეციება იგი ხმოვნით დაწყებული ბრუნვის (ნათესაობითის, მოქმედებითის) ნიშნის დართვის შედეგად: ქიმია - ქიმი-ის - ქიმი-ურ-ი, ფიზიკა - ფიზიკ-ის - ფიზიკ-ურ-ი... ეს ზოგადი წესია და მას მიჰყვება ანალოგიური აგებულების საზოგადო და გეოგრაფიული სახელები, ერთი მხრივ: ბიოლოგია - ბიოლოგი-ურ-ი, ისტორია - ისტორი-ულ-ი, ხოლო მეორე მხრივ: ლოგიკა - ლოგიკ-ურ-ი, გრამატიკა - გრამატიკ-ულ-ი... აზია - აზი-ურ-ი, ამერიკა - ამერიკ-ულ-ი...

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ამ წესს არღვევენ და -იკა კომპლექსზე ფუძეგათავებულ სახელთაგან ზედსართავებს ანარმოებენ ია-ზე ფუძეგათავებულ სახელთა მსგავსად, რამაც მოგვცა პირველი (-იკა დაბოლოებიანი) ჯგუფის ზედსართავთა პარალელური ფორმები: დინამიკური და დინამიური, ფსიქიკური და ფსიქიური, ლირიკული და ლირიული, რომანტიკული და რომანტიული, პათეტიური და პათეტიკური...

როგორ გავიგოთ, რომელი ვარიანტია სწორი? სულ მარტივად - იმ ამოსავალი სახელის მიხედვით, რომლისგანაც იწარმოება ზედსართავი:

თუ სახელის ფუძე -ია კომპლექსზე თავდება, ბოლოკიდური ა-ს კვეციით, ზედსართავის დაბოლოება -იურ/-იულ იქნება: მაგია - მაგიური, მეტალურგია - მეტალურგიული... დანია - დანიური, ნორვეგია - ნორვეგიული...

თუკი სახელის ფუძე -იკა კომპლექსზე თავდება, ისევე ბოლოკიდური ა-ს კვეციით, ზედსართავის დაბოლოებად -იკურ/-იკულ გვექნება: დინამიკა - დინამიკური, ფსიქიკა - ფსიქიკური, ლირიკა - ლირიკული, რომანტიკა - რომანტიკული... ე. ი. კ თანხმოვანი აქ ისევე იქნება შენარჩუნებული, როგორც პრო-

ფესია-ხელობის აღმნიშვნელ, ანდა ამა თუ იმ მიმართულების მიმდევრობის აღმნიშვნელ სახელებში (ფიზიკა – ფიზიკოსი, ბოტანიკა – ბოტანიკოსი... ეპიკა – ეპიკოსი, ლირიკა – ლირიკოსი, რომანტიზმი – რომანტიკოსი...).

მაშასადამე, -იკა კომპლექსზე ფუძეგანთავებულ უცხოურ სახელთაგან ნაწარმოებზედსართავთა სწორი ფორმებია:

-ურ: დინამიკური, ესთეტიკური, ფსიქიკური, ეპიკური, სპეციფიკური, პლასტიკური, ელასტიკური, პათეტიკური...

-ულ: ლირიკული, რომანტიკული...

თუ -ია ან -იკა დაბოლოებიანი სახელის ფუძე რ თანხმოვნის შემდეგ ლ თანხმოვანსაც შეიცავს, მაშინ -ურ ბოლოსართი ისევ აღდგება თავის უფლებებში: ავსტრალია – ავსტრალიური, პორტუგალია – პორტუგალიური... პროფილაქტიკა – პროფილაქტიკური...

**შენიშვნა:** ზედსართავ სახელთა სწორი წარმოების თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს აგრეთვე მოცილე ფორმების კიდევ ორი წყვილი: ტიპიური – ტიპობრივი და ფაქტიური – ფაქტობრივი. ნათელია, რომ -იურ დაბოლოება აქ მხოლოდ მაშინ გვექნებოდა, თუკი, ზემოაღნიშნული წესის მიხედვით, ამოსავალ ფუძეებად \*ტიპია და \*ფაქტია გვექნებოდა. მაგრამ, ვინაიდან ასეთი ფუძეები არა გვაქვს – (ამოსავალი ფუძეებია ტიპ- და ფაქტ-), -ურ ბოლოსართთან ერთად (ან მის გარეშეც), -ობრივ ბოლოსართიც იხმარება: ტიპობრივი // ტიპური, ფაქტობრივი. ამ ბოლოსართმა უკვე მტკიცედ მოიკიდა ფეხი სალიტერატურო ქართულში, განსაკუთრებით, სამეცნიერო ლიტერატურასა და პრესაში. მაშასადამე, ტიპ-, ფაქტ- ფუძეებისაგან სწორად ნაწარმოები ზედსართავი სახელების ნიმუშებია:

ტიპი – ტიპობრივი, ტიპური

ფაქტი – ფაქტობრივი.

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. საოცარი დინამიურობით გამოირჩევა მხატვრის ახალი სურათი. 2. კონცერტმა ნამდვილი ესთეტიკური სიამოვნება მოჰგვარა მსმენელებს. 3. პოეტის ადრეული შემქმნელობისათვის უფრო ლირიკული განწყობილება იყო დამახასიათებელი. 4. ქალიშვილი ყველაფერს რომანტიულად აღიქვამდა, რაც მას ხელს უშლიდა მოვლენების რეალისტურ შეფასებაში. 5. მის გამოსვლაში ჭარბობდა არაფრის მთქმელი, ყალბი პათეტიური ფრაზები. 6. ფიზიკურ სისუსტეს ფსიქიური აშლილობაც დაერთო, რის გამოც საჭირო შეიქნა გადაუდებელი ფსიქიატრიული ჩარევა. 7. ვენების გაგანიერებისას რეკომენდებულია ელასტიური წინდების ან სპეციალური სახვევების ხმარება. 8. მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა სასწრაფოდ გატარდეს პროფილაქტიკური ღონისძიებები. 9. ცხოვრება ცვალებადია: იგი სტატიური კი არა, დინამიკურია. 10. ლიტერატურის კრიტიკოსები მაღალ შეფასებას აძლევენ ვაჟასეულ პლასტიკურ ხატებს.

### 39. ეკონომიური და ეკონომიკური მასიური, მასობრივი და მასური

(საერთო ფუძის მქონე ნაწარმოები სიტყვების შესახებ)

საგნის თვისებას ან წარმომავლობის მანარმოებელი -ურ/-ულ ბოლოსართის საკითხის განხილვისას (№ 38) გაირკვა, თუ რა კანონზომიერება უდევს საფუძვლად მის ხმარებას; აღმოჩნდა, რომ ამოსავალია სიტყვის ფუძე: თუ სახელი -ია-ზე თავდება, მისგან თვისება-წარმომავლობის აღმნიშვნელ სიტყვას -იურ/-იულ დაბოლოება ექნება (ქიმია - ქიმიური, ისტორია - ისტორიული); თუკი სახელი -იკა-ზე თავდება, შესაბამის ზედსართავს -იკურ/-იკულ დაბოლოება ექნება (ლირიკა - ლირიკული, დინამიკა - დინამიკური). არავითარი სიჭრელე თუ ორაზ-

როვნება აქ არ წარმოიქმნება, ვინაიდან ამოსავალი სიტყვები მხოლოდ თითო ვარიანტის მქონეა: გვაქვს მხოლოდ ლირიკა (და არა ლირია), ფსიქიკა (და არა ფსიქია), დინამიკა (და არა დინამია)...

მაგრამ იშვიათად გვხვდება ისეთი ვითარებაც, როცა ერთი და იმავე ძირისაგან ორი სხვადასხვა სიტყვა მიიღება სხვადასხვა დაბოლოებით. კერძოდ, გვაქვს როგორც ეკონომია, ისე ეკონომიკა.

როგორ უნდა ვანარმოოთ ამ სიტყვათაგან ზედსართავი სახელები? რომელი ფორმა უნდა ვიხმაროთ – ეკონომიური თუ ეკონომიკური?

ამგვარ შემთხვევებში, ე.ი. როცა ამოსავალი ფუძეები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან – თუნდაც უმნიშვნელოდ, ეს იმას ნიშნავს, რომ განსხვავებულია მათი მნიშვნელობებიც: ეკონომიკა აღნიშნავს სახალხო მეურნეობის დარგსაც, სანარმოო ურთიერთობათა ერთობლიობას და სამეცნიერო დისციპლინასაც; ხოლო ეკონომია აღნიშნავს: მომჭირნეობას, ყაირათიანობას. ამ სიტყვათა განსხვავებული ფორმების მიხედვით გაფორმდა ზედსართავი ტერმინებიც: ეკონომია – ეკონომიური; ეკონომიკა – ეკონომიკური.

დაახლოებით ამ მეოთხედი საუკუნის წინათ ეკონომიკის სპეციალისტთა შორის დიდი დავა იყო ატეხილი სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით. საკითხს ერთგვარად ართულებდა იმხანად აქტუალური სამეცნიერო დარგის – პოლიტეკონომიის არსებობა. ეს საკითხი ენათმეცნიერებმა მარტივად გადაუნყვიტეს ეკონომისტებს: ეკონომიურიც დაუშვეს და ეკონომიკურიც, ოღონდ თითოეული მათგანი – თავ-თავის ადგილას (გამონაკლისის სახით დარჩა სპეციფიკური ტერმინი – პოლიტეკონომია და მისგან ნანარმოები მსაზღვრელი – პოლიტეკონომიური).

კონტექსტები ასე ნაწილდება:

ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა; ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება; ეკონომიკური საკითხები (პრობლემები)...

მაგრამ:

ფულის ეკონომიურად (მომჭირნედ, ყაირათიანად) ხარჯვა;  
ეკონომიურად ცხოვრება.

იგივე უნდა ითქვას ერთი და იმავე მასა ფუძისაგან მიღებული რამდენიმე ზედსართავის – მასიურის, მასობრივისა და მასურის შესახებ. ამოსავალ ფუძეს შეიძლება დაერთოს რამდენიმე ბოლოსართი, რომლებიც ამ სიტყვას მნიშვნელობას უცვლიან, კერძოდ:

1. თუ საქმე ეხება ნივთიერების წონას, ფუძე მასა-ს დაერთვის -ურ ბოლოსართი და გვექნება მასური (და არა მასიური): მასური წონა.

2. თუკი ლაპარაკია ვისიმე ან რისამე, ჩვეულებრივ, ბევრი ხალხის მიერ ან მის მიმართ საყოველთაო და ერთობლივ ნამოქმედარზე, ამავე მასა ფუძეს დაერთვის -ობრივ ბოლოსართი და მიიღება მასობრივი. აქ იგულისხმება ორი შემთხვევა, როცა:

ა) საქმე ეხება ვისიმე ნამოქმედარს. მაგ.: მასობრივი არეულობა ლოს-ანჯელესში. აქ ლაპარაკია მასზე, ვინც აწყობს, ქმნის არეულობას;

ბ) საქმე ეხება მოქმედებას ვისიმე მიმართ. მაგ.: მასობრივი რეპრესიები (გადასახლება). ლაპარაკია მასზე, ვისაც უწყობენ რეპრესიებს...

3. თუკი ამოსავალია ფიზიკურად დიდი ობიექტის ან ობიექტთა ჯგუფის, მათი ერთობლიობის აღმნიშვნელი სიტყვა მასივი, მაშინ მისგან მიიღება მსაზღვრელი სიტყვა მასიური (მომდინარე მასიურისაგან, რომელშიც ვ თანხმოვანი უ ხმოვნის წინ იკარგება).

„თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“ სამივე წარმოება გვაქვს: მასური, მასიური და მასობრივი, ასეთი შენიშვნით: მასივ-ი: მასი-ურ-ი (массив-ный), მაგრამ: მასა: მას-ობრივ-ი, სა-მას-ო, მას-ურ-ი (массовый). ასევეა ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონშიც.

მაშასადამე, იმის მიხედვით, თუ რომელი ფუძისაგან (უკეთ, მისი რომელი მნიშვნელობის მქონე ფუძისაგან) ვანარმოებთ მსაზღვრელებს, გვექნება:

მასა (= ხალხი): მასობრივი;

მასა (= ნონა): მასური.

მასივი: მასიური.



**საპარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეც  
დომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ.

1. სახელმწიფოს პოლიტიკური ვითარება დიდად არის დასო-  
კიდებული ეკონომიურ მდგომარეობაზე. 2. მინისტრთა კაბი-  
ნეტის შემდეგი სხდომა მიეძღვნება ეკონომიკურ საკითხებს.
3. კარგი დიასახლისი მუდამ ცდილობს, რომ ფული ეკონომიუ-  
რად ხარჯოს. 4. თუ გინდა, რომ ფული შევაგროვოთ საზღვარ-  
გარეთ წასასვლელად, ცოტა ეკონომიკურად უნდა ვხარჯოთ. 5.  
ჩემი ამხანაგი მდიდარ კაცზე გათხოვდა და ეკონომიკური პრობ-  
ლემები აღარ აწუხებს. 6. თუ ცოტა ეკონომიურად ვიცხოვრებთ,  
წიგნის, სიგარეტისა და თეატრის ფულსაც დავზოგავთ. 7.  
ბოლოს და ბოლოს მან თავი დააღწია ეკონომიკურ სიძნელეებს  
და სული მოითქვა. 8. „ყაირათიანი“, „მომჭირნე“ და „ეკონომი-  
კური“ სინონიმიური სიტყვებია. 9. მამა ნიკოლოზი ეკონომიურად  
შეძლებული ოჯახიდან იყო გამოსული. 10. ვახტანგი მეტისმე-  
ტად ხელგაშლით ცხოვრობდა, ეკონომიკურად ცხოვრება მას არ  
შეეძლო. 11. პოეტის კაბინეტი განყოფილი იყო მძიმე, მასიური  
ავეჯით და სანერ მაგიდაზედაც ძველებური მასიური სამელნე  
იდგა. 12. სიტყვა „მასივისგან“ მიღებულია ზედსართავი სახელი  
„მასიური“. 13. ახლა გამოვიანგარიშოთ ამ ქიმიური ნაერთის  
მასური ნონა. 14. მთავრობა ყველა ქვეყანაში უფროსის მასიურ  
არეულობას. 15. ქუჩაში გახშირდა უკმაყოფილო მოსახლეობის  
მასობრივი გამოსვლები. 16. ბესტსელერად აღიარებული წიგნი  
მეხუთეჯერაც მასიური ტირაჟით გამოვიდა. 17. ახალ დასახლე-  
ბაში რამდენიმე მასიური სახლი აშენდა. 18. ჰიტლერის რეჟიმის  
დროს მასიური რეპრესიები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. 19.  
სტალინს არაერთხელ მოუწყვია მასობრივი გადასახლება ყაზა-  
ხეთსა და რუსეთის შორეულ მხარეებში. 20. ავტობუსის გაჩერე-  
ბიდან რომ წამოხვალ, ერთი დიდი, მასიური სახლი შეგხვდება,  
რომლის პირდაპირ ჩემი სახლი დგას. 21. ყველაზე პოპულარუ-  
ლი ჟურნალ-გაზეთები მასობრივი ტირაჟით გამოდის.



## 40. ელემენტალური თუ ელემენტარული? ორდინალური თუ ორდინარული?

(-ურ/-ულ ბოლოსართებიან  
ზოგიერთი ზედსართავის შესახებ)

როგორც ცნობილია, ქართულში არსებითი სახელისაგან სადაურობის ან თვისების მანარმოებელ -ურ ბოლოსართს ენაცვლება -ულ, როდესაც სანარმოებლად აღებული ფუძე რ თანხმოვანს შეიცავს (იხ. № 38, № 39). ეს წესი ეხება საერთაშორისო სიტყვებსაც, მაგალითად: ინგლისური, იტალიური, შვედური, მაგრამ: გერმანული, რუსული, ფრანგული; დინამიკური, ესთეტიკური, ფსიქიკური, მაგრამ: ლირიკული, რომანტიკული, კულტურული... თუკი ფუძისეულ რ თანხმოვანს მოსდევს ლ, მაშინ ზედსართავ სახელს კვლავ -ურ ბოლოსართი ანარმოებს. მაგალითად: პორტუგალიური, ბრაზილიური, ავსტრალიური; კრიმინალური, ტრივიალური, პროფილაქტიკური...

მაგრამ არცთუ იშვიათად უცხოური ნარმოშობის სახელთაგან ზედსართავების ნარმოებისას -ურ/-ულ ბოლოსართი დაერთვის არა უშუალოდ არსებითი სახელის ფუძეს, არამედ ისევ უცხოური ბოლოსართით ნანარმოებ ზედსართავს. ვიღებთ ორმაგ ნარმოებას - უცხოურსა (-ალ) და ქართულს (-ურ/-ულ). ორმაგი ნარმოების ნიმუშებია, მაგალითად: ფუნდამენტალური, პარადოქსალური, ტერიტორიალური და სხვ. ამ მაგალითებში -ალ ელემენტი სრულიად ზედმეტია და სათანადო ზედსართავი ფორმებიც შეცდომებად უნდა შეფასდეს. მართებული ფორმებია: ფუნდამენტური, პარადოქსული, ტერიტორიული...

ამასთან, ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებით, მოკლე სიტყვებში ორმაგმა ნარმოებამ ბუნებრივად მოიკიდა ფეხი. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ფართოდ გავრცელებული ფორმებია: ცენტრალური, თეატრალური, ზონალური, ნორმალური და მისთ.

მაგრამ არის შემთხვევები, როცა საერთაშორისო სიტყვათა დაბოლოებებში გვაქვს არა უცხოური ნარმოშობის -al ელემენ-

ტი, არამედ -ar(y), რომელიც წარმოშობის მიუხედავად, ამჟამად ფუძისეულადაა გაგებული. ამის გამო, ზემოაღნიშნული ნების მიხედვით, ქართულში ზედსართაულ ფორმებს -ულ (და არა -ურ) ბოლოსართი აწარმოებს, ასე: სტაციონარი (ლათ. stationarius) – სტაციონარული, ორდინარი (ლათ. ordinarius) ორდინარული, ექსტრაორდინარული და სხვ.

ამავე წარმოებას მისდევენ სხვა სახელთაგან ნაწარმოები ზედსართავებიც. შდრ.: ლეგენდა – ლეგენდარული (ინგლ. legendary), ელემენტი – ელემენტარული (ინგლ. elementary) და მისთ. არის ორდინალურიც კარდინალურის საპირისპიროდ.

იმის გამო, რომ -ar(y) დაბოლოებიანი ზედსართავების რაოდენობას დიდად სჭარბობს -al-იანი ზედსართავე სახელები, -ალ-ურ წარმოება ზოგჯერ შეცდომით იხმარება -არ-ულ წარმოების ნაცვლად (ელემენტალური, სტაციონალური, ორდინალური, ექსტრაორდინალური, ლეგენდალური...).

მაშასადამე, მართებული ფორმებია მხოლოდ:

სტაციონარული; ლეგენდარული; ელემენტარული; ორდინარული, ექსტრაორდინარული...

**საპარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადანერეთ:

1. ამ პიროვნებაში პარადოქსალურადაა შერწყმული თავმდაბლობა და სიამაყე. 2. ფუნდამენტურ მეცნიერებებს განეკუთვნება მათემატიკა, ფიზიკა, ბიოლოგია და ზოგიერთი სხვა მეცნიერება. 3. ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, ზოგიერთი ყოფილი დაბა ამჟამად ქალაქია. 4. ზოგჯერ ისეთი რთული და პარადოქსული სიტუაციები იქმნება, რომ მათში ძნელია გარკვევა. 5. ამ ინსტიტუტში სტუდენტი ფუნდამენტალურ ცოდნას შეიძენს თავის სპეციალობაში. 6. სიტყვა „ორდინალური“ ნიშნავს „ჩვეულებრივს“, „ტრივიალურს“. 7. დიდი ფილოსოფია არ სჭირდება ამის გაგებას: ეს ელემენტალური ჭეშმარიტებაა. 8. ამ ავადმყოფს მხოლოდ ამბულატორიული მკურნალობა ვერას უშველის, მას სტაციონარული მკურნალობა სჭირდება. 9. მისმა ექსტრაორდინარულმა საქციელმა

მთელი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. 10. რობინ ჰუდი ინგლისელი ხალხის ლეგენდალური გმირი იყო. 11. ადრე საინგლო ტერიტორიალურად საქართველოს ეკუთვნოდა, ამჟამად კი იგი აზერბაიჯანშია. 12. ამ ამბავში ლეგენდარული არაფერია, ყველაფერი ნამდვილად მოხდა.

## 41. ვდგევარ თუ ვდგავარ? ვგევარ თუ ვგავარ? ვყევარ თუ ვყავარ?

(დგას, ჰგავს, ჰყავს ზმნების პირველი და მეორე პირის ანმცოს ფორმების მართლწერა)

ქართულში გვაქვს ერთი წყება მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნებისა, რომელნიც ახლანდელი დროის პირველი და მეორე პირის ფორმებში ირთავენ ვარ, ხარ მეშველ ზმნებს. გვაქვს: ვდგავარ, დგახარ; ვყავარ, გყავარ, მყავხარ, ჰყავხარ; ვგავარ, გგავარ, მგავხარ, ჰგავხარ. მესამე პირში კი მარტივი ფორმები გვაქვს: დგას, ჰყავს, ჰგავს; მრავლობითში: დგანან, ჰყვანან, ჰგვანან.

როგორც ვხედავთ, ჩამოთვლილ ზმნებს ფუძეში ა ხმოვანი აქვთ სამსავე პირში და აქ ყველაფერი ნათელია: ამ ფორმების სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მიუხედავად ამისა, სიჭრელეს ქმნის სწორედ რთული შედგენილობის ვარ/ხარ მეშველ ზმნიანი პირველი და მეორე პირის ფორმები: ზემოაღნიშნულ სწორ ფორმათა გვერდით აქა-იქ ვანყდებით ფუძეში ხმოვანშეცვლილ უმართებულო ფორმებს: ვდგევარ, დგეხარ; ვყევარ, ჰყევხარ; ვგევარ, ჰგევხარ...

ისმის კითხვა: საიდან მივიღეთ ეს უმართებულო ფორმები?

საქმე ისაა, რომ მდგომარეობის აღმნიშვნელ ზმნათაგან, გარდა ფუძეში ა-ხმოვნიანი ზმნებისა, გვაქვს ორიოდ ე-ხმოვნიანი ზმნაც: წევს, დევს, ძევს. მათ შორის პირველი და მეორე პირის ფორმები მხოლოდ წევს ზმნას აქვს: ვწევარ, წევხარ.

სამივე პირის ფორმა კანონიერია, მაგრამ, ჩანს, სწორედ მათი ანალოგიით მივიღეთ ზემოჩამოთვლილი ზმნების უმარტებულო ხმოვანშეცვლილი ფორმები.

მაშ, როგორღა გავარჩიოთ სწორი ფორმები (არასწორისაგან) სულ მარტივად – მესამე პირის ფორმის ხმოვნის (დაქტორირიგ – ფუძისეული ხმოვნის) მიხედვით, კერძოდ: თუ მესამე პირის ფორმაში ე ხმოვანი გვაქვს, პირველ-მეორე პირშიც ე გვექნება; თუკი მესამე პირის ფორმაში ა ხმოვანი გვაქვს, პირველ-მეორე პირშიც ა გვექნება.

მაშასადამე, პირველი და მეორე პირის სწორი ფორმებია:

დგას – ვდგავარ, დგახარ; ვუდგავარ, მიდგახარ...

ჰყავს – ვყავარ, გყავარ, მყავხარ, ჰყავხარ;

ჰგავს – ვგავარ, გგავარ, მგავხარ, ჰგავხარ.

**საკვარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეც-  
დომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. – ჩაიხედე სარკეში, რას ჰგეგხარ, ერთიანად მტვერში ხარ ამოგანგლული. 2. – ხომ კარგი შვილი გყვევარ, მამილო? – ნამ-  
დვილად კარგი შვილი მყავხარ, ცოტა ტრაბახა რომ არ იყო. 3.  
გთხოვთ დაიხსომოთ, რომ ამ ქალბატონის შემდეგ ვდგავარ. 4.  
მანდ ნუ დგეხარ, გაცივდები! 5. – მაშ, მტკიცედ დგახარ შენს  
სიტყვაზე? – მტკიცედ ვდგევევარ და ჩემს ნათქვამს ვერავინ  
გადამათქმევინებს. 6. დედა! ვის უფრო გვევარ – შენ თუ მამას?  
ნაკეთებით მამას ჰგეგხარ, ფერად კი თითქოს მე მგავხარ. 7.  
ჩვენს გვარში არავინ ყოფილა ჯიუტი. შენ ვის გეგხარ ასეთი  
უჯიათი? 8. ჩემს მშობლებს ორი შვილი გყავართ – მე და ჩემი  
უმცროსი ძმა. 9. მაღლობელი ვარ, რომ მუდამ მხარში მიდგეხარ.  
10. ერთ სურათში მასწავლებელს გვერდით ვუდგავარ, სხვაგან  
კი არსად არ ვდგევევარ მის გვერდით.

## 42. მღერისხარ თუ მღერი? ტყუისხარ თუ ტყუი?

(ი-დაბოლოებიანი ზმნების პირველი და მეორე პირის ანმყოს ფორმების მართლწერა)

უკვე შევეხეთ რამდენიმე ისეთ ზმნას, რომლებსაც ახლანდელი დროის პირველ და მეორე პირში ერთვის მეშველი ზმნები ვარ და ხარ. მაგრამ მათი რაოდენობა გაცილებით მეტია. ესენია, ერთი მხრით, მდგომარეობის აღმნიშვნელი ზმნები: **ვდგავარ, დგახარ; ვზივარ, ზიხარ; ვწევარ, წევხარ**, მეორე მხრით კი – მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელი ზმნები: **მივდივარ, მიდიხარ; მივრბივარ, მირბიხარ; ვხტივარ, ხტიხარ** და მისთ. მესამე პირის ფორმები მარტივია და მოკლე: **მიდის, მირბის, ხტის**; მრავლობითში: **მიდიან, მირბიან, ხტიან...**

სწორედ ამ დაბოლოებებით ემსგავსება ზემომოყვანილ ზმნებს ხმიანობის, ხმის გამოცემის აღმნიშვნელი ზმნების III პირის ფორმები: **მღერის – მღერიან, ყვირის – ყვირიან, კივის – კივიან, ტყუის – ტყუიან** და მისთ. ჩანს, ამ მსგავსების საფუძველზე მათ I-II პირის ფორმებიც ადრე ჩამოთვლილი ზმნების ანალოგიით ანარმოვეს მეშველი ყოფნა ზმნის საშუალებით. ასე მივიღეთ უმართებულო ფორმები: **ვმღერივარ, მღერიხარ; ვტირივარ, ტირიხარ; ვყვირივარ, ყვირიხარ; ვტყუივარ, ტყუიხარ...** სწორი ფორმები კი ტრადიციულად არის: **ვმღერი, მღერი; ვყვირი, ყვირი; ვტირი, ტირი; ვტყუი, ტყუი...** გავიხსენოთ აკაკის „თავო ჩემოს“ თუნდაც ეს ცნობილი სტრიქონი:

„მაგრამ მაინც სულ ვიციანი, არ ვტირი“.

როგორ გავმიჯნოთ ის შემთხვევები, როცა ვარ, ხარ მეშველი ზმნები საჭიროა, იმ შემთხვევებისგან, როცა ისინი ზედმეტია?

უფრო ადვილად დასახსომებლად იქნებ გამოდგეს ასეთი „შინაურული“ რეცეპტი: **მდგომარეობისა და მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან I-II პირში ვარ და ხარ აუცილებელია (ვდგავარ, ვზივარ, ვწევარ; მივდივარ, მივრბივარ, ვხტივარ);** თუკი ხმიანობის აღმნიშვნელი ზმნები გვაქვს, მაშინ მეშველი ზმნის დართვა ზედმეტია. ცხადია, პოეზიაში ან სიმღერებში

რითმისა თუ რიტმის საჭიროებისათვის ხმარებული არასწორი ფორმები მხედველობაში არ მიიღება (გავიხსენოთ პარალელური ფორმების ხმარება კინოფილმ „მიმინოდან“ ბუბა კიკაბიძის პერსონაჟის სიმღერაში). ამგვარი გამოხატვის უნდა იქონიოს არ არღვევს. მაშასადამე, უნდა ვთქვათ და ვწეროთ:

ვმლერი, მლერი; ნუ მლერი!

ვტირი, ტირი; ნუ ტირი!

ვყვირი, ყვირი; ნუ ყვირი!

ვკივი, კივი; ნუ კივი!

ვტყუი, ტყუი; ნუ ტყუი! და მისთ.

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. რას მიყვირიხარ, რომ მიყვირი? ტყეში ხომ არა ხარ? 2. ყოჩაღ, რა კარგად მღერიხარ! აქამდე არც კი ვიცოდი, რომ მღერი. 3. ნუ ტირი, გენაცვალე. გაიცინე და აღარ გეტკინება! 4. რას იცინიხარ? ვინ არის შენი დასაცინი? 5. ამ წიგნს რომ ვკითხულობ, მუდამ გულიანად ვიცინი. 6. ნუ კვიხარ, თორემ არ მოგისმენ. 7. – რას უჩივით? – ჰკითხა ექიმმა ავადმყოფს. 8. რა ნაცნობი მელოდიაა, გამახსენე, რას მღერიხარ! 9. ბავშვობის მერე ძალიან იშვიათად ვტირივარ – მხოლოდ ახლობლის სიკვდილის ამბავს თუ გავიგებ, მაშინ. 10. – ვინ ყვირის? – მე ყვირი.

### 43. გასჩენიყო თუ გასჩენოდა? დაჰკარგვიყო თუ დაჰკარგოდა?

(ორპირიანი გარდაუვალი ზმნების მეორე თურმეობითის ფორმების მართლწერა)

ძნელი წარმოსადგენია, რომ საქართველოში ვინმემ არ იცოდეს აკაკის პოპულარული ლექსი „სულიკო“. მისი თითქმის ყველა სტროფი თავდება ამ სასათაურო სიტყვით, რომელსაც

ერთმემა ყოველი სტროფის მეორე სტრიქონის ბოლო სიტყვა – სხვადასხვა ზმნა ერთი და იმავე ფორმით: დაკარგულიყო, ამოსულიყო, განაბულიყო...

თითოეული აღნიშნული ზმნა გარდაუდებლად, ამასთან, ერთპირიანია, ე. ი. შეენყობა ერთი პირი; რომელიც მოქმედდა, სუბიექტია და სახელობითში დგას: (ის) დაკარგულიყო; (ის) ამოსულიყო...; ზმნა კი გამოხატავს უკვე მომხდარ მოქმედებას, რომელიც შედეგის სახით დახვდა მოსაუბრეს ისე, რომ თვითონ მოქმედების პროცესს ვერ შეესწრო. ამგვარ მოქმედებას დაესმის კითხვა: რა ექნა? ამავე ფორმამ შეიძლება გამოხატოს წარსულში შესასრულებელი ან სასურველი მოქმედება (რა უნდა/უნდოდა / შეეძლო ექნა?). როგორც ვხედავთ, ეს ზმნები რთული შედგენილობისაა და მეშველი -იყო ზმნით ფორმდება.

მაგრამ, თუკი ზმნას ერთის ნაცვლად ორი პირი შეენყობა, კერძოდ, ისეთი პირი დაემატება, რომელიც მუდამ ერთ ბრუნვაში – მიცემითში დგას, მაშინ ზემოთ ნახსენები მნიშვნელობის მქონე ზმნა ისევ -იყო-თი კი არ დაბოლოვდება, როგორც „სულიკოს“ ზემოთ ჩამოთვლილი ერთპირიანი ზმნები, არამედ -ოდა დაბოლოებით, ასე: ამოსვლოდა (ბიჭს უღვაშები), გასჩენოდა (ქალს შვილი), მოჰკვდომოდა (ძალს პატრონი), გასწითლებოდა (ბავშვს ლოყები) და მისთ. (და არა: ამოსვლიყო, გასჩენიყო, მოჰკვდომიყო, გასწითლებიყო...). თუ მიცემითში დასმული სახელების ნაცვლად პირველი ან მეორე პირის ნაცვალსახელი გვექნება, ზმნას თავში შესაბამისად მ- (მრავლობითში გვ-) ან გ- ნიშანი დაერთვის: გა-მ-ჩენოდა მე (გა-გვ-ჩენოდა ჩვენ), გა-გ-ჩენოდა(თ) შენ (თქვენ); გა-მ-წითლებოდა, გა-გ-წითლებოდა...

ცალკე უნდა შევიჩინოთ იმ ზმნებზე, რომელთა გარდამავალი ფორმებიც -ავ დაბოლოებიანია (კარგავს, მალავს და მისთ.). სათანადო გარდაუვალ ზმნებს -ოდა ელემენტის ნინ ეკარგებათ ვ ბგერა: დაჰკარგვია – დაჰკარგოდა, დამალვია – დამალოდა...

მაშასადამე, მართებული ფორმებია:

გასჩენოდა მას (გაგჩენოდა შენ, გამჩენოდა მე);

მოჰკვდომოდა მას (მოგკვდომოდა შენ, მომკვდომოდა მე);

ამოსვლოდა მას (ამოგვსვლოდა შენ, ამომსვლოდა მე);  
დაჰკარგოდა მას (დაგკარგოდა შენ, დამკარგოდა მე);  
გაჰკანროდა მას (გაგკანროდა შენ, გამკანროდა მე)...

**საპარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. არავის უთქვამს, მაგდას რომ მამა *მოჰკედომიყო*. 2. მე რომ *მნდომოდა*, თვითონ მივწერდი წერილს. 3. იმ ზაფხულს ნანას პიონერთა ბანაკში მკბენარები *გასჩენიყო* და ძლივს გაუნმინდეს თავი. 4. ფული რომ *გამჩენოდა*, მაშინვე გაგისტუმრებდი, მაგრამ რომ არ გამიჩნდა? 5. პოლიციელი თავზე *ნამოსდგომიყო* ყაჩაღს, რომელსაც ნაპარავის გადამალვა ვერ მოესწრო. 6. უდლეური ბავშვი რომ არ *გასჩენიყო* და არ *მოჰკედომოდა*, ახლა ოთხი შვილი ეყოლებოდა. 7. გადავწყვიტე, რადაც უნდა *დამჯდომოდა*, იმ დღესვე მომემთავრებინა *დანყებული საქმე*. 8. ჩემს ლოდინში დედას მაგიდასთან *დასძინებოდა*. 9. რა იქნებოდა, რომ პაპაშენი *მოსწრებიყო* შენს დავაუკაცებას! 10. წიგნის კითხვაში ვერ იგრძნო, ისე *დასთენებოდა* თავზე.

#### 44. კრება შესდგა თუ შედგა? ბალი ჰყვავის თუ ყვავის?

(მესამე ობიექტური პირის თავსართების ხმარებისათვის)

ქართულ ენას აქვს შესანიშნავი თვისება, პირთა შორის დამოკიდებულება ზმნის ერთი ფორმით გამოხატოს. ამ ფორმის წარმოთქმისთანავე ჩვენთვის უკვე ცნობილი ხდება, რამდენ და რომელ პირზე ან პირებზეა საუბარი.

ავილოთ ზმნური ფორმა **ვ-წერ**. იგი სახელების შეუწყობლადაც გვამცნობს, რომ დამწერი პირველი პირია, დასაწერი კი – მესამე; ხოლო **მ-წერს** ზმნა გულისხმობს, რომ დამწერი და დასაწერი მესამე პირები არიან (ის მას), ადრესატი კი – პირ-



ველი პირი (მე). თუ ადრესატი მეორე პირია, გვექნება **გ-წერს** (ის მას), ხოლო თუ ადრესატი მესამე პირია, მაშინ გვექნება: **ს-წერს**. შევუდაროთ ერთმანეთს ფორმები **წერს** და **ს-წერს**, მათ ასხვავებს **ს-** თავსართი, ორპირიან ზმნას (**წერს** ის მას) სამპირიანად რომ აქცევს (**ს-წერს** ის მას).

იგივე შეფარდებაა ამ წინადადებებს შორის: სპორტსმენმა შუბი **ტყორცნა** და: „მზემ ფანჯარას სხივი **ს-ტყორცნა**“ (ირ. ევდოშვილი).

ამავე დანიშნულებისაა **ჰ-** თავსართიც. შევუდაროთ ერთმანეთს: დიასახლისი სარეცხს **ფენს** და: მზე არემარეს შუქს **ჰ-ფენს** (შდრ. წარსულ დროში: დიასახლისმა სარეცხი **გაფინა** და: მზემ არემარეს შუქი **მო-ჰ-ფინა**). როგორც ვხედავთ, **ს-** და **ჰ-** თავსართები მიემართება ზმნასთან შეწყობილ მესამე პირს, რომლის აღმნიშვნელი სახელიც ობიექტია და მუდამ მიცემით ბრუნვაში დგას.

ამის აღნიშვნა იმიტომ გახდა საჭირო, რომ დღეს არცთუ იშვიათად ჩვენს პრესაშიც და მხატვრულ ლიტერატურაშიც ეს თავსართები ერთპირიან ზმნებთან გვხვდება, როცა მათთან შეწყობილი სახელები სახელობით ბრუნვაში დგას. მაშასადამე, ამ თავსართებს ფუნქცია არა აქვთ. მაგალითად: არაფერი **სჩანს**, სიზმარი **გაჰქრა**, მატარებელი **მიჰქრის** (ან **მოჰქრის**, დაჰქრის), ბალი **ჰყვავის**. სხვათა შორის, ზოგი ამ უკანასკნელ ფორმას შეგნებულადაც კი ხმარობს, – აქაოდა, ფრინველ **ყვავში** არ აირიოსო. მაგრამ ასეთი დამთხვევა ხომ მხოლოდ ახლანდელ დროში ხდება, ისიც – მესამე პირის მხოლოდობითში (შევადართოთ წარსული დროის ფორმები: **ყვაოდა**, **აყვავდა**; მომავალი: **აყვავდება**).

გვხვდება მსგავსი შეცდომის შემცველი ასეთი წინადადებებიც: აღსდგა (უნდა: **აღდგა**) ძველი ტრადიცია; უიური ხუთი კაცისაგან შესდგება (უნდა: **შედგება**); კრება (სხდომა) შესდგა (უნდა: **შედგა**). მაგრამ, თუ **დეგ** ფუძისაგან ნაწარმოები ზმნური ფორმა ორპირიანია (ერთი კაცი მეორეს ფეხით შესდგა; ცოლი მოსდგა ქმარს და საყვედურებით აავსო), მაშინ **ს-** თავსართი საჭიროა.

მაგრამ ასევე მკაცრად ვერ ვიმსჯელებთ ძველი ქართულიდან მომდინარე ტრადიციულ ქრისტიანულ ფორმულაზე „ქრისტე აღსდგა“, რომელიც გამონაკლისის სახით შეიძლება უცვლელი დარჩეს. სხვა შემთხვევაში ს- თავსართი ამ ერთპირიან ზმნაში სრულიად ზედმეტია (ტრადიციის აღდგა და არა აღსდგა).

ასევე გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს ნორმის დარღვევა პოეტიკური მიზნებით. იგულისხმება ისეთი ფორმები, როგორიცაა, მაგ., ჰქრის და მიჰქრიან ზმნები გალაკტიონის უაღრესად მუსიკალურ ლექსში „ქარი ჰქრის“, რომლის ბგერწერულ სისტემაში ფშვინვიერი თანხმოვნები ორგანულადაა ჩაქსოვილი. ამგვარი გამონაკლისები საერთო წესს, რა თქმა უნდა, ვერ არღვევს.

მაშასადამე, სწორი, მართებული ფორმებია:

ჩანს, მოჩანს (ჩანდა, მოჩანდა)

აღდგა (აღდგება)

ყვავის (ყვაოდა)

ქრება (გაქრება, გაქრა)

ქრის (ქროდა), დაქრის (დაქროდა), მიქრის (მიქროდა), მოქრის (მოქროდა).

შესაბამისად უნდა ვთქვათ და ვწეროთ:

ტრადიცია აღდგა; ყიური შედგება ხუთი ნევრისაგან; კრება შედგა.

მაგრამ: გამარჯვებული დამარცხებულს ფეხით შესდგა.

ბევრს ეცადა: იქით მიდგა, აქეთ მოდგა, მაინც ვერაფერი გააწყო.

მაგრამ: ცოლი მოსდგა მთვრალ ქმარს და კარგად გაჯორა.

**საპარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. გაზაფხულზე ბუნება იღვიძებს და ირგვლივ ყველაფერი ჰყვავის.
2. აქედან არაფერი სჩანს, ცოტა იქით გავინიოთ.
3. ამჯერად ოპონენტი სდუმს: ახალი შენიშვნის მიცემას არ ჩქარობს.
4. იმედია, ეს კარგი ტრადიცია კვლავ აღსდგება.
- 5.

გამოაცხადეს, რომ კრება შესდგა დაგეგმილზე ორი საათით გვიან. 6. როგორც ჩანს, რეჟისორი გადაიღალა და კარგი დასვენება სჭირდება. 7. რატომ დუმხარ? არაფერი გაქვს სათქმელი? 8. ყველაფერი მოგვარდა, ქალი კი მაინც ვაკაპოვდა. 9. რას დაჰქრებხარ წინ და უკან! თვალეები აგვიჭრებოდა. 10. შემოდგომის ცივი ქარი ქრის.

## 45. გავს, ყავს, თხოვს თუ ჰგავს, ჰყავს, სთხოვს?

(ჰ- და ს- პირის თავსართების ხმარების შესახებ)

უკვე განვიხილეთ ერთპირიან ზმნებში ობიექტური მესამე პირის ს- და ჰ- თავსართების ჭარბი ხმარების მაგალითები. აქ კი იმ შემთხვევებს შევხებით, რომლებშიც ეს ნიშნები ზმნებს აკლია, რის შედეგადაც გადმოსაცემი აზრი შეიძლება დამახინჯდეს; და თუნდაც არ დამახინჯდეს, მათი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული ხმარების გამო დარღვევის შემთხვევები ყურს ჭრის. აი, რამდენიმე ნიმუშიც:

**ცივა, თბილა, ცხელა, გრილა** ზმნები აღნიშნავს ამინდს ზოგადად. მაგრამ, თუ გვინდა ვთქვათ, რომ მავანს (მესამე პირს) აქვს სიცივისა თუ სიცხის შეგრძნება, ზმნას უნდა დაემატოს ს- ან ჰ- თავსართი: ს-ცივა, ს-თბილა, ს-ცხელა მას (პირიანი ზმნის მნიშვნელობით ვერ ვიტყვით: მას ცივა, ცხელა ან თბილა).

ამავე ნიშნებით გაიმიჯნება ზმნათა შემდეგი წყვილები:

**ცივი** (ხიდან ფოთოლი), შდრ.: **ს-ცივი** (ხეს ფოთოლი). პირველი ზმნა ერთპირიანია, მეორე – ორპირიანი.

**ჭრის** და **ს-ჭრის**. შდრ.: ეს დანა კარგად ჭრის, ბიჭი პურს ჭრის და: კაცი ხეს ტოტს **სჭრის**. ნამყო სრულში გვექნებოდა: ბიჭმა პური **დაჭრა**, მაგრამ: კაცმა ხეს ტოტი **მოსჭრა**.

**წერს** და **ს-წერს**. შდრ.: მონაფე **წერს** დავალებას (ზმნა ორპირიანია) და: მონაფე **სწერს** მეგობარს წერილს (ზმნა სამპირიანია).

**კრავს** და **ჰ-კრავს**. შდრ.: ქალი **კრავს** ბარგს და: ჰკრავს ბიჭი

მუჯღუგუნს ამხანაგს (ან: ვირი ნიხლს პატრონს).

ყველა აქ გახილულ მაგალითში მენწყვილე ზმნური ფორმები კარგად განირჩევა ს- და ჰ- თავსართებით პირთა რაოდენობის მიხედვით.

მაგრამ ხშირად ამ ნიშნებს პირთა რაოდენობის განმარტებელი ფუნქცია არა აქვს; უბრალოდ, მათ ხმარებას დიდი ტრადიცია მოსდგამს და მათ გარეშე ხმარებული ზმნები გვეხამუშება: მიცა, თხოვა, ყავს, მიყავს, გავს, ქვია, ქონდა, ძინავს, ძულს, წყურია, ცალია, მოწონს, ჭირს (მას), ჭირდება, ჯერა(ვს)...

კულტურულად მეტყველი იტყვის: **მისცა, სთხოვა, ჰყავს, მიჰყავს, ჰგავს, ჰქვია, ჰქონდა, სძინავს, სძულს, სწყურია, სცალია, მოსწონს, სჭირს (მას), სჭირდება, სჯერა...**

მაინც როდის უნდა ვიხმაროთ ეს თავსართები? მხოლოდ მაშინ, როცა ზმნას შეეხამება მუდამ მიცემითში მდგომი სახელი ან მესამე პირის ნაცვალსახელი (მას / მათ). ეს აუცილებელი, თუმცა არა საკმაო პირობაა. საკმაო პირობა კი არის ს- ნიშნის დართვა 9 თანხმოვნის (დ თ ტ ძ ც წ ჯ ჩ ჭ) წინ, ხოლო ჰ- ნიშნისა - 7 თანხმოვნის (ბ ფ ვ გ ქ კ ყ) წინ, სხვაგან ნიშანი არა გვაქვს.

ზოგი რამ უნდა ითქვას მეორე პირის გ- თავსართის შესახებაც: ბოლო ხანებში, მეტადრე ინტერვიუებში, გახშირდა ჟურნალისტის მიერ რესპონდენტისათვის მადლობის გამოხატვისას მეორე პირის გ- თავსართის უგულვებლყოფის შემთხვევები: სწორი **გმადლობთ** ფორმის ნაცვლად იხმარება ხოლმე **მადლობთ**. მაგრამ ეს ზმნა ხომ ორი პირის ურთიერთობას გამოხატავს: **გმადლობ მე შენ, გმადლობთ მე თქვენ ან ჩვენ შენ**. ცხადია, გვაქვს სახელიც **მადლობა**, რომელსაც, ჩვეულებრივ, წინ უძღვის მსაზღვრელი **დიდი: დიდი მადლობა!** მაგრამ ეს სხვა საქმეა. ზმნური ფორმა კი გ- ნიშნის გარეშე არ იხმარება. უნდა ვთქვათ მხოლოდ **გმადლობ(თ)!**

მაშასადამე, სწორი ფორმებია:

ჰგონია, ჰგონებია... ჰგავს, ჰგავდა...

ჰყავს, ჰყავდა, ჰყოლია; მიჰყავს, მოჰყავს, დაჰყავს...

ჰქონდა, ჰქონია; მიჰქონდა, მოჰქონდა, დაჰქონდა...

ჰქვია; ჰყვარებია; გაჰკვირვებია...

სცემს, სცემა, სცემოს...; მისცემს, მისცა, მისცეს...

სთხოვს, სთხოვა, სთხოვოს, სთხოვე(თ)!

მოსთხოვს, მოსთხოვა, მოსთხოვოს, მოსთხოვე(თ)!

სცალია, მოსცლია; სძინავს, სძინებია... **მარცხენული**

სძულს, შესძულდება, შესძულდა, შესძულდება... **მარცხენული**

სწყურია, სწყუროდა, მოსწყურდება, მოსწყურდა...

მოსწონს, მოსწონდა, მოსწონებია...

სჭირს, სჭირდა (მას); (და)სჭირდება...

ამასთან, გასამიჯნავია ზოგი ზმნა პირთა რაოდენობის

მიხედვით:

ცივა და სცივა (მას)

ცხელა და სცხელა (მას)

თბილა და სთბილა (მას)

ცვივა და სცვივა (მას)

წერს (ის მას) და სწერს (ის მას მას)

ჭრის (ის მას) და სჭრის (ის მას მას)

კრავს (ის მას) და ჰკრავს (ის მას მას).

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. ბუჯანმა ხელი თხოვა ელენეს, ისიც ორი თვის ფიქრის შემდეგ დათანხმდა შეყვარებულ ჭაბუკს.
2. სრული რეაბილიტაციისათვის ავადმყოფს ახლა კარგი მკურნალობა და დასვენება ჭირდება.
3. რას გავს ეს? შენ თვითონ მოგწონს შენი საქციელი?
4. თავისი თვალით ნახა, როგორ მიყავდათ ტერორისტებს მძევლები, მაგრამ ახლოს მისვლა ვერ გაბედა.
5. ავადმყოფს სასწრაფოდ მიცვივდნენ ექიმები, მაგრამ უკვე გვიან იყო.
6. ვაჟას წიგნის საყიდლად ფული თან არ ჰქონდა და ამხანაგს სთხოვა.
7. გივის დიდი ხანია მოწონს ინგა, მაგრამ გრძნობის გამხელა ვერა და ვერ გადაუწყვეტია.
8. არავის ვაკვირებია მისი უცნაური საქციელი.
9. ზარმაც კაცს თავისი ხელ-ფეხი ნათხოვარი ჰგონია.
10. გავიგე, ჩემს ბიძაშვილს შენი მეზობელი მოსწონებია და თავდავიწყებით შეყვარებია კიდეც, შენც გაიგე?
11. შემოდგომის მიწურულს ხეს ფოთოლი სცვივა.

## 46. ანვითარებს თუ ავითარებს? ანსხვავებს თუ ასხვავებს?

(გან- ზმნისწინის ხმარებასთან დაკავშირებული დარღვევები)

ზოგიერთი ზმნისწინის შედგენილობა ძველი და ახალი ქართულის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია. იქ, სადაც დღეს გვაქვს ა-, გა-, ნა- ზმნისწინები (ავიდა, გავიდა, ნავიდა), ძველ ქართულში გვექონდა აღ-, გან- და წარ- (აღვიდა, განვიდა, წარვიდა). როგორც ვხედავთ, ეს სამი ზმნისწინი ძველ ქართულში სხვადასხვა თანხმოვანზე თავდება.

თანამედროვე ქართულში ეს ელემენტები უმეტესწილად გამარტივებული სახით იხმარება, მეტადრე – მოძრაობის მიმართულების საჩვენებლად, მაგრამ სხვა მნიშვნელობით ეს ზმნისწინები კვლავაც ძველი ფორმით დარჩა. მაგალითად: განვითარება, განსახიერება, განსხვავება, განზოგადება, განთავისუფლება, განხორციელება... აღზრდა, აღნიშვნა, აღწერა... წარ(მო)დგენა...

როდესაც ზმნისწინები მოქმედების გეზს, მიმართულებას მიუთითებენ, მათ ზმნის ყველა ფორმაში ვხმარობთ, ხოლო სხვა დანიშნულებით გამოყენებისას ეს ზმნისწინები ანმყოს წრის ფორმებში არ იხმარება (განავითარებს, განახორციელებს, განაცვიფრებს და სხვ. მომავალ დროს გადმოსცემს, ხოლო ავითარებს, ახორციელებს, აცვიფრებს და სხვ. – ახლანდელს). ანმყოს წრის ყველა ფორმის საწარმოებლად ზმნისწინი სცილდება ზმნის ფუძეს. ეს ზოგადი წესია ქართულ ზმნაში.

მაგრამ ამ წესს ყოველთვის როდი ვიცავთ: ზოგჯერ ანმყოს ფორმებში ძველი ზმნისწინების სწორედ ბოლო – თანხმოვნით ნაწილს ვტოვებთ ზმნაში, რის შედეგადაც ანმყოს წრის ფორმებში ნაცვლად სწორი ავითარებს, ათავისუფლებს და სხვ. ფორმებისა, ზოგიერთი ჩვენგანი შეცდომით ამბობს: ანვითარებს, ანთავისუფლებს და სხვ. გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსანი“: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“. ასევე ვამახინჯებთ ენას, როცა წარმოვთქვამთ: ანზოგადებს, ანხორციე-

ლებს, ანსახიერებს, ანსხვავებს, ანცვიფრებს... გ. ი. ნ თახხმო-  
ვანი წინამავალი გა-ს გარეშე არაფრის მაქნისია.

ზმნისწინის ამგვარი გათიშვა და ზმნური ფორმის სანახიერ-  
როდ წარმოება დაუშვებელია. ზმნისწინი ან მთლიანი სახით  
უნდა ვიხმართ ზმნის ფუძესთან, ანდა მთლიანად უნდა  
მოვაცილოთ მას. ჩვეულებრივ, უზმნისწინო ფორმები ანმყოს  
წრეს განეკუთვნება:

ავითარებს, ავითარებდა... (შდრ.: განავითარებს)

არისხებს, არისხებდა... (შდრ.: განარისხებს)

ასხვავებს, ასხვავებდა... (შდრ.: განასხვავებს)

ასახიერებს, ასახიერებდა... (შდრ.: განასახიერებს)...

ამ ზმნების საწყის-მიმლეობებს კი ზმნისწინი ერთვის:

განვითარება, განვითარებული, განმავითარებელი...

განზოგადება, განზოგადებული, განმაზოგადებელი...

განრისხება, განრისხებული, განმარისხებელი...

განსახიერება, განსახიერებული, განმასახიერებელი...

**საპარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეც-  
დომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. სტუდენტმა სთხოვა დეკანს, რომ ორი დღით გაენტავი-  
სუფლებინა ლექციებიდან. 2. ეს მსახიობი შესანიშნავად ასა-  
ხიერებს მთავარ როლს. 3. დღეს თანამედროვე ცივილიზებული  
საზოგადოება უფლებრივად არ განასხვავებს რასებს, ეროვნე-  
ბებსა და კონფესიებს. 4. როგორც კი განთავისუფლდები, მაში-  
ნვე დამირეკე! 5. ამ პროგრამას ახორციელებს პარლამენტის  
შესაბამისი კომიტეტი. 6. თუ განცხადებას ნებით არ დაწერთ,  
ძალით გაგანთავისუფლებთ, – დაემუქრა დირექტორი გაფიცულ  
მუშებს. 7. ნუ ანზოგადებ შემთხვევით მომხდარ კერძო ფაქტებს!  
8. ჩვენი მასწავლებელი გვანცვიფრებდა და გვაინტერესებდა  
უცნაური ამბების მოყოლით. 9. ბავშვთა ნახატების გამოფენამ  
მნახველები განაცვიფრა და გააოცა. 10. მსახიობმა რამდენი-  
მე როლი ითამაშა და გაანცვიფრა მაყურებელი გარდასახვის  
უნარიით. 11. დალტონიკები კარგად ვერ ანსხვავებენ ფერებს.

## 47. ავლნიშნავ თუ აღვნიშნავ? ავლწერ თუ აღვწერ?

(-აღ ზმნისწინიანი ზმნების პირველი პირის ფორმებისათვის)

უკვე განვიხილეთ ზმნისწინების, ანუ ზმნისთავში დართული საგანგებო ელემენტების მართლწერა. ეს ელემენტები, ჩვეულებრივ, მიმართულებას უცვლიან მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებს (მივდივარ, მოვდივარ, შევდივარ, გავდივარ...).

ქართულში მიღებული წესის მიხედვით, ზმნის ფუძეზე დართულ სხვადასხვა ნიშანს შორის ყველაზე წინ სწორედ ზმნისწინი დაისმის (აქედან მოდის მისი სახელწოდებაც). მას მოსდევს პირის ნიშნები, შემდეგ კი – სხვა დანარჩენი (მაგალითად: მივ-უ-ახლოვდი, და-მ-ი-რეკა). ეს ზოგადი წესია და ყველა ზმნისწინი მას ემორჩილება.

მაგრამ ერთ-ერთი ზმნისწინის, კერძოდ, აღ- ზმნისწინის ხმარებისას პირველი პირის ფორმებში ეს ორი ასო ზოგიერთი ჩვენგანის მეტყველებაში ითიშება და მათ შორის პირველი პირის ვ- ნიშანი ჩაისმის, ასე: ავლნიშნავ, ავლწუსხავ, ავლწერ, ავლზრდი... ყველა ეს ფორმა შეცდომით არის ნახმარი. მათ ნაცვლად უნდა იყოს: აღვნიშნავ, აღვწუსხავ, აღვწერ, აღვზრდი.

ერთადერთი გამონაკლისი, სადაც ახალ ქართულში დიდი ხნის დამკვიდრებულია უკუნყოფა, ე.ი. ჯერ პირველი პირის ვ- ნიშანი გვაქვს, შემდეგ კი – აღ- ზმნისწინი, არის ვალიარებ ზმნა. ძველ ქართულში პირიქით იყო: | პირის ვ- ნიშანი მოსდევდა აღ- ზმნისწინს და გვქონდა აღვარიებ (ამ ფორმით ხმარობდა კიდევ მას კ. გამსახურდია თავის ისტორიულ რომანებში კოლორიტის შესაქმნელად). დღეს ეს ფორმა ანაქრონიზმადაა ქცეული და ერთადერთი სწორი ფორმაა ვალიარებ (ვალიარე).

ყველა დანარჩენი აღ- ზმნისწინიანი ზმნის პირველი პირის სწორი ფორმებია:

აღვნიშნავ

აღვწერ

აღვწუსხავ

აღვზრდი...



**საპარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადახერეთ:

1. როცა საზოგადოება ვერ იცლის მოზარდის აღსაზრდელად, მას ქუჩა და ბრბო ღზრდის. 2. ეკა, გამოდი დაფსთან და ისგლი სურად აგვიღწერე საკლასო ოთახი! 3. გაშვლეღწემა მორლიცის გაქცეული ქურდის გარეგნობა აღუნერეს // აუნერეს. 4. გვინდა ავლნიშნოთ, რომ ატენის სიონი ცნობილია თავისი მრავალენოვანი წარწერებით და ამ მხრივ მას საქართველოში ბადალი არა ჰყავს. 5. ყველანი უნდა ვეცადოთ, სამშობლოს ღირსეული შვილები აღვეუზარდოთ. 6. ინვენტარიზაციის დროს ავლრიცხავთ ყოველ ნივთს, რომელიც სარეგისტრაციო ჟურნალშია გატარებული. 7. ამ სამწუხარო შემთხვევამ დაგვარწმუნა, რომ ცუდად აგვიღზრდია შვილები, რადგან უსწავლელნი დარჩნენ. 8. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული ლიტერატურის უძველესი ძეგლები სასულიერო ხასიათისაა. 9. მოკლედ ავლწეროთ და დავახასიათოთ ჩვენი ქვეყნის თანამედროვე პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება. 10. სიამოვნებით ავლნიშნავთ, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა უკანასკნელ ოლიმპიურ თამაშებზე ექვსი მედალი მოიპოვეს.

#### 48. ვშეურაცხყოფ თუ შეურაცხვყოფ? ვუკუაგდებ თუ უკუვაგდებ?

(I და II პირის თავსართების ადგილისათვის რთულ ზმნებში)

ქართულში მოგვეპოვება რთული შედგენილობის ზმნები, რომელთა პირველ ნაწილს წარმოადგენს სახელი ან ზმნასთან აზრობრივად და გრამატიკულად დაკავშირებული სხვა სიტყვა, მეორე ნაწილს კი – პირიანი ზმნა. ამგვარი რთული ზმნები ძველი ქართულიდან მომდინარეობს. მათი სახელური ნაწილი ძირითადად ფუძის სახით დასტურდება, ხოლო ზმნურ ნაწილად უმრავლეს შემთხვევაში გარდამავალი ყოფ ზმნა გვეკლინება.

ეს რთული ზმნებია: სრულყოფს, ხელყოფს, ცხადყოფს, უარყოფს, ღირსყოფს, ნათელყოფს, იავარყოფს, უვნებელყოფს, შეურაცხყოფს, უზრუნველყოფს, უგულბებელყოფს...

აღნიშნულ რთულ ზმნებში პირველი ნაწილი უცვლელია – ფუძის სახითაა წარმოდგენილი, ხოლო მეორე, ზმნური ნაწილი (ყოფ) იცვლის ფორმას, ე.ი. იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით. პირის თავსართული ნიშნები (სუბიექტურიცა და ობიექტურიც) მხოლოდ ზმნურ ნაწილს დაერთვის (ვ-ყოფ, ვ-ყავი, მ-ი-ყვია...). მაგალითად: შეურაცხ-ვ-ყოფ, შეურაცხ-მ-ყოფ, შეურაცხ-გ-ყოფ; ხელ-ვ-ყოფ, ხელ-მ-ყოფ, ხელ-გ-ყოფ; ღირს-ვ-ყოფ, ღირს-მ-ყოფ, ღირს-გ-ყოფ, ცხად-ვ-ყოფ... ასე იცვლებოდა იგი ძველ ქართულშიც და ეს წარმოება ხანგრძლივი ტრადიციებით არის განმტკიცებული.

ანალოგიურ სურათს გვიჩვენებს თითო-ოროლა სხვა რთული ზმნაც, რომელშიც მონაწილეობს აგდება, უგრძნობს, აგრეთვე ძველი ქართულიდან შემორჩენილი უძს და ეწიფება. ესენია: უკუ-აგდება, თანაუგრძნობს (თანამიგრძნობს, თანაგიგრძნობს...), ძალუძს (ძალმიძს, ძალგიძს...), ხელენიფება (ხელმენიფება, ხელგენიფება...). მაგრამ გვხვდება პარალელური ფორმებიც: თანა-ვ-უ-გრძნობ და ვ-უ-თანაგრძნობ, თანა-ვ-უგრძენი და ვ-უ-თანაგრძენე, თანა-მ-ი-გრძნობს და მ-ი-თანაგრძნობს, თანა-მ-ი-გრძნო და მ-ი-თანაგრძნო, ძალ-გ-იძს და გ-ძალუძს...

ჩამოთვლილმა ზმნებმა თანამედროვე ქართულში პარალელური ფორმები გაიჩინა პირის თავსართების ადგილის თვალსაზრისით: სუბიექტური I, აგრეთვე ობიექტური I და II პირის ნიშნებმა რთული ზმნის თავში გადმოიწია. შესაბამისად გვაქვს:

შეურაცხ-ვ-ყოფ და ვ-შეურაცხყოფ, შეურაცხ-ვ-ყავი და ვ-შეურაცხყავი, შეურაცხ-მ-ყოფს და მ-შეურაცხყოფ-ს, შეურაცხ-მ-ყო და მ-შეურაცხყო და ა. შ.

აღნიშნული სახის რთული ზმნების სწორი წარმოების ნიშნულები მხოლოდ და მხოლოდ ის ფორმებია, რომლებსაც პირის თავსართები (პრეფიქსები) ზმნური ნაწილის წინ დაერთვის, ასე:

სრულ-ვ-ყოფ, სრულ-ვ-ყავი, სრულ-მ-ი-ყვია...  
უარ-ვ-ყოფ, უარ-ვ-ყავი, უარ-მ-ი-ყვია...  
ნათელ-ვ-ყოფ, ნათელ-ვ-ყავი, ნათელ-მ-ი-ყვია...  
შეურაცხ-ვ-ყოფ, შეურაცხ-ვ-ყავი, შეურაცხ-მ-ი-ყვია...  
უზრუნველ-ვ-ყოფ, უზრუნველ-ვ-ყავი, უზრუნველ-მ-ი-ყვია...

ყვია...

უგულეებელ-ვ-ყოფ, უგულეებელ-ვ-ყავი, უგულეებელ-მ-ი-ყვია...

უვნებელ-ვ-ყოფ, უვნებელ-ვ-ყავი, უვნებელ-მ-ი-ყვია...

ამავე წესის მიხედვით ინარმოება ზოგი სხვა ზმნის შემცველი რთული ზმნებიც, სახელდობრ:

თანა-ვ-უ-გრძნობ, თანა-ვ-უ-გრძენი, თანა-მ-ი-გრძნია...

უკუ-ვ-ა-გდებ, უკუ-ვ-ა-გდე, უკუ-მ-ი-გდია...

ძალ-მ-ი-ძს (ძალ-გ-ი-ძს, ძალ-უ-ძს), ძალ-მ-ე-დვა (ძალ-გ-ე-დვა)...

ხელ-მ-ე-ნიფება (ხელ-გ-ე-ნიფება, ხელ-ე-ნიფება)...

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. ამ სიტყვებით ჩვენ არავის ვშეურაცხყოფთ. მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავთ. 2. სასამართლოზე მოპასუხემ ვერ შეიკავა თავი და თვითონ ჰკითხა მოსარჩელეს: – მე თქვენ ვშეურაცხყავით? ცხოვრებაში ჯერ არავინ შეურაცხშიყვია. 3. ვუთანაგრძნობთ ჩვენს კოლეგას მისი შეუღლის გარდაცვალების გამო. 4. დარეჯანმა ისე მხურვალედ თანაუგრძნო მზიას, რომ მას გული აუჩვილდა და ცრემლი მოერიო. 5. ჩვენ სრულიადაც არ გვინდა ვხელყოთ ჩვენი მოქალაქეების ღირსება. 6. რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ, როგორც იქნა, მტერი უკუვაგდეთ და იერიშზე გადავედით. 7. მეზობელმა პოლიციელმა თქვა, ნახევარ საათში ყაჩაღების მთელი ბანდა უვნებელყავითო. 8. – რატომ უგულეებელყავი ამისთანა არგუმენტები? – ვინ გითხრა, რომ ვუგულეებელყავი? მე არ უგულეებელმიყვია. 9. ჩემი მეგობარი მიხვდა, რომ გულწრფელად ვუთანაგრძნობდი. 10. მეტი სიცხადისათვის საჭირო გახდა ნათელმეყო ჩემი ნათქვამი.

## 49. ავადმყოფობ თუ ვავადმყოფობ? შუამდგომლობ თუ ვშუამდგომლობ?

(I-II პირის თავსართების ადგილისათვის რთულ სახელთაგან  
ნაწარმოებ ზმნებში)

საკითხი ეხება I-II პირის თავსართების ადგილს -ობ თემის-ნიშნისა ზმნების ერთ ჯგუფში, რომლებიც ნაწარმოებია რთული სახელებისაგან (კომპოზიტებისაგან). ეს ზმნებია: ავადმყოფობს, შუამდგომლობს, სულდგმულობს, შუამავლობს, წინასწარმეტყველებს, ხელმძღვანელობს, თანამშრომლობს, ზედამხედველობს... ე. წ. საშუალი გვარის ეს ზმნები მარტივფუძიანი ნასახელარი ზმნების უღლებას მიჰყვება:

ჩამოთვლილ ზმნებს I პირში სუბიექტური ვ- ნიშანი თავში დაერთვის - ისევე, როგორც მარტივფუძიანებში (ვ-ექვობ, ვ-ფიქრობ, ვ-დარდობ). მაგალითად: ვ-ავადმყოფობ, ვ-ზედამხედველობ, ვ-თანამშრომლობ, ვ-შუამდგომლობ, ვ-სულდგმულობ, ვ-წინასწარმეტყველებ, ვ-ხელმძღვანელობ...

ზოგიერთ მათგანს ობიექტური პირის ფორმებიც აქვს: მ-შუამდგომლობს, გ-შუამდგომლობს, მ-ხელმძღვანელობს, გ-ხელმძღვანელობს...

ამ ზმნებმა თანამედროვე ქართულში რთული (შეურაცხ-ვ-ყოფ, შეურაცხ-მ-ყოფ... ტიპის) ზმნების ანალოგიით გაიჩინა პარალელური ფორმები, რომლებშიც პირის თავსართებმა გადაინაცვლა (წესის საწინააღმდეგოდ!) რთული სიტყვის (კომპოზიტის) შემადგენელ ნაწილთა მიჯნაზე: ავად-ვ-მყოფობ, შუამ-ვ-მდგომლობ, თანამ-ვ-მშრომლობ, ხელ-ვ-მძღვანელობ...

მაგრამ, ვინაიდან ყველა ეს ზმნა ერთი სიტყვისაგან - კომპოზიტისაგან მომდინარეობს, კომპოზიტი კი, ფუძის რთული შედგენილობის მიუხედავად, ერთმნიშვნელობიანია და, მაშასადამე, გაუთიშავიც, პირის ნიშნის შუაში ჩასმა ყოველმხრივ გაუმართლებელია. ამიტომ პირველი პირის ნიშანიც ზმნას თავშივე უნდა დაერთოს, ისევე როგორც ყველა მარტივფუძიან ნასახელარ ზმნას, ასე:

ვ-შუამავლობ, ვ-სულდგმულობ  
ვ-ავადმყოფობ, ვ-ხელმძღვანელობ  
ვ-თანამშრომლობ, ვ-თვალთმაქცობ  
ვ-შუამდგომლობ, ვ-წინასწარმეტყველებ და ა. შ.



**საპარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. ბოლოს რეცენზენტმა განაცხადა: – *შუავმდგომლობ* სამეცნიერო საბჭოს წინაშე, რათა დისერტანტს მიენიჭოს საძიებელი ხარისხი. 2. მოხუცი მშობლების თხოვნით რამდენიმე მეზობელმა *ვუშუამდგომლეთ* მის შვილს პოლიციაში. 3. ამ სამუშაოების შესრულებას მე და ჩემი მეგობარი *ვხელმძღვანელობთ*. 4. გაპარულ წყვილს მშობლებთან ჩვენ, მათი მეგობრები, *ვშუამავლობდით*. 5. რუსეთში სწავლის პერიოდში ზამთრობით მუდამ *ვავადმყოფობდი*. 6. იმ წელიწადს სტუდენტთა ექსპედიციას მე *ვხელმძღვანელობდი*. 7. ამ ბოლო ხანებში ხშირად *ავადმყოფობ* და ექიმს უნდა მივმართო. 8. ეს ორი წელია, რაც *თანავმშრომლობ* გერმანელ კოლეგებთან. 9. ემიგრანტები მხოლოდ იმ იმედით *ვსულდგმულობდით*, რომ მალე ვნახავდით სამშობლოს. 10. ჩვენ რომ უფრო მჭიდროდ *ვთანამშრომლობდეთ*, ერთმანეთის მუშაობაზე უფრო ნათელი წარმოდგენა გვქვენებოდა. 11. მე ხომ დიდი ხანია *ვწინასწარმეტყველებდი*, რომ ეს ამბავი უხმაუროდ არ ჩაივლიდა. ახლაც *წინასწარმეტყველებ*, რომ ხვალ-ზეგ უსათუოდ რაღაც მოხდება.

## 50. ვაბავ თუ ვაბამ? ვარტყავ თუ ვარტყამ?

(-ამ თემისნიშნისანი ზმნების მერყეობის შესახებ)

ცნობილია, რომ ენის სიტყვიერი მარაგი, ლექსიკური სიმდიდრე დიდად არის დამოკიდებული ცოცხალ კილოებზე, დიალექტებზე, და ამ მხრივ მათი როლი განუზომელია. მაგრამ, ამასთანავე, ამ კილოთა თანაარსებობა და მათი სხვადასხ-

ვაგვარი განვითარება ხელს უწყობს გრამატიკული ფორმების სიჭრელესა და ნაირგვარობას. ამას კი სალიტერატურო ენის ერთიანობისათვის ზოგჯერ ფრიად არასასურველი საზიანო შედეგები მოაქვს. აქ სწორედ ერთ ამგვარ შემთხვევაზე შევჩერდებით.

ერთი ნყება ქართული ზმნების ფუძეებისა, როგორც ცნობილია, თავდება -ავ და -ამ დაბოლოებებზე, ე. წ. თემის ნიშნებზე. -ავ-იანი ზმნებია: ვხატავ, ვკერავ, ვრგავ, ვკრავ...; -ამ-იანი ზმნებია: ვასხამ, ვაბამ, ვარტყამ, ვსვამ... ისინი სალიტერატურო ენაში ფართოდ გავრცელებული ფორმებია. მაგრამ ქართული ენის დასავლურსა და აღმოსავლურ კილოებში ეს დაბოლოებები არცთუ იშვიათად ერთმანეთს ენაცვლება. ერთი მხრივ, აღმოსავლური კილოების გავლენით გვხვდება: ვხატამ, ვკრამ, ვრგამ, ვკარგამ და სხვ., ხოლო, მეორე მხრივ, დასავლური კილოების გავლენით: ვასხავ, ვაბავ, ვარტყავ, ვიზავ, ვსვავ...

პირველი ჯგუფის შეცდომები (-ამ ნაცვლად -ავ დაბოლოებისა) შედარებით იშვიათია. უფრო აქტიურად იკიდებს ფეხს მეორე ჯგუფის შეცდომები (-ავ ნაცვლად -ამ დაბოლოებისა). მართალია, ეს პროცესი ცოცხალ სასაუბრო ენაში დაიწყო, მაგრამ მან გარკვეულწილად უკვე სამწერლობო ენაშიც შეაღწია და დღეს ამგვარი ფორმები დროდადრო პრესაშიც შეიძლება ამოვიკითხოთ. დიახ, შეიძლება ამოვიკითხოთ, მაგრამ არ უნდა შევეგუოთ.

იმას, თუ სად რომელი დაბოლოება უნდა ვიხმაროთ, ადვილად გავარკვევთ ზმნის საწყისის მეშვეობით: კერძოდ, საწყისის დაბოლოებაში ვ ბგერის არსებობა (ხატვა, კარგვა, რგვა, ხვნა) სათანადო პირიანი ფორმის -ავ დაბოლოების მიმანიშნებელია, ხოლო საწყისის დაბოლოებაში მ ბგერის არსებობა (დასხმა, დარტყმა, დაბმა, სმა) – სათანადო პირიან ფორმაში -ამ დაბოლოებისა.

მაშასადამე, უნდა ვთქვათ და ვწეროთ: ერთი მხრივ:

**ვხატავ, ვკერავ, ვკარგავ, ვრგავ, ვკრავ, ვხნავ...**

მეორე მხრივ:

**ვასხამ, ვაბამ, ვარტყამ, ვიზამ, ვსვამ...**

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. ახალ წყალს ნუ უხბავ ოთახის ყვავილებს: დამდგარი წყალი ჯობია. 2. თუმცა ვანოს ცხენი არასდროს დაუბავს, თერთრონი სახლის ეზოს მაინც არასდროს გასცილებია. 3. რატომ ურტყამ შენზე უმცროსს? ესაა შენი ვაჟკაცობა?! 4. ცეცხლს ცოტა დაუკელი, თორემ სულ დაწვავ კარტოფილს. 5. – მარიკო! მანდ რას აკეთებ? – კატლეტსა ვწვავ, მერე ხორცს შევწვამ. 6. ამდენ ღვინოს რომ სვავ, დათვრები და თეატრში ველარ წავალთ. 7. შენი ამბავი რომ ვიცი, ლაპარაკს გააბამ ამხანაგთან და აღარ გაათავებ. 8. ერთი სული მაქვს, როდის დაარტყავენ ჩვენები და ბურთს კარში გაიტანენ. 9. ეს ღვინო საიდან გაჩნდა ჩემს ჭიქაში? მე თითქოს არ დამისხამს. 10. მაგას ნუ იზავ, შეიკავე თავი!

## 51. წყვიტავს თუ წყვეტს? დრიკავს თუ დრეკს?

(ხმოვანმონაცვლე ზმნების ხმარებასთან დაკავშირებული დარღვევები)

ქართული ზმნის მრავალ ფუძეს გარკვეული ელემენტები – თემის ნიშნები აწარმოებს, კერძოდ: **-ებ** (აკეთებ), **-ობ** (ათბობ), **-ავ** (ხატავ), **-ამ** (ასხამ), **-ი** (შლი). მაგრამ მათ გარდა არის მრავალი ზმნა, რომლებიც დაბოლოების გარეშე, შიშველი ფუძითაა წარმოდგენილი. მათ უმრავლესობას ფუძეში ერთადერთი ე ხმოვანი აქვს, რომელიც ზოგ ზმნასთან ყველა ფორმაშია შენარჩუნებული, ზოგთან კი ი-დ გადაიქცევა. შევადაროთ: **წერს – წერა**, **ჩეხს – ჩეხა**, მაგრამ: **გრეხს – გრიხა**, **ზელს – ზილა** და ა. შ.

ენამ ზმნების ეს ორი ჯგუფი მკაფიოდ გამიჯნა ერთმანეთისაგან და საყველპურო ქართულის მცოდნეს არასდროს შეეშლება, სად შეენაცვლება ე-ს ი ხმოვანი და სად – არა. ის სირთულე, რომელიც ასეთ ზმნებთან დაკავშირებით წარმოიქმნება, სხვა რიგისაა. კერძოდ, ზოგმა ხმოვანუცვლელმა ზმნამ,

რომელსაც ძველ ქართულში დაბოლოება არ ჰქონია, თანამედროვე ქართულში -ავ დაბოლოება განივითარა. მაგალითად, ადრე გვქონდა რეცხს, დღეს გვაქვს რეცხავს; ძველი ქართულის რეკს ფორმა (იხ. სახარებაში: „რომელი ირეკდეს, განედოს“) დღეს შეცვალა რეკავს ზმნამ, ხოლო ძველი ქართულის თესს (იხ. ანდაზა: „რასაც დასთეს, იმას მოიმკი“) – თესავს ზმნამ.

სწორედ ამ ზმნების ანალოგიით ე-ხმოვნთან ზმნურ ფუძეებს ხშირად ურთავენ -ავ დაბოლოებას. ეს რომ მხოლოდ სტუდენტურ უარგონს ეხებოდეს (მხედველობაში გვაქვს ტეხავს და გლიჯავს ტიპის ზმნები), იგი დროებით მოვლენად ჩაითვლებოდა და მსჯელობის ღირსი არც გახდებოდა, მაგრამ ამგვარ ზმნათა რაოდენობა გაცილებით დიდია, – ისევე როგორც იმ პირთა რიცხვიც, ასეთ ზმნებს შეცდომით რომ ხმარობენ. არაერთხელ მოგვისმენია, ამ საკითხს გადავწყვიტავთ – ნაცვლად გადავწყვეტთ ფორმისა, ანდა: ეს ამბავი საზოგადოებას გახლიჩავსო – ნაცვლად სწორი გახლენს ფორმისა.

ყველაზე ხშირად -ავ დაბოლოებას შეცდომით ურთავენ ხმოვანმონაცვლე ზმნების ანმყო-მყოფადის წრის ფორმებს. ამიტომ მათ უნდა ვერიდოთ. სწორი და უმართებულო ფორმების გამიჯვნა-შემონმების გასაადვილებლად პირიანი ზმნები უნდა შევცვალოთ უპირო ფორმებით (მოქმედების სახელებით), მაგ., საწყისით. ვთქვათ, თუ გვინდა გავიგოთ, სწორია თუ არა კბიჩავს ან სრისავს, ავილოთ საწყისები. გვექნება კბეჩა და სრესა (და არა: კბიჩვა და სრისვა). შდრ. სწორი ფორმები: თიბავს – თიბვა, წირავს – წირვა. შესამონმებელი საშუალებაა მიმლეობებიც: მოკბეჩილი, გასრესილი. ყველა ამ ფორმის ფუძეში გვაქვს ე ხმოვანი. ეს ფორმები სხვა ზმნებშიც სწორ გზაზე დაგვაყენებს და მიგვახვედრებს, რომ სწორი ფორმებია: კბეჩ, სრეს, წყვეტ, ზელ, გრეხ, გლეჯ, ხვრეტ... ე. ი. ე ხმოვნის შენარჩუნებით და -ავ დაბოლოების გარეშე.

**შენიშვნა:** აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი მეტად გავრცელებული უხეში შეცდომაც, რომელსაც ხშირად ვისმენთ როგორც სასაუბრო მეტყველებაში, ისე, სამწუხარ-



როდ, რადიო- და ტელეგადაცემებში. ეს არის ფორმა მჯერავს, მაგალითად, ფრაზაში: „მნამს და მჯერავს“. აქ ორმაგი შეცდომაა: ერთი – ფორმალური: სწორია მჯერა. მეორეც: ორივე ეს ზმნა – მნამს და მჯერა – ერთსა და იმავეს აღნიშნავს. ე. ი. საქმე გვაქვს ტავტოლოგიურ გამოთქმასთან, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი ზედმეტია. მაშასადამე, ხმოვანმონაცვლე ზმნების სწორი ფორმებია:

გლეჯს, კბეჩს  
გრეხს, სრესს  
დრეკს, ჩქმეტს  
ზელს, წყვეტს  
ხვრეტს და ა. შ.

**საკვარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. პარლამენტი რასაც გადაწყვეტს ამ პროექტთან დაკავშირებით, მთავრობამაც ის პროგრამა უნდა განახორციელოს.
2. როცა ცომს მოვზილავთ, ცოტა ხანს ასაფუებლად უნდა გავაჩეროთ.
3. არ მიყვარს, როცა ხოჭოებსა და სხვა მწერებს ფეხით სრისავენ.
4. რამდენ კაცსაც შეკრებთ, იმდენი დავსხდებით და გადავწყვიტავთ, როგორ მოვიქცეთ.
5. კაცი რომ თავის ცოლს ან პატარა შვილს ხელებს გადაუგრიბავს, ის განა კაცია?! 6. ხალხი დრტივნავს უპასუხისმგებლო ხელისუფალთა ხელში.
7. – ირას დედა რას აკეთებს? – ფანჯრებს წმინდავს.
8. დაიცა, არ დაუკრა, ჯერ მტვერს გადავწმენდ პიანინოდან და შემდეგ დაჯექი.
9. – დედა, ტყეში რომ წავალთ, ხომ დავკრიფავთ ყვავილებსა და სოკოებს? 10. რთველს რომ მოვრჩებით, ყურძენს სანახელში ჩავყრით და დავჭყლიტავთ.

## 52. უთქვია თუ უთქვამს? უნახია თუ უნახავს?

(-ავ და -ამ თემისნიშნისანი ზმნების პირველი თურმეობითის ფორმათა წარმოების შესახებ)

ქართულ ზმნებს ზოგ ძირითად ფორმაში (ანმყო, მყოფადი და ნამყო უსრული, ანუ უწყვეტელი) გარკვეული დაბოლოებები, ე. წ. თემის ნიშნები ერთვის: -ებ (აკეთებს, აქებს), -ობ (ლაპარაკობს, ათბობს), -ი (გზავნის, შლის) და ა. შ. ზოგი ზმნა კი ამ ელემენტს არ დაირთავს (წერს). თუ დავსვამთ კითხვას: რა უქნია? - მივიღებთ ასეთ ფორმებს: გაუკეთებია, გაუთბია, გაუგზავნია, დაუნერია...

როგორც ვხედავთ, ამ ზმნებს საერთო ისა აქვთ, რომ დასმულ კითხვაზე - რა უქნია? - პასუხის გაცემისას -ია დაბოლოებას დაირთავენ.

მაგრამ ეს წესი ყველა ზმნაზე როდი ვრცელდება: თუ ზმნა -ავ ან -ამ დაბოლოებიანია (მაგ., ხატავს, ასხამს), მაშინ კითხვაზე - რა უქნია? - ისინი, ძველიდან მომდინარე ტრადიციით, ამ დაბოლოებებს ინარჩუნებენ და გვექნება: დაუხატავს, დაუასხამს, მოუპარავს, მოუკლავს, მოურთავს, უთქვამს...

საილუსტრაციოდ გავიხსენოთ ცნობილი ნაწყვეტები ფოლკლორიდან ან მხატვრული ლიტერატურიდან: „ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს ნადირსა შავის ტყისასა“ (ხალხური); „გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მიქანცებული?“ (ნ. ბარათაშვილი); „ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია“; „რაც გინახავს, ველარ ნახავ“; „არ მომიპარავს, მიპოვია, ახლა ჩემია“ და სხვ. დავიმონმოთ, დასასრულ, რუსთაველის ერთი სტრიქონი, რომელშიც, თითქოს ჩვენს დასახმარებლად, ყველა აღნიშნული შემთხვევაა გათვალისწინებული:

„რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუნერია?“

(ეს არის ავთანდილის ნათქვამი ფატმანის წერილთან დაკავშირებით).

რატომ ვეხებით ამ საკითხს? რა ქმნის სირთულეს?

როგორც ითქვა, ყველა ზმნა, რომელიც -ავ და -ამ დაბო-

ლოებას არ დაირთავს, კითხვაზე რა უქნია? უკასუხებს - ია დაბოლოებიანი ფორმებით. ამგვარი ზმნების რაოდენობა კი ძალზე დიდია. ამიტომაც მათი ანალოგიით ზეპირ მეტყველებაში ზოგჯერ -ია დაბოლოებას ურთავენ ხატავს და ასხამს ტიპის ზმნებს (ასე: უნახია, დაუხატია, წაუკითხია, უთქვამს, დაუბამს და სხვ.).

ასეთი ფორმები სალიტერატურო ქართულში ტრადიციულად არ იხმარებოდა, ხოლო სალიტერატურო ენის ტრადიციის დარღვევის შედეგად მიღებული ფორმები გრამატიკულ დიალექტიზმებად აღიქმება და მდარე მეტყველების შთაბეჭდილებას ახდენს. ამის თავიდან ასაცილებლად მივმართოთ ისევ ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში ტრადიციით განმტკიცებულ ფორმებს და, ნაცვლად აღნიშნული მცდარი ფორმებისა (უნახია, უთქვია, წაუკითხია, დაუხატია, დაუსხია), ვიხმაროთ სწორი ფორმები:

უნახავს, მოუკლავს, მოუპარავს, მოურთავს, დაუხატავს, წაუკითხავს...

უთქვამს, დაუსხამს, დაუბამს...

**საპარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. - შენა თქვი ეს ქორი? - არა, მე არ მითქვია. 2. სად ყოფილხარ, რა გინახავს? - გვიამბე დაწვრილებით ყველაფერი! 3. ეს წიგნი ჯერ არ წამიკითხია, ხელში ვერ ჩავიგდე. 4. ბევრი წიგნი წამიკითხავს, მაგრამ ამასთან ვერც ერთი ვერ მოვა. 5. მე გითხარი, საათი მომართე-მეთქი, ის კი არ მითქვამს, გააფუჭე-მეთქი. 6. დიდი ხანია, ასეთი გამოფენა არ მინახია. 7. - ალო, გია! შენ დარეკე? - არა, მე არ დამირეკია. 8. - დედა, დღეს ვინმეს ხომ არ დაურეკავს ჩემთვის? 9. ვის აღარ დაუხატია ამ დიდებული მსახიობის პორტრეტი! 10. მემატინენს შემოუნახია ძვირფასი ცნობები თბილისის შესახებ.

### 53. დავანყე თუ დავანყვე? შევიტყე თუ შევიტყვე?

(-ობ თემისნიშნისანი ზმნების ნამყო წყვეტილის პირველი და მეორე პირის ფორმათა მართლწერა)

საკითხი ეხება -ობ თემისნიშნიან ზმნებს, რომლებიც საარვისო ქცევას ანიშნით ანარმოებენ. ეს ზმნებია: ათბობ, აქრობ, აცხობ, აშრობ, ალპობ, ალბობ, ახმობ, ამხობ, ათრობ, ართობ, ანდობ, ადნობ, არჭობ, ასობ, აწყობ, ატყობ, ახრჩობ, აძრობ...

ამ ზმნათა ერთ ნაწილს ნამყო სრულის, ანუ წყვეტილის I-II პირის ფორმებში (ორსავე რიცხვში) და III პირის მრავლობითში -ობ თემის ნიშანი უკვალოდ ჩამოსცილდება: გავათბე(თ), გაათბე(თ), გაათბეს; ჩავაქრე(თ), ჩააქრე(თ), ჩააქრეს; გავაშრე(თ), გააშრე(თ), გააშრეს; დავადნე(თ), დაადნე(თ), დაადნეს...

აღნიშნული სახის ზმნათა მეორე წყებაში, ამავე ფორმებში, -ობ დაბოლოების ო ხმოვანი კვალს ტოვებს ვ-ს სახით და გვაქვს: გამოვაცხვე(თ), გამოაცხვე(თ), გამოაცხვეს; დავანყვე(თ), დაანყვე(თ), დაანყვეს; დავათვრე(თ), დაათვრე(თ), დაათვრეს; შევიტყვე(თ), შეიტყვე(თ), შეიტყვეს; დავახრჩვე(თ), დაახრჩვე(თ), დაახრჩვეს... ეს ვ თანხმოვანი ამ ზმნებს პირველ თურმეობითშიც გადაჰყვებათ: გამოუცხვია, დაუნყვია, დაუთვრია, შეუტყვია, დაუხრჩვია და მისთ.

მაგრამ ხშირად ზეპირ მეტყველებაშიც და წერაშიც ამ ვ თანხმოვანს არ ხმარობენ, - პრესაში გვხვდება: დაანყეს, მოანყეს, შეიტყეს, შეატყეს და მისთ. ზოგიერთ ზმნაში ვ-ს დაკლება გარკვეულ გაუგებრობასაც წარმოშობს. შევადართო, მაგ.: დაინყეს (ან: დაუნყიათ) ნინ წიგნები (უნდა იყოს: დაინყვეს, დაუნყვიათ) და: დაინყეს წიგნის კითხვა. პირველია დანყობა, ხოლო მეორე - დანყება.

რა წესი არსებობს ვ თანხმოვნის ხმარება-უხმარებლობისა?

ამის ზუსტი წესი არ არსებობს, მაგრამ ყველაზე საიმედო გზა პარალელურ ფორმათაგან სწორი ვარიანტის შესარჩევად არის იმ ფორმების შემონახვა, რომლებიც:

1. სათანადო ერთპირიანი (ზოგჯერ ორპირიანი) ზმნებით გამოხატულ მდგომარეობას აღნიშნავენ და თითოეული მათგანი ერთადერთ, ამასთან, ვინიან ფორმას გვიჩვენებს. შევადაროთ:

დააწყობს – აწყვია

შეატყობს – ატყვია

დაარჭობს – არჭვია.

2. სათანადო ერთპირიანი ზმნების ან მათგან ნაწარმოები სახელების (მიმღებების) ერთადერთ – ვინიან ვარიანტს წარმოადგენენ.

შევადაროთ:

დაათრობს – დათვრება – დამთვრალი

გამოაცხობს – გამოცხვება – გამომცხვარი

ააძრობს – აძვრება – ამძვრალი

ახრჩობს – იხრჩობა (<იხრჩვება) – დამხრჩვალი.

მაშასადამე, ორპირიანი ან სამპირიანი -ობ დაბოლოებებისა და ხმოვანი (ა-, ი-, უ-) თავსართის მქონე ზოგიერთი ზმნის ნამყო წყვეტილის პირველი და მეორე პირის ორივე რიცხვის, აგრეთვე მესამე პირის მრავლობითის სწორი ფორმებია ვინიანი ფორმები:

დავანყვე(თ), დააწყვე(თ), დაანყვეს (ასევე: მოვანყვე...)

შევიტყვე(თ), შეიტყვე(თ), შეიტყვეს (ასევე: შევატყვე...)

დავაცხვე(თ), დააცხვე(თ), დააცხვეს (ასევე: გამოვაცხვე...)

ავაძვრე(თ), ააძვრე(თ), ააძვრეს (ასევე: მოვაძვრე...)

დავახრჩვე(თ), დაახრჩვე(თ), დაახრჩვეს (ასევე: ჩამოვახრჩვე...)

ჩავარჭვე(თ), ჩაარჭვე(თ), ჩაარჭვეს (ასევე: შევარჭვე...)

დავათვრე(თ), დაათვრე(თ), დაათვრეს

მოვაშთვე(თ), მოაშთვე(თ), მოაშთვეს

დავამხვე(თ), დაამხვე(თ), დაამხვეს

მივანდვე(თ), მიანდვე(თ), მიანდვეს...

3. თანხმოვანი ამ ზმნებს გადაჰყვება I თურმეობითში – სამსავე პირსა და ორსავე რიცხვში. მოგვყავს III პირის ფორმები:

დაუნყვია(თ), ჩაურჭვია(თ)  
შეუტყვია(თ), დაუთვრია(თ)  
გამოუცხვია(თ), მოუშთვია(თ)  
აუძვრია(თ), დაუმხვია(თ)  
დაუხრჩვია(თ), მიუნდვია(თ)...



**საკვარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. – სად დააწყვე წიგნები, რომ ველარსად ვხედავ? – დერეფანში, კუთხეში დავაწყე. 2. მხოლოდ შენ შემატყე სიმთვრალე, სხვებმა კი ვერაფერი შემატყვეს. 3. – შენც შეიტყე ლიას ამბავი? – რა ამბავი? არაფერი შემიტყვია. 4. ჯერ მე გამოვაცხვე ხაჭაპური, შემდეგ მათაც გამოაცხეს. 5. სხვებმა მე მომანდეს ამ საქმის დამთავრება, მე კი შენთვის მომინდვია. 6. ქალებმა მოულოდნელი სტუმრებისათვის საჩქაროდ დააცხეს შოთი პურები. 7. – ეს ქინძისთავი შენ შეარჭვე ბალიშში? – კი, მე შევარჭე. 8. ერთი უყურე, რა უადგილო ადგილას დაუღია ვილაცას ეს წიგნი. 9. საიდან მოიტანე, რომ სანდრო მე დავათრე? ან რატომ არ გჯერა, რომ მე არ დამითვრია? 10. – რატომ ჩააქვრე სინათლე? მე ხომ ჯერ არ დამიმთავრებია კითხვა. – მე ჩავაქრე? როგორ გეკადრება?! – თვითონ ჩაქრა.

## 54. აგებებს თუ აგებინებს? აჭრევიებს, აჭრეინებს თუ აჭრევინებს?

(-ებ და -ი თემისნიშნებიან ზმნათა კაუზატივის ფორმები)

ქართულ ზმნას შეუძლია ერთი ფორმით მრავალი ისეთი შინაარსობრივი ნიუანსის გადმოცემა, როგორსაც მოკლებულია მოქმედების გამომხატველი სიტყვები ბევრ სხვა ენაში. ასეთი ფორმებია: **ემღერება, მიიმღერის, წასძინებოდა, უკეთებს, დაეკარგა** და მისთ. ამ მნიშვნელობათა გადმოსაცემად სხვა ენებში ორი ან მეტი სიტყვა დაგვჭირდებოდა. ქართული ზმნის ერთი

ასეთი თავისებურებაა იძულების ან დახმარების (კაუზატივის) გამოხატვა. მაგ., ვაკეთებინებ ნიშნავს, რომ მე ვაიძულებ მას, რალაც გააკეთოს, ანდა ვეხმარები მას რისამე გაკეთებაში; დამანერინე! – ამ ფორმით ვთხოვთ ვინმეს, რომ შეგვეტყულოს წერაში; მათქმევინე! ნიშნავს: მომეცი ნება (ან საშუალება) ვთქვა.

ძნელი არ არის შევამჩნიოთ, რომ იძულების, დახმარებისა თუ ნებართვის მნიშვნელობის გადმოცემისას ამ ზმნებს ერთვის საგანგებო -ინ ან -ევი ნიშნები: წერს – აწერინებს, აქრობს – აქრობინებს; შლის – აშლევინებს, ასხამს – ასხმევინებს. ეს ფორმები ფართოდაა გავრცელებული სალიტერატურო ენაში.

მაგრამ ზეპირ მეტყველებაში ქართული დიალექტების გავლენით ხაზგასმულ ფორმებში არცთუ იშვიათად იკარგება ხან ნ, ხან კი ვ ბგერა. დასავლურ კილოებში ისმის: აწერიებს, აგებებს, აკეთებებს (იკარგვის ნ), აღმოსავლურში კი გვხვდება: აჭრეინებს, ათქმეინებს, აკვლეინებს (იკარგვის ვ). ზოგჯერ ერთსა და იმავე ფორმებს სხვადასხვაგვარად ვამახინჯებთ: ათქმევიებს და ათქმეინებს, აშლევიებს და აშლეინებს და მისთ. ეს შეცდომები მხოლოდ ზეპირი მეტყველებით რომ შემოიფარგლებოდეს, ეს კიდევ არაფერი, მაგრამ ისინი ზეპირიდან წერით მეტყველებაში გადადიან, ნაწერ-ნაბეჭდი კი შეცდომებს კიდევ უფრო განამტკიცებს.

ამიტომ უნდა მოვერიდოთ მსგავს შეცდომებს წერაშიც და საუბარშიც. უნდა ვინმართ მხოლოდ და მხოლოდ ასეთი ფორმები:

აწერინებს, აგებინებს, აკეთებინებს...

ათქმევინებს, აშლევინებს, აჭრევინებს და მისთ.

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. დეიდა მაროს ყურთ დააკლდა და ველარაფერს ვაგებიებ. 2. ვინ გააგებინა ეს ამბავი? 3. სოფიკომ ჯერ გამოაჭრეინა, შემდეგ კი შეაკერვინა კაბა მეზობელს. 4. ჯერ ეს ოთახი დამალაგებიე და საყიდლებზე მერე ნავიდეთ. 5. – სუფრას ხომ გამაშლევიებ?

– გაგაშლენებ, აბა რას ვიზამ? 6. რას იკვრენებო? წესიურად მოიქეცი! 7. მამა დაუჯდა ქალიშვილს, კიდევ ერთხელ აუხსნა წესი და ისე გამოაყვანინა არითმეტიკული ამოცანა. 8. დედა! დღეს სადილი მე ვამაკეთებინე, კარგი? 9. ექიმმა ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ მოაშლევინა ავადმყოფი მკვნიწყვეა. 10. მოსწავლე გოგონებმა ბიჭებს საშინაო დავალება გადაანერის.

## 55. აკერინებს თუ აკერვინებს? ანახებს თუ ანახვებს?

(-ავ თემისნიშნისა ზმნათა კაუზატივის ფორმები)

ქართულში ბევრი ზმნა გვაქვს, რომელთაც ბოლოში -ავ თემის ნიშანი მოუდით: ხატავ-ს, მალავ-ს, რეკავ-ს, რეცხავ-ს, თესავ-ს და სხვ. ამ ზმნათაგან (და არა მარტო მათგან) იძულების ან დახმარების მნიშვნელობის, ე. ი. კაუზატივის (შუალობითი კონტაქტის) გამომხატველი ფორმების წარმოებისას პარალელურად იხმარება: დაახატვინა და დაახატინა, დაამალვინა და დაამალინა, შეაკერვინა და შეაკერინა, დაარეკვინა და დაარეკინა...

მაშასადამე, საქმე ეხება ვინიან და უვინო ფორმებს. რომელია მათ შორის მართებული ფორმები?

ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში მართებულ ვარიანტებად მიჩნეულია გ-ჩართული ფორმები.

ვნახოთ, როგორ აწარმოებს ამგვარ ფორმებს -ებ, -ობ, -ამ და სხვა დაბოლოებათა შემცველი ზმნები: აკეთებს – აკეთებინებს, გააკეთებინა; ათბობს – ათბობინებს, გაათბობინა; აბამს – აბმევინებს, დააბმევინა; ხევს – ახევინებს, დაახევინა და მისთ.

როგორც ვხედავთ, იძულება-დახმარების მნიშვნელობის გამოხატვისას სათანადო ფორმები ინარჩუნებს იმ დაბოლოებებს, რომლებიც ზმნებს აქვთ ახლანდელ დროში. გამონაკლისს არც -ავ დაბოლოებიანი ზმნები წარმოადგენს. მაშასადამე,



-ავ დაბოლოების ვ თანხმობის შენარჩუნებაც ისევე აუცილებელია, როგორც -ამ დაბოლოების მ თანხმობისა (მაგ., აბამს - აბმევენებს, ასხამს - ასხმევენებს...).

ნესი სულ ადვილი დასახსომებელია: თუ ახლანდელ ან მომავალ დროში ეს ზმნები -ავ დაბოლოებაზე თუ ადგება, თუ თანხმობის ვანი გადაჰყვება დრო-კილოთა ყველა ფორმაში იძულება-დახმარების აღსანიშნავადაც, ასე:

ხატავს - ახატევენებს, დაახატევენა  
მალავს - ამალევენებს, დაამალევენა  
კერავს - აკერევენებს, შეაკერევენა  
რეკავს - არეკევენებს, დაარეკევენა...

აგრეთვე:

ხნავს - ახენევენებს, მოახენევენა  
კრავს - აკვრევენებს, შეაკვრევენა და სხვ.

იგივე ნესი მოქმედებს ნახავს ზმნის სათანადო ფორმების უღლების დროსაც:

ანახვებს, დაანახვა და მისთ.

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. დედამ თავის ქალიშვილს ნუცას თოჯინასათვის კაბა შეაკერინა. 2. ანომ თანაკლასელ ვანოს მობილური ტელეფონით დაარეკვინა. 3. ნავადმყოფარი ვარ და ძალა არ მყოფნის, მოდი, გამაბერინე ეს ბურთი. 4. მამამ აჩიკოს შორიდან ცირკის შენობა დაანახვა. 5. ირინეს ალერგია ჰქონდა სარეცხი ფხვნილის მიმართ და ლოგინის თეთრეული მეზობელმა გაარეცხვინა. 6. სადაცაა ზამთარი დადგება. მკერავს საზამთრო პალტოს აღარ აკერინებ? 7. ხელსაქმის მასწავლებელმა გოგონებს ქარგვა ასწავლა და მალე პირველი ყვავილებიც მოაქარგვინა. 8. რეზო, იცოდე, მოთმინება არ დამაკარგინო, თორემ ზოოპარკში აღარ წაგიყვან. 9. ზაზამ ტელესკოპით ვარსკვლავები თვითონაც დაინახა და უმცროს ძმასაც დაანახა. 10. თიკო, მომეხმარე, ჯერ დამარჩევიან და მერე გამარეცხინე ისპანახი.

## 56. ეხლა თუ ახლა?

(თავკიდური ხმოვანი დროის აღმნიშვნელ ერთ სიტყვაში)

თანამედროვე ქართულში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ენობრივი დარღვევაა ხმოვანთა მონაცვლეობა მითითებულ სიტყვებში. სიჭრელე გვაქვს და ხშირად არ ვიცით, ან კარგად არა გვაქვს გააზრებული, რომელია სწორი ფორმები: **ეხლა** თუ **ახლა**, **ესე** თუ **ასე**, **ესეთი** თუ **ასეთი**, **აქით** თუ **აქეთ**, **იქეთ** თუ **იქით** და მისთ.

ამგვარ მოცილე ფორმებს შორის არის აგრეთვე დროის აღმნიშვნელი სიტყვის ვარიანტები – **ეხლა** და **ახლა**, აგრეთვე მათგან ნაწარმოები სიტყვები: **ეხლავე** და **ახლავე**, **ეხლახან** და **ახლახან**, **ეხლანდელი** და **ახლანდელი**.

სწორი ფორმების შერჩევა გავკვიადვილდება, თუ გავიხსენებთ ამ სიტყვების მონანილეობით შედგენილ რთულ სიტყვებს, რომელთაც ერთადერთი ფორმა აქვთ. ასეთი სიტყვებია ზედსართავი **ხელახალი** და მისგან ნაწარმოები ზმნისართი **ხელახლა**. ყველასათვის აშკარაა, რომ მათ მოცილე ფორმები არ გააჩნიათ (არა გვაქვს **ხელეხალი** და **ხელეხლა**), ვინაიდან ამ სიტყვების მეორე შემადგენელი ნაწილი მომდინარეობს **ახალ-** ფუძისაგან. მასთანვეა დაკავშირებული აგრეთვე **ახლოს**.

სიტყვა **ახალი** თავისი მნიშვნელობით რომ უშუალოდ და მჭიდროდ უკავშირდება **ახლა** და **ახლოს** სიტყვებს, ამას მოწმობს დროითი და სივრცითი მიმართების აღმნიშვნელი ამ ქართული სიტყვების ევროპული შესატყვისების ურთიერთკავშირი და სიახლოვე. მაგალითად, ინგლისურში სამივე ეს სიტყვა – **new** (**ახალი**), **now** (**ახლა**) და **near** (**ახლოს**) – ავლენს ეტიმოლოგიურ (ფონეტიკურ და შინაარსობრივ) კავშირს ერთმანეთთან. ნაწილობრივ იგივე შეიძლება ითქვას რუსული შესატყვისების შესახებაც. შევადაროთ: **новый** (**ახალი**) და **снова** ან **вновь** (**ხელახლა**).

მაშასადამე, **ახლა** და **ეხლა** ვარიანტებიდან და მათგან ნაწარმოები სიტყვების მოცილე ფორმებიდან სწორი ვარიანტებია: **ახლა**, **ახლავე**, **ახლახან**, **ახლანდელი**.

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. – მზია, არ გესმის? ჩქარა მოდი! – *ეხლავე მოვდივარ!* 2. *ახლა, ახალი და ახლოს* ერთმანეთთან დაკავშირებული სიტყვებია მრავალ ენაში. 3. *ეხლა არ დამიწყო!* 4. *დრო სამია: ეხლანდელი,* წარსული და მომავალი. 5. *ახლავე* შინ დაბრუნდი, ისადილე და შემდეგ წადი! 6. „*ახლიდან*“ სიტყვას რამდენიმე სინონიმი აქვს: თავიდან, ისევ, კვლავ, *ხელახლა, ხელმეორედ.* 7. *ეხლანდელ* დროში ბავშვები წიგნებს მაინცდამაინც არ კითხულობენ და ამიტომ უსწავლელნი რჩებიან. 8. ამ კაბას იმდენი ჩამოსაშვები აქვს, რომ ეკას *ახლაც* გამოადგება და მერმეც. 9. *ეხლა* რომ ქუჩაში დედას იგინება ზოგი ქართველი, ადრე ასეთ რამეს ვინ იკადრებდა?! 10. ასეთ უღირს საქციელს არც *ახლა* ჩავიდენ და არც არასდროს.

## 57. ესე თუ ასე? ესეთი თუ ასეთი?

(პირველ პირთან სიახლოვის მაჩვენებელი ზმნისართებისა და ნაცვალსახელების მართლწერა)

ამა თუ იმ საგნისა და მოვლენის საჩვენებლად, მასზე მისათითებლად, თუ ნაგულისხმებია პირველ პირთან სიახლოვე, ვხმარობთ შემდეგ სიტყვებს: **ასე, ასევე, ასეთი, ასეთნაირი, ასეთნაირად.** მაგრამ ამ ფორმების ნაცვლად ზოგი ჩვენგანი ხმარობს თავკიდური ე ხმოვნის შემცველ ვარიანტებს: **ესე, ესევე, ესეთი, ესეთნაირი, ესეთნაირად...**

როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისაგან სწორი და უმართებულო ვარიანტები?

მივმართოთ ტრადიციას, კერძოდ, გავიხსენოთ პოპულარული ქართული ანდაზა: „**ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო**“: აქ სიტყვა **ასე** ორჯერ იხმარება – თავსა და ბოლოში. გავიხსენოთ ასევე ქართული გამოთქმები: **ასე რომ, შემოკლება ა. შ., რომელიც იხმარება სხვა შემოკლებების – და სხვ., და მისთ.**-ის

სინონიმად და რომლის გაშლილი სახეა ასე შემდეგ. ამ ფორზე შეუფერებელია ვნეროთ ა. შ. და წარმოვთქვათ „ესე შემდეგ“ – თუნდაც მინიმალური (ერთი ხმოვნის სხვაობით).

ასე სიტყვისაგან მიღებული ფორმებიც (სახელებიც) და ზმნების მსაზღვრელები – ასეთი, ასეთნაირი, ასეთნაირად, – ცხადია, ზემოაღნიშნულ წესს ემორჩილება. ამ წესის გათვალისწინებით, უკუსაგდება ჩვენებითი ნაცვალსახელებისა და ზმნისართების, ანუ ზმნიზედების ენიანი ფორმები. მართებული ვარიანტები იქნება:

ასე, ასევე; ასე შემდეგ

ასეთი, ასეთნაირი, ასეთნაირად.

**საკვარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. ასეთია ეს ცხოვრება: ხან ტკბილი და ხან – მწარე. 2. მეორე ესეთი ფილმი ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს! 3. „შე ასეთო და ისეთო“ იმ კაცის უარყოფით დახასიათებას შეიცავს, რომელსაც მიმართავენ. 4. მე ასე მირჩევნია, შენ კი – ისე. 5. ხალხი ჭრელია: ასეთნაირიც არის და ისეთნაირიც. 6. დედამ ესე დამაბარა, ზეგამდე 20 ლარი მასესხეო. 7. მე ასეთი უსამართლობა არსად გამიგონია. 8. ესეთნაირად საქმე არ გამოვა. 9. ესეც ასე, სურათებიც ჩამოვკიდეთ. ახლა სხვა საქმეს მივხედოთ. 10. ჩვენმა პოლიგლოტმა იცის ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული და ესე შემდეგ.

## 58. აქით თუ აქეთ? იქეთ თუ იქით?

(საპირისპირო მიმართულებების ზმნისართების მართლწერა)

ამა თუ იმ ადგილის მისათითებლად, როცა პირველ პირთან (ჩემთან, ჩვენთან) სიახლოვეს ვგულისხმობთ, ვიყენებთ აქ, აქეთ, აქედან, აქეთკენ ზმნისართებს; ხოლო მესამე პირთან (მასთან, მათთან) სიახლოვის საჩვენებლად იქ, იქით, იქიდან,

იქითკენ ზმნისართები გამოიყენება. ამ 4-4 სიტყვის შემცველ ჯგუფებს შორის ერთმანეთს უპირისპირდება თავკიდური ა და ი ხმოვნები. აღრევას ქმნის შუა ხმოვნები: ერთი მხრივ აქეთ – აქით, აქედან – აქიდან, აქეთკენ – აქითკენ; მეორე მხრივ იქით – იქეთ, იქიდან – იქედან, იქითკენ – იქეთკენ.

როგორ გავმიჯნოთ მართებული და უმართებულო ფორმები?

სიადვილისათვის ასე დავიხსომოთ: თუ სიტყვა ი ხმოვნით იწყება, მომდევნო ხმოვნადაც ი ხმოვანი გვექნება: ე. ი. **იქით, იქიდან, იქითკენ.**

თუკი სიტყვა ა ხმოვნით იწყება, მაშინ მომდევნო ხმოვნად ე ხმოვანი გვექნება: **აქეთ, აქედან, აქეთკენ** (ამ მხრივ ზუსტად ისეთივე ვითარება იქნება, როგორც ეს და ის ნაცვალსახელთა ბრუნებისას გვაქვს. მაგ.: ის – **იმან, იმას...**; ის წიგნი – **იმ წიგნმა, იმ წიგნს...**; ეს – **ამან, ამას..**; ეს წიგნი – **ამ წიგნმა, ამ წიგნს...**).

მაშასადამე, ჩვენთვის საინტერესო სიტყვების მართებული ვარიანტებია, ერთი მხრივ:

**აქეთ, აქედან, აქეთკენ;**

ხოლო, მეორე მხრივ:

**იქით, იქიდან, იქითკენ.**

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. **აქედან** ფეხსაც არ მოვიცვლი, სანამ სამართალს არ ვნახავ! ქართული ანდაზაა: „საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი“.
2. ქურდი **აქით-იქით** აცეცებდა თვალებს, არავინ დამინახოსო.
3. **აქიდან** ოპერის თეატრი კარგად ჩანს, **იქედან** კი ჩვენი სახლი ოდნავლა ჩანს.
4. **აქითობას** ჩვენი სამარშრუტო ტაქსი გაფუჭდა და ამიტომ დამაგვიანდა.
5. – ლობის რომელ მხარეს დარგავ ყვავილებს? – **აქეთაც და იქეთაც.**
6. **იქითობას** ეს წერილი საფოსტო ყუთში ჩააგდე!
7. „პასუხი მოსთხოვეთ დამნაშავეს!“ – გაისმა ხმები **აქით-იქედან.**
8. **აქეთკენ** მოიწიე, რაღაც უნდა გითხრა ყურში.
9. ზაფხულობით ყველას სოფლისკენ მიგვიხარია, **იქეთკენ** მიგვიწივს გული.

## 59. რამოდენიმე თუ რამდენიმე? ნარმოჩინდა თუ ნარმოჩნდა?

(სიტყვებში ზედმეტი ხმოვნების ხმარების შესახებ)

ქართული მართლწერის დამახინჯებათაგან – თვით ქართულ სიტყვებში – ყველაზე ხშირია ამა თუ იმ ხმოვნის ქარბი ხმარება ან ერთი ხმოვნის შეცვლა მეორით. ამჯერად განვიხილავთ ხმოვნის ქარბი ხმარების შემთხვევებს. ყველაზე ხშირია ორი სახის დარღვევა.

1. როგორც ზეპირ, ისე წერით მეტყველებაში ზოგიერთი ჩვენგანი სიტყვა რამდენიმეს ნაცვლად ხმარობს რამოდენიმეს. საიდან გაჩნდა ეს ო, ან რატომ არ უნდა ვიხმაროთ იგი? საკითხი მით უფრო საინტერესოა, რომ განმარტებითი ლექსიკონის რვა-ტომეული ამ ფორმას არ იცნობს, სათანადო ტომი კი ამ ნახევარი საუკუნის წინათ გამოვიდა, ე. ი. იმხანად ეს ფორმა საერთოდ არ დასტურდებოდა.

ძველ ქართულში რამდენის ნაცვლად გვექონდა რაოდენი. დროთა განმავლობაში ეს ო ხმოვანი ვ-დ გადაიქცა (როგორც ეს გვაქვს რამდენიმე სახელში: ნიგოზი – ნიგვზის, მინდორი – მინდვრის, ნიორი – ნივრის და მისთ.), ე. ი. რაოდენი > რავდენი; შემდეგ კი ვ შეცვალა მ-მ და მივიღეთ დღევანდელი კითხვითი რიცხვითი სახელი რამდენი, -მე ნაწილაკის დართვით კი – რამდენიმე.

მაშასადამე, ვინაიდან სიტყვა რამდენში მ თვითონ არის ო ხმოვნისაგან მიღებული, ამიტომ ახალი ო-ს დართვა ზედმეტი ხდება და ერთადერთ სწორ ფორმად გვექნება მხოლოდ და მხოლოდ რამდენი და ამ სიტყვის ხმარება არც არავის ეშლება. გაუგებარია, რატომ უნდა ინვევედეს ამ სიტყვის ბოლოში ნაწილაკების მექანიკური დართვა ო ხმოვნის გაჩენას: სიტყვა რამდენზე ნაწილაკების დართვის შედეგად უნდა მივიღოთ: რამდენიმე, რამდენილაც, რამდენჯერმე (და არა: რამოდენიმე, რამოდენიმეჯერ).

მაგრამ, თუკი რაოდენობის ნაცვლად ზომის, სიდიდის მინიშ-

ნება გვნაღია, მაშინ ო-ხმოვნის ფორმა – რამოდენა უნდა ვიხმაროთ.

2. მეორე მაგალითი ხმოვნის ქარბი ხმარებისა არის ზმნა ნარმოჩინდა. ამ ზმნას უკანასკნელ ხანებში არცთუ იშვიათად ხმარობენ ი ხმოვნის ჩართვით, ასე: ნარმოჩინდა (ან ნარმოჩინდება).

დაუუკვირდეთ ნარმოჩნდა ზმნას. იგი შედგება ზმნისწინისაგან (ნარმო-) და თვით ზმნური ფუძისაგან. როგორც კი შევცვლით ზმნისწინს, მივიღებთ ასეთ ფორმებს: გაჩნდა (გაჩნდება), გამოჩნდა (გამოჩნდება), აღმოჩნდა (აღმოჩნდება) და სხვ. როგორც ვხედავთ, ამ ზმნის არც ერთ მოყვანილ ფორმაში არა გვაქვს ი ხმოვანი, ე. ი. მისი ხმარება (რომელიც ნარჩინება, ნარჩინებული ფორმების გავლენა უნდა იყოს) გაუმართლებელია ამავე ზმნის სხვა ფორმებშიც: შეუძლებელია მისი გაჩენა დაკავშირებული იყოს ერთი რომელიმე ზმნისწინის (ამ შემთხვევაში ნარმო- ზმნისწინის) დართვასთან.

მაშასადამე, უნდა ვთქვათ და ვწეროთ მხოლოდ ასე:

1. რამდენიმე, მაგრამ: რამოდენა

2. ნარმოჩნდა, ნარმოჩნდეს, ნარმოჩნდება და მისთ.

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. ზურიკო! რამოდენა გაზრდილხარ! შარშან ამსიმაღლე ნამდვილად არ ყოფილხარ.
2. ილია ქავჭავაძემ თავის ერთ-ერთ პოემას უწოდა „რამოდენიმე უეიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“.
3. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს სკანდალი დავიწყებას მიეცა.
4. რამოდენიმე წვეთ ვალერიანს დაასხით ცოტაოდენი წყალი და ისე დალიეთ.
5. რამდენი წელია, საქართველოში არ ყოფილხარ?
6. გუშინ ბიბლიოთეკიდან რამდენიმე წიგნი წამოვიღე.
7. მასალებზე მუშაობის დროს ნარმოჩინდა არაერთი საინტერესო საკითხი, საგანგებო შესწავლას რომ მოითხოვს.
8. ფორმები აღმოჩნდა, გამოჩნდა, გაჩნდა და ნარმოჩნდა ერთსა და იმავე ზმნურ ფუძეზე სხვადასხვა ზმნისწინის დართვით მივიღეთ.
9. მეცნიერმა კარგად ნარმოაჩინა ამ მოვლენის გამომწვევი

მიზეზები. 10. მზად უნდა იყო იმისათვის, რომ ხელნაწერის შესწავლისას წარმოჩინდება სპეციფიკური სირთულეები.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## 60. მომსახურეობა თუ მომსახურება? სამსახურეობრივი თუ სამსახურებრივი?

(ო ხმოვნის ქარბი ხმარების შესახებ)

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შედეგად ჩვენში მრავალი ახალი სავაჭრო-კულტურული ობიექტი, ფირმა-კომპანია და სხვადასხვა სამსახური შეიქმნა. ეს დანებებულება-ორგანიზაციები რეკლამების მეშვეობით ყოველდღიურად სთავაზობენ მომხმარებლებს თავიანთ სამსახურს. სწორედ ამ უკანასკნელი სიტყვის – სამსახურის შემცველი სიტყვების ხმარებისას მოგვდის შეცდომები ყველაზე ხშირად. ეს სიტყვებია მომსახურება და სამსახურებრივი, რომელთა პარალელურად რეკლამებში არცთუ იშვიათად გვხვდება ფორმები: მომსახურეობა და სამსახურეობრივი, რომლებშიც ზედმეტად იხმარება ო ხმოვანი.

თუ მოქმედების გამომხატველ მსახურობს სიტყვას მომავალ დროში გადავიყვანთ, მივიღებთ ფორმას იმსახურებს. მისი სანყისური ფორმა იქნება მსახურება (აკი გვაქვს კიდევ რელიგიური ტერმინი ღვთისმსახურება), რომელიც ო ხმოვანს არ ირთავს – იმისდა მიუხედავად, დაირთავს თუ არა ეს სიტყვა მო- ზმნისნინს (მომსახურება).


ო-ჩართული ფორმები რომ უმართებულოა, ამას მონმოებს აკაკის ცნობილი ლექსის პირველი ორი სტრიქონიც:

„მე ჩანგური მისთვის მინად,  
რომ სიმართლეს მსახურებდეს“.

ასევეა სიტყვა სამსახურიც, რომელსაც ერთვის თვისება-მსგავსების მიმანიშნებელი -ებრივ დაბოლოება: სამსახურებრივი.

ანალოგიური ვითარება გვაქვს სიტყვა განზოგადების შემ-





თხვევაშიც. პირიან ფორმებად გვაქვს აზოგადებს (ახლანდელ დროში) და განაზოგადებს (მომავალში). ასე რომ, ო ხმოვანი აქაც ზედმეტია. ამკარაა, რომ მოქმედებს სამთხვეულად სიტყვას ზოგიერთი ჩვენგანი შეცდომით ხმარობს: განაზოგადება მიღებული ჩანს სიტყვა საზოგადოების ანალოგიით, ხოლო ამ უკანასკნელის წყაროა საზოგადო, რომელშიც სათავსართი და -ო ბოლოსართი კანონზომიერი ელემენტებია. რაც შეეხება მართებულ განაზოგადება ფორმას, მისგან სწორად ნაწარმოები მსაზღვრელი იქნება განაზოგადებული, რომელშიც ო ხმოვანი ასევე ზედმეტია.

იგივე ითქმის მონამებრივის შესახებ, რომელსაც არცთუ იშვიათად უმართებულო – მონამეობრივი ფორმით ხმარობენ. ო ხმოვანი აქაც ზედმეტია, რადგანაც სიტყვა მონამეს ზემოაღნიშნული -ებრივ ელემენტი დაერთვის.

ასევე იქნება საფეხურებრივი (და არა საფეხურეობრივი), რომლის ამოსავალია სახელი საფეხური.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს სიტყვა საუკუნეობრივი. ეს მსაზღვრელი კანონზომიერად მიიღება არსებით სახელ საუკუნე-ზე -ობრივ ბოლოსართის დართვით. აქ ო ხმოვანი კი საჭიროა, ოღონდ თავის ადგილას – ე-ს შემდეგ. მაგრამ ზეპირ მეტყველებაში და აქედან წერაშიც არცთუ იშვიათად ამ სიტყვაში ო ინაცვლებს ე ხმოვნის შემდეგ, რის შედეგადაც მიიღება უმართებულო ფორმა – საუკუნეობრივი (ალბათ, საზოგადოებრივის ანალოგიით!). ვინაიდან მისი ამოსავალია არა სიტყვა საუკუნო, არამედ საუკუნე, და ნაწარმოები სიტყვა თვითონ არის მსაზღვრელი, ამიტომ დამატებით მანარმოებელს იგი აღარ საჭიროებს.

მაშასადამე, უნდა ვთქვათ და ვწეროთ:

მომსახურება, სამსახურებრივი

განაზოგადება, განაზოგადებული

მონამებრივი

საფეხურებრივი

მაგრამ: საუკუნეობრივი.

**საპარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და მც-  
დომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. დაგვირეკეთ და არ წააგებთ: *მომსახურეობა ჩვენთან იაფია და მალაღმარისსოვანი.* 2. ის ბიჭი დალუპულა *სამსახურეობრივი* მოვალეობის შესრულებისას. 3. „*მომსახურება*“ უცხოური სიტყვის – „სერვისის“ ქართული სინონიმია. 4. *სველამ ზუსტად და* კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს თავისი *სამსახურეობრივი* მოვალეობა. 5. ნაშრომს ბოლოში ერთვის *განმაზოგადოებელი* დასკვნა. 6. *განზოგადება* შეიძლება მხოლოდ კონკრეტული ფაქტების სიმრავლისა მათი ანალიზის *საფუძველზე*. 7. *განმაზოგადებელი* სიტყვების რახარუხი *მომხსენებელს* ეფექტის მოსახდენად დასჭირდა. 8. მოდი ამ *სტატისტიკურ* მონაცემებს ნუ *განვაზოგადოებთ*, ყოველი *კონკრეტული* ფაქტი ცალ-ცალკე განვიხილოთ. 9. *შუასაუკუნეობრივი* მიდგომა სინამდვილისადმი დღეს დამლუპველია. 10. *შუასაუკუნეობრივი* თვალსაზრისების დრო ახლა აღარ არის, *რეალობას* უნდა გავუსწოროთ თვალი.

## 61. მისსია თუ მისია? ანნა თუ ანა?

(ორმაგი თანხმოვნების გადმოცემა ნასესხებ სიტყვებში)

ქართულს, გარდა საკუთარი მდიდარი სიტყვიერი მარაგისა, დიდძალი რაოდენობითა აქვს ნასესხები *ლექსიკა* უცხოური ენებიდან – როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთ ევროპის ქვეყნების ენებიდან, ძველი ნასესხობები კი – ბერძნულ-ლათინურიდან. სწორედ მათგან აქვს შეთვისებული ქართულს ორმაგი თანხმოვნების შემცველი სიტყვები, რომლებიც გვხვდება ადრეული საუკუნეების ქართულ ორიგინალურ და თარგმნილ ლიტერატურაში (ეკკლესია, ელლადა, გრამმატიკა, ანნა და სხვ.).

მაგრამ იმის გამო, რომ თვით ქართულ სიტყვებს ფუძეში

ორმაგი თანხმომცემი არ ახასიათებს, დროთა განმავლობაში ერთ-ერთი მათგანი ნასესხებ სიტყვებშიც დაიკარგა: მაგ.: ეკ(კ)ლესია, ელ(ლ)ადა, გრამ(მ)ატიკა, კომ(მ)უნა, პრეს(ს)ა, მას(ს)ა და სხვ. იგივე მოხდა გვარ-სახელეწიწაც: თომას მან(ნი)ე, ბოკაჩ(ჩ)ო, როს(ს)ინი, მოპას(ს)ანი, შილ(ლ)ერი, ბელ(ლ)ინი, მიულ(ლ)ერი... ან(ნ)ა, ჯულიეტ(ტ)ა და სხვ.

მიუხედავად ამისა, მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში ე. წ. მოდერნისტული მიმართულების მწერლები (მაგ., გრ. რობაქიძე, კ. გამსახურდია და სხვები), რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებში ჭარბად (ერთგვარი არტისტიზმითაც) ხმარობდნენ უცხოურ სიტყვებს, ამ ორმაგ თანხმომცემს განსაკუთრებით გულმოდგინედ იცავდნენ; მეტიც, თანხმომცემზე ფუძეგათავებულ უცხოურ სახელ-გვარებს სახელობითის ნიშანს – ი ხმოვანსაც კი არ უწერდნენ! მაგრამ ეს ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა: ამგვარი სიტყვების ქართული დაწერილობა დაემორჩილა ენის შინაგანი განვითარების წესებს და ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა.

უკანასკნელ წლებში, როცა ჩვენში ღია საზოგადოების ჩამოყალიბების რთულ გზაზე აზრებისა და პოლიტიკური შეხედულებების სხვადასხვაობის ამსახველი მრავალსახოვანი პრესა გაჩნდა, პროფესიონალი რედაქტორების, კორექტორებისა და სტილისტების ნაკლებობამ წერის კულტურასაც დაასვა დალი: თავი იჩინა მრავალმა ძველმა თუ ახალმა შეცდომამ და მათ შორის უცხოურ სიტყვებში ორმაგი თანხმომცემის უმართებულო ხმარებამაც. პრესის შეცდომებმა წიგნებშიც შეაღწია. შეცდომები გაჩნდა თვით წიგნის სათაურებშიც: „ქართული ესსე“, „საქართველოს სულიერი მისსია“ და სხვ. დამახასიათებელია ისიც, რომ ამ შეცდომების დაშვებისას ხშირად თანამიმდევრულობასაც კი ვერ იცავენ ორმაგი თანხმომცემის ხმარებისას: მხოლოდ ზოგ თანხმომცემს ანიჭებენ უპირატესობას (კერძოდ, ს თანხმომცემს) და წერენ ასე: მასსა, რასსა, მისსია, მესსია, ესსე, მაგრამ ელადას, გრამატიკას, კომუნისტს და მისთ. სწორად – ცალი თანხმომცემით წერენ, რაც არღვევს მათსავე „პრინციპს“.

კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ქართულ ენას არ ახასიათებს

ორმაგი თანხმონები მარტივ ფუძეში, და ეს მყარი წესია არა მარტო საკუთრივ ქართული, არამედ ჩვენს ენაში ნასესხები უცხოური სიტყვებისთვისაც. ზედიზედ ორმა ერთნაირმა თანხმონებმა მხოლოდ მაშინ შეიძლება მოიყაროს თავი, თოცა სიტყვის ფუძეს გარკვეული თავსართი ან ბოლოსართი დაერთვის ანა-თუ იმ ფორმაში (მაგ.: თბილისს, ლომმა, კოვზზე, ხაშში, კახეთ-თან... მმართველი, გგავს, დავეარდი, დამშვიდდა, მომმართა და სხვა მრავალი). ამიტომ ქართულის მიერ სხვადასხვა დროს შეთვისებულ უცხოურ სიტყვებში – როგორც ტერმინებში, ისე საკუთარ სახელებში, რომლებშიც თანხმონების თავმოყრა მარტივ ფუძეებშიც არის შესაძლებელი – ორმაგი თანხმონები მარტივდება.


მაშასადამე, უნდა ვიხმაროთ:

პრესა, რასა (რასობრივი), მასა (მასობრივი; მასური; მასი-ური), მისია (მისიონერი), მესია (მესიანიზმი), ესეი (ესეისტი..., ელადა (ელინური), კომუნა (კომუნიზმი), გრამატიკა და მისთ., აგრეთვე საკუთარი სახელები: ანა, შილერი, მიულერი, მოპასანი, როსინი, ლისაბონი, კანი (კინოფესტივალის ქალაქი) და მისთ.

**საკვარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეც-დომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. შუა საუკუნეების იტალიელმა მისიონერებმა ძვირფასი ცნობები შემოგვინახეს საქართველოს შესახებ. 2. დიუმას „სამ მუშკეტერში“ მხატვრულადაა ასახული ლუი XIII-ის, დედოფალ ანა ავსტრიელისა და კარდინალ რიშელიეს ეპოქის საფრანგეთი. 3. „მასმედია“ შემოკლებული აღნიშვნაა ყველა საინფორმა-ციო საშუალებისა – პრესის, ტელევიზიისა და რადიომაუნწყებ-ლობისა ერთად. 4. ქართული სიტყვა „წახეხი“ საერთაშორისო ეკვივალენტია „პრესი“. 5. საგანგებო მიზნით ან დავალებით ამა თუ იმ პირის სადმე გაგზავნას მისსია ეწოდება. 6. სიტყვა „მესიანიზმის“ ამოსავალი ფუძეა „მესია“. 7. გერონტი ქიქოძე ბრწყინვალე მთარგმნელი და ესეისტი იყო. 8. წიგნში დანვ-რილებითაა გაშუქებული ქართული ესეისტიკა და მისი საუკე-თესო წარმომადგენლების შემოქმედება. 9. გერმანელი მწერ-

ლები თომას მანი და ჰაინრიხ მანნი ძმები იყვნენ. 10. ქროსტეს სხვაგვარად მესსიას უწოდებენ.



## 62. ქლინტონი, ქლინთონი თუ ქლინტონი? სერტიფიკატი თუ სერტიფიკატი?

(ზოგი უცხოური თანხმონის გადმოცემა ქართულში)

შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ უცხოურ საკუთარ სახელს არ რგებია დაწერილობის ისეთი ნაირგვარი ფორმები, როგორიც ამერიკის პრეზიდენტის გვარს – კლინტონს. ამ რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთი გაზეთის ერთსა და იმავე ნომერში სამი სხვადასხვა დაწერილობა შეგვხვდა: კლინტონი, ქლინთონი და ქლინტონი (!). მოცილე ფორმებად გამხდარა აგრეთვე „მონმობის“ აღმნიშვნელი, დღესდღეობით ფრიად აქტუალური საერთაშორისო სიტყვის ვარიანტებიც – სერტიფიკატი და სერტიფიკატი.

რა ინვევს ასეთ მრავალფეროვნებას, ან რის საფუძველზე უნდა შევარჩიოთ სწორი ფორმები?

ყველა წესს, ცხადია, აქ ვერ ჩამოვთვლით. შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანს, რომლებიც მიღებულია ევროპულენათა თანხმონების გადმოცემისას საერთაშორისო სიტყვებსა და საკუთარ სახელებში (იხ. „ნორმები“, 1970). ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია სიტყვა თეატრი, რომელშიც გვაქვს თ-ც და ტ-ც. ევროპული ენების  $t$  ასოს ქართულში შეესაბამება  $ტ$ , ხოლო  $th$  ჯგუფს – თ. ასე გადმოვიდა ქართულად საერთაშორისო სიტყვები და საკუთარი სახელები: ისტორია, სტუდენტი...; იტალია, ავსტრია...; ვაშინგტონი, უოლტ უიტმენი...; ოლივერ ტვისტი, ტომ სოიერი... მაგრამ: თომას მანი, თეკერეი, თეოდორ დრაიზერი და მისთ. ამიტომ განსხვავებულად აღინიშნება შექსპირის ტრაგედიების პერსონაჟების სახელთა ბოლო თანხმონები – ტ (ჰამლეტი – Hamlet) და თ (მაკბეთი – Macbeth). ამავე წესით ფორმდება ქართულად „მონმობის“ აღმნიშვნელი სერტიფიკატი,

ვინაიდან ევროპული ენების სათანადო სიტყვებში გვაქვს ცალი თანხმომავანი t (მაგ., ინგლისურში: certificate).

ასევე, ევროპული ენების თანხმომავნები ან მათი გვერდები - c (a, o, u-ს წინ), k, ck - ქართულში კ თანხმომავნით გამოდის: კანადა, კუბა, ნიუ-იორკი, ჩიკაგო... დიკქსონი, კონან-დოილი, უილკი კოლინზი და მისთ.

ამიტომ, თუმცა თვით დედნისეული გამოთქმა ყველა ამ საკუთარი სახელისა თ და ქ ბგერებს უჭერს მხარს, ვინაიდან ამ ენებში მკვეთრი თანხმომავნები საერთოდ არ არსებობს, ეს უცხოური სახელები ქართულში დღესაც ხანგრძლივი ტრადიციით განმტკიცებულ დანერილობას მისდევს. აქედან გამომდინარე, ახალი უცხოური სახელების ქართულად გადმოცემისას მხოლოდ საკუთარ ყურს ვერ დავენდობით და ანგარიში უნდა გავუწიოთ საუკუნეებით განმტკიცებულ ლიტერატურულ ტრადიციებს. ეს განსაკუთრებით ითქმის უცხოური ტელესერი-ალების პერსონაჟთა სახელების გადმოქართულების შესახებ: პორტერს ვერ გადმოვიტანთ ფორთერით, სტოუნს - სთოუნით, კერინგტონს - ქერინგთონით..., ისევე როგორც ლინკოლნს - ლინქოლნით, უოლტ უიტმენს - უოლთ უითმენით და ვალტერ სკოტს - ვალთერ სქოთით.

შესაბამისად, ამავე წესების დაცვით სწორი ვარიანტები იქნება: ლინკოლნი, კლინტონი, სერტიფიკატი, ტინეიჯერი, სტივენსონი, კევინ კოსტნერი, სკოტლენდ-იარდი და სხვ.

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადანერეთ:

1. ამერიკის პრეზიდენტი *ქლინტონი* დემოკრატიული პარტიის ლიდერია. 2. *ბილ ქლინთონსა* და მის მეუღლეს ჰილარის ერთადერთი ქალიშვილი ჰყავთ. 3. პრეზიდენტის პოსტზე *კლინტონს* სულ მალე ახალი პრეზიდენტი შეცვლის. 4. *ბილ კლინთონისა* და მონიკა ლევისნსკის სასიყვარულო ინტრიგა ჟურნალისტების ყურადღების ცენტრში მოექცა. 5. *თინეიჯერები* მოზარდები და ამიტომ ძალიან ხმაურიანები არიან. 6. ეს პროდუქტი არა მარტო *სერთიფიცირებულია*, არამედ დაჯილდოე-

ბულია კიდევ სპეციალური დიპლომით. 7. სერთიფიკატი ალბა ვისაც უნდა, აუცილებლად უნდა იცოდეს ერთი უცხო ენა მაინც და კომპიუტერზე მუშაობა. 8. თოფაძის სასმელები უკვე სერტიფიცირებული და რეკომენდებულია საერთაშორისო ბაზარზე გასაყიდად. 9. აშშ-ში ხმარებული სიტყვა „ტინტიჯერი“ ცამეტიდან ოცი წლის ასაკამდე ახალგაზრდას გულისხმობს. 10. მზიამ უკვე მიიღო სახელმწიფო მოხელის სერტიფიკატი.

### 63. რელიქვია თუ რელიკვია? რექვიემი თუ რეკვიემი?

(ლათინური **qu** ჯგუფის ქართულად გადმოცემის შესახებ)

უცხოური ენებიდან ნასესხებ სიტყვებს შორის გარკვეული რაოდენობითაა შემოსული ლათინური წარმოშობის სიტყვები. ლათინურ ანბანში ერთ-ერთი ყველაზე იშვიათი ასო-ბგერაა **q**. გარდა იშვიათობისა, მას ის თავისებურებაც ახასიათებს, რომ სხვა დანარჩენ ასოთაგან ყველას კი არ ერწყმის, არამედ მხოლოდ **u**-ს და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ **u** მას მოსდევს.

ამრიგად, ვიღებთ მყარ **qu** ჯგუფს, რომელიც გვხვდება სიტყვის თავში ან შუაში, ხოლო ბოლოში, როგორც წესი, ეს კომპლექსი, არ დასტურდება, ვინაიდან მას უსათუოდ უნდა მოსდევდეს რომელიმე ხმოვანი. ამის გამო **qu** ჯგუფის ხმოვანი ვ თანხმოვნად გადაიქცევა (როგორც თავის დროზე ძველი ქართულის მოკუდა, სიკუდილი ფორმებმა ახალ ქართულში მოგვცა მოკვდა, სიკვდილი) და მთლიანად ეს ჯგუფი ქართულში გადმოდის კვ კომპლექსით. მაგალითად:

ა) სიტყვის თავში: კვადრატი, კვარტალი, კვალიფიკაცია, კვარტა (აქედან – კვარტეტი), კვინტა (აქედან – კვინტეტი), კვინტესენცია...

ბ) სხვა პოზიციებში: აკვარელი, აკვარიუმი, აკვალანგი, ანტიკვარი, სეკვესტრი, ეკვატორი, რეკვიზიტი, ლიკვიდაცია...

ყველა ეს სიტყვა მყარადაა დამკვიდრებული სალიტერატუ-

რო ქართულში ამ სახით. მაგრამ გარკვეულ სიტყვებში **qu**-ს შესატყვისი **კვ** ჯგუფის წარმოთქმაში სიტყველ შეინიშნება. ზოგიერთი ჩვენგანი **კვ** ჯგუფის ნაცვლად **ქვ**-ს წარმოთქვამს, ანდა ხან **კვ**-ს, ხანაც **ქვ**-ს წარმოთქვამს. **ქვ**-ს წარმოთქმაში ადეკვატი, ადეკვატური, ეკვივალენტი, ეკვივალენტური; რელიქვია, რეკვიემი, ქვანტი (აქედან: ქვანტური მექანიკა), ქვოტა, ქვორუმი...

ეს სიტყვები, ზემოთ მოყვანილი სიტყვების მსგავსად, ერთსა და იმავე წესს უნდა დაემორჩილოს და აღნიშნული **qu** კომპლექსი ყველა ანალოგიურ შემთხვევაში **კვ** ჯგუფით უნდა გადმოვიდეს, ასე:

ადეკვატი, ადეკვატური  
ეკვივალენტი, ეკვივალენტური  
კვანტი, კვანტური (მექანიკა)  
რეკვიემი, რელიკვია  
კვოტა, კვორუმი...

**საკვარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. ექიმის კითხვაზე ავადმყოფს არაადეკვატური რეაქცია ჰქონდა. 2. უცხოური სიტყვა „ეკვივალენტური“ ქართულად „შესატყვისის“, „შესაბამისის“ ნიშნავს. 3. მონინაალმდევემ გაგვაფრთხილა, რომ ყოველ ჩვენს ნაბიჯს მისი მხრიდან ადეკვატური ზომები მოჰყვებოდა. 4. კლიენტმა მის სახელზე გადმორიცხული თანხა მიიღო 200 დოლარის ეკვივალენტური ეროვნული ვალუტით. 5. პარლამენტში წარდგენილი პროექტისათვის კენჭის საყრელად საჭირო კვორუმი გუშინაც არ იყო და კენჭისყრა კვლავ გადაიდო. 6. საქართველოს პარლამენტში ქვორუმი რომ შედგეს, 118 ხმა საკმარისია. 7. ქვანტური მექანიკის კურსი ჩვენი უნივერსიტეტის მხოლოდ ორ ფაკულტეტზე ისწავლება. 8. წინაპართაგან ნამემკვიდრებ რამდენიმე ნივთს საოჯახო რელიქვიად ვინახავ. 9. ამ დარბაზში პირველად აუღერდა ვერდის რეკვიემი. 10. მომდევნო თვეში თბილისში ჩატარდება სიმპოზიუმი კვანტური მექანიკის პრობლემებზე.



11. მწერლის სახლ-მუზეუმში მრავლად ნახავდით არა მარტო ძვირფას ნივთებს, არამედ არანაკლები ღირსების სხვა საგვარეულო რელიკვიებსაც. 12. პოეტის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნებული პოემა მკითხველმა რექვიემად აღიქვა.

## 64. პლიაჟი თუ პლაჟი? პლიუსი თუ პლუსი?

(ევროპული ენების Ia და Iu კომპლექსების შემცველი სიტყვების გადმოცემა ქართულში)

XIX-XX საუკუნეებში ევროპული ენებიდან მომდინარე სიტყვები ქართულში ძირითადად რუსულის მეშვეობით შემოდიოდა. მათ შორისაა Ia და Iu კომპლექსების შემცველი სიტყვები, რომლებიც რუსულმა სხვადასხვაგვარად გადმოიტანა: ერთი მხრივ, Ia და Iy, მეორე მხრივ კი – Iя და Iю კომპლექსებით (რომლებიც შეიძლება გამოიხატოს აგრეთვე, როგორც Iьa და Iьy).

ამის შესაბამისად ეს კომპლექსები ქართულად გადმოვიდა, ერთი მხრივ, Ia და Iy (კლასი, ლაქი, ლამპა, ბალანსი, პროკლამაცია..., შოტლანდია, პოლანდია...; კლუბი, ბლუზა, ლუპა...), მეორე მხრივ კი – ხან Ia და Iy, ხან კი – Iია და Iიუ ჯგუფებით (პლაჟი და პლიაჟი, ტრანსლაცია და ტრანსლიაცია, სპეკულიანტი და სპეკულიანტი, სიმულანტი და სიმულიანტი...; პლუსი და პლიუსი, ვალუტა და ვალიუტა, ლუკი და ლიუკი, მოლუსკი და მოლიუსკი, ალუმინი და ალიუმინი...).

იმის გათვალისწინებით, რომ ქართული ლ თანხმოვანი თავისთავად საკმაოდ რბილი ბგერაა, Iია და Iიუ ჯგუფების შუა ი ხმოვანი, რომელიც ლ-ს დამარბილებელ როლს ასრულებს, სრულიად ზედმეტი ხდება. გაცილებით მეტი სიახლოვეა Ia და Ia, Iu და Iy კომპლექსებს შორის, ვიდრე Ia და Iია, Iy და Iიუ კომპლექსებს შორის. ამიტომ Ia და Iu ჯგუფები ქართულად უფრო მარტივად – Ia და Iy კომპლექსებით უნდა გადმოიცეს, ასე:



ლა (ნოტი), ლაფსუსი, ტრანსლაცია, კანცელარია, ეგზემპლარი, იზოლაცია, დუელანტი, სპეკულანტი, სიმულანტი, აკუმულატორი, პლაჟი, ალასკა...;

პლუსი, ვალუტა, ალუმინი, რეზოლუცია, მულუსკი, ლუკი, პოლუსი, რევილუცია, ლუთერი, ლუთერანული...

მაგრამ რუსული წარმოშობის გვარ-სახელებსა და გეოგრაფიულ სახელებში **ПЯ** და **ПЮ** ქართულად ღია და ღიუ კომპლექსებით გადმოიცემა:

- ღიადოვი, ალიაბიევი, შალიაპინი, ულიანოვი,
- ღიუდმილა, დობროლიუბოვი, ლიუბიმოვი;
- ღიუბლიანა, იასნაია-პოლიანა...

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. ქალაქში ყოველ ნაბიჯზე გვხვდება ვალუტის გასაცვლელი პუნქტი.
2. საკითხის ასეთ გადაწყვეტას აქვს თავისი პლიუსები და მინუსები.
3. მოსწავლე დაფასთან არ გავიდა ავადმყოფობის მომიზეზებით, სინამდვილეში კი იგი სიმულიანტობდა.
4. როცა მზიამ წამალი ვერც აფთიაქში იშოვა და ვერც ბაზარში, ნაცნობ სპეკულიანტს მიაშურა.
5. სამწუხაროდ, გაზეთებში არცთუ იშვიათად გვხვდება ენობრივი ლაფსუსები.
6. მარტინ ლიუთერი დიდი რეფორმატორის სახელით შევიდა მსოფლიო კულტურის ისტორიაში.
7. რამდენიმე წუთის შემდეგ რადიოთი და ტელევიზიით დაიწყება პარლამენტის სხდომის ტრანსლიაცია.
8. აკრძალვა სპეკულაციას კი არ სპობს, არამედ ხელს უწყობს მის გაფურჩქნას.
9. ქობულეთის პლიაჟზე უამრავი ხალხი ირეოდა.
10. ათი პლუს ხუთი იქნება თხუთმეტი.
11. ალიასკის ნახევარკუნძული რუსეთმა დაკარგა ამერიკისათვის სესხის გადაუხდელობის გამო და ამჟამად იგი აშშ-ს ეკუთვნის.
12. რამდენიმე წლის წინათ თბილისში ლუთერანული ეკლესია აშენდა.

## 65. მეტრა-ნახევარი, მეტრო-ნახევარი თუ მეტრ-ნახევარი?

(ზოგი კომპოზიტის მართლწერილობისათვის)

როგორც ცნობილია, ქართულ ენას აქვს ეკონომიური საშუალება, შეაერთოს მსგავსი ან დაახლოებული მნიშვნელობების მქონე სიტყვები და კავშირის გარეშე. ამ უკანასკნელის საკომპენსაციოდ შემადგენელ სიტყვებს შორის მოკლე ხაზი, დეფისი (-) იწერება, ხოლო პირველი შემადგენელი სიტყვა შიშველი ფუძის სახით გვექნება. შევადაროთ: დედა და მამა – დედ-მამა, ხელი და ფეხი – ხელ-ფეხი, ქართლი და კახეთი – ქართლ-კახეთი და სხვა მრავალი.

ამავე წესით ფორმდება ზომა-წონისა და ოდენობის აღმნიშვნელი სიტყვები, როცა მათ სიტყვა ნახევარი ერთვის: კილო-ნახევარი, წელიწად-ნახევარი, საათ-ნახევარი და სხვ. აქ სადავო არაფერია.

სიჭრელეს ქმნის საერთაშორისო ტერმინების – მეტრისა და ლიტრის ხმარება. არცთუ იშვიათად გვხვდება ვარიანტები: მეტრ-ნახევარი, მეტრა-ნახევარი და მეტრო-ნახევარი; ლიტრ-ნახევარი და ლიტრა-ნახევარი. მეტიც, ზოგჯერ აღნიშნულ სიტყვებს დამოუკიდებლადაც ამ ხმოვნების დართვით ხმარობენ: ორი ლიტრა, სამი მეტრა ან მეტრო, თუმცაღა მათი შემცველი ზოგი რთული სიტყვა სწორი ფორმით გვხვდება: კილომეტრი, სანტიმეტრი, მილიმეტრი; დეკალიტრი... ასევეა ნახევარ- სიტყვის დართვისას: კილომეტრ-ნახევარი, სანტიმეტრ-ნახევარი და მისთ.

ზემოაღნიშნული მცდარი ფორმების გავრცელება რუსული ენის გავლენას უნდა მიეწეროს. რუსული ასეთ შემთხვევებში -а ან -ов ელემენტებს იყენებს (два метра, три литра, пять литров). ალბათ არც სიტყვა მეტროს გავლენა გამოირიცხება და არც ისეთი რთული სიტყვებისა, როგორებიცაა: მეტრონომი, მეტროპოლია, სადაც ო ვეროპულ ენებში შემაერთებელი ხმოვანია. მას მახვილი არ მოუდის და ამიტომ რუსულ ზეპირ

მეტყველებაში იგი ა-დ წარმოითქმის. სწორედ ეს ორი ხმოვნის (ა და ო) შეცდომით ერთვის ხოლმე ქართულ ფორმებს.

ამავე, ე. ი. უცხო წარმოშობისაა აგრეთვე **კუბომეტრი** და **კუბამეტრი**, ჩართული მცდარი ფორმები **კუბომეტრი** და **კუბამეტრი**, რომელთაგან პირველი (**კუბომეტრი**) რუსული ნერძილობითი ფორმის ანარეკლია (**кубометр**), მეორე კი (**კუბამეტრი**) – ზეპირისა (**кубаметр**): შემაერთებელი ო ხმოვნის უმახვილობის გამო ზეპირ მეტყველებაში იგი ა-ად წარმოითქმის. ორივე ეს ფორმა ქართულისათვის მიუღებელია, რადგანაც მას შემაერთებელი ხმოვანი არ გააჩნია: ამის საჭიროება არ გასჩენია. სწორი ვარიანტი – **კუბმეტრი** – შემოკლებაა **კუბური მეტრისა**, რაც აისახა კიდევ ორთოგრაფიულ ლექსიკონში.

მაშასადამე, სწორი ფორმებია მხოლოდ:

**მეტრ-ნახევარი; ლიტრ-ნახევარი: კუბმეტრი.**

**საპარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. რამდენი **კუბამეტრი** შემა გჭირდება ერთ სეზონში? 2. ყოველწლიურად რვა **კუბომეტრ** შემას ვყიდულობ და ერთი **კუბმეტრი** თუ მრჩება მხოლოდ. 3. ქვედა კაბისათვის ერთი **მეტროც** რომ იყიდო, სავსებით საკმარისია. 4. ამ ნაჭერს სიგანე თითქმის **მეტრანახევარი** აქვს, ასე რომ, საპალტოედ **სამი მეტრიც** გვეყოფა. 5. ამ ბოთლში მხოლოდ **ნახევარი ლიტრა** ჩადის, ე. ი. იგი **ნახევარლიტრიანია**. 6. ერთლიტრიან ქილაში **ლიტრა-ნახევარი** თაფლი ჩადის. 7. სარაფნის შეკერვა თუ გინდა, **ორმეტრო-ნახევარიც** გვეყოფა. 8. **კუბამეტრი** იგივეა, რაც **მეტრი** კუბში. 9. ეს ბოცა **რამდენლიტრიანია**? ამ ბოცაში 10 **ლიტრა** ჩადის. 10. თქვენ რომ ეძებთ, ის კორპუსი აქედან 100 **მეტრაზეა**.

## 66. ასო-ბგერათა უმართებულო ხმარებისათვის საერთაშორისო სიტყვებში

როგორც ცნობილია, გარდა საკუთრივ ქართული წარმოშობის სიტყვებისა, საკმაოდ ხშირად ვხვდებით უცხოურ, ნასესხებ სიტყვებსაც, განსაკუთრებით, საერთაშორისო სიტყვებს. მათი უმეტესობა ძველი ბერძნულიდან ან ლათინურიდანაა შემოსული უშუალოდ ან ამა თუ იმ ცოცხალი ევროპული ენის მეშვეობით – წერილობითი ან ზეპირი გზით. ასეთი სიტყვები იხმარება მაშინ, როცა მათ დედანში შესატყვისები საერთოდ ან ზუსტად იმავე მნიშვნელობით არ გააჩნიათ.

საერთაშორისო სიტყვების დანიშნულებისამებრ ხმარება მათი მოხმარებლის განათლების სათანადო დონეზე მეტყველებს. მაგრამ, როცა უცხო სიტყვათა ხმარებისას შეცდომები მოგვდის – მათ სხვა მნიშვნელობით ვხმარობთ ან დამახინჯებით წარმოვთქვამთ, – ეს ჩვენს განათლებას საეჭვოს (მოჩვენებითს) ხდის და მდაბიური მეტყველების შთაბეჭდილებას ახდენს.

### ა) ხმოვანთა უმართებულო ხმარების შემთხვევები

აქ შევჩერდებით ხმოვნების დამახინჯებული ხმარების ყველაზე ტიპობრივ შეცდომებზე, რომლებიც ზეპირი მეტყველების წიაღში აღმოცენდა, მაგრამ ხშირი ხმარების გამო წერით მეტყველებაშიც შეაღწია.

1. ერთ-ერთი ტიპობრივი შეცდომა, რომელიც მოსდით ზეპირ მეტყველებაში, ეხება სიტყვა **აბსოლუტურის** (აგრეთვე **აბსოლუტურად**) წარმოთქმას. ახლო წარსულში ტელეეკრანზე გაიღვებდა რეკლამა, რომელიც ქალებს პარფიუმერიის ნაწარმს სთავაზობდა. ამ რეკლამის ტექსტში ორჯერ იყო ნახმარი სიტყვა **აბსოლუტურად** – სამწუხაროდ, ორჯერვე შეცდომით, ასე: **აბსოლიტურად**. ასევე წარმოთქვამდა ამ სიტყვას (სხვა რეკლამაში ეს სიტყვა სწორად წარმოითქმის) ამავე პერიოდის ერთ-ერთი ტელეგადაცემის ავტორი, რომელიც ვიქტორინაში ყოველ სწორად გაცემულ პასუხს მოაყოლებდა გამამახინჯებელ შეძახილს: „**აბსოლიტურად** სწორია!“ მართალია, ეს

გადაცემა უკვე ისტორიას ჩაჰბარდა, მაგრამ მან თავისი „შავი“ საქმე მაინც გააკეთა...

სიტყვა **აბსოლუტური** მომდინარეობს **აბსოლუტ**-ისაგან **აბსოლუტი** (ლათ. *absolutus* – სრული, თავისთავადო, შეუზღუდველი) ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი ცნებება, რომელიც იდეალისტურ ფილოსოფიასა და რელიგიაში ღმერთთან არის გაიგივებული. აქედანვეა ტერმინი **აბსოლუტიზმი** სხვადასხვა მნიშვნელობით: 1. ფილოსოფიის ერთ-ერთი მიმდინარეობა, რომელიც ყველაფერს აბსოლუტის გამოვლინებად მიიჩნევს; 2. ფეოდალური სახელმწიფოს უკანასკნელი ფორმის — აბსოლუტური მონარქიის აღმნიშვნელი ტერმინი. ამ ფუძის გამოყენებით გვაქვს სხვადასხვა დარგის ტერმინები: **აბსოლუტი** (გეომეტრიაში), **აბსოლუტივი** (გრამატიკაში). განსაკუთრებით ხშირია **-ურ** სუფიქსის მეშვეობით მიღებული ზედსართაული ფორმა **აბსოლუტური**, რომელიც ასევე მეცნიერების სხვადასხვა დარგში იხმარება: მაგ.: **აბსოლუტური სული / გონი**, **აბსოლუტური** (შეფარდებითის საპირისპიროდ) **ჭეშმარიტება** (ფილოსოფიაში), **აბსოლუტური სიდიდე** (მათემატიკაში), **აბსოლუტური რენტა** (ეკონომიკაში), **აბსოლუტური სმენა** (მუსიკაში) და სხვ.

როგორც ვხედავთ, ფუძე **აბსოლუტი** თავისი ნაწარმოები ფორმებით, მეტადრე კი – ზედსართაული (**აბსოლუტური**) ფორმით ფუნდამენტური მეცნიერებების სხვადასხვა დარგში გამოიყენება და ამ ფორმების დამახინჯება (**აბსოლიტური**) განსაკუთრებით თვალში საცემი ხდება. სწორ ფორმებს – **აბსოლუტი**, **აბსოლუტიზმი**, **აბსოლუტური** (აქედანაა მიღებული ზმნისართი **აბსოლუტურად**) – ალტერნატივა არა აქვთ.

2. ასეთივე შეცდომაა მართებული **ბიულეტენის** ნაცვლად უმართებულო **ბიულეტინის** ხმარება. ეს სიტყვა ქართულ ენაში ფრანგულიდან შემოვიდა რუსულის გზით. ფრანგულში **-in** დაბოლოება გამოითქმის, როგორც **-ენ** (დიდი პოლონელი კომპოზიტორის გვარი **შოპენი** ფრანგულად იწერება, როგორც **Chopin** – **-ინ** დაბოლოებით, რომელიც გამოითქმის როგორც **-ენ**), და მსესხებელმა ენებმა – რუსულმაც, ქართულმაც – ასევე

გადმოიღეს მსგავსი სიტყვები. ბიულეტენიც ამ ნებს დაემორ-  
ჩილა.

ე და ი ხმოვნების აღრევის დამახასიათებელი ნიშნებში  
ასევე კომბინიზონის ხმარება კომბინეზონის მაგივრად, ან ბრ-  
ოლინის ხმარება ბრეოლინის ნაცვლად, გენიალოგიისა - ნაცვ-  
ლად გენეალოგიისა, ლაურეატის ნაცვლად ლაურიატისა.

3. სტუდენტების (და არა მხოლოდ მათ) წრეში ფართოდაა  
ფეხმოკიდებული სტეპენდია ნაცვლად სწორი სტიპენდიისა;  
ინტელიგენტისა და ინტელიგენციის ნაცვლად ძალიან ხშირად  
ისმის ინტილიგენტი და ინტილიგენცია და, ვინც ასე მეტყვე-  
ლებს, მას ავინყდება, რომ ამ სიტყვებს საფუძვლად უძევს ინტე-  
ლექტი.

4. ასევეა, აკომპანემენტი მცდარი ფორმით: აკომპანიმენტი  
(აღბათ - აკომპანიატორის გავლენით). ანალოგიური შეცდომაა  
აბონიმენტის ხმარება ნაცვლად სწორი აბონემენტისა. საერ-  
თოდ, -მენტ დაბოლოების წინ, ჩვეულებრივ, ე ხმოვანია (იხ.  
ასევე ანგაჟემენტი).

5. უკანასკნელი ხანების ტელერეკლამებმა დაგვიდასტურა,  
რომ მოსახლეობაში მყარად არ არის გამჯდარი დღეს უკვე  
ნორმატიული ფორმა ლატარია. მის ნაცვლად ხან ლატარეა  
იხმარება, ხანაც - ლოტორეა. ფორმა ლატარია კი უკვე კარგა  
ხანია ნორმადაა ქცეული და ამოსავალ რუსულ ფორმებს უკან  
ველარ დავუბრუნდებით.

6. ასევე ყურადსაღებია ბოლო ხანებშივე ინტერვიუს პრაქ-  
ტიკაში ფართოდ გავრცელებული სიტყვის - დიქტოფონის  
ხმარება. ქართულ პრესაში თავი იჩინა (რუსულში უმახვილო  
ი ხმოვნის ა-დ წაკითხვის გამო) სასაუბრო ფორმამ - დიქტა-  
ფონმა. თავისი როლი უნდა ეთამაშა მეგაფონსაც, რომელშიც  
ა ხმოვანი თავის ადგილზეა.

7. ო-ს ნაცვლად უ ხმოვნის უმართებულოდ ხმარების ნიშნ-  
შია დღეს სასწავლო-კვლევით პრაქტიკაში მეტად აქტუალური  
ტერმინი დოქტურანტურა.

გონების საგანგებო დაძაბვა არ სჭირდება იმის გახსენებას,  
რომ ამ საერთაშორისო სიტყვის ამოსავალია დოქტორ- ძირი,

რომლისგანაც ინარმოება დოქტორობის ხარისხის მაძიებლის ალმნიშვნელი ტერმინი **დოქტორანტი**, ხოლო ამ უკანასკნელისაგან, უცხოურივე **-ურა** ელემენტი, თავის მხრივ, ანარმოებს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის საბოლოო **ქმნი** და **საფეხურის** ალმნიშვნელ ტერმინ **დოქტორანტიურას** (რომლის კურსის დამთავრებას, ჩვეულებრივ, მოჰყვება **სადისერტიფიკაციო** ნაშრომის შექმნა და მისი საჯარო დაცვა).

არც სიტყვა **დოქტორი** და არც მისგან უშუალოდ ნაწარმოები **დოქტორანტი** წერასა თუ წარმოთქმაში არავითარ სიძნელეს არ ქმნის და, შესაბამისად, არც არავითარ გაუგებრობას არ ვაწყდებით.

დასანან გაუგებრობას ქმნის უცხოენოვანი ნარმოების შემდგომი გართულება – **-ურა** დაბოლოებით ნაწარმოები ტერმინი **დოქტორანტიურა**, რომელიც წინამორბედი ტერმინისაგან ნარმოების ისეთსავე სურათს გვიჩვენებს, როგორსაც **ასპირანტიურა** თავის ამოსავალ ფუძესთან – **ასპირანტთან** მიმართებით.

როგორც ჩანს, **-ურა** დაბოლოების უ ხმოვანი ზეპირ მეტყველებაში გავლენას ახდენს წინამავალ, ასევე უკანაენისმიერ ო ხმოვანზე და, ფონეტიკური ასიმილაციის ძალით, მას უ-დ გადააქცევს. მაგრამ, თუ ზეპირმეტყველებაში ფონეტიკური ნაცდომები მეტ-ნაკლებად შესაწყნარებელია, ზეპირმეტყველების სიძნელეებს ამგვარი ტერმინების წერისას მყარი ცოდნა უნდა დავუხვედროთ, რათა ზემოხსენებულისა და მსგავსი შეცდომებისაგან თავი დავიზღვიოთ. არა და, ფორმა **დოქტორანტიურა**, სამწუხაროდ, ისეთ პირთა ნაწერებშიც (და ბეჭდვით პროდუქციაშიც) შეიძლება შეგვხვდეს, რომელთაგან მსგავსი შეცდომები სრულიად მოულოდნელია.

მაშასადამე, ტერმინ **დოქტორანტიურას** არანაირი გამართლება არა აქვს და მისი ერთადერთი მართებული ფორმაა **დოქტორანტიურა**.

8. დასასრულ, უნდა ვთქვათ ი ხმოვნის ჩართვის ან დაკლების შესახებაც. სიტყვები **ამინისტია** და **შამპანიური** ზოგჯერ ი-ს ჩართვით იხმარება: **ამინისტია**, **შამპანიური**. მეორე მხრივ, ჩვენში ახლად გავრცელებულ სიტყვას – **ინაუგურაციას**, პრეზიდენ-



ტად კურთხევის საზეიმო ცერემონიალს რომ აღნიშნავს, ზემორ მეტყველებაში აკლებენ ხოლმე პირველ უ ხმოვანს, რამაც უკვე მოასწრო პრესაში შეღწევა ინაგურაციის სახით. ასევე აუდენციაც, რომელსაც სწორი აუდიენციის ნაცვლად ხმარობენ.

**შენიშვნა:** აქვე უნდა ითქვას ამ სიტყვის უადგილო ხმარების შესახებაც: აუდიენცია მაღალი თანამდებობის პირთან დანიშნულ შეხვედრას ნიშნავს, ვთქვათ, მეფესთან, პაპთან (კარდინალთან), კათალიკოსთან, პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან და ა. შ. ამ ფონზე გაურკვეველია, რას უნდა ნიშნავდეს შინაგან საქმეთა სამსახურის ტელეგადაცემის სათაური **აუდიენცია:** ვისთან შეხვედრა ივარაუდება?

ზემოთ განხილული უცხოური (საერთაშორისო) სიტყვების ორთოგრაფიულად სწორი ფორმებია:

აბსოლუტური, აბსოლუტურად

ბიულეტენი; კომბინეზონი, ბრეოლინი; გენეალოგია

სტიპენდია, სტიპენდიატი; აუდიენცია; ინაუგურაცია

ინტელიგენტი, ინტელიგენცია, მაგრამ: ინტელექტი

აბონემენტი; აკომპანემენტი, მაგრამ: აკომპანიატორი

ლატარია; ლაურეატი; დიქტოფონი; დოქტორანტურა...

ამნისტია; შამპანური...

ბ) თანხმოვანთა უმართებულო ხმარების შემთხვევები

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას საერთაშორისო სიტყვებში თანხმოვნების უმართებულო ხმარების შესახებაც.

არცთუ იშვიათად ზემორ (გაუკონტროლებელ) მეტყველებაში ზოგიერთი სიტყვის წარმოთქმისას გარკვეულ ფონეტიკურ დაბრკოლებათა გადალახვა გვიხდება და სათანადო ფონეტიკური პროცესების (ბგერათა ასიმილაციის, ანუ დამსგავსების, ბგერათა შერწყმის) გავლენით ზოგჯერ ვიღებთ სიტყვათა დამახინჯებულ ფორმებს. ეს განსაკუთრებით ეხება უცხოური წარმოშობის საერთაშორისო სიტყვებს.

შეინიშნება, რომ უცხოური (ძირითადად ევროპული) წარ-

მომზადების სიტყვებში სიტყვა **man**-ის საშუალებით ნაწარმოებები რთული სიტყვის ქართულად გადმოცემისას დროდადრო გვხვდება დამახინჯებული ფორმები, მაშინ როცა მარტივი ფორმებთან დაკავშირებით დამახინჯების ამგვარი ფაქტები არ შეიმჩნევა. მაგ., სიტყვები **ბიზნესი**, **სპორტი** არაკითხარ სიტყვულეს არ ქმნის, ხოლო **ბიზნესმენი**, **სპორტსმენი** სალიტერატურო ენას ნაკლებ დაუფლებულ პირთა ზეპირ მეტყველებაში (ზოგჯერ წერაშიც) იღებს ხოლმე **ბიზმესმენის** და **სპორცმენის** სახეს.

ფონეტიკური თვალსაზრისით პირველი მაგალითი ასიმილაციის შედეგია (**მენ**- ფუძის მ თანხმოვანმა წინამავალი ფუძის ნ დაიმსგავსა), მეორე კი – ბგერათა შერწყმისა: **სპორტსმენ** სიტყვაში **ც** რთული თანხმოვანი გაჩნდა **ტს** კომპლექსის შერწყმისა და ასიმილაციის შედეგად (**ტს > თს > ც**).

ამ ბოლო მაგალითის ზუსტ ანალოგს წარმოადგენს მსგავსი წარმოების სიტყვა **ომბუცმენი**, რომლის მართებული ფორმაა **ომბუდსმენი** — „სახალხო დამცველის“ აღმნიშვნელი საერთაშორისო სიტყვა. მისი დამახინჯებული ფორმა აქაც ბგერათა შერწყმისა და ასიმილაციის შედეგია (**დს > თს > ც**).

მხოლოდ ასიმილაციის (გაყრუების) შედეგად მიღებულ ფორმებად უნდა მივიჩნიოთ პრესაში ისეთი ფორმები, როგორიცაა **აბსურდის** ნაცვლად **აფსურდი**, **ობსკურანტის** ნაცვლად **ოფსკურანტი**, **ობსტრუქციის** ნაცვლად **ოფსტრუქცია**...

ბოლო ხანებში გავრცელდა **მილიარდელი** ნაცვლად **მილიარდერისა**.

ზეპირი მეტყველებიდან მომდინარე ამგვარ შეცდომებზე ყურადღებას არც გავამახვილებდით, ყველა ეს უმართებულო ფორმა რომ არ დადასტურებულიყო პრესაში თუ ტელეგადამცემის სარეკლამო წარწერებში.

ვფიქრობთ, ცალკეა განსახილველი **ნ** თანხმოვნის არასწორი ხმარების შემთხვევები, რომლებიც ასევე ძალიან ხშირია ზეპირ თუ წერით მეტყველებაში. გამოიყოფა დარღვევის სამი შემთხვევა:

1. ნ აკლია: კონტი(ნ)გენტი; პრეტე(ნ)დენტი; ინტი(ნ)დანიტი; კომე(ნ)დანიტი, საკომე(ნ)დანიტი; ინსტი(ნ)ქტი, ინსტი(ნ)ქტურად; კორესპო(ნ)დენტი, კორესპო(ნ)დენცია; კონსე(ნ)სუსი...

2. ნ ზედმეცია: ინცი(ნ)დენტი, პრეცე(ნ)დენტი, სტიპენდი-ა(ნ)ტი, კომპრომე(ნ)ტაცია; კონსტა(ნ)ტაცია; ინვე(ნ)სტიცია...

3. ფ-ს წინ ნ თანხმოვანს მ ცვლის: კომფედერაცია, კომფლიქტი, კომფრონტაცია, კომფორმიზმი, კომფერენცია, კომფიგურაცია, იმფორმაცია, იმფარქტი, იმფლაცია...

როგორც ვხედავთ, თანხმოვნების, მეტადრე კი – ნ თანხმოვნის კლების, სიჭარბის ან გადასმის შემთხვევები არც ისე იშვიათია. აქ წარმოვადგინეთ მხოლოდ ტიპობრივი შეცდომები. იმედია, რომ სულ მოკლე ხანში ეს შეცდომებიც აღმოიფხვრება.

მაშასადამე, სწორი ფორმებია:

ინსტინქტი, ინსტინქტურად; კონსენსუსი

ინტენდანიტი; კონტინგენტი; პრეტენდენტი

კომენდანიტი, საკომენდანიტი

რესპონდენტი, კორესპონდენტი, კორესპონდენცია

ინციდენტი; პრეცედენტი; სტიპენდიატი

კომპრომეტაცია, კომპრომეტირება

ინვესტიცია, ინვესტირება; მილიარდერი

ინფარქტი; ინფორმაცია; ინფლაცია

კონფედერაცია; კონფერენცია; კონფიგურაცია

კონფორმიზმი; კონფლიქტი; კონფრონტაცია...

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. ამ ორ ნაწერში ხელწერა აბსოლუტურად განსხვავებულია.

2. როცა კონკურსანტიმა სწორად უპასუხა დასმულ კითხვას: ვიქტორინის წამყვანმა წამოიძახა: „აბსოლიტურად სწორია!“

3. საარჩევნო ყუთში სულ ორი გამოუყენებელი ბიულეტენი აღმოჩნდა. 4. ბავშვები მოზარდ მაყურებელთა თეატრში აბონემენტებით დადიან. 5. მომლერალი რომანსს ჯერ აკომპანიმენტის გარეშე სწავლობდა, შემდეგ კი – აკომპანიმენტით. 6. ამინისტია

გამოცხადდა ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირთათვის, და არა მკვლელთათვის. 7. ბიულეტენში შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი კანდიდატის გვარი. 8. ამნისტირებული პირები უკვე დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახებს. 9. პრეზიდენტის ინაგურაციის საზეიმო ცერემონია შედგება მთავრობის სახელმწიფო დარბაზში. 10. აბონემენტის ფული ჩააბარეთ თეატრის წარმომადგენელს – აბონემენტების გამავრცელებელს. 11. დღეს აუდენცია მაქვს დანიშნული კათოლიკოს-პატრიარქთან. 12. ინტელიგენცია ერის ყველაზე პროგრესული ნაწილია. 13. ხვალ სტუდენტები აიღებენ ნანატრ სტიპენდიას. 14. რომელ ლატარიას თამაშობ – „საოჯახოს“ თუ „ყველასათვის“? 15. ჟურნალისტი ინტერვიუს შემდეგლა მიხვდა, რომ მისი დიქტაფონი გაფუჭებული იყო. 16. საღებავებით მოთხუპნილ კომბინეზონში გამონყობილი მუშა გულმოდგინედ ღებავდა ღობეს. 17. ჩემს გენიალოგიურ ხეზე რამდენიმე გიორგია. 18. ლურჯკომბინიზონიანმა ბიჭებმა გაზის მიღების ჩაყრა რომ მოამთავრეს, ჩასხდნენ ავტობუსში და კანტორაში დაბრუნდნენ. 19. მერი წარჩინებული სტუდენტი იყო და ბოლო სამი წლის განმავლობაში ილია ქავჭავაძის სახელობის სტიპენდიას იღებდა. 20. დათომ ბრიოლინი წაისვა თმაზე და სარკეში კიდევ ერთხელ შეათვალიერა საკუთარი თავი. 21. როდის დაგიბარა პრეზიდენტმა აუდიენციაზე? 22. ყველამ როდი იცის საკუთარი გვარის გენიალოგია. 23. მას შემდეგ, რაც მაგისტრანტი ან სხვა კონკურსანტი წარმატებით ჩააბარებს გამოცდებს დოქტორანტურაში, იგი სრულუფლებიანი დოქტორანტი გახდება. 24. ოლიმპიურ თამაშებზე ქართველმა სპორცმენებმა კვლავ ისახელეს თავი და რამდენიმე ოქროს და ბრინჯაოს მედალი შესძინეს საქართველოს ჯილდოებს. 25. – ხომ ვერ მეტყვიოთ, ომბუდსმენის ოფისი სად მდებარეობს? – სიამოვნებით, მაჩაბლის ქუჩაზეა, თავისუფლების მოედანთან სულ ახლოსაა. 26. ეს კაცი აბსოლუტური იდიოტია, ამისგან რა ხერხს უნდა ელოდოს კაცი?! 27. სახალხო დამცველის, ანუ ომბუცმენის ინსტიტუტი შეიქმნა იმ მიზნით, რომ გააკონტროლოს სახელმწიფო ადამიანის უფლებათა დაცვაში. 28. ოპოზიციონერმა პარლამენტარებმა ობსტრუქცია მოუწყვეს სახელის-

უფლებო უმრავლესობის წარმომადგენლებს და კანონპროექტი ჩააგდეს. **29.** პროგრესული საზოგადოება მუდამ წინ აღუდგება ყოველგვარ უმეცრებასა და ობსკურანტიზმს. **30.** ის, როცა ჩვენს თავს ხდება, აფსურდის თეატრს მაგონებს. **31.** ასეთი ობსკურდული აზრი ჯერ არავისგან გამიგონია. **32.** აბსოლიტურად ვერ გავიგე, რას გულისხმობდა მომხსენებელი, როცა ამ საკითხზე მინიშნებებით დაიწყო ლაპარაკი. **33.** მხარეები მორიგდნენ და ინციდენტიც ამოიწურა. **34.** უსიამოვნო ინციდენტი მოხდა ამ დღეებში დირექციასა და რამდენიმე თანამშრომელს შორის. **35.** ეს უპრეცედენტო ამბავია ჩემს პრაქტიკაში! **36.** ასეთი პრეცედენტი – თეატრში მსახიობის ნასვამ მდგომარეობაში გამოცხადება – აღარ უნდა განმეორდეს. **37.** უნდა ვეცადოთ, ეს კონფლიქტი შინაურულად მოვაგვაროთ. **38.** კომფლიქტები კი არ უნდა გავამწვავოთ, არამედ უნდა ჩავაცხროთ. **39.** რამდენია ამ სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტი? **40.** ჯარის სურსათით, ტანსაცმლით, იარაღითა და ა. შ. მომმარაგებელს ინტენდანტი ეწოდება. **41.** საეჭვოა, რომ რამდენიმე ოფიცერი ჯარის ამ დიდ კონტინგენტს გასწვდეს. **42.** ფულის მიმოქცევის ასეთი გაუკუღმართება გამოიწვევს იმფლაციას. **43.** ამ უსიამოვნების გამო ჩემს მეზობელს იმფარქტი დაემართა. **44.** ცხოველები ინსტიქტურად გრძნობენ სტიქიური უბედურების მოახლოებას. **45.** მომიტინგე ხალხი ხშირად ბრბოს ინსტიქტებით მოქმედებს. **46.** რესპოდენტმა მოკლედ უპასუხა ინტერვიუერის გრძელ შეკითხვებს. **47.** დაპირისპირებულმა მხარეებმა, როგორც იქნა, მიაღწიეს კონცესუსს და მორიგდნენ. **48.** შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ქალაქში საკომენდატო საათი გამოცხადდა. **49.** შარშან ჩემი ბიძაშვილი პრეზიდენტის სტიპენდიანტი გახდა. **50.** ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსი სპივაკოვის სტიპენდიანტია. **51.** სტუდენტალაქის კომენდანტმა ახალდაქორწინებულ ოჯახს დროებით თავისი ოთახი დაუთმო. **52.** საქართველოში ოფიციალური მილიარდელი ჯერჯერობით არ არსებობს.

## 67. სამედიცინო ტერმინთა მართლწერის საკითხები

უკვე შევეხეთ საერთაშორისო სიტყვებში ხმოვანთა უმარტო ბულო ხმარების ტიპობრივ შემთხვევებს. ნიმუშები მოვიხმეთ ენაში ფართოდ გავრცელებული სიტყვიერი მარჯიდან არანაკლებ ხშირია დამახინჯების შემთხვევები სამედიცინო ტერმინოლოგიაში.

მედიცინაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ყოველი ჩვენგანი პოტენციური პაციენტია, ავადმყოფობა და მკურნალობა ჩვენი ყოველდღიური რეალობაა და ბევრი სამედიცინო ტერმინი ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. მათგან ზოგიერთს დაუდევრობით ყოველდღიურად ვამახინჯებთ, რითაც გზას ვუკაფავთ და ვამკვიდრებთ შეცდომებს. ქვემოთ მოყვანილია ამ შეცდომების ტიპობრივი ნიმუშები.

ყველაზე ხშირია ე და ი ხმოვანთა ურთიერთმონაცვლეობა: კარდიოლოგიის ნაცვლად კარდეოლოგია, გინეკოლოგიის ნაცვლად გენიკოლოგია ან გინიკოლოგია, მენინგიტის ნაცვლად მინინგიტი, ციროზის ნაცვლად ცეროზი, დეზინფექციის ნაცვლად დიზინფექცია, დიფთერიტის ნაცვლად დიფთირიტი, დიზენტერიის ნაცვლად დეზინტერია ან დიზინტერია, ბიულეტენის ნაცვლად ბიულეტინი, პანკრეასის ნაცვლად პანკრეასი.

ამას გარდა, თითო-ოროლა შემთხვევაში ხმოვანს აკლებენ ან უმატებენ. ალბათ ყოველ ჩვენგანს კარგად ახსოვს ამ ბოლო წლებში გავრცელებული პლაკატი, რომელიც საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ეგიდით დაიბეჭდა და საზოგადოებრივ ტრანსპორტზედაც კი იყო გაკრული: მოსახლეობას სთავაზობდნენ პოლიომიელიტის სანინაალმდეგო აცრას, ოღონდ დაავადების სახელი პოლიომელიტის სახით იყო წარმოდგენილი. ეს შეცდომა რომ შემთხვევითი არ იყო, ამაზე მეტყველებს იმავე პერიოდის გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები, რომელთა ტექსტშიც და სათაურშიც შეცდომა (ხმოვნის დაკლება) დაჟინებით მეორდება.

სამაგიეროდ, ზოგჯერ ხმოვანს ზედმეტად ხმარობენ. ამის ნიმუშია ტუბერკულოზი ნაცვლად ტუბერკულოზისა.



გვხვდება ვმ თანხმობანთა უკუმიმდევრობა, კერძოდ, ტრამ-  
ვა – ნაცვლად ტრავმისა.

ყველა ეს შეცდომა ორთოგრაფიული ხასიათისაა. მათგან ზოგი ადრე განხილული შეცდომა ვინოდარგობრივ ჩარჩოებს სცილდება და ყოველი ჩვენგანის საზრუნავია, აქ განხილული შეცდომები მხოლოდ სამედიცინო ტერმინებში გვხვდება და ამ შეცდომების გამოსწორებაში გადამწყვეტი სიტყვა, უნინარეს ყოვლისა, თვით მედიცინის მუშაკებს ეკუთვნით. განსაკუთრებული სიფხიზლე გვმართებს სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურასა და მასმედიაში სამედიცინო ტერმინთა ხმარებისას.

აი, ის ტერმინები, რომელთა ხმარებისას ყველაზე ხშირად მოგვდის ორთოგრაფიული შეცდომები. მათი სწორი ფორმებია:

- მენინგიტი; გინეკოლოგია; ბიულეტენი
- დიზენტერია; დეზინფექცია; დიფთერიტი; პანკრეასი
- ციროზი; კარდიოლოგი(ა)
- პოლიომიელიტი; ტუბერკულოზი.

**სავარჯიშო:** იპოვეთ შეცდომები გამოყოფილ სიტყვებში და შეცდომიანი წინადადებები სწორად გადაწერეთ:

1. ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოში ჩატარდა პოლიომელიტის საწინააღმდეგო აცრა.
2. ცოტა ადრე პოლიომიელიტი განუკურნებელი დაავადება იყო.
3. სამსახურში დათომ საწარმოო ტრამვა მიიღო.
4. ტრავმირებული ფეხბურთელი იძულებული გახდა, ოთხი თუ ხუთი თამაში გამოეტოვებინა.
5. თბილისში, ხუდადოვის ქუჩაზე, არის დისპანსერი, რომელშიც ტუბერკულოზით დაავადებულებს მკურნალობენ.
6. ტუბერკულიოზის ქართულ სინონიმად ჩვენში ადრე სიტყვა „ჭლექი“ იხმარებოდა.
7. ზაფხულობით ჩვენში დიზენტერიისა და ქოლერის ეპიდემიის გარკვეული საშიშროება არსებობს.
8. ჩვენი თანამშრომელი მინინგიტის მძიმე ფორმით დაავადდა და ძლივს გადაარჩინეს.
9. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ საზღვარგარეთ ნამსვლელ ქალიშვილებს შემონმება უნდა გაეკლოთ გენიკოლოგთანაც.
10. ბუნკერს თუ სისტემატურად დეზინფექციას არ გავუკეთებთ, შეიძლება იგი ათასგვარი ეპიდემიის წყარო გახდეს.
11. ტერ-

მინ „გინიკოლოგიის“ ქართული ეკვივალენცია „მენაობა“. 12.  
დიზენტერიის თავიდან ასაცილებლად ერთ-ერთი ეფექტური  
პროფილაქტიკური საშუალებაა დიზინფექცია.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## 68. პუნქტუაციის წესები

**I. ბრჭყალები** – ორი მსგავსი სასვენი ნიშანი, რომლებიც შედგება საპირისპირო მიმართულების (ქვედა და ზედა) წყვილი მძიმისაგან („“), ან შემხვედრი ორი წყვილი კუთხოვანი ნიშნისაგან («»); ბრჭყალები იხმარება:

- სხვისი ნათქვამის, ციტატის მოყვანისას ან ამა თუ იმ საყოფაცხოვრებო, სავაჭრო თუ კულტურული დაწესებულების, ჟურნალის, გაზეთის, აღმანახის, ანდა ლიტერატურული, მუსიკალური და მისთ. ნაწარმოების სათაურის დასახელებისას. მაგ.: „სხვა საქართველო სად არი?“, აქ დაიბადა „სულიკო“, მზისკენ გაფრინდა „მერანი“ (ა. კალანდაძე); გუშინ ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ სხდომაზე ერთადერთი საკითხი იხილებოდა (პრესიდან);

- ტექსტში სიტყვის ან მისი ნაწილის გამოსაყოფად. მაგ.: „ისეთნაირად დავნამცეცდით, რომ დიდი სიტყვა „მამულიც“ გავანამცეცეთ“ (ილია); უნმიდესი მესტუმრა და... „ბუნების ქომაგი“ მიწოდა (პრესიდან);

- უცხოური სიტყვის ფონეტიკურ თავისებურებათა დედაენის ასოებით (ხშირად დამახინჯებით) გადმოსაცემად. მაგ.: „ამ შემთხვევაში... მუშაობს... გრძნობა „კლიაუზნიკობისა“. „კლაუზნი“ ხალხნი ვართ და რა ვქნათ“ (ვაჟა); უკვე „დამკაში“ გასული, ბოლო ეტაპზე ჩავიჭერი (პრესიდან);

- ირონიული შეფასების გამოსახატავად. მაგ.: ჩვენი „უშიშარი გმირები“ კისრის ტეხით გარბოდნენ იქიდან. ირონიულად ნახმარ სიტყვასა თუ გამოთქმას ხშირად წინ უძღვის სიტყვათშეხამება ეგრეთ ნოდებული (შემოკლებით – ე. წ.). მაგ.: „ამისთანა საქმე მოსდის... ერთს მოძღვრებასაც, რომელიც ეგრეთ ნოდებულ „დედათა უფლების საქმეს“ შეეხება“ (ილია); სამ-



წუხაროდ, ისტორიას ერთი უცნაური „ავადმყოფობა“ სჭირს (პრესიდან);

- XIX ს-ის მწერლობაში დიალოგის მიმანიშნებელ ტირეს არცთუ იშვიათად ენაცვლება ბრჭყალები. ზოგჯერ, განსაკუთრებით, უფროსი თაობის მეტყველებაში, ტერმინ ბრჭყალები მოიხსენიება წინწკლებად.

**II. დეფისი** (ლათ. divisio, გერმ. Divis= დაყოფა, დანანევრება) სასვენი ნიშანი, მოკლე შორიზონტალური ხაზი (-), რომელიც იხმარება:

- ერთზე მეტი მნიშვნელობის (ჩვეულებრივ, ორმნიშვნელობიანი) რთული სიტყვების კომპონენტთა დასაკავშირებლად. ამ შემთხვევაში ენაცვლება და კავშირს (ცოლ-ქმარი, ხელ-ფეხი, ქართლ-კახეთი). წინა კომპონენტი (კომპონენტები) ფუძის სახით წარმოდგება (თუშ-ფშავ-ხევსურეთის სოფლები);

- გაორმაგებული ფუძეებისა თუ ფორმების დასაკავშირებლად (ტყე-ტყე, ორ-ორი, ის-ის იყო);

- დანართიანი სახელის შემცველ მსაზღვრელ-საზღვრულს შორის (სახლ-მუზეუმი; წევრ-კორესპონდენტი);

- ზმნისწინებით ან უარყოფითი ნაწილაკით განსხვავებულ ზმნურ ფორმებს შორის, აგრეთვე ანალოგიურ სახელზმნურ (მასდარულსა და მიმღებობურ ფორმებს) შორის (მიიარ-მოიარა, მისვლა-მოსვლა, შესასვლელ-გამოსასვლელი); ...ორივეს ყოფნა-არყოფნა ამაზე და მოკიდებული... (პრესიდან);

- ორმაგი გვარის გასაფორმებლად (ლადო ალექსი-მესხიშვილი, ნატო გაბუნია-ცაგარლისა, ანასტასია ერისთავ-ხოშტარისი);

- ამა თუ იმ სიტყვას დართული ზოგი ნაწილაკის, განსაკუთრებით ე. წ. „სხვათა სიტყვის“ ნაწილაკთა გასაფორმებლად (ჩუმად-მეთქი; უთხარი, მოდი-თქო);

- შესიტყვების ფორმის მქონე უცხოურ გეოგრაფიულ სახელთა, კერძოდ, ქალაქების სახელწოდებათა კომპონენტებს შორის (ნიუ-იორკი, სან-ფრანცისკო, იასნაია-პოლიანა);

● აკრონიმული, ანუ ინიციალური წესით შედგენილი უცხოური აბრევიატურების გასაფორმებლად, კომპონენტების/საწყისი ასოების სახელწოდებათა შორის (BBC ბი-ბი-სი, CNN სი-ენ-ენი, КГБ კა-გე-ბე);

● სხვადასხვა თანამიმდევრობით წარმოდგენილი წარმოშობის ნიშნების – ასოს (ასოების) და ციფრის, სიტყვისა და ციფრის (არაბულის, რომაულის), უცხოური ასოს ან ციფრისა და ქართული მანარმოებელი აფიქსის დასაკავშირებლად, აგრეთვე ამ ნიშნების კომპოზიტად გაფორმებისას (მე-2, ვახტანგ V-მ, ტუ-154, -ენ-ისა და -ებ-ის, 11-სართულიანი...);

● მომიჯნავე ციფრების ან სიტყვიერად გამოხატული რიცხვების დასაკავშირებლად და/ან კავშირის ფუნქციით (I-II კლასები, ხუთი-ექვსი წლის ბავშვები, X-XI საუკუნეები, 2000-2001 წლები); თუ სხვაობა შეერთებულ რიცხვებს შორის ერთზე მეტია, მაშინ საწყისსა და ბოლო ციფრს შორის გრძელი ხაზი, ტირე (-) დაინერება (მაგ.: XII – XVIII საუკუნეები, 2000 – 2005 წლები). ორსავე შემთხვევაში წინა კომპონენტი იმ ბრუნვაში დგას, რომელსაც მოითხოვს არსებითი სახელი, ე. ი. გვექნება შეთანხმება ბრუნვაში (პირველი-მეორე კლასები);

● ფართოდ გავრცელებული სიტყვების საწყისი და ბოლო ნაწილების შესაერთებლად (ბ-ნი < ბატონი, გამ-ბა < გამომცემლობა, ლიტ-რა < ლიტერატურა, საზ-ბა < საზოგადოება...);

● სიტყვის დამარცვლისას და გადატანისას (სკო-ლა, სას-წავ-ლე-ბე-ლი), აგრეთვე სიტყვის გრამატიკული ანალიზისას, მაგალითად: ს-თხ-ოვ-დ-ნენ.

დეფისით შეერთებული სიტყვები, როგორც წესი, ერთსა და იმავე თემატურ ჯგუფს, ე. წ. „სემანტიკურ ველს“ განეკუთვნება და ხშირად სინონიმებად ან ანტონიმებად გვევლინებიან (სვე-ბედი, ბედ-იღბალი; ავ-კარგი, მეტ-ნაკლები). მაგრამ დეფისით გაფორმებული რთული სიტყვების (კომპოზიტების) ზედსართავებად ან აბსტრაქტულ სახელებად ქცევისას დეფისი უქმდება და კომპონენტები გაუთიშავ სიტყვად დაინერება (და-ძმა, მაგრამ: დაძმური, დაძმობა). ზოგი ევროპული ენისაგან გან-

სხვაეებით, ქართულში დეფისი არ იწერება ხმოვანშემცველი ან თითო-ოროლა ბგერით გართულებული ორმაგი ფუძეების შემცველ სიტყვებში (მაგ., ხევხუეი, არემარე; გოგლიმოგლი, შდრ. რუს. ГОГОЛЬ-МОГОЛЬ). ამგვარი დანეროილი საფუძველია რთული სიტყვის თუნდაც ერთი შემადგენელი ნაწილის სუბანტიკური ბუნდოვანება.

დეფისის ხმარების წესი დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს სიტყვის ან გამოთქმის კომპონენტის ცვეთის კვალობაზე (მაგ.: რკინიგზა < რკინი-გზა < რკინის გზა).

### III. კითხვის ნიშანი (?)

• ეს ნიშანი დაისმის კითხვითი მიმართვის შემცველი სიტყვის, ფრაზის ან წინადადების ბოლოს. არა აქვს მნიშვნელობა, ამ კითხვებში მონაწილეობს თუ არა კითხვითი სიტყვა-წევრები ან კითხვითი ნაწილაკები. შევადართ ორი წინადადება.

ერთი მხრივ:

„რომელი სცნობს შენს სახეს? ან ვინ იტყვის შენს სახელს? ვინ გაიგებს შენს ძახილს? ძახილს ვინ დაიჯერებს“ (გ. ტაბიძე); „სადა ხარ, ჩემო სულიკო?“ (აკაკი); „ვინ და რა გადაარჩენს საქართველოს ენერგეტიკას?“ (პრესიდან);

მეორე მხრივ:

„– შენ რომ ჩემთვის რკო არ მოგიტანიაო?“ (ზღაპარი); „ნუთუ სახე არ გინახავს მუშისა?“ (გრ. ორბელიანი); „– გირგოლა, შენა?“ (ალ. ყაზბეგი), „– არაბი ხარ? – იეზიდი“ (ა. კალანდაძე); „ზის და ილიმება. ვის უღიმის?“ (პრესიდან);

ზოგჯერ კითხვის ნიშანს უსვამენ რიტორიკულ კითხვასაც, რაც გაუმართლებელია, ვინაიდან ასეთი კითხვა მხოლოდ ფორმითაა კითხვის სტრუქტურისა, შინაარსი კი მტკიცებითი ხასიათისაა. ამიტომ ასეთ კითხვას შესაფერისია დაესვას კითხვით-ძახილის ნიშანი (იხ).

IV. კითხვით-ძახილის ნიშანი (!) წარმოადგენს ორი სასვენი ნიშნის – კითხვისა და ძახილის ნიშანთა კომბინაციას და იგი

იხმარება ძირითადად რიტორიკული კითხვის შემცველი, ე. წ. კითხვით-ძახილის წინადადების შემდეგ. მაგალითად:

• „მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან ვითამყარა მტკობობა?!“ (რუსთაველი); „რალაა იგი სინათლე, რანაღა ახლანეს ბნელია?!“ (რუსთაველი); „კაცია ადამიანი?!“ (ილია); „როსლა გველირსოს ჩვენ გაღვიძება?!“ (ილია); „ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები?!“ (აკაკი); „ხომ არსებობდნენ ბიძინა ჩოლოყაშვილი და ქეთევან დედოფალი, ექვთიმე თაყაიშვილი და დიმიტრი თავდადებული?!“ (პრესიდან).

**V. მრავალწერტილი (...)** შორიზონტალურ რიგში გამწკრივებული სამი წერტილის კომბინაცია (ტერმინის პირველ – „მრავალ“ კომპონენტის უძველეს ტრადიციულ სინონიმად რიცხვი სამი იხმარებოდა). ეს სასვენი ნიშანი გამოიყენება განყვეტილი სიტყვის ან დაუმთავრებელი ფრაზისა თუ წინადადების ბოლოს, მათ შორის ციტატის არასრულად მოყვანისას. მაგალითად: „ძალოვანი სტრუქტურები არ არჩევენ... საპროტესტო გამოსვლებს“ (პრესიდან).

• „მტკი...“ და დადუმნა ხოლო“ („შუშანიკის წამება“); „ქუთხიგორს ერთი ვარსკვლავი ციმციმებს... ქრება... ციმციმებს“ (აკალანდაძე); „მთავარი მაინც თქვენი უნიკალური ეზოა, თავისი... პატარ-პატარა ხიდებით...“ (პრესიდან).

## **VI. მძიმე (,) იხმარება:**

• შერწყმული წინადადების ერთგვაროვან ნევრთა უკავშიროდ შესაერთებლად: „მე მამა მყვანდა მხნე კაცი, მარჯვე, დაულლელი და ბეჯითი, გამრჯე“ (ილია); „ხან მინისა ვარ, ხან – ცისა, ხან არც ესა ვარ, არც ისა“ (აკაკი);

• რთული თანწყობილი წინადადების შემადგენელ მარტივ წინადადებათა უკავშიროდ შესაერთებლად: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ (რუსთაველი);

• რთულ ქვენყობილ წინადადებაში მთავარი და დამოუკიდებელი წინადადებების მიჯნაზე – როგორც კავშირიანი, ისე უკავ-

შირო შეერთებისას: „არ იხმარებ, რას ხელსა მხდის საუნჯეებსა და ფარულსა?“ (რუსთაველი); „მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი, როცა ბატონმა სახლს მომაშორა“ (ილია); „ორიფრთხი თუ არა, სახლი ალყაში მოვაქციეთ“ (პრესიდან); „ხელისუფლების დიდმა ნაწილმა არ იცის, რა ხდება აფხაზეთში“ (პრესიდან);

- თუ კავშირიანი წინადადება მოსდევს მთავარს, მძიმე ამ კავშირის წინ დაინერება და არა მომდევნოდ. ეს კავშირებია: მაგრამ, ანდა, თუმცა, ოღონდ, როცა და მისთ;

- განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების, მათ შორის ჩართულის, დანართის ან მიმართვის გამოსაყოფად: „გამოჩნდა ქალი ლამაზი, შავის ტანსაცმლით მოსილი“ (ვაჟა); „დალოცვილო, გუშინ არ გყავდა ტერორისტები შენს ტერიტორიაზე?“ (პრესიდან);

თუ ასეთი სიტყვები და გამოთქმები წინადადების შუაშია, მათ მძიმე ორივე მხრიდან გამოყოფს: „გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი“ (ბარათაშვილი); „გულმან, გლახ, რა ქმნას უგულოდ“ (რუსთაველი).

- ამა თუ იმ წიგნის, სტატიისა და ა. შ. დოკუმენტაციის გაფორმებისას: ავტორის, წიგნის სათაურის, ტომის, გამომცემლობის, გამოცემის ადგილისა და დროის შესახებ არსებული ცნობების ერთმანეთისაგან გასამიჯნავად. მაგ.: ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი, „განათლება“, 1998;

- მძიმე ტირესთან ერთად იხმარება ავტორისეული სიტყვებისა და პერსონაჟთა მეტყველების გასამიჯნავად: „– მე აღარა მესმის–რა, – უთხრა ძმამა, – ამ საცოდავობამ გამაშტერა“ (ილია); „– არა მგონია, აბაშიძე მედლით მოხიბლულიყო, – მიაჩნია ძიძიგურს“ (პრესიდან).

## VII. ორწერტილი (: ) იხმარება:

- რისამე ჩამოთვლისას; დაისმის ჩამოსათვლელი საგნებისა თუ მოვლენების აღმნიშვნელი სიტყვების წინ, მათი განმაზოგადებელი წინამავალი სიტყვის ან მისი შემცველი ფრაზის შემდეგ.

განმაზოგადებელ სიტყვებად ხშირად გამოიყენება განსაზღ-  
ვრებითი და ზოგი სხვა სახის ნაცვალსახელები: ყველა, ყველა-  
ფერი, ყოველი, სხვადასხვა..., აგრეთვე ზმნისართები: ყველგან,  
ყოველთვის, მუდამ და სხვ.: „ყველაფერი მდუმარებს: ბე, ქვა,  
ტყე, მთა და მინდორი“ (ვაჟა);

• ორწერტილი იხმარება მაშინაც, როცა წინამავალ წინა-  
დადებაში გარკვეული მინიშნებაა მომდევნო განმარტებაზე. ამ  
შემთხვევაში მიმანიშნებელი სიტყვებია: **შემდეგი, შემდეგნაი-  
რად, ასეთი, ამისთანა, ასეთნაირად, ამგვარად, სახელდობრ,  
კერძოდ, მაგალითად** და ა. შ. მაგ.: კავკასიაში მრავალი ხალხი  
ცხოვრობს, კერძოდ: ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები,  
აფხაზები, ოსები...;

• ორწერტილი დაისმის უკავშირო ქვენყობილ წინადადე-  
ბაში წინამავალი მთავარი წინადადების შემდეგ, რომელსაც  
მოსდევს მიზეზის (ზოგჯერ მიზნის) ამხსნელი დამოკიდებული  
წინადადება: „**არა, მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე სუსხავს  
და სითეთრე აბერებს**“ (ილია);

• ორწერტილი დაისმის პირდაპირი ნათქვამის წინამავა-  
ლი ავტორისეული სიტყვების შემდეგ, რომლებიც ძირითადად  
„მეტყველება-წრის“ ზმნებით გამოიხატება: **ნათქვამია, თქვა,  
უთხრა, ბრძანა** და მისთ. მაგ.: „**ყმამან უთხრა: ესე საქმე ამას  
ჰგავსო, არა სხვასა**“ (რუსთაველი); „**უბრძანა: ნუ სტირ, ასულო,  
ისმინე ჩემი თხრობილი**“ (რუსთაველი); „**იას უთხარით ტურფასა:  
„მოვა და შეგჭამს ჭიპო**“ (ვაჟა);

• ამგვარ ზმნებს გარდა, ავტორისეულ სიტყვებში ხშირად  
მონანილეობს მეტყველების აღმნიშვნელი სახელებიც (ანდაზა,  
სიტყვები, არაკი). მაგ.: „**თქვა რუქამ არაკი...**“ (საბა); „...**არც ეს  
ბესარიონ გაბაშვილის სიტყვებია ურიგო: „ერთი მაქვს სჯობს  
ათასს მქონდას**“ (ილია); გალაკტიონის სიტყვები გამახსენდა:  
„**უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე**“ (პრესიდან).

**VIII. ტირე (-)** წარმოადგენს ჰორიზონტალურ სწორ ხაზს,  
რომელიც დეფისს სიგრძით ორჯერ აღემატება.

● ტირე იხმარება შერწყმულ წინადადებაში, თუ იმ გამოტოვებული წევრის საკომპენსაციოდ. მაგ.: „არც მინისა ვარ, არც – ცისა“ (აკაკი). – გამოტოვებულია ვარ ზმნა) (ვალ ხელში წიგნი უჭირავს, მეორეში – ყვავილები (გამოტოვებულია თანდებულიანი სახელი „ხელში“ და ზმნა „მიჭირავს“);

● ტირეს ძირითადი ფუნქციებია:

● დიალოგურ მეტყველებაში თანამოსაუბრეთა ნათქვამის გამოყოფა ერთმანეთისაგან:

– ტარხუნა ხომ არის?

– გახლავს.

– კიტრი?

– კიტრიც გახლავს (ილია);

● პირდაპირი ნათქვამისა – ავტორისეული რემარკისაგან:

„– არა, წარმოსთქვა მან, – ნავიდე, გავშორდე აქაურობას“ (ვაჟა).

● იმისდა მიხედვით, თუ რა ადგილი უჭირავს წინადადებაში თავკიდურ ან ბოლოკიდურ ავტორისეულ რემარკას, ტირე შესაბამისად მოსდევს ან უსწრებს, ხოლო შუაში მოთავსებულ ავტორისეულ სიტყვებს ტირე ორივე მხრიდან ერთვის წინამავალი მძიმის თანხლებით. მაგ.: „– დახე, ძალღი პატრონს არ მოშორებია, – წამოიძახა ამხანაგმა, – დალოცვილი პირუტყვი!“ (ილია); „მისასალმებელია, რომ ძალოვანი სტრუქტურები არ არბევენ... საპროტესტო გამოსვლებს, – განაცხადა... დევდარიანმა“ (პრესიდან);

● ზოგჯერ ტირეს საშუალებით გამოიყოფა ჩართული სიტყვები, დანართი და განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები:

„...ჩემი გონების თვალი... ერთ წუთსაც ვერ გავაჩერე – ერთის სიტყვით, ჩემს ტვინში სრული რევოლუცია მოხდა“ (ილია); „ჯინით სავსე ბოთლს ვგავარ – ერთი სული მაქვს, როდის დავიცვლები“ (პრესიდან);

● დასასრულ, ტირე იხმარება რისამე ჩამოთვლისას – განმაზოგადებელ სიტყვასა და მასში შემავალი ჩამოსათვლელი კონკრეტული საგნებისა თუ მოვლენების აღმნიშვნელ სიტყვებს

შორის. მაგ.: „ერთს ადგილში ხუთი ირემი მოეკლა – სამი ხარი, ორი ფური, ერთილა გაჰქცეოდა“ (ვაჟა).

შეიძლება განმაზოგადებელი სიტყვები უკუთანაობის დროს ბითაც იყოს დალაგებული. მათ შორის ტირუ მარცხდარები. მაგ.: „...პატივცემული ღიპი, კოტიტა ხელები, დამორილი სწვილი ფეხები – ესე ყოველი ერთად და თვითოეული ცალკე გახლდათ თავად ლუარსაბის „სულის“ ღირსეული სამკაული“ (ილია).

### IX. ფრჩხილები ( ).

ფრჩხილები ვერტიკალურად განლაგებული და მიმართულე-ბით ერთმანეთის შემხვედრი წყვილი ნიშნისაგან შედგება. ფრჩხილები ორგვარია: ა) მრგვალი ( ) და ბ) კვადრატული [ ].

ა) მრგვალ ფრჩხილებში ჩაისმება:

- სიტყვა, ფრაზა ან მთელი წინადადება, რომელიც განმარ-ტავს ან აზუსტებს სათანადო წინამავალი სიტყვის, ფრაზისა თუ წინადადების მნიშვნელობას, დამახასიათებელია პუბლიცის-ტური და სამეცნიერო სტილისათვის. მაგალითად:

- „...გვერდით ხონჩით (გობი) მწვადად გამოჭრილი ...ხორცი ედგა“ (ვაჟა); „ხოშიას მკვდრებისათვის უნდა „სახელი შეედგა“ (საჭმელ-სასმელი შეენირა)“ (ვაჟა); „უცებ მიგიზიდავდათ ჭკვი-ანური თვალებით (მის თვალებს დღესაც აქვთ ამის უნარი)“ (რ. ინანიშვილი); „ასეთი მოღვაწის „ჩვენს გუნდში“ თამაში (ფეხ-ბურთს არ ვგულისხმობ ამჯერად) უნდა გვიხაროდეს“ (პრე-სიდან);

- ამა თუ იმ ლიტერატურული წყაროდან ციტირებისას, აზრის, ილუსტრაციის მოყვანისას ფრჩხილებში ჩაისმის ავტო-რის გვარი, ნაწარმოების სათაური, გამოცემის წელი, ადგილი და გვერდი (გაზეთში – ზოგჯერ სვეტი და სტრიქონიც);

- ფრჩხილებში ჩაისმის აგრეთვე კომენტარის ტოლფასი უცხოური (ძირითადად ლათინური) რამდენიმე შემოკლე-ბა: (resp), (sic!) ... ეს უკანასკნელი იხმარება მკითხველის ყუ-რადღების გასამახვილებლად;

- მარჯვენა, ჩამკეტი ფრჩხილი ახლავს ჩამოსათვლელი პუნ-



ქტებისა თუ ქვეპუნქტების აღმნიშვნელ ციფრებს ან ასოებს; მაგ.: 1), 2), 3)... ან: ა), ბ), გ)...; ეს წესი განსხვავდება დასავლეთის ქვეყნებში მიღებული წესისაგან, რომლის დროსაც განახილველი საკითხების ან ილუსტრაციების ნუმერაცია ხდება ორმხრივი ფრჩხილების საშუალებით: (1), (2), (3)...

ბ) კვადრატულ ფრჩხილებში ჩაისმის:

- ლიტერატურული წყაროდან დამონმებულ ილუსტრაციაში მაციტირებლის მიერ აზრის გასათვალსაჩინოებლად ან დასაზუსტებლად აღდგენილი სიტყვა ან სიტყვათშეხამება. მაგალითად:

„[აფხაზებს სწამდათ, რომ] არსებობს... ტაროსისა და მეხის ღვთაება“ (ივ. ჯავახიშვილი); „[ბერიძემ] უნდა მისცეს ხალხს წესი და რიგი...“ (ვაჟა); „[სამხედველო] ნერვი რომ გადაიჭრას, კაცი მაშინ ველარაფერს დაინახავს“ (ი. გოგებაშვილი);

- ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში მიღებული ლექსიკოგრაფიული პრაქტიკის მიხედვით, პარალელურ ვარიანტთაგან კვადრატულ ფრჩხილებში ჩაისმება უკვე გაქრობის გზაზე დამდგარი ვარიანტები. მაგ.: [ერთუამიერი//] ერთდროული), აგრეთვე შემდგენელთა ამკრძალავი შენიშვნები: [და არა] ან [კი არა]. მაგ.: [ჭადი კი არა] მჭადი; მეზადური [და არა მეზადურე].

#### X. ძახილის ნიშანი (!) იხმარება:

- ძახილის ან ბრძანებითი წინადადების ბოლოს სხვადასხვა გრძნობის ან ბრძანება-მოწოდების ექსპრესიულად გამოსახატავად. მაგ.: „რა კარგი ხარ, რა კარგი!“ (ი. გრიშაშვილი). „სმენა იყოს და გაგონება!“ (ალ. ყაზბეგი);

- ლოცვებში ღვთისადმი მიმართვისას: „უფალო, შემინყალე!“ ეს სასვენი ნიშანი, როგორც წესი, გამოიყენება დიალოგურ მეტყველებაში;

- ძახილის ნიშანი დაისმის აგრეთვე განსხვავებულ ენობრივ ფორმულებში:

ა) მისალმება-გამომშვიდობებისას: გამარჯობა! სალამი!

მშვიდობით! გზა მშვიდობისა!

ბ) მიპატიჟებისას: მობრძანდით! დაბრძანდით! მიირთვიეთ!

გ) ლოცვისა და წყევლის ფორმულებში: ღმერთო დალოცო ცოს! ეშმაკმა დალახვროს! ლანძღვა-გინების შემცველ გამოთქმებში: დედას გიტირებ!

დ) გამაფრთხილებელ განცხადება-მონოდეებებში: ფრთხილად! ჩუმად! (მათ შორის საყოველთაო ბგერნერულ ფორმულებში: შშშ!);

• სამხედრო ბრძანებებსა და სპორტულ განკარგულებებში: სწორდი! სმენა! ნაბიჯით იარ! ცეცხლი! ხელები მალლა!... გაისმა ბრძანება – „სმენა!“ (პრესიდან);

• საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლოზუნგებში (განსაკუთრებით, ზმნის გამოტოვებისას): „ყველანი – არჩევნებზე!“ „პოეზია – უპირველეს ყოვლისა!“

ყველა ამ სახის გამოთქმაში ზმნა, როგორც წესი, გამოტოვებულია და დარჩენილი ნაწილის (ერთი ან ორი სიტყვის) ექსპრესიის გასაძლიერებლად გამოტოვებული ზმნის საკომპენსაციოდ ძახილის ნიშანი იხმარება:

• წინადადების თავში მოთავსებული ცალკე მდგომი შორისდებულის, უარყოფითი არა ნაწილაკის ან წოდებითი დასმული სახელის შემდეგ: „არა! მხოლოდ დღეს შენ დაიბადე“ (გ. ტაბიძე).

• როგორც წესი, ძახილის ნიშანი ახლავს წინადადების თავში ცალკე მდგომ წოდებითი დასმულ სახელს (მიმართვის ფორმას):

„ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!“ (ხალხური ზღაპარი „მელია და ჩიტი“); „მეგობრებო! წინ, წინ გასწიო!“ (ი. ევდოშვილი).

თუკი შორისდებულს სახელის მიმართვის ფორმა მოსდევს, მაშინ შორისდებულთან მძიმე დაისმის, ძახილის ნიშანი კი მიმართვის ფორმის შემდეგ გადაინაცვლებს:

„ვაშა, რაფიელ! უმრავლოს მამულსა შენებრი შვილი!“ (სოსელი); „ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი...“ (ილია).

მიმართვის ფორმის გამეორების დროსაც ძახილის ნიშანი

ბოლო გამეორებული ფორმის შემდეგ დაისმის, წინამავალი კი მძიმით კმაყოფილდება: „ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მაშულშიც!“ (ილია).

იხმარება აგრეთვე სამეცნიერო ლიტერატურისა და პოეზიაში უსიტყვო კომენტარის აღსანიშნავად და მკითხველის ყურადღების გასამახვილებლად. ეს ნიშანი ახლავს ფონოლოგიაში ჩასმულ ლათინურ შემოკლებასაც, ასე: (sic!).

## XI. ნერტილი (.) დაერთვის:

- თხრობით წინადადებას, რომელიც შეიცავს ფაქტის კონსტატაციას და წარმოადგენს სტილისტიკური შეფერილობის მიხედვით ნეიტრალურ მტკიცებას. სალიტერატურო ენაში, როგორც წესი, ნერტილით ფორმდება წინადადებები ნებისმიერ ტექსტში – სასწავლო და სამეცნიერო ხასიათის ნაშრომებში, ნარკვევებში, საქმიან ქალაქლებში, პრესაში და სხვ. მაგალითად:

- „ენათმეცნიერება არის მეცნიერება ენის შესახებ“; „გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო დიდი ბრიტანეთის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში“.

- ნერტილი იხმარება სიტყვების შესამოკლებლად: ა) ადამიანის სახელის ან სახელ-გვარის ინიციალების (საწყისი ასოების) შემდეგ. მაგ.: **ი. ჭ.** (=ილია ჭავჭავაძე); **ბ.** გეოგრაფიულ სახელთა წინამავალი ნომენკლატურული ტერმინის შესამოკლებლად: **ქ.** თბილისი; **მდ.** მტკვარი; **სოფ.** მარტყოფი; **გ.** ენაში არსებული ზოგი მზა ფორმულის შესამოკლებლად: **ე. ი.** (=ესე იგი), **ე. ნ.** (=ეგრეთ ნოდებული), და **ა. შ.** (=ასე შემდეგ), **იხ.** (=იხილე), **შდრ.** (=შეადარე)...

- პუნქტობრივ ჩამოთვლისას ციფრების ან ასოების შემდეგ: (1. 2. 3.), ანდა: (ა. ბ. გ.); აგრეთვე თარიღების შემადგენელი კომპონენტების (თვე, რიცხვი, წელი) გასამიჯნავად (13.02.09).

**შენიშვნა:** ადრე (უპირატესად – ოქტომბრის რევოლუციამდე) ნერტილი იწერებოდა წიგნის, საგაზეთო სტატიისა და მისთ. სათაურის ან ცალკეული თავების სათაურების შემდეგ

გაც, მაგრამ თანამედროვე ენობრივ პრაქტიკაში ყველა ამგვარ შემთხვევაში ნერტილი უკვე აღარ იხმარება; გამოსაყოფი ერთეულები სხვადასხვა ვიზუალური ხერხით (შრიფტი, განლაგება...) იმიჯნება დანარჩენი ტექსტისაგან.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

**XII. ნერტილ-მძიმე (;)** წარმოადგენს ორი სასვენი ნიშნის შეხამებას, რომელშიც მძიმეს (;) თავზე აზის ნერტილი. ეს ნიშანი თავისი საპაუზო ფუნქციით ნერტილზე ნაკლებია და მძიმეზე მეტი. იგი იხმარება:

- თხრობითი წინადადების ბოლოს, რომელიც ანალოგიური ან თანამიმდევრული მოქმედებების ამსახველი მთელი სერიის ერთი რგოლია, ერთი შემადგენელი ნაწილი. მაგალითად:

- „ფუტკრები ათიათასობით ერთად ცხოვრობენ; ყოველივე საქმეს ისინი შეერთებული ძალ-ღონით აკეთებენ; ჯერ ფიჭებს აკეთებენ; ფიჭის უჯრედებში დედა-ფუტკარი კვერცხებს სდებს“ (ი. გოგებაშვილი).

- საკანონმდებლო და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში (მაგ., კოდექსში, კანონში) ნერტილ-მძიმე დაისმის ანბანური თანამიმდევრობით გამოყოფილი (ა ბ გ...) ყოველი ქვეპუნქტის ბოლოს, რომლის შემდეგაც ახალი ქვეპუნქტი აბზაცით იწყება.

**საკვარჯიშოები:** დასვით სათანადო სასვენი ნიშანი. ამასთანავე, ფრჩხილებში მიუწერეთ, სადაც საჭიროა, რომ შეიძლება და თქვენ მიერ არჩეული სასვენი ნიშნის ჩანაცვლება პირობაში დასახელებულთაგან რომელიმე სხვა ნიშნითაც:

### 1. ბრჭყალები (\* "); ფრჩხილები ( ); ტირე ( — )

1. ბაში-აჩუკი აკაკი წერეთელმა კახეთის აჯანყებას მიუძღვნა. 2. მივაძახე: „ჭინჭარში ნუ ვარდები!“ 3. ჩვენმა ჯენტლმენმა „მოახერხა“ და ქალებს დაასწრო ოთახში შესვლა. 4. ვისი სიტყვებია: „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს“? 5. ანა კალან-

დაძემ თავისი ერთი ლექსის ეპიგრაფად გამოიყენა გრიგოლ-  
 ორბელიანის სიტყვები: „სხვა საქართველო სად არის?“ 6. კოპო-  
 ზიციური პარტიების შეკრებაზე რესპუბლიკელები არ მოსუ-  
 ლან. 7. სტალინის სიცოცხლეში 1930-იანი წლებში რეპრესიებს  
 დაერთო ექიმების საქმე და მეგრელთა საკითხიც. 8. სკოლის  
 მოსწავლეები იმ დღეს სკოლიდან დაითესნენ და კინოში „მატა-  
 ლოზე“ წავიდნენ. 9. სახელმძღვანელოებს ხშირად გამომცემ-  
 ლოები მეცნიერება, განათლება და ინტელექტი გამოსცემენ.  
 10. იქ რა გინდა შენ? ჰკითხა მან ბოლოს. 11. იამშჩიკმა თვალები  
 აახილა და მე ბლვერა დამინყო. მერე მწუო, მწუო, დაუნრუნუნა  
 უჭმელობისაგან გადაღეულს... ცხენებს... 12. ავტორი დიდის  
 რიხით და პათოსით შემოგვძახის: ასე გასინჯეთ, ი. ჭავჭავაძეს  
 ჰყავდა – ვაი ჩვენს შერცხვენას! – ერთი დედაბერი მექათმედ.  
 13. გადანყვიტა: „ბოიკოტი გამოეცხადოს აქაურ მემამულეებს  
 (ილია ჭავჭავაძეს, გივი სტაროსელსკის და ტაო ციციშვილსაო“).  
 14. „ძნა ისევ იქ ჩავიტანე (ესე იგი „სანადელო“ მინაში), დავცალე  
 ურემი და ველოდე ერთი დღე, მეორე დღე, მესამე...“

## II. დეფისით თუ უდეფისოდ? ერთ თუ ორ სიტყვად?

1. ბავშვებს გოგლი-მოგლი ძალიან უყვართ და დედა და  
 ბებია მათ ხშირად უკეთებენ ხოლმე. 2. მამა-შვილი ტყეში წავ-  
 იდა შეშის მოსატანად. 3. ქალაქში გამგზავრების წინ ძია სან-  
 დრომ მამაშვილურად დაარიგა ვაჟი-შვილი და გზა დაულოცა.  
 4. ბიჭი ისეთი კისრისტეხით და თავქუდ-მოგლეჯილი გარ-  
 ბოდა, რომ პოლიციელი შეაეჭვა. 5. ახალგაზრდა მეცნიერები  
 ხუთშაბათობით იკრიბებიან ახალ დაარსებულ სემინარზე და  
 კითხულობენ მოხსენებებს ამათუიმ სამეცნიერო თემაზე. 6.  
 ოთარაანთ ქვრივი ავ-კარგიანი დედაკაცი იყო. 7. ხშირად ვის-  
 მენთ ბიბისის რადიო-გადაცემებს. 8. ამერიკის შეერთებულ  
 შტატებში ნიუ იორკი ყველაზე დიდი ქალაქია, ხოლო სანფრან-  
 ცისკო — ერთერთი ყველაზე ლამაზი. 9. ხომ არ დაგავინყდა,

რომ გითხარი, გზად ფოსტაში გამოიარე და ამანათი ნამთილე მეთქი? 10. — დედა, დღეს ჩემთან ვინმეს ხომ არ დაურეკავს? — ეს ეს არის, ვილაცამ გიკითხა და დაიბანდა, მთვედა და დამირეკოსო. 11. სამეცნიერო ლიტ.-ს ძირითადად უკმ. „მეცნიერება“ გამოსცემს. 12. ეს ლექტორი კითხულობს XIX—XX საუკუნეების ლიტერატურას. 13. საქართველოს რუსეთთან შეერთება გადაწყდა ერეკლე II დროს. 14. 11 სართულიან სახლში ბევრი გამოჩენილი მეცნიერი და ხელოვანი ცხოვრობს. 15. ილია ჭავჭავაძის დაბადება — გარდაცვალების თარიღებია: 1837-1907. 16. ფუძისაგან თავსართს ან ბოლოსართს (ანდა ორივეს) რითი გამოვყოფთ: დეფისით თუ ტირეთი? (კითხვას უპასუხეთ სიტყვიერად და ფრჩხილებში მიუწერეთ თვით ნიშანიც!). 17. თურქეთის სახელმწიფო დროშაზე ნახევარ მთვარეა გამოსახული.

### III. ტირე ( — ); ორწერტილი ( : ); ფრჩხილები

1. ყველა აქ შეგროვდა, ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა. 2. „მე ეხლავე შევიტყობ [თქვენში ცივილიზაცია როგორ მიდის] — რამდენი გენერლები გეყოლებათ თქვენ, ქართველებს“? 3. „... მთელს რუსეთს მე განვუფანტე ეგ ცრუ და უგუნური აზრი — მე მწერალი გახლავართ.“ 4. „ბლალოჩინი საცოდავად გახდა, გაფითრდა, ნაცრისფერი დაედო სახეზედ, ენა ჩაუვარდა“. 5. — ეხლა, თუ მივდივართ, ნულარ ამადლებ, გვინყენს“. 6. მაშრის დედაკაცი ვიქნები, რომ შენთვის ყმა არ გამეზარდოს, შვიდი შვილი გაგიზარდო! 7. იკითხა; ეს ამოდენა მუშა ვისიაო. მოახსენეს, აქ საგარეჯოში ერთი შეძლებული გლეხია და იმისი მამითადიაო. 8. ნაცვალი თუ იასაული: რაც გინდ დიდი საქმე ჰქონოდათ, ოთარაანთ ქვრივის ეზოში ვერ გაინანანებდნენ. 9. „მგონი მივკვლიე, დროც ერჩის და ხანიც უწევს“... ღვიძილი ძილად ექცა და ცხადი — სიზმრად. 10. სულ ამას იძახდი: ღმერთო, მიხსენ! ღმერთო, მიხსენო!.. 11. „ჩვენ დედა-შენს ვერ ვანყენინებთ, იმისი დიდი ხათრი და თავაზა გვაქვს, — უთხრა

არჩილმა". 12. „იმის შვილის სახლს ცეცხლი წაუკიდეს, რატომ დედაშენი არ ანებებს თავს მებატონესთან სამსახურსაო". 13. „[ოთარაანთ ქვრივს] ეუცხოვა ამისთანა ტოდ-ამინანგური ქცევა ახალგაზრდა ქალისაგან — მე ვინა და ეს გუმიწდელი ძუძუთა ვინაო". 14. „ქვეყანაზედ რომ ჭირი არ იყო, ადამიანი ვინასტა არ ამოიდგამდა, მეტი ბარგია." 15. ისე კი ილიას კარგად ხსომებია; თუმცაღა მგზავრის წერილების დაწერის შემდეგ დიდი ხანი — ათეული წლები იყო გასული — რომ A-ხელნაწერის ტექსტი არ შეიცავს საბოლოო რედაქციას. 16. 1873 წ. 1 თებერვალს მწერალი სწერს თავის მეუღლეს. 17. ეს ნაწარმოები დაწერილია დრო-გამოშვებით 1859-1863 წლების მანძილზე. 18. ამ ლექსის გადამწერს მიზნად ჰქონდა, დაემაღლა არა სიტყვა „ცენზორი" — რადგან იგი სხვა შემთხვევაში სრულად დაუნერია — არამედ რომელიღაც სხვა სიტყვა. 19. ლექსი უნდა ვიფიქროთ, კარგად დიდი უნდა ყოფილიყო ხელნაწერში ამის წინ ამოხეულია ორი ფურცელი. 20. პირველ ხანს ეს საოცარი ამბავი არ დავიჯერე, კიდევ ვიტყვი, აბა ჭკუათამყოფელი ადამიანი კაცის სიკვდილის მიზეზად როგორ გამხდოდა საქვეყნოდ იქ, როცა არავინ მომკვდარა.

#### IV. კითხვის ნიშანი (?), კითხვით-დახილის ნიშანი (!), დახილის ნიშანი (!):

1. „კაცია ადამიანი"! 2. „ო, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება"? 3. „მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავმან ვითამცა ჰკადრა მტერობა". 4. ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები"! 5. გუშინ სად იყავი?! — ჰკითხა მამამ ნიკოს. 6. „რა მოგნონს უფრო, ჩემო გოგონავ, ჩიტი-ჩიორა, შრომანი თუ ყაყაჩოს ლექსი"?! 7. — ხომ ვერ მეტყვით, კბილის ექიმი აქ ცხოვრობს?! 8. „იზღერის ბალი ხომ გინახავთ"?! 9. — დედა, რა მოხდება, რომ მეც გამიშვა ექსკურსიაზე?! 10. „რალა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია"! 11. „იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია"?

12. კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია! 13. „ვაზირთა ჰკადრეს: “მეფეო, რად ბრძანე თქვენი ბერობა”? 14. აბა, ბავშვებო, ვინ მეტყვის: რა სარგებლობა მოაქვს წვეწდვის ქათამს?! 15. „- მართლადა, რა უნდა ვქნა! - ჩაი უნდა მი-  
ერთოვო!“ 16. - რა ვქნა, რალა მეშველება, ეს ვადმოუდა რომ ვერ ჩავაბარო?! 17. ღმერთო, რა იქნება, ერთხელაც რომ გადმომხე-  
დო შენი მოწყალე თვალით?! 18. - ბებო, ძალიან გეხვეწები, კიდევ ერთხელ მიამბე რა, დევის ზღაპარი? 19. სადაურსა სად ნაიყვან, სად აღუფხვრი სადით ძირსა!“ 20. „გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამზღვარი“?! 21. „რა ვარ... სტვირი ვარ!“ 22. „ნუ ნახავს მზესა, ინანებს: განა სულ მუდამ მზეაო“. 23. რა უნდა ექნა მამას, თუ მის ქალს მწყემსისკენ მიუწევდა გული! 24. „განა არის საქართველოში სოფელი, რომ ან მამულის პატრონს, ან თითონ სოფელს არა ჰყავდეს მეველე“. 25. „ვა, სოფელო, რაში-  
გან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!“


## V. ნერთილი, ნერთილმძიმე, მძიმე, მრავალნერთილი

ამ ნაწყვეტში ძირითადად ნერთილია გამოყენებული. შეავსეთ ტექსტი სათაურში მითითებული სხვა სასვენი ნიშნებით.

1. გადავწყვიტე რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდევ იმიტომ რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ იმიტომ რომ მამულის სიტყვას მამულისშვილი ყურს უგდებს არა მარტო ყურითა გულითაცა რომლისთვისაც დუმილიც გასაგონია ჩემს სიტყვასაც გავაგებინებ იმიტომ რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის (ილია).

2. ნუთუ მაგალითი ყოფილა სადმე რომ კაცის სიკვდილი არსად იყოს კაცმა ეს სიკვდილი თვით განგებ მოაჭოროს და ამ არ-ყოფილის სიკვდილის მიზეზად კაცი ვინმე გახადოს. ნუთუ იქნებალა მთელს ქვეყნიერებაზე სხვა საგანი ბეზლობისა ამაზე






უფრო უუსაძაგლესი ამაზე უფრო შემაზრზენი ამაზე უფრო გულისასამღვრევი. ნუთუ ამისთანა მამბეზღარის ხელშემწყობს გაზეთს თუ ჟურნალს პრესა ჰქვიან თვით პრესის სამარცხვინოდ. თუ ასეა ნუთუ სამართალი არ მიგვეძღვრის წყველა-კრულ-ვით ეს ამისთანა ადამიანის ხელუხლებლობის ნამწყემდი და ძირს დამცემი პრესა შევაჩვენოთ. ნუთუ სამართლიანის გულისწყრომით არ უნდა მიღებულ იყოს თვით პრესისგანვე ამისთანა ყოვლად უკადრისი საქციელი (ილია).

3. იქნებ მაგალითად ქალაქში ვერცა გრძნობთ როგორ მობრძანდება გაზაფხული. ისე ჩაივლის მთელი თებერვალი ისე მიიღევა მარტი რომ მანქანების გრიალსა და ხმაურში ბოლოსდა პატარა ბალის კუთხეშილა შენიშნავთ აყვავებულ ხეს ვერც იტყვიან რა ხეა რადგან ჩვენდა სამნუხაროდ თავის დროზე ვერც ეს ხე გაგაცანით და ვერც მისი სახელი დაგამახსოვრეთ და გაცელებული გაიფიქრებთ რომ გაზაფხული უკვე კარგა ხანია მოსულა. თუ ასეა თქვენს თავს გამოუტყდით რომ ერთმა გაზაფხულმა ისე ჩაიარა ეს გაზაფხული თვალთაც არ გინახავთ. ეს კი არცთუ ისეთი პატარა უბედურებაა (თამაზ ბიბილური).

4. იორზე ვენახში დიდი ჭერამი გვედგა შებუთქვილი დახუნძლული. თუ თავდაპირველად იგი ჩემი საყვარელი ხე იყო მერე იგი მხოლოდ სევდას იწვევდა ჩემში თან რალაც ზიზლსაც კი. მერე ისე გაიარა ჩემმა ბავშვობამ ზედ ერთხელაც აღარ ავსულვარ აღარც მისი ტოტი დამირხვევია თითქოს უმძრახად ვიყავ ამ ხესთან გვერდით გავივლიდი ზედაც არ შევხედავდი. მერე დაბერდა გახმა ნაიქცა არცა მწყენია თითქოს კიდევაც გამეხარდა. გულში მფიფქავდა ერთი მოგონება თორემ უმიზეზოდ რათ შევიძულეზბდი ნაადრევი ხილით გამხარებელ ხეს. (გიორგი ლეონიძე).

5. აეროპორტის ფანჯრიდან ვერასოდეს ხედავ ქალაქს



მაგრამ იხსენებ რომ ოდესღაც ყოფილხარ აქ. აეროპორტები უთავბოლო და უსაზღვრო ფუნდუკებია სადაც ლუდსა სვამ და მძლავრად განათებულ მალაზიებში დაბოდვად სარკიმ ქალაქში რომელშიც არ ხარ და ხარ ასე მანამდე ნანამ ვარ და იძვრები საჭირო გასასვლელისკენ საიდანაც ახალ შოგზაურობას იწყებ. ამსტერდამიდან სტამბოლში მოვფრინავდი სტამბოლიდან კი თბილისში. თბილისი კი არის ქალაქი სადაც აჩრდილები დალივლივებენ და გიმტკიცებენ რომ შენც აჩრდილი ხარ (აკა მორჩილაძე).

6. და მაინც როცა ქვეყანა იღუპება უბრალოდ არ შეიძლება იყო სოფელში და სოფლისთვის არ ზრუნავდე ანუ გულს მაინც არ გიკლავდეს თუნდაც კიბეებზე ჩამომსხდარი გაფიცულების ბრაზიანი გამოხედვა სიქაგაცლილი დემონსტრანტების ღვარძლიანი შეძახილები თუ მზესუმზირის ჩენჩოში კოჭებამდე ჩამდგარი მომიტინგეების უტეხი მოთმინება. მით უმეტეს არ შეიძლება სოფელში იყო და თავზარს არ გცემდეს საყოველთაო უბედურების მაუნყებელ ნიშნად არ აღიქვამდე ორი დედაბრის გაუთავებელ ცეკვას მაინცდამაინც შენი მოპირდაპირე სახლის მეხუთე სართულის აივანზე მთელი ქალაქის დასანახად საქალაქო ტრანსპორტის თითქმის ყველა სახეობის ერთობლივ ღრჭიალსა და ღმუილში (ოთარ ჭილაძე).

## 69. აბრევიაციის (შემოკლების) წესები

აბრევიაცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ფართო გაგებით ნიშნავს ყოველგვარ სიტყვიერ შემოკლებას, ხოლო ამ პროცესის თვით შედეგს აბრევიატურა ეწოდება. მაგრამ წინააღმდეგობით ეს ტერმინი ყოველგვარ შემოკლებას როდი გულისხმობს. ამ საკითხს უფრო დეტალურად ქვემოთ შევეხებით.

შემოკლებათა წინაპრებად ძველ ქართულში შეიძლება ჩაითვალოს **ქარაგმები**, რომლებიც, სხვა ძველი ენების მსგავსად, ძველი ქართული დამწერლობისთვისაც არის დამახასიათებელი: ადგილის (და დროის) ეკონომიის მიზნით ქარაგმულად (საგანგებო კლაკნილი ჰორიზონტალური ~ ნიშნით) მოკლდებოდა სასულიერო ტექსტებში ყველაზე ხშირად განმეორებადი სიტყვები და ფორმულები (მაგ., ო-ო შ-ე = უფალო, შემინყალე), საკავშირებელი სიტყვები: ხ~ (= ხოლო), რ~ (= რამეთუ), ა-დ (= არამედ), ვ-დ (= ვითარმედ) და სხვ.

თანამედროვე ენებში მოქმედი წესების მიხედვით, ქართულშიც ჩამოყალიბდა შემოკლების გარკვეული ტრადიცია, მათ შორის წერტილით გაფორმების პრაქტიკა, თუმცა არა ყოველთვის. დღესდღეობით ქართულში ორი სახის შემოკლება არსებობს: 1. სიტყვისა და 2. შესიტყვებისა, ანუ სიტყვათშეხამებისა.

1. ცალკე მდგომი სიტყვის შეკვეცა თავკიდური ნაწილის შენარჩუნებით.

წერტილი დაისმის სიტყვის უმარცვლო — ერთი ან ორი საწყისი თანხმოვნის შემდეგ (წ. = წელი, გვ. = გვერდი), ანდა დახურული მარცვლის — თანხმოვნით გათავებული პირველი ან მეორე (უფრო იშვიათად — მესამე) მარცვლის შემდეგ (იხ. = იხილე, მაგ. = მაგალითად...).

ზოგი სიტყვა სპეციფიკურად მოკლდება, კერძოდ, კიდური ნაწილების დეფისით შეერთების გზით. ასეთებია ქართულში: **საზ-ბა** (საზოგადოება), **ლიტ-რა** (ლიტერატურა), **გამ-ბა** (გამომცემლობა), **ფ-ნო** (ფორტეპიანო)...


მაგრამ შემოკლებები შეიძლება გაფორმდეს სასვენი ნიშნის გარეშეც. ამ სახის შემოკლებული ერთეულებია **დროის** ან **ზომა-**

წონის ერთეულთა სახელები, რომლებიც ერთი ან ორი ასოთი გამოიხატება: მ(ეტრი), გ(რამი), ლ(იტრი)... სთ – საათი, წთ – წუთი, წმ – წამი, ვტ – ვატი, კმ – კილომეტრი, სმ – სანტიმეტრი, კგ – კილოგრამი, ჰა – ჰექტარი...). ზოგჯერ ერთნაირად მოკლდება სხვადასხვა სიტყვა და ეს ძირითადად ერთნაირი ძეგლებს ეხება. შდრ.: ტ(ონა) და ტ(ომი), ნ(ელი) და ნ(იგნი), ა(რი) და ა(მპერი). ეს შემოკლებები მაშინ იხმარება, როდესაც ამ სიტყვებს ახლავს რაოდენობის (ან რიგის) აღმნიშვნელი ციფრი: მაგ., ნ(იგნი) II; ტ(ომი) 25; 2009 ნ(ელი).

ჩამოთვლილ სიტყვათაგან ბოლოში წერტილი დაესმის მხოლოდ ოთხს: ნ. (ნელი), ს. (საუკუნე), ტ. (ტომი) და წ. (წიგნი).

ვინაიდან შემოკლების ძირითადი ფუნქციაა ინფორმაციის მოკლედ გადმოცემა, სიტყვა ისე უნდა შემოკლდეს, რომ იძლეოდეს მისი მნიშვნელობის ზუსტად გაგების შესაძლებლობას. ქართულში თანხმოვნების რაოდენობა თითქმის 6-ჯერ აღემატება ხმოვნებისას და ინფორმაციის ძირითადი მატარებელიც შემოკლებული სიტყვის თანხმოვნითი ნაწილია. ამიტომ ქართულ ენაში მიღებულია შემოკლების ან მთლიანად თანხმოვნებით გამოხატვა (მაგ., შდრ. = შეადარე), ან თანხმოვნით დამთავრება. პირველი შემთხვევა შედარებით იშვიათია, უკანასკნელი კი საკმაოდ ხშირია. სანიშნოდ ავიღოთ თუნდაც თვეების აღმნიშვნელი სახელები: ივნ(ისი), ივლ(ისი), აგვ(ისტო), სექტ(ემბერი) და ა.შ. ამასთან, არსებითია, ისე შემოკლდეს სიტყვა, რომ ორაზროვნება გამოიწივოს.

ასეთი შემთხვევები შეიძლება შეგვხვდეს დიდ ლექსიკონებში, რომლებშიც სალექსიკონო ერთეულთა დარგობრივი კვალიფიკაციის მითითებისას ზოგიერთი დარგის სახელწოდებათა საწყისი ასოები ერთმანეთს ემთხვევა. შემოკლებისას აღრევის თავიდან ასაცილებლად საჭირო ხდება შემოკლებათა განვრცობა დამატებითი ასოებით. მაგ., შემოკლება არქ. გაუგებარია, ზუსტად რას ნიშნავს – არქეოლოგიას თუ არქიტექტურას. ამიტომ აუცილებელი ხდება კიდევ დამატებითი მარცვლის მიმატება თითოეულისათვის, რის შედეგადაც ვიღებთ ფორმებს: არქეოლ. და არქიტ.; ასევეა ფილ. შემოკლების შემთხვევაშიც: გაუგებარია,



ფილოლოგიაზეა ლაპარაკი თუ ფილოსოფიაზე. ამიტომ მარცვლის დამატებით ვიღებთ შესაბამის შემოკლებებს: ფილოლ. და ფილოს. და ა. შ.

ქართულში თანხმოვანთა თავმოყრა — მათ შორის შესამოკლებელ სიტყვებშიც — ხშირი მოვლენაა. ამიტომ შემოკლების აღსანიშნავად წერტილი დაესმის იმ თანხმოვნებთან, რომლებიც საკმარისია შემოკლებული სიტყვის მნიშვნელობის გასაგებად (ან უკეთ გასაგებად). წერტილი დაისმის მომდევნო ხმოვნის წინ. მაგალითად, **მოთხრობითი** და **მოქმედებითი** ბრუნვების სახელები ასე მოკლდება: **მოთხრ., მოქმ.** (და არა: მოთ., მოქ.).

**2. ერთზე მეტი სიტყვის შემოკლება მათი საწყისი ასოების შეერთებით.**

მოკლდება სალიტერატურო ენებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი სიტყვათშეხამებაც — ძირითადად ნაცვალსახელურ-ზმნისართული შესიტყვებები. მათი შემოკლების შედეგად ვიღებთ აბრევიატურებს, რომლებიც ითარგმნება უცხო ენებზე. ესენია: ე. ი. < **ესე იგი** (რუს. *т. е.*, ინგლ. *i. e.*); ე. წ. < **ეგრეთ ნოდებული** (რუს. *т. н.*, ინგლ. *so-called*); და ა. შ. < **და ასე შემდეგ** (რუს. *и т. д.*, ინგლ. *and so on*) და სხვ.

ორსავე შემთხვევაში წერტილი დაისმის შემოკლებული სიტყვის ბოლოს.

მაგრამ სიტყვა **აბრევიატურა**, ვინრო გაგებით, აღნიშნავს ერთზე მეტი სიტყვაფორმისაგან შედგენილი ტერმინის ან საკუთარი სახელის (ონიმის) პირობით ასოით გამოსახულებას. იგი, როგორც წესი, წარმოადგენს შემადგენელი სიტყვების ინიციალური, ანუ საწყისი ასოების შენაერთს, რაც ემყარება ე.წ. **აკრონიმულ პრინციპს**.

საერთაშორისო აბრევიატურები, რომლებიც მომდინარეობს ევროპული ენებიდან, ანდა საკუთრივ ქართულის ნიადაგზე წარმოქმნილი შენაერთი ორი ან მეტი სიტყვის პირველი ასოებისა ფორმდება წერტილები გარეშე. ამგვარად შედგენილი ერთეულები ქმნიან დამოუკიდებელ სიტყვებს — სახელებს, რომლებიც იბრუნვის სათანადო ენის ბრუნვათა სისტემის მიხედვით.

მაგალითად: გაერო (= გაერთიანებული ერების ორგანიზაცია), გაერო-მ, გაერო-ს... უახლოეს წარსულში საკუთრივ ქართულ ნიადაგზე შექმნილი აბრევიატურებია სახელგამი (< სახელმწიფო გამომცემლობა), საბლიტგამი (< საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა), ადგილკომი (< ადგილობრივი კომიტეტი), საქნიფი (< საქართველოს ნიფი) და ა. შ., თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ქართულს დიდი მიდრეკილება ამ სახის აბრევიაციისადმი არა აქვს, რადგან ამგვარი აბრევიატურები ეყრდნობა ევროპული ენების მთავრული ასოების აქტიურ გამოყენებას, თანამედროვე ქართულს კი მთავრული ასოები არ გააჩნია.

თუ ზოგი ქართული აბრევიატურა შესიტყვებათა შემადგენელი სიტყვების პირველი ასოების მიხედვითაა შექმნილი (მდრ.: USA < United States of America = აშშ < ამერიკის შეერთებული შტატები, USSR < Union of the Soviet Socialist Republics = სსრკ < საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, UN < გაერო, OSCE ეუთო, და ა.შ., სხვა შემთხვევაში ქართული უშუალოდ იმეორებს ევროპულ ენებზე შექმნილ აბრევიატურებს (NATO ნატო, UNESCO იუნესკო, UNICEF იუნისეფი, OPEC ოპეკი, ГYJIAT გულაგი...).

ისეთი უცხოური (განსაკუთრებით, ინგლისურენოვანი) სახელწოდებების ქართულად გადმოცემისას, რომლებიც რთული შედგენილობისაა და აბრევიატურა შემადგენელი სიტყვების პირველი ასოების ფონეტიკურ წარმოთქმას ეყრდნობა, ქართულში ეს კომპლექსები დეფისით დაიწერება, მაგ.: BBC – ბი-ბი-სი, ABC – ეი-ბი-სი, FBI – ეფ-ბი-აი, TBC – თი-ბი-სი, CNN – სი-ენ-ენი და სხვ.

**სავარჯიშო:** ა) დაწერეთ ქვეყნის მხარეებისა და თვეების სახელწოდებათა შემოკლებანი წესებში წარმოდგენილი რეკომენდაციების მიხედვით:

1. ალმოსავლეთი;
2. დასავლეთი;
3. სამხრეთი;
4. ჩრდილოეთი;
5. აგვისტო;
6. აპრილი;
7. დეკემბერი;
8. თებერვალი;
9. იანვარი;
10. ივლისი;
11. ივნისი;
12. ნოემბერი;
13. ოქტომბერი;
14. სექტემბერი.

ბ) შეამოკლეთ ეს სიტყვები ისე, რომ შემოკლებანი ერთმანეთს არ დაემთხვეს:

